ახალი

ლიტერატურული ჟურნალი

№4, 2013

ილია პაცაშურის დაბადებიდან 75 წლისთავის იუბილე

დიდი ფერმწერი

„ილია პაცაშური 60-ანი წლების ერთ-ერთი შესანიშნავი, ნიჭიერი მხატვარია, რომელიც ყოველთვის თავისი ფერწერით, საკუთარი შემოქმედებით იპყრობს ყურადღებას, ის საინტერესოა, არა როგორც კარგი აკადემისტი მხატვარი, რომელიც ყველა პროფესიულ საშუალებას ფლობს, ყველა მხატვრისთვის რომ საჭიროა, არამედ თანდაყოლილ შინაგან ხმას, იმ შინაგან აუცილებლობას, რომლის შემდეგ იწყება დიდი მხატვრობა, აი, ეს გამოჩნდა კიდეც. მას შემდეგ, რაც დამოუკიდებლივ დაიწყო შემოქმედებითი მოღვაწეობა, ვხედავ, რომ ილია პაცაშური არის, მართლაც, საოცარი მოვლენა, რადგან იმ შინაგან ხმას, იმ თვითმეოფადობას, რომელიც უზენაესმა მას მიანიჭა, თან ერთვის შრომისმოყვარეობაც. მხატვარი ამ ყველაფრით იქცა ჭეშმარიტ, ნამდვილ შემოქმედად, დიდ შემოქმედად.

მისი შემოქმედება არის ბრწყინვალე პოლიფონიაზე აღმოცენებული მშვენიერი მუსიკა, რომელიც არ ღალატობს თავისი კუთხის, თავისი მზის, მთების სიძართლეს. საკუთარი ტილოებით ის უმღერის სამშობლოს, რაც განსაკუთრებით დღეს, ალბათ, ყველა შემოქმედისთვის შესაშურია“.

ელგუჯა ამაშუკელი

ანეული

№4. დეკემბერი, 2013 წელი

ლიტერატურული ყუთი

ჩევაზ ინანიშვილის სახელობის ლიტერატურული ფონდი 3
პროზა
ზურაბ ჯოხაძე მგზირი 4
ბიოლბი სოსანიძე ფიცის სამანები 8
ერთი ლექსი
თამარ ლომიძე ჰარალე 12
პროზა
ბია ციბანაშვილი ობოლა და ნავსა 14
ერთი ლექსი
თენგო ავსაჯანიშვილი არაგველს თუ ეძებთ – მე ვარ 18
ბიოლბი ღალიაშვილი მირზა გელოვანი ქართულ მიწას უნდა ებარებოდეს 19
ერთი ლექსი
მანანა დანგაძე პოეტი 20
პოეზია
შოლენა თამაზაშვილი 21
ვენერა ანდღონიფაშვილი 22
ქეთევან ებანოიძე 23
მკითხველის მოსაზრება
ლეილა ქიტოშვილი-სახლთხუსიშვილი „დღეს იყო გუშინ! 25
პროზა
მიჩიან ყენია იგი 31
ქორეოგრაფია
ივანე ჯაფარიძე ჭეშმარიტი რაინდი ცხოვრებასა და ხელოვნებაში 33
პოეზია
მარინე თეკთემანიძე 35
შოთა ტობონიძე 38
ლიტერატურული კრიტიკა
ნოდარ მამასაშვილი ბედნიერი ხარ, წვა შეგიძლია! 39
ჯემბერ ჯიშფარიანი ფრაგმენტები ამერიკული დღიურიდან 43
ნანე მილოჩავა „ფიქრის მატარებელი“ 48
თეონა ბობნიაშვილი „ჰაერში დაჭერილი ფრაზები“ 50
თამარ შაიშმელაშვილი ფიროსმანის ნათლის მცველი 51
თავისუფალი სივრცე ყველა მწერლისთვის! 53
პოეზია
ოთარ ჩუჩუა 56
არქივიდან ბიოლბი ლეონიძე 57
ერთი ლექსი
ვლადიმერ მაიაკოვსკი პორტი 58
რეკაზ გამაშვილი – 130 59
ნინო ღამბაშიძე შობა 65
შალვა მჭედლიშვილის 90 წლის იუბილისთვის 68
ჩვენი პატარემისთვის
ნინო ტარყაშვილი მადლი 69
პოეზია
იოსებ ხესიშვილი 70
თარგმანი დიდარ ამანთარი 71
ფონსტანტინე ფაჩანელი ქართული ტიპი 74
ივანე ჯაფარიძე მურთაზ კანკაძის შესახებ 76
პოეზია
იოსებ ხოხონიშვილი 80
თამარ შაიშმელაშვილი „ჩემი მიწის ვარ ლელთლუნია“ 83

ISSN 1987-9717

ჟურნალი-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანეული“

ჟურნალი „ანეულთან“ ახსებული
ლიტერატურული გაერთიანება:

თამარ მიქაძე
ლეილა ქიტოშვილი –
სახლთხუცესიშვილი
თემურ ჩალაბაშვილი
მანანა ჩიტიშვილი
ნინო ჩხიკვიშვილი
თამაზ ხმალაძე
ივანე ჯაფარიძე
ჯუბა ღებელი
ჯუმბერ ჯიშკარიანი

მთავარი რედაქტორი

თამარ შაიშმელაშვილი

პასუხისმგებელი რედაქტორი

სოფიო ჯაფარიძე

ლოგოს ავტორი

ბიორბი ზურაბიანი

კომპიუტერული უზრუნველყოფა

გოჩა სოზიაშვილი

გარეკანზე: ილია პატარაშვილის ნახატი „პეიზაჟი“

რედაქციის ტელეფონი: 551 00 50 58

რედაქციის ინტერნეტფოსტა: aneuli@mail.ru

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალებზე პასუხისმგებელია ავტორი

რევაზ ინანიშვილის სახელობის ლიტერატურული კონკურსი

„მწერლობა მაინც სხვა არის, ნამდვილი მწერლობა, მას ყოველთვის თან ახლავს ღვთიური შუქი, რომელშიც ხარობს ჯეჯილიც, შვლის ნუკრიც და ჩვენი სულიც“, – წერდა რევაზ ინანიშვილი, და მისი შემოქმედება სწორედაც რომ ამ ღვთიური შუქით იყო ნათელფენილი. ეს სიტყვები ლიტერატურულ ჟურნალ „ანეულის“ დევიზად წავიმძღვარეთ, ერთი მოთხრობის კონკურსიც, რომელიც რევაზ ინანიშვილის სახელს ატარებს, დიდი მწერლის დაფასების, მისი სახელის უკვდავყოფის მოკრძალებული ნაბიჯია, რომელმაც ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაში თავისი წვლილი უნდა შეიტანოს. ლიტერატურული კონკურსები ხომ აცოცხლებს ამ სივრცეს და სტიმულს აძლევს შემოქმედს.

წლევანდელი კონკურსი გამორჩეულია, რადგან ჟურნალს მხარში დაუდგა თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრი და საპრემიო ფონდის დაფინანსება უზრუნველყო. ასევე სასიხარულოა, რომ „ანეულის“ ეს ნომერი, სადაც გამარჯვებული ავტორების მოთხრობებია დაბეჭდილი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის მხარდაჭერით გამოდის. ხოლო დაჯილდოების ცერემონიალს საქართველოს მწერალთა სახლი მის მესვეურთა ჩვეული გულისხმიერებით მასპინძლობს.

უთუოდ აღნიშვნის ღირსია და მადლობას იმსახურებს ერთი მოთხრობის კონკურსის ჟიური, რომლის არჩევანიც საგულისხმო და პატივსაცემია. ამაში თავად გამარჯვებულ ავტორთა მოთხრობები დაგარწმუნებთ.

რევაზ ინანიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად გამართულ „ერთი მოთხრობის კონკურსში“ გამარჯვებულები არიან:

ზურაბ ჯოხარიძის „მგზირი“ – პირველი პრემია,

გიორგი ცოცანიძის „ფიცის სამანი“ – მეორე პრემია,

გია არგანაშვილის „ობოლა და ნავსა“ – მესამე პრემია.

აღსანიშნავია, რომ ჟიურის სიმპათია ორი ახალგაზრდა ავტორი გახდა: მარი ბექაური – „ომის მამაჩემი“ და ბექა ადამაშვილი: – „Déjà vu, როგორც არაასეთი“.

ჟურნალ „ანეულის“ რედაქცია მადლობას უხდის ყველას – ჟურნალთან არსებული ლიტერატურული გაერთიანებიდან დაწყებული ერთგული მკითხველის ჩათვლით, ვინც არ იშურებს დროს, ენერგიას, სიყვარულს იმისთვის, რომ ჩვენს გვერდით იყოს, და ჩვენთან ერთად განიცადოს ჭეშმარიტ ლიტერატურასთან ზიარების ყოველი ლამაზი წუთის სიხარული!

ზურაბ ჯოხაძე

მ გ ზ ი რ ი

ოქროსფერი, ნათიბი ფერდობი პატარა, ხორბლისფერი ზვინებითაა მოჩითული.

ხანდახან ნიავი დაუბერავს და შემოდგომის მზით დასიცხულ მეთივეებამდე სოფლის ხმაური და არაგვის ჩხრიალი ამოაქვს.

მამუკამ თოკგადაკოჭილი ზვინი დაითრია და თივის საზიდ მარხილზე, სხვა ბულულების გვერდით მიაგდო.

— ადუაუ! ჰაი, ადუაუ! — გაეხმიანა მოშორებით მომუშავეებს — გაიგეთა, რა ანბავს ღილღუას?

— რაო? — ადუამ ძირს დაგდებული თოკი აიხვია მკლავზე. შვებულებაში წამოსულს, არც საათი წამოუღია, არც რადიო, ისვენებდა, — არც ტელეფონი, არც გაზეთი, არც ტელევიზორი, არც ოჯახის ზია-ზია...

— ომ ას, ომ! — მამუკას ნაცვლად, შალვამ უპასუხა ძმას.

— ხოო! ალბათ, ეგაა მიზეზი, ხახმატელებმა რომ სთქვეს, ნადირმა იმატა მთაშიო! — ჭაუხებს გახედა ადუამ. ძალიან ლურჯ ცაში, ძალიან დაკბილულ-ყინულიანი მწვერვალები ბრჭყვიალებდნენ. სუნთქვა შეეკრა. სულ ენატრებოდა აქაურობა.

— ჰეე, ნადირ კი არა, ხიზან გამასჩნდა შატილსა და არდოტს! — მამუკამ ბულულებზე აალაჯა და თივის ტკეპნა დაიწყო.

ისევ დაუბერა ნიავმა და ნათიბის მოტკბო სურნელი მოიტანა.

— იწვიმებს! — შალვამ ცას ახედა და ოფლით დაცვარული შუბლი გახუნებული, მწვანე პერანგის სახელოთი შეიმშრალა.

— ჰაი, გუდანის ჯვარმა! ერთ-ორ დღე დაგვაცადას! — თივის ტკეპნა განაგრძო მამუკამ. მერე, ძმებს გამოხედა.

— ისე, ძველებს უთქვამთ, საცა ბაბრია, იქ სხვა ნადირ ფეხს ვერ მაიკიდებსო. ჩვენცა გვყაავ ერთ მგზირ!

ადუამ ვერაფერი გაიგო და გაკვირვებულმა გამოხედა.

— აარ ერთ, შავ მგელაი. ჩამაივლის მეფის მგზირივით. რასაც თოლს დაადგამს, იმისია! — თქვა მამუკამ და ნიჩაბივით ტორი ასწია — აე, ეს ხელ ჩავატიე მაგის ნაკვალში, იმხელაა ეგ ტიალი!

— აგერა, გაღმელებს უნადირიათ კალოთანაში. ჯიხვების ხოროსა ვსდიეთაო! — შალვამ ფიწალით თივა აიტაცა და მარხილზე დაზვინულს შრიალით დაამატა — ნადირ უნახამთ. ათზე მეტ დავთვალეთაო. აე, ამ თივაის ფერებ ყოფილან! დიდრონებ ყოფილან! თურმ, ერთ წითაი რევიათ!

ადუამ გაღიმებულმა გახედა ძმას და კოკა-კოლას ბოთლიდან წყალი მოსვა.

— მგელ ლეგა უნდა იყვას, ბიჭავ! წითალ-ყვითალ ვის გაუგიან? — მამუკა მარხილიდან ჩამოხტა და შარვლის ტოტები ჩამოიფერთხა — ვიღაცას შაჰშინებავ და იმაად მაჰჩვენებავ!

მათი ომახიანი ხორხოცი გაღმა კლდეს ეტაკა და ზევით, ტყეში ექოდ დაიკარგა.

— დუშეთის სოფლებს უჩვეულო, წითური, 1,5 მ. სიგრძის მგელი შეეჩვია. არადა, ცნობილია რომ ქართული გარემოსათვის დამახასიათებელია რუხი მგელი. ამბობენ, წითური მგლები ან ჩეჩნეთიდან უნდა იყვნენ გადმოხვეწილი, ან ისევ რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციის „ჰუმანური“ მიზნების შედეგად მომრავლდნენ.

(ამონარიდი „კვირის პალიტრიდან“ 12.10.05.)

* * *

წვიმიან, ჩაწკვარამებულ ღამეს ხანდახან ელვა გაკვეთავდა და მძიმე ღრუბლებით ჩამოჯანღულ ფშავის მთებს ანათებდა.

წამიერად გაკვესილი სინათლე, ტოტებდაშვებული დიდი ნაძვის ძირში თერთმეტმა წყვილმა თვალმა აირეკლა.

წვიმის შრიალს ყრუ გუგუნი შეერია. მერე თანდათან მოახლოვდა და ბოლოს, მძლავრმა გრიალმა შეაზანზარა გარემო. ხროვა შეიშმუშნა, აწრიალდა და მშრალ წიწვებზე მორკალული მგლები უფრო მჭიდროდ მიეკვრნენ ერთმანეთს.

თოვლიანი მთების გადაღმა, საიდანაც ეს ჩალისფერი ხროვა გადმოიხვეწა, ჭურვების გრიალ-გრუხუნი დღედაღამ არ წყდებოდა. ამიტომ, მგლებს მეხთატეხა კი არა, სულ სხვა რამ აშფოთებდათ — უკვე მერამდენე ღამე იყო, ნიავს უცხო მგლის სუნი მოჰქონდა და გადმოხვეწილებს მოსვენებას უკარგავდა. გარდა ამისა, უზარმაზარი ნაკვალევის პატრონი ერთი ნაბიჯით ასწრებდა და ხროვას საკბილოს უფრთხობდა. ლტოლვილებს შიმშილი უკვე სერიოზულად აწუხებდათ, ალბათ, მიატოვებდნენ აქაურობას და სადმე სხვაგან გადაინაცვლებდნენ.

— ერთი უცნაური თვისებაც აქვს მგელს: საზოგადოებრივი მდგომარეობის ინდიკატორია. საკმარისია ქვეყანაში მოიშალოს მშვიდობიანი ცხოვრება, მაშინვე იწყება მგლების სწრაფი გამრავლება.

(ამონარიდი „კვირის პალიტრიდან“ 12.10.05.)

* * *

თითქოს მიწიდან ამოძვრაო, ალისფერი მგელი ისე გაჩნდა ნახირს ჩამორჩენილი, თეთრშუბლა დეკეულის წინ. ხან ფეხებში გაუძვრა, ხან ცხვირწინ გაუგორდა, იმდენი ეღლაბუცა, თეთრშუბლა თამაშში აიყოლია და ბექობს იქით, ფლატისკენ გაიტყუა. ჩალისფერ ხროვასაც ეს უნდოდა — ელვის სისწრაფით ეკვეთნენ დეკეულს და ფრიალო ხრამში გადაჩეხეს. მერე ციცაბოს ქვევიდან დაუარეს და წამში ღელის პირას გაჩნდნენ. მაგრამ უკვე გვიანი იყო — რუხი მგელი მათ ნადავლზე წინა ფეხებით შემდგარიყო. სისხლიანი ლაშებიდან აელვარებული ეშვები გამოეჩინა და ავად იღრინებოდა.

ეს იყო უზარმაზარი, მარტოხელა მგელი — ბაბრი. რომელსაც აქაურებმა „მგზირი“ შეარქვეს.

მგზირს, ცხვირიდან დაწყებული, ხერხემლის გაყოლებით კუდის რიკამდე ნახშირივით შავი ზოლი, ერთიორად საზარელ შესახედავს ხდიდა.

რუხი მგელი ნელ-ნელა გადგა განზე. ღრენა არ შეუწყვეტია, ისე ჩადგა ლეშსა და მწითურს შორის. ხროვას საშუალება მიეცა ნადავლს მისეოდა.

მწითურმა ვერაფრით მოახერხა მგზირისთვის გვერდის ავლა...

მცირე ხანში, თეთრშუბლა დეკეულიდან გალოკილი ძვლებიღა დარჩა. ახლაღა დაცხრნენ შიმშილითა და სისხლით გახელებულები. აღარც საშინელი ლეგა ჩანდა სადმე და აღარც ალისფერი...

მას შემდეგ მგზირი მარტო აღარ იყო. მისი მწითური, მწვანეთვალება მეწყვილე, ელამ-ბოროტი მზერით, საცრად საზრიანი და მოხერხებული გამოდგა.

ღონისა და გონის შეერთება სოფელსა და ტყეს ორმაგად ძვირი დაუჯდა.

— ჩემს ახლობელს ორმა მგელმა 14 ცხვარი გააცალა ფარეხიდან. კარტოფილის ნათესებში ფარულად გაუკეთებიათ მგლებს „გზა“, საიდანაც ერთი ფარეხში ჩახტებოდა, ცხვარს ზურგზე მოიგდებდა და ღობის მეორე მხარეს ისროდა, იქიდან სხვა მგელს გაჰდაქონდა მდინარის გაღმა. ამ დროს კი ორი ძაღლი იყო დაბმული ზედ კარებთან.

(ამონარიდი „კვირის პალიტრიდან“ 12.10.2005წ)

* * *

ზამთარში, მონადირეებმა შეამჩნიეს, რომ მგზირის თანმხლების ნაკვალევი საგრძნობლად გაფართოვდა.

მერე მზემ თანდათან მოიკრიბა ძალა. ტყემ მომწვანო-მოყვითალო ფოთოლი გამოიტანა.ძუს მუცელიც გაეზარდა და სუნიც შეიცვალა. მის გაძღომას ხომ აღარ დაადგა საშველი — ადრე ძალიან ფრთხილი, საკბილოს საშოვნელად აღარაფერს ერიდებოდა.

* * *

მთას ამომცდარი მნათობი ბალახის ცვარში აბრჭყვიალდა. ლეგა-წითურმა წყვილმა ძველ ფერმებთან აიარა. ასე, ზევით, სერზე ავიდოდნენ და იქიდან დაზვერავდნენ მიდამოს.

ტყემდე არ იყვნენ მისულები, რუხი მგ-

ლის მახვილ სმენას ხევიდან ჩქამი მოესმა. ყურებდაცქვეტილი ჩაიცქერდა ფერდობს. ჯობდა,მალე გასცლოდნენ აქაურობას. მოტრიალდა და მოულოდნელობისაგან ყეფისმაგვარი აღმოხდა — კისერწაგრძელებული ალისფერი მაყვლოვანისკენ მიისწრაფოდა. მგზირი რამდენიმე ნახტომით წამოეწია მუცელგაბერილს, მკერდით შეასკდა და გვერდზე მიაგდო. სასხლეტის ღრჭიალი, ძვლის ჭახანი და სასოწარკვეთილი ხავილ-ყმუილი ერთმანეთში აირია. დამფრთხალი ჩხიკვი ქოთქოთით გადაფრინდა ტყის სიღრმეში და კვლავ სიჩუმემ დაისადგურა. ხაფანგში წინა ფეხით გაბმულ რუხ მგელს უზარმაზარი,შავშუბლა თავი მიწაზე დაედო. სიმწრით დახუჭული თვალებიდან სისველე ჟონავდა.

ძუ ჩუმი წკმუტუნით გარს უვლიდა. დიდი სიფრთხილით ყნოსავდა გასისხლიანებულ რკინას და ახლოს მისვლას ვერ ბედავდა.

ქვევიდან, ჭალის მხრიდან, ხალისიანი გადაძახილები და სიცილი მოისმა. სანამ ღრუბელი მზეს მოეფარებოდა,ხმები უფრო მოახლოვდა. ძაღლმაც დაიყეფა გაბმით.

ხვადმა ავად შეუღრინა ძუს.

ის კი მწვანე, ელამი თვალებით მისჩერებოდა და არსად წასვლას არ აპირებდა.

როცა ბილიკზე მონადირეები გამოჩნდნენ, ალისფერმა მათ თვალწინ ფერდობი ცერად გადაჭრა და მეჩხერ ტყეში თავქვე დაეშვა.

კარგა ხანს ისმოდა ძაღლის ყეფა და თოფების გრიალი.

— ხაფანგით მგელზე ნადირობა ძალიან ძნელია. ხაფანგს თუ დადგამ ლეშის სატყუარათი, მგელი ყუელაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ იქ ძაღლი მიიტყუოს და მას გაასინჯოს პირველად ლეში. ხაფანგს რკინის სუნით ცნობს. ძალიან კარგად უნდა დაამუშაო ქონით რკინა, რომ მგელმა სუნი არ აიღოს. ეს კი იქ არის შესაძლებელი,სადაც ყინვაა და ქონი არ დნება.

(ამონარიდი „კვირის პალიტრიდან" 12.10.2005წ)

* * *

რამდენიმე დღის მერე, მწყემსებმა ძველ ფერმებთან, ხაფანგის დაკბილულ

ყბებში, უჩვეულოდ დიდი, გადაღრღნილი მგლის თათი იპოვეს. მონადირეებმა — მგზირისაო!

— მორჩა ბაბრო,შენი მგზირობა! კოჭლა მგელაი რაის მაქნის ას! — გაიძახოდნენ სოფლებში.

ერთხანს მართლაც მოისვენა ხალხმა. მაგრამ, მერე უარესი დაიწყო...

— ამბობენ, მგელმა საშინელი შურისძიება იცისო?

— მართალია. შარშან ბიჭებმა მგლის ლეკვები დაიჭირეს. გაგიჟდა ძუ. სოფელში ოჯახი არ დატოვა,რომ არ დაეზარალებინა.

(ამონარიდი „კვირის პალიტრიდან" 12.10.2005წ)

* * *

ზამთარში, რომ ჩამოთოვა, მაშინღა გამოჩნდა, ვინ იყო დამნაშავე — ახალდათოვილს გარკვევით აჩნდა სამფეხა მგლის კვალი.

„მგზირი დაბრუნებულაო!" — მეხივით გადაუარა ფშავის სოფლებს. დაკოჭლებული მგელი აღარაფერს და არავის ინდობდა. როგორღაც ახერხებდა და ქოფაკებს ისე აშინებდა, ეზოებიდან ცხვირს ვეღარ ჰყოფდნენ.

დაცარიელებულ ორღობეებში მართლაც გზირივით დადიოდა სამფეხა ბაბრი. ყველაფერს ყნოსავდა, ყველგან შედიოდა...

— მოსახლეობას აქამდეც შეეძლო ან ჩვენთვის მოემართა, ან ჩვენივე რაიონული სამსახურისთვის. ვითარებას სულ რაღაც ათიოდე დღეში შევისწავლიდით და სათანადო ღონისძიებებსაც გავატარებდით, თუმცა არც ახლაა დაგვიანებული. თუ საჭირო შეიქმნება, დავადგენთ მტაცებლის ხელოვნურად შესამცირებელ კვოტას, ეკოსისტემამ დისბალანსი რომ არ განიცადოს.

(ამონარიდი „კვირის პალიტრიდან" 12.10.2005წ)

* * *

ისევ მოვიდა შემოდგომა.

ისევ აოქროსფრდნენ ნათიბი ფერდობები.

ისევ ამოვიდა ქალაქიდან ძმის საშველად „ნასწავლი" ძმა.

* * *

მზე შუბის ტარზე იდგა.

თივის ხვეტით დაღლილებმა, წყაროსთან, კლდის ჩრდილს შეაფარეს თავი. ტილოს აბგიდან საგზალი ამოალაგეს და ცოტა წაიხემსეს.

შალვამ ბოთლს საცობი კბილებით ამოაძრო და პატარა ყანწში არაყი ჩამოასხა.

— ეეხ, მამუკაის სულ გაანათლას ღმერთმ! კაა ვაჟ იყო ჩემი ძმობილი, კაა! — გადაჰკრა და ძმას შეუვსო.

— განანათლოს! — ჯერ სათიბს გაჰხედა ადუამ, მერე ლურჯ ცაში აიხედა და ყანწიც ასწია.

უხმოდ ილუკმებოდნენ.

კლდეზე გადმოკიდებული წყალი ჩხრიალებდა. სადღაც წიწკანა წივწივებდა სევდიანად.

— მაინც რა მოხდა? — იკითხა ადუამ, — ქალაქამდე ჩამოაღწია ამბავმა, ხევსურეთშიო, ერთ კაცსო, ღვთისნიშნიანი ნადირი მოუკლავსო. წესისამებრ, თოფი მიწაში არ ჩაუმარხავსო და სასჯელმაც არ დაიგვიანაო!

შალვა უგემურად ღმურძლავდა პურს და სადღაც გაღმა იყურებოდა.

— ჰო,ნადირ წითა იყო! ცეცხლისფერაი! — ამოთქვა ბოლოს,— იმ მგელაის ტყავ

სახლში ეკიდა მამუკას. ვგონებ, შენცა გააქ ნანახი?

ხელში შერჩენილი პურის ნატეხი ყველის გვერდით დადო შალვამ.

— წინა დღით ერთად ვიყათ. შეშა ვამზადეთ ხატობისთვინ. მეორე დღეს რო აღარ გამასჩნდა, სახჩი ავაკითხე... ვეღარ ვიცან... თმა სუ გასთეთრებოდა! რაღაც დიდი ელდისგან მამხკვდარიყო, საწყალი!

დათვიჯვარს ღრუბელი მოსდებოდა...

— აღარც ის ტიალი ტყავი ჩანდა სადმე! მიმსვლელ-მამსვლელ ბევრებ იყვნენ. ვინრას მაჰხელავს მარტოკაცის სახლჩი, რას გაიგებავ?

ცაში ქორი ბოინობდა, ფრთაშეურხევლად.

თივის მოტკბო სურნელი იდგა.

— ნადირთა მწყემსმა არ აპატია, ალბათ? — სიტყვაძვირ ძმას მიეშველა საღერღელაშლილი ადუა.

— აარ! მაშინ, მე უნდა მავეკალ! — თვალებში შეხედა შალვამ ძმას — ის მგელაი მე მავხკალ!

ბალახზე მჯდომი,მუხლებს მკლავებით გადაეყრდნო.

— ფშავლებს ვეხმარეთ. საფარში ზედ მოგვადგა,წითაი. ერთად ვესრიეთ. მამუკამ დაიქადნა, მე მოვარტყიო. მარცხენაში ჰჭირდა ნატყვიარი. მამუკაი მარჯვნიდან ეჯდა.ძუს ლეკვიანობა რო დავატყე, სუ ამეყარა გული და აღარც მამუკას მივსდავებივარ.

შალვამ ასტრა გააბოლა. ტუჩს შერჩენილი თუთუნი ცერა და არათითით მოიშორა.

— მერე იმ ადგილს სამფეხა ბაბრი შეეჩვია და დიდი ზიანი უყო ხალხს. ფშავლები ბევრჯელ დაუსაფრდნენ, მარ ვერ მაიხელთეს. ემრ, მთავრობამ ხალხ გამოგზავნა. მთელი ხეობა შაჰკრეს. მეც იქ ვიყავ. სადაც იმ წითას ვესრიე, იქ ვნახე კოჭლას ნაკვლევი. ახალ შეღამებულზე გამასჩნდა. ბნელოდა, მაგრამ იმხელას რაისად დავაცდენდი. სამი ვესრიე. მაინც წავიდა! ბნელაში დაჭრილ ნადირ საშიშ ას. გათენდა და ძაღლებ მიუშვეს. მათურხევში, მუქოს ზევით,ერთ უდაბურ ალაგს ხქონავ ბუნაგი. შესასვლელ მავსთხარეთ და რაი ვნახეთ, იცი?

ადუას ლუკმა შერჩენოდა ხელში.

შალვამ ყანწი გაავსო. გადაჰკრა.

ერთხანს დამანჭული ჩასჩერებოდა მიწას. მერე ძმას შეხედა და უთხრა:

— წითელი მგლის ტყავზე მიწოლილი მამხკვდარიყო, ბეჩავი!

ბიოხბი სოსანიძე

ფიცის სამანი

ჩეჩნეთის ომი მეორედ რომ დაიწყო, ბორბალო პირველად იმ ზაფხულს გადავიარე. ერთი ტურისტული ფირმის დავალებით თუშეთ-ხევსურეთის ბორბალოზე გამავალი ტრასა უნდა დამემუშავებინა.

აგვისტო იწურებოდა. რიცხვი არ მახსოვს. დილაადრიან შევკაზმე ჩემი მეგობრის, ალექსი ბუჩაიძის თეთრონი და გზას გავუდექი. გადავიარე ჯავახე – გომეწრის ხეობის ბოლოს დიდი ქუჩკვრივიანი ველი, საჯინჭველე, დოდოთღელე,ლანგისხვაფი და ალაზნისთავის დასაწყისში გომეწრის ალაზანი გავტოპე. წყალი ისეთი წმინდა და ანკარა მოდიოდა, რომ,მიუხედავად საკმაო სიღრმისა, ფსკერზე კენჭებს დაითვლიდი.

აღმა ავუყევი მდინარის მარცხენა სანაპიროს. მიდამო გაველურებულია – აბალახებული გზა, აშამბებული გზის სანაპიროები. გზადაგზა მხვდება მეცხვარეთა ნაბინავრები – სახურავჩაშლილი ქოხები, ბაკების მინგრეულ-მონგრეული ღობეები. ნაქოხრების წინ,მიბრეცილ-მობრეცილ ჩხებზე, ზოგან შემორჩენილა ბატკნების ჩამომხმარ-ჩამოშავებული ტყავები. ბაკისწინა ნაწიდრები მაღალ ჭირტალს დაუფარავს. სრული უდაბურებაა. ხუთი-ექვსი წელია – მას შემდეგ, რაც ჩეჩნეთიდან გადმოსულმა ბანდებმა რამდენიმე ფარა გარეკეს – მეცხვარეებმა ამ საძოვრებზე ხელი აიღეს. შედეგი ესაა.

მაღალ შამბში ცხენი ალღოთიღა მიიკვლევს გზას. ნაბინავრების მისადგომებს რომ გავცდები, გზა მერეღა ჩნდება.

მიჯნისხევთან სამი ჯეილი შემომხვდა, მდინარეს მოჰყვებიან თევზაობით – ღრმა მორევებში სასროლ ბადეს შლიან. ერთი ცხენი ჰყავთ. ცხენს ჩათოებით საპალნეებად შეკრული ტომრები ჰკიდია. ვიცანი. ჯვარბოსლელები არიან. სანადიროდ ვიყავით და ბარემ თევზსაც გავაყოლებთ ხელსო. ამათ ცხენს რომ გავუარე, ჩემი ცხენი დაფრთხა, ფხვრიალი დაიწყო. რა ხდება-მეთქი,ვიკითხე. გაიცინეს. დათვის ღეში ჰკიდია და ნადირის სუნი აფრთხობსო.

მზე დასავლეთისკენ იყო გადახრილი, დარბაზვაკეში რომ გავედი. ეს ალაზანისათვის ყველაზე დიდი ველია ბორბალოს მისადგომებთან. უწინ აქ ზემო ალვანის მეცხვარეობის ფერმის ცენტრალური ბინა იყო ფინური სახლით. მეც რამდენჯერმე ვარ აქ ვერტმფრენით ჩამოფრენილი. გეზი სახლისკენ ავიღე – ვიფიქრე, ცხენსაც დავასვენებ და მეც ჩრდილში ცოტას დავისვენებო.

იქ არავის ველოდი და გამიკვირდა,სახლის სიახლოვეს რამდენიმე ძროხა რომ დავინახე. ორი ფური იყო და ერთი მოზვერი. ცოტა ქვემოთ ჩოჩორიანი ვირი ძოვდა. ძაღლიც ახმაურდა, არ კი გამოჩენილა: ცხელოდა და, ეტყობა, სადღაც ჩრდილს იყო შეფარებული. დერეფანში ორნი გამოდგნენ. დამინახეს. ბინას რომ მივუახლოვდი, ჩემკენ წამოვიდნენ. მე ჩამოვქვეითდი. კარგა შორს გამომეგებნენ. წვერიანები იყვნენ, ბერის ანაფორებით შემოსილები. ერთს შეჭაღარავებული თმა-წვერი ესხა, მეორე უფრო ახალგაზრდად გამოიყურებოდა. ერთურთს სალამი ვუთხარით. უფროსმა ცხენი ჩამომართვა, დასადავებული წამოიყვანა. მეორე გვერდზე გამოგვყვა.

სახლის წინ ეზო წნული მავთულღობით იყო შემოვლებული, ჭიშკრადაც ხის ჩარჩოზე დაკრული წნული მავთულივე ჰქონდა შებმული. ღობესთან ჭაღარამ ცხენი უმცროსს გადასცა,თვითონ ხურჯინი და ნაბადი მოხსნა. ნაბადს წავწვდი. არ დამანება,ორივე თვითონ წამოიღო. უმცროსმა ცხენი წაიყვანა,ბალახზე დააბა. დერეფანში მესამეც გამოჩნდა – გვერდითა ფარდულიდან გამოვიდა, სადაც ბოლი ამოდიოდა. ალბათ, იქ „დიასახლისობდა“. ეს უფრო მაღალი იყო, ახოვანი, რა თქმა უნდა, ისიც ანაფორით მოსილი, შავ თმაწვერიანი.

განდგომილი ბერები აღმოჩნდნენ, თუმცა თვითონ განდგომილობის შესახებ არაფერი უთქვამთ. გაზაფხულზე ამოსულან თუშეთში, სოფლებსაც გამორიდებიან და ბინა აქ დაუდვიათ. ხუთნი ვართო. ორნი მეცხვარეებს გადაჰყოლიან ვესტომთაში ბატკნის პარსვაში მისაშველებლად. იმ ზაფხულს ვესტომთელების – კარხილაურისა და ქარსამაულის – ბატკნის ფარა მდგარა აქ.

ზამთრის აქ გატარებას აპირებდნენ თავისი ორიოდე ძროხითა და ვირით, თუმცა არც ბოსელი ჩანდა სადმე,არც საზამთრო შეშა და არც თივის ნათიბი,ზაფხული კი იწურებოდა. მითხრეს, ყველაფერს მოვასწრებთო – ბოსელსაც ავაშენებთ, შეშასაც მოვიტანთ, თივასაც მოვიმარაგებთო. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ-მეთქი, ვიფიქრე, თუმცა ეჭვი კი მეპარებოდა,რომ დაზამთრებამდის ყველაფერ ამას მოასწრებდნენ – აქ ხომ ოქტომბრის ბოლოდან უკვე ზამთარი დგება. ეს,რა თქმა უნდა, მათთვის არ მითქვამს, რა ჩემი საქმე იყო. სურსათ-სანოვაგით კი კარგად ჩანდნენ მომარაგებულები – ღია ფანჯრიდან ჩანდა – ოთახში ბლომად ელაგა ფქვილიანი ტომრები. ფარდული კი გავსებული იყო კონსერვების, ხილის წვენებისა და ჯემების ყუთებით. ყველაფერი ამით თურმე რუსთავის ცემენტის ქარხანას მოემარაგებინა – რამდენჯერმე გადმოუტანიათ შვეულმფრენით და მოკლე ხანში კიდევაც ელოდებოდნენ. უფროსი ის ჩანდა, ახოვანი, მამა ბასილი. მხოლოდ ის საუბრობდა,ის ორნი საუბარში არ ერეოდნენ. მათი სახელები არ მახსოვს, მგონი არც მიკითხავს.

მამა ბასილი საკმაოდ განათლებული პიროვნება აღმოჩნდა, საქართველოს ისტორიაში ღრმად ჩახედული. ფრთხილი კი ჩანდა – პოლიტიკაზე საუბარს გაურბოდა,არც საქართველოს ეკლესიასა და საპატრიარქოზე უთქვამს რაიმე.

ბერები კარგად გამიმასპინძლდნენ. სადილად ბატკნის ხორცის წვნიანი ჰქონდათ, მჟაუნათი და მთის კვლიავათი შენელებული. დესერტად ჟოლოს წვენი შემომთავაზეს. ჰქონდათ არაყიც. მასზე კი უარი ვუთხარი. არაყს საერთოდაც, მით უფრო მგზავრობაში, ვერიდები – მუხლის მოჭრა იცის მთაში სიარულისას, მით უფრო, თუ მოგზაურობა ფეხით უხდება, არც სხვას ვურჩევ არყის დალევას.

კინაღამ ერთი საათი დავრჩი ბერებთან. ცხენმაც დაისვენა და მეც. ბერებს ბორბალოს უღელტეხილისაკენ ასავლელი გზა ვასწავლებინე. მამა ბასილმა მასწავლა. კარგად დასვენებულ-დანაყრებული ავმხედრდი ჩემს ცხენზე, ალაზანი კვლავ გავტოპე და შევუდექი საყორნისძირის ყბედ აღმართს. ცხენი მუხლადი მყავდა და ფეხჩქარა მივუყვებოდი კიბორჭებიან და სახვევრიან ბილიკს – ანდაქის ხეობას არ ვიცნობდი და მეშინოდა, სადმე ისეთ ადგილას არ დამღამებოდა, სადაც ცხენს ბალახზე ვერსად დავაბამდი.

გზამ საყორნის კუჭის ძირში მარჯვნივ გაუხვია და ქედზე გამიყვანა. მთის ზურგს მივუყვებოდი დასავლეთისკენ. ალაზნისთავი მარჯვნივ დარჩა,მარცხნივ კახეთის მთიანეთი გადაშლილიყო – მაღლა შიშველი, მწვანიანი, დაბლა ტყეებით ჩაშავებული. ბარი სიშორის ბუნდრში იძირებოდა. ჩემ წინ ბორბალოს მთას ნისლი ეხვია, მწვერვალი არ ჩანდა.

ზედ ქედზე ცხვრის საკმაოდ მოზრდილი ფარა დავინახე გადაშლილი. იქვე, პატარა კუჭობზე, მეცხვარე იჯდა, ძაღლი ეწვა გვერდით. ძაღლი ჩემკენ წამოვიდა. მეცხვარემ დაუძახა,დაბრუნდა და პატრონის გვერდითვე ჩამოყუნცდა, იქიდან გამომყეფდა.

მეცხვარე პანკისელი აღმოჩნდა. ცხვარიც პანკისელებისა იყო, ბირკიანელი ფარეულიძეებისა, ბერწი. საწველი ბინა ალაზნისთავში გვაქვსო, ბორბალოს ძირში.

ცხენიდან არ ჩამოვსულვარ, ისე დაველაპარაკე. ხევსურეთისკენ სწორად თუ მივდივარო, ვკითხე, ან უალაგო ალაგას ხომ არ დამიღამდება-მეთქი. მითხრა, სწორად მიდიხარ და არც უალაგო ალაგას დაგიღამდება, დაბლა დღისითვე ჩახვალო,სოფლებამდის ვერ გაუწევ, მაგრამ ჭალაში ფეხისადგილი ყველგან კარგია, სადაც მოგინდება,იქ დაიდებ ბინასო, ოღონდო – გამაფრთხილა – ბორბალოს რომ გადაივლი და ღელეში ჩახვალ, ორი ქვაკაცა შეგხვდება, მარჯვნივაც გზა ჩაუდის და მარცხნივაც. მარჯვენას ჩაჰყევი, თორემ მარცხნივ რომ წახვიდე, გზა უკანაფშავში ჩაგიყვანსო.

მეცხვარეს დავემშვიდობე და წავედი.

მივდიოდი, თან გარემოს ვათვალიერებდი. გაგონილი მქონდა, რომ აქ, სადღაც, მთის ბროლის ქვების დიდი გროვა უნდა ყოფილიყო – ხევსურთა ე. წ. „არგამაბრუნვის სამანი“, ივივე „ხახონის სამანი“.

გადმოცემა გვიამბობს, რომ ოდესღაც თუშეთიდან მომდინარ ხევსურთა ჯვარიონს აქ ქისტების მზირი დახვედრია, ხატის დროშის წართმევა მოუნდომებიათ. თორმეტნი ყოფილან ხევსურები, გაცილებით მეტნი – ქისტები. ამბობენ, სამოცი კაციო. პირველად თურმე შედრკნენ ხევსურები და აი მაშინ, ხახიკის ხახონმა, რომელიც ამ ჯვარიონში ერია, დაავლო ერთ ბროლის ქვას ხელი და სიტყვებით, „ვინც ამას გადმოსცდეს, რისხავდეს კარატის ჯვარიო“, ხევსურთა უკან დააგდო. ხევსურები ახლა კი გულსრულად შეებნენ მოძალადეს და გაიმარჯვეს – არ გაატანეს მტერს თავიანთი სიწმინდე – კარატის ჯვრის დროშა. ხევსურთა ამ გმირობის შესახებ სიმღერები შექმნილა, რომლებსაც ხევსურები და თუშები ხატობაზე, ჯვარულ ფერხისებში მღერიან.

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი:

ჭანთეს, ტერელოს, ფხაჭეხას
კაც რამ დალივა ჭკვიანი.
რად უხვდებოდეს კოპალას,
მსახურნ ეტანნეს ხმლიანნი.
ხახიკის ხახონმ ჩაგიდგათ
არგამაბრუნვის სამანი.
ვინც ამას გადმასცილდებით,
დღენიმც ნუ გისხენთ სამანი.

თ უ შ უ რ ი:

ბორბლისთავ ციხეს აგებენ
ბროლ-მარილაის ქვისასა,
შიგდაშიგ გალოს ატანენ
გძელ-გძელსა, მითხოვლისასა,
არას გაგატანთ, ქისტებო,
დროშას კარატის ჯვრისასა.
მთა-მთა მოვიდოდ კოპალე,
ნაპრალს მოამტვრევს მთისასა,
ჭალაზე მოდის ფიწალე,
ალთოს მოაჩქლეფს წყლისასა,
გიორგის გაღმარჯვებია,
გიორგის გომეწრისასა.

ხახიკის ხახონი ამ შეტაკებაში დაიღუპა.

ამის შემდეგ დამკვიდრებულა წესად: ყველა ხევსური, ვინც ამ გზაზე გაივლის, აიღებს მთის ბროლის ქვას, ლოცვასავით წარმოთქვამს: „ღმერთმა გაცხონოს ხახონო, ნუ გამალიევეს შენ გვარში ხმლიანიო“ და იმ ადგილზე, სადაც ხახიკის ხახონმა ომში უკუუქცევლობის სამანად პირველი ბროლის ქვა დააგდო, დააგდებს. ამბობენ, ქვების იმხელა გროვა დამდგარა, კაცს დაქცეული ბროლის ციხე ეგონებაო.

აი, ქვების ამ გროვას ვეძებდი, როცა საყორნის ქედს მივუყვებოდი ბორბალოსაკენ.

და დავინახე.

ქედის ბოლოს, სადაც ქუჩკვრივიანი ვაკე თავდებოდა და ქვიშრობიანი აღმართი იწყება, გზის მარჯვნივ მოვაკებაზე მთის ბროლის ქვებით კარგა მოზრდილი წრე იყო შემოხაზული. ჩამოვქვეითდი. აღვირის ტოტები ცხენს უზანგაზე გამოვაშატე და გავუშვი, თვითონ ეს თეთრი ქვების წრე დავათვალიერე. წრის გვერდით ძველი ქვანაყარი ეჩნეოდა. ბროლის ქვის წვრილ-წვრილი ნამსხვრევები და კენჭები კვლავ ბლომად ეყარა. ირგვლივ ამგვარი ქვები არსად ჩანდა – მწვანე დაბალბალახიან ტაფობს წვრილქვიშიანი ფერდობი ებმოდა, აქა-იქა გაფანტული ბორტვის ქუდურებით. როგორც ჩანს, ეს წრეზე შემოწყობილი ქვები იმ ქვანაყრიდან იყო აღებული და სწორედ ეს იყო ხახონის სამანიც. წრეზე კი ისინი, ალბათ, რომელიღაც მეცხვარემ დაალაგა მოცლილობის ჟამს, დროის მოსაკლავად. უყვართ მეცხვარეებს ქვების ასეთი გადალაგება-გადმოლაგება. ცხენი მომიახლოვდა და ჩემს ფეხებთან დაიწყო ძოვნა. გრძელი აღმართის მერე ცოტა დასვენება არ აწყენსო, ვიფიქრე, პირიდან ლაგამი გამოვუღე, ხურჯინი და ნაბადი მოვხსენი და საძოვარზე მივუშვი. თვითონ დახვეულ ნაბადზე ჩამოვჯექი, დურბინდი ბუდიდან ამოვიღე, შორეულ მთებს და ხეობებს დავუწყე თვალიერება.

აქედან გომეწრის ხეობა არ ჩანდა. მხოლოდ ნაყაიჩოს ქედი და მის უკან ამოწვერილი პირიქითის თოვლიანი მთები ინაკვთებოდა ჰორიზონტზე. ვერც კახეთის სოფლებს სწვდებოდა თვალი დურბინდიდანაც კი.

საყორნის კუჭთან სამი ფეხოსანი გამოჩნდა. ახლო მანძილია. დურბინდში ცხადად დავინახე: სამხედრო ფორმით არიან, სრული აღჭურვილობით: მკერდზე ავტომატები მოუჩანთ, ზურგჩანთები ჰკიდიათ, ფეხჩქარა მოდიან. მეცხვარეს დაელაპარაკნენ და წამოვიდნენ. ძაღლმა ცოტაზე გამოაცილა ყეფით და მიბრუნდა.

დავუცადე. მოვიდნენ. მაღლები არიან, ათლეტურები. ორი წვერგაპარსულია, დაბალი ულვაშებით, მესამე – წვეროსანი. სამივეს აშკარა ვეინახური იერი გადაჰკრავს. მომესალმნენ, ხელი ჩამომართვეს. ორმა ქართულად მითხრა სალამი, მესამემ, წვეროსანმა, ზდრავსტვუიტეო – რუსულად.

– დასხედით-მეთქი, დაისვენეთ.

ზურგჩანთები მოიხსნეს, დასხდნენ, თავიანთ ზურგჩანთებსვე მიეყრდნენ ბეჭვებით, ავტომატებიც მოიხსნეს და გვერდით დაილაგეს. სამივეს სამხედრო ჟილეტები აცვიათ, ალბათ, ჯავშანჟილეტები, მე კარგად ვერ ვერკვევი. ჯიბეებში ავტომატის ოთხ-ოთხი მჭიდი აქვთ ჩალაგებული. სამივეს წელზე რევოლვერები ჰკიდია. მოკლეთ, მეომრები არიან, სრულ საბრძოლო მზადყოფნაში.

სადაურობა ვკითხე.

ის ორნი დუისელები აღმოჩნდნენ, ძმები, ხანგოშვილები. ესეც ჩვენი მამიდაშვილია, გროზნოელი, თემირბაევია გვარადო.

– ალბათ, იქ მიდიხართ-მეთქი, ვკითხე.

– კი, იქ მივდივართო.

ამ „იქ-ს“ არც ჩემთვის და არც იმათთვის დაზუსტება არ სჭირდებოდა.

კარგა ხანი ვიმუსაიფეთ. საუბარი, ცხადია, ძირითადად ომს შეეხებოდა.

ჩემი საითმიმავლობა და მგზავრობის მიზანი იმათაც იკითხეს, ვუთხარი. ძმებს შორის ერთი უფროსად გამოიყურებოდა, საუბრითაც ძირითადად ის საუბრობდა. ის ორნი აქა-იქა ჩაურთავდნენ თითო-ოროლა სიტყვას. ქართული, ეტყობოდა, გროზნოელსაც კარგად ესმოდა, მაგრამ საუბრით რუსულად საუბრობდა.

– ეს ნეტა რა ქვები ყრიაო? – უფროსმა ხანგოშვილმა იკითხა.

– ეს, მეთქი – სამანია – ომში უკანდაუხევლობის სამანიო და გადმოცემა ვუამბე. მზირის სადაურობაზე არაფერი მითქვამს. იმათთვის ისედაც ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ არც თუშები და არც ფშავლები ხევსურთა ჯვარიონს აქ გზას არ შეუკრავდნენ, მით უფრო, დროშას არ მიეტანებოდნენ წასართმევადო.

– სამანი, სამანი – ჩაილაპარაკა ხანგოშვილმა, თითქოს ფიქრს ამოაყოლაო.

მერე ერთხანს ქისტურად ისაუბრეს. მე წასასვლელად წამოვდექი. უმცროსმა ძმამ ჩემი ცხენი მოიყვანა, ლაგამი პირში ჩაუყარა, გარსაკრები მოუსინჯა. უფროსმა ხურჯინი გადაჰკიდა. ნაბადიც იმათ ჩააკრეს. შეჯექეო, უმცროსმა უზანგა დამიჭირა. შევჯექი.

– ბიძავ, შენ იარე, ჩვენ აქ ცოტას შევხანდებით, ჭალაში ჩასვლამდის, ალბათ, დაგეწევითო, – უფროსმა ხანგოშვილმა.

– კარგი, საღამოს შევხვდებით-მეთქი და წამოვედი, შემოვუყევი ქვიშიან აღმართს ბორბალოს წვერისკენ. მაღლა რომ ამოვედი, სანამ ნისლებში შევეფარებოდი, მივიხედე. ქისტები იმ ბროლის ქვებით შემოხაზული წრის შუაში, პირით აღმოსავლეთისკენ, მუხლებზე დამდგარნი ლოცულობდნენ.

ის ღამე მე და ომში მიმავალმა სამმა ახალგაზრდა ქისტმა ანდაქის ხეობაში, სიპკუდის ორწყალში, ერთი მეცხვარის ნაბინავარში ერთად გავათიეთ.

დილას, რიჟრაჟზე, ხმადაბალმა საუბარმა გამომაღვიძა. მივხვდი, ბიჭები წასასვლელად ემზადებოდნენ.

– ბიძავ, გზას არ დაგვილოცავო, – ერთმა დამიძახა. ის იყო, უფროსი ხანგოშვილი.

ნაბდიანად წამოვდექი. ძირს გაშლილ გაზეთზე თონის პურის ნატეხები და გუდის ყველის ნაჭრები ელაგა. იდგა ნახევარლიტრიანი ბოთლით არაყი და პოლიეთილენის პატარა, საარყე ჭიქები. ჭიქებში არაყი უკვე დაესხათ.

– ბიძავ, უფროსი კაცი ხარ, სიტყვა გვითხარიო, – ჭიქა მომაწოდა ხანგოშვილმა, თვითონაც დაიკავეს სასმისები და შემომაჩერდნენ.

სამი სადღეგრძელო ვუთხარი: მშვიდობით მგზავრობისა, ომში გამარჯვებისა და შინ მშვიდობით დაბრუნებისა.

მსუბუქად წაიხემსეს და დასწვდნენ წინასწარვე გამზადებულ ზურგჩანთებს.

– სასმელი გაიყოლეთ, გზაში გამოგადგებათ-მეთქი, – ვუთხარი.

– არაო, – მიპასუხეს – ჩვენ ამის შემდეგ, შინ დაბრუნებამდის, სასმელს აღარ დავლევთო.

წავიდნენ.

მიდიოდნენ მაღლები, ლამაზმხარბეჭიანები, შეუპოვრები.

გავყურებდი, სანამ პირველი გორაკის უკან არ გაუჩინარდნენ.

იმათ ნავალ გზას ჯვარი გადავსახე, მეც პირჯვარი გამოვისახე და გასამგზავრებლად მზადებას შევუდექი.

იბობოქრა ჩეჩნეთში ომის ხანძარმა, ასრულა თავისი ულმობელი კანონები, ნამუსიანი და უნამუსო წესები.

ხშირად მომგონებია, ჩემგან გზა-დალოცვილი, ომში მიმავალი სამი ქისტი ჯეილი. მათი სადღეგრძელოც მითქვამს შინაურულ სუფრებზე, განსაკუთრებით ველზე, მეცხვარეებთან პურობისას. ცოდნით კი კარგა ხანს აღარაფერი ვიცოდი იმათი.

შარშან ნაცნობი დუისელისგან გავიგე: უმცროსი ძმა დაღუპულიყო ომში, უფროსს ჩამოესვენებინა. მამიდაშვილისა არც იმან იცოდა არაფერი.

გასულ ზაფხულს ისევ გადავიარე ბორ-ალო. ახლა ფოტომასალა მჭირდებოდა გან-ზრახული ტურისტული გზამკვლევისათვის.

სანამ მაღლა ავიდოდი, დაბლავე, კვარცის კლდის ნაშალთან ცხენიდან ჩამოვედი და მთის ბროლის ქვის ერთი მოზრდილი ნატეხი ხურჯინში ჩავიდე. მინდოდა, ერთი ქვა მეც მიმემატებინა ხახონის სამანისათვის.

ქვების წრე ისეთივე იყო, როგორიც მაშინ, ხუთი წლის წინ, ოღონდ წრის შუაში ბროლის სამი ქვა იდო, ერთმანეთს მიტყუპებული.

მივხვდი, ეს იმ ჩემი ნაცნობი ბიჭებისაგან ჩაგდებული სამანი იყო, ფიცის სამანი.

გულში ხახიკის ხახონის სულს პატიება შევთხოვე, შემდეგ კი ჩურჩულით წარმოვთქვი, არ ვიცი, ამას რა ჰქვია–ლოცვა, ვედრება, წმინდა სურვილი თუ ფიცი: ღმერთო, ნუ გამოლევ ამ მთებში თავისუფლებისათვის საბრძოლველად გულანთებულ გამვლელ-გამომვლელს-მეთქი და იმ სამ ქვას გვერდით მეოთხე ჩემიც მივუდე.

ეროთი ლექსი

თამარ ლომიძე

ჰარალე*

ჩემო ჰარალე,
გადაშალე,
გახსენი გული,
მინდა ფესვებთან ჩავიმუხლო,
ვილოცო მინდა...
რომ ჩემი მიწის გულისცემას
დავუგდო ყური,
გამილღვეს სისხლი,
ჩაგეწვეთო,
ჩაგეზიარო...

ამოვშრე ლამის,
დამიბზარა შიშმა სიცოცხლე,
ფსკერზე იმღვრევა წარღვნასავით
ღამის მორევი,
ჟამიდან ჟამზე მათამაშებს
დროცა და სივრცეც –
ვით გზაარეულ,
ვით გარიყულ ბატკანს უსუსურს.
გამიუცხოვდა
საკუთარი აჩრდილიც, რადგან
სულზე მივუსწარ,
სიყვარულის ვუთვლი ნაბიჯებს,
ჩემს ნაკვალევებს,
როგორც ბებერ ბაბუაწვერებს
სულს უბერავენ
და ფანტავენ ფერფლად და ნაცრად...
ჯერ კიდევ დამრჩა გასავლელი
ცოტა და მცირე,
ჯერ კიდევ შორს მყავს წინაპარი,
ჩემო ჰარალე!
ვაზის ცრემლებში დამიტოვა
სამშობლოს გული,
ეძებენ შლეგნი და ვერაფრით
ვერ მიუგნიათ...
და სცივათ ქარებს,
სცივათ შური,
მტრობა
და ზიზღი...
მე ვუძლებ ჯერაც
და უხრწნელი დუმილით ვითმენ,
ამომშრალ ბაგეს
სიჩუმისგან ვასკდები ლოცვად,
ვზივარ ნისლებზე და
თვალდათხრილ ანგელოზს ვძერწავ...

ჩემო ჰარალე,
ახლა აქ რომ ფერი დასრულდა,
სიმღერა გაწყდა,
ხიდიანად აფრინდა მტრედი,
ჩემს ცეცხლზე წყალი იფერფლება,
ჩემს წყალზე ცეცხლი,
ჩემი სხეულის ლაქების რომ
მიმძიმს ტარება,
დამძიმებული და შემხმარი
ფესვის ტარება,
ათას ეკალ-ბარდს
გადახვეულ-გადახლართულის,
იქნება მითხრა
გაქვავებულ სისხლის სურნელსაც
ვუწამლო რითი,
რით ვუშველო ჩხრიალს მონეტის...
რითი ვუშველო
ღალატივით სახეჩამომჭკნარ
აპრილისა და შინაბერა მაისის მზერას...
როგორ ვიპოვო სინდისის ხმა
სხვათა კედლებში,
როცა საკუთარს
უცხოსავით ვათვალიერებ...

ხანდახან
სულზე ათრთოლდება
ცრემლი ალალი,
ხანდახან
აღმართს საკუთარი ხელებით ვკემსავ...
ლაღი ვარ მაშინ,
როცა ნისლის ფთილა ვარ მხოლოდ –
ჩემი სამშობლოს
წარსულიდან გამოჟონილი...

ჩემო ჰარალე!
დამაპურე, შენ შემოგევლე,
თორემ მზის გულზე
ნაღვერდალსაც ვეღარ იპოვი,
ვით საფრთხობელა,
დაკიდებულ მარჯვენას ვახმობ
და ვიწყევლები...
შვილს ვამადლი ჩემს დაბადებას...

მალე, ჰარალე,
წარსულში მაქვს მე მომავალი,
გადამიხსენი მკლავები და
ჩამტიე მკერდში...
მალე, ჰარალე,
სანამ ისევ დაღამებულა,
სანამ ბილიკი ამირია
ყველა ურჯულომ.
სანამ ხმას გაწვდენ,
სანამ წრფელი სურვილი მითრთის,
სანამ მიაგნეს ვაზის ცრემლებს,
სანამ მიპოვეს...
არ მინდა ყალბად,
მარცვალ-მარცვალ წამოსცდეს მავანს:
ყაყაჩოსავით ჩაიწვაო ეს უბედური...

მალე, ჰარალე!...

---

* მიწის ღმერთი ქრისტიანობამდელ საქართველოში

ანდერძის კვალდაკვალ

წელს, უკვე მეორედ

წელს, 3 ნოემბერს, ლიტერატურული გაერთიანების „ანეულის“ წევრები კვლავ ვეწვიეთ მცხეთას გრიგოლ რობაქიძის ანდერძის აღსასრულებლად. სვეტიცხოველში ხალხმრავლობა დაგვხვდა. უწმინდესი და უნეტარესი ნათლავდა ბატონიშვილ გიორგის. ამიტომაც, ირგვლივ ყველაფერი საზეიმოდ მოეწყოთ. ტაძრის ეზოში ეროვნულ სამოსში გამოწყობილი ახალგაზრდები ირეოდნენ. თეთრ-შავ ჩოხებში გამოწყობილი შუახნის მამაკაცებიც მრავლად იყვნენ. იმ დღეს რამდენიმე გვარიც ილოცებოდა და მათი წარმომადგენელნი საგვარეულო ხატებით, ლიტანიობით საპატიო წრეს უვლიდნენ სვეტიცხოველს. ეს ყველაფერი ლამაზი სანახავი იყო. ჩვენ ჩამოვილოცეთ ტაძრის ხატები. დავანთეთ სანთლები და შემდგომ გავემართეთ სამთავროს დედათა მონასტრისაკენ. სამთავროში, მიცვალებულთა კუთხეში გავაწყვეთ მცირე შესაწირი: პური, ზეთი, მარილი, ნამცხვრები...

მღვდელმა, მამა გაბრიელ (კობახიძემ) გადაიხადა მართლმადიდებლურად აღსრულებულ ქართველ მეფეთა, დედოფალთა, საზოგადო მოღვაწეთა და კალმის ოსტატთა პანაშვიდი. ამის შემდეგ მამა გაბრიელი დიდხანს გულთბილად გვესაუბრა ქართული ქრისტიანული მწერლობის სულიერ როლსა და დანიშნულებაზე ჩვენი ქვეყნის ისტორიაში და, ამასთან, მწუხარებით აღნიშნა კიდეც, რომ თანამედროვე მწერლობის მოყვარულები კარგად იცნობენ ჯოისის, კაფკას, რილკეს, დოსტოევსკის შემოქმედებას, და ეს მაშინ, როდესაც ბევრ მათგანს „ქილილა და დამანა“ არ წაუკითხავს, ხოლო სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკების ცოდნა მხოლოდ სასკოლო პროგრამით შემოიფარგლებაო...

პანაშვიდის დასრულების შემდეგ მოვილოცეთ წმინდა მამა გაბრიელის განსასვენებელი. მოვინახულეთ ლევან გოთუას, გოდერძი ჩოხელის, მიხეილ ქურდიანის საფლავები.

გამომგზავრების წინ დედებმა მონასტრის ტრაპეზზეც მიგვიპატიჟეს და უკან წამოსასვლელი გზა დაგვილოცეს.

ნინო ტარყაშვილი

ბია ახბანაშვილი

ობოლა და ნავსა

გზის პირას მობალახე ცხენების რემა მანქანების ხმაურმა დააფრთხო. ცხენებმა თოკები დაწყვიტეს, მდინარე გატოპეს და მთებში გაიქცნენ.

გათენებისას იალაღზე აცვივდნენ და როცა ამომავალმა მზემ ბალახიდან მსუბუქ ნისლად წამოკრიფა ნამი, ცხენებმა გემებივით გაცურეს ქუჩითა და კვლიავით გავსებულ სერზე.

საძოვარზე გაიშალნენ.

რემაში ყველა ცხენი თუშური ჯიშისა იყო.ზოგი ქურანა ფერის, ზოგიც – ლურჯი, თეთრონი ან ნისლა. სახელებიც ფერის და ზნის მიხედვით სხვადასხვა ერქვა.

კოხტა, ლურჯა, ნისლა, ნიკორა, შვინდა, შავრა, ზერდაგი.

ცხენებს აქ არაფერი აფრთხობდა, თანდათან ფეხდაუკარებელ ადგილებში – ხამებშიც გავიდნენ, შუადღეზე წყალი დალიეს და ისევ სერზე დაბრუნდნენ.

აქ მოუსწრო ღამემ.

ულაყებმა წრე შეკრეს და ჭაკები შუაში მოიქციეს.

კვიცებმა სიბნელეს ზურგი შეაქციეს და ჭაკების ფეხებთან გაიხლართნენ.

ცხენებს ფეხზე ეძინათ, უმეტესად ძილ-ფხიზლობდნენ, ფთხვინავდნენ, აკრთობდათ დაგორებული ქვის ხმა, როჭოს კაკანი ან ნადირის ყმუილი.

რემას, ულაყების შიშით, დათვი ვერ გაუბედავდა თავდასხმას, ვერც – მგელი; მარტოცხენი კი ორივეს გაურბოდა. დათვს სირბილით დაღლიდა, მგელს-ვერა. მგელს მთელი დღე შეეძლო დევნა. მოღლიდა, მოქანცავდა ცხენს, მერე ვიწრო გზიდან შეაფთხობდა და ხევში გადაჩეხავდა.

* * *

ერთ საღამოს ცხენები წყლიდან ბრუნდებოდნენ.

სამი წლის ფაშატი გამოთამაშდა ბილიკზე, გამოიყოლა ულაყები და ურა კვიცები. აჰყვნენ სხვა ცხენებიც და გადავარდა რემა სერიდან სერზე.

ფეხთეთრა ჭაკი ჩამორჩა რემას. დეკიანის მწვანე ფერდს დახარბდა. ჭაკს გვერდით პატარა კვიცი ედგა. თეთრი კვიცი. წინა ფეხები წვეტებივით დაებჯინა, ნესტოებიდან ორთქლს ისროდა, გრძელი კისერი და განიერი მკერდი ულაყისა ჰქონდა.

ცხენმა რემას გასჭიხვინა. პასუხის მოლოდინში გაინაბა, აცქვიტა ყურები, გაილურსა და უცებ შეფთხა.

უკან მიაწყდა, რადგან დეკიანიდან გასასვლელ ერთადერთ ბილიკზე ყურებჩამოყრილი მგელი დალანდა.

ცხენი ნახტომით გადაევლო ბილიკს. ააჭრა დეკიანი და ბილიკზე გავარდა. კვიცმა ერთი თავით გაასწრო დედას.

მგელი კვალში ჩაუდგა ცხენ-კვიცს და ზომიერი ძუნძულით აედევნა. ცხენები რემის საპირისპირო მხარეს გარბოდნენ.

მგელმა ზევიდან დაუარა ცხენ-კვიცს და ციცაბო ფერდისკენ დაუგდო გზა. კვიცს ჩლიქები უსხლტებოდა მწვერვალა ბალახზე, ჭაკი მალიმალ ჩერდებოდა და კვიცს წინ უშვებდა. მგელი ნელ-ნელა დაუახლოვდა, გზა მოუჭრა,დაწვა და ცხენისკენ გაცურდა.

ჭაკი აბორგდა,მთელი ტანით აკანკალდა., ჩუმი ხვიხვინი უკანვე ჩაიბრუნა, უეცრად ნადირს ზურგი უჩვენა და ტყუპი წიხლი მიაყარა გაალმასებულ კბილებს.

მგელი ზურგზე გადაგორდა, მერე თითქოს კუდს დაებჯინა და მოულოდნელად ისკუპა.

კვიცი ხედავდა, როგორ გარბოდა დედა, როგორ მიათრევდა კისერზე ჩამოკიდებულ მგელს,როგორ აიყალყა უფსკრულის პირას, როგორ ააბრჭყვიალდა მზის სხივებმა მისი ფაფარი.

დამფრთხალი რემა სერისკენ გარბოდა. მხოლოდ შავი ულაყი იდგა და ჩაჰყურებდა ხრამის სიღრმეს. კვიცმა დაიფრუტუნა და ულაყისკენ ნაბიჯი გადადგა.

რამდენიმე დღის შემდეგ, მწყემსებმა ცხენებს მარილი ამოუტანეს.

თეთრ კვიცს სახელად ობოლა დაარქვეს.

* * *

დადგა შემოდგომა. მთაში აცივდა. ცხვრის ფარები ბარისკენ დაიძრნენ.

ნადირმაც დაბლა ტყისკენ დაიწია. ცხენები ყოველ დილით ხედავდნენ შეჭირხლულ კლდეებში გახევებულ ჯიხვებს.

სოფლიდან მწყემსები ამოვიდნენ და რემა წინ გაირეკეს. წინ შავი ულაყი მიდიოდა. ობოლა ნავარდით მიყვებოდა.

– კარგი იორღაა, – შეაქეს მწყემსებმა.

ობოლა არეულად ადგამდა ფეხებს, ცხენებში ეს კარგ ტონად ითვლებოდა, იორღას შეეძლო ოთხითაც ერბინა და თოხარიკითაც, მაგრამ დოღში ყველას იორღა სჯობდა, – ცხენმა ისეთი იორღა უნდა იცოდეს,რომ მხედარი არ დაარწიოს – დარწმუნებით ამბობდნენ მოხუცი მწყემსები.

ობოლა რომ გარბოდა, მხოლოდ ფაფარი ირწეოდა.

* * *

გავიდა ოთხი წელი. ობოლა რემას სათავეში ედგა. ხშირი ფაფარი მუხლებამდე სწვდებოდა, გაშლილ ძუას მათრახივით იქნევდა, ფეხებით მიწას სთხრიდა და მდინარეს პირაღმა აპობდა.

ულაყები ერიდებოდნენ, ფაშატები მორჩილად ედგნენ გვერდში. კვიცები მის ნაფეხურებში ჩამდგარი წვიმის წყლით წყურვილს იკლავდნენ.

ობოლა გასახედნი იყო.

* * *

ერთ დღეს სოფელში, დიდმა და პატარამ, სამჭედლოსთან მოიყარა თავი. ცხენების გახედვნა სანახაობად იქცა. სამოოთხი მეჯოგე რემას ცხენდაცხენ შეერია, სამი წლის ფაშატი გაინაპირეს, მდინარის ჯებირთან მიაგდეს და თოკებში გახლართეს. კვიცი დაეცა, მაგრამ იმავე წამს წამოხტა. დაფეთებული გავარდა ჭალაში. მდევრებიც მიჰყვნენ. მიუშვეს თოკები. მიუფონეს. კარგა ხანს აცალეს ჭენება.

მერე ნელ-ნელა აუკრიფეს სადავე. შეძახილებით დაანელეს კვიცის თავაწყვეტილობა. დაუმოკლეს თოკები და გვერდზე გაჰყვნენ მსუბუქად ჭენებით.

კვიცი ფთხვინავს, ყალყზე დგება და დასატორად ეტანება მხედრებს, უნდა გაექცეს, უნდა ბოლომდე იბრძოლოს თავისუფლებისთვის, მაგრამ თუ მაინც უნდა დაიმორჩილონ, სჯობს ალერსსა და შაქრის ნატეხს დანებდეს და არა სამჭედლოში გაჭედილ რკინასავით ძლიერ ხელს, რომელიც რკალივით მოღუნავს მის გრძელ კისერს.

მოხუცი მხედარი კი უკვე ჯიდაოზე ეფერება, შაქრის ნატეხსაც აძლევს, ყურის ძირებსაც უსრისავს და შემპარავი "თფიო, თფიოს" დუდუნში ავშარას აცმევს თავ-ყბაზე. ზურგზე თოქალთოს გადაჰფენს,მერე უნაგირს შეადგამს,ამოუჭერს მოსართავებს, გაუმართავს საძუეს, სამკერდულს, პირში რკინის ლაგამს ამოსდებს, აღვირს კისერზე გადაუგდებს და თვითონაც ზურგზე რომ მოექცევა, მაშინღა შეფთხება კვიცი, მაგრამ რაღა დროს?

ჯერ ადგილზე დატორტმანდება, მერე მოსწყდება,ხალხი ვერ ასწრებს გზის დაგდებას და თავზეით გადაუფრენს, გაჭენდება რიყეზე, მოასფალტებულ გზატკეცილზე, ფერდობზეც, ხრამზეც... ყალყზეც შედგება, ტლინკებსაც აჰყრის, მაგრამ მხედარი მაგრა ჩაჰფრენია ფაფარს, უნაგირის ტახტას და აი უკვე მერამდენედ, საკუთარი სურვილით ატრიალებს სამჭედლოს ირგვლივ.

მჭედელი კი საბერველით ნაკვერჩხალს აღვივებს და ახალგახედნილი ცხენისთვის ნალებს ამზადებს.

კვიცს ერთხელ კიდევ შებორკავენ. ნალბანდი მჭრელი დანით ფლოქვებს შემოათლის, ნალებს მოარგებს, ლურსმნებს ორი თითის სიგანეზე გამოახედებს, იქვე ფლოქვში გადაღუნავს და ჩააკვერებს.

ცოდოა ახალგახედნილი კვიცის ფეხშიშველა ჭენება.

* * *

ობოლა სამარცხვინოდ გახედნეს.

ხედავდნენ, როგორ აწიოკებდა თეთრი ულაყი რემას, ბორგავდა და მეჯოგეებს გასათელად ეტანებოდა. მოხუცმა მწყემსმა გიორგამ არად ჩაგდო სოსიკას დამცინავი ღიმილი და საკუთარ თავს გამოუტყდა:

– ამ ცხენს ასე ვერ გავხედნითო – და დაუჯერა ყველამ.

ობოლა სხვა ცხენებთან ერთად ძველ ნასახლარში შეაგდეს, მერე ცხენები სათითაოდ გამოუშვეს და კარი მაგრად ჩაკეტეს. ობოლა, სარკმლიდან ნასროლი თოკებით შეკრეს და კედელთან მიაბეს, მუცელზე მოსართავივით ამოაკრეს ტყავის თასმები და მაღლა აწიეს. ცხენი წინა ფეხებით დაეკიდა ჰაერში, ამაოდ ასავსავებდა ტორებს, ამაოდ ეძებდა ფეხის მოსაკიდებლად მიწას, ძალ-ღონისა და ენერგიის, თურმე ამ ერთადერთ წყაროს. მაინც შიშითა და სიფრთხილით დაადგეს რკინის რგოლებიანი სატვირთო კეხი, გადაჰკიდეს დიდი პირმორღვეული ხურჯინი და გაავსეს ორივე თვალი რიყის ქვებით.

ობოლამ რომ ფეხქვეშ მიწა იგრძნო დაფეთდა, მაგრამ ქვების სიმძიმემ ისე დააკრა იმ მიწას, რომ ფეხის გადადგმა გაუჭირდა. ტორტმანით გავიდა ნასახ-

ლარიდან და გაათრია აკანკალებული ტანი. მზის სინათლეზე თითქოს ისევ მოიცა ძალა, გავარდა და გაიტაცა მეჯოგეები. ერთი ნახტომი, ორი, სამი... და აძუნძულდა ოთხი წლის ულაყი, დაირწა ხურჯინი, ახრიალდნენ ქვები და უმოწყალოდ დაუბეგვეს ფერდები.

ობოლას ტანი დაეწურა, მუცელი შეუვარდა, დასკდა ცხელი ოფლი და

უცებ გაიხედნა.

* * *

სოფელში სარბენი და საჭენებელი არაფერი იყო, ამიტომ ახალგახედნილ ცხენებს, მწყემსების ბინებით დატვირთულ ურმებში აბამდნენ.

ობოლაც ურემში შეაბეს. დაათრევდა აღმა – დაღმა, გზასა და უგზოობას არ არჩევდა, დაღლას არ იტყობდა, ამიტომ მეძუძურ ხბოსავით დაათრევდა მეწყვილე ცხენს.

გიორგამ დიდხანს ეძება ობოლას ტოლი, ბოლოს წააწყდა და ხუთი წლის, ცხენთსაშენში გაზრდილი იაბო დაუწყვილა თეთრონ ნაულაყარს.

ახალი ცხენი ღონიერი გამოდგა. მაღალი და ხარივით ორპირი, საფერხედ იყო დაბადებული. დოღში ბევრი ნალი გაეცვითა, თუმცა... პატრონს არ დაუმალავს, რომ ცხენი მფრთხალი იყო. ღამღამობით ძუა-ფაფარი თავისით ეწვნებოდა, საკუთარი კუდი აშინებდა, ტანზე რომ უცადბედად ბალახის ღერი შეხებოდა, ერთი დღის სავალზე იკარგებოდა.

ამ ხასიათის გამო, პატრონი ცხენს ნავსას ეძახდა.

ნავსა გაწვრთნილი ცხენი იყო და ადამიანის ენა ესმოდა. თავიდან არავინ დაიჯერა ეს ამბავი, მაგრამ როდესაც საკუთარი თვალით იხილეს, გაჰკვირდნენ. ეტყოდა გიორგა დაწექიო და დაწვებოდა, უბრძანებდნენ ადგომას დამაშინვე წამოხტებოდა.

მუდამ ყურებდაცქვეტილი უსმენდა ხალხის საუბარს. ავი დროება იდგა და ბერიკაცი შეაშინა ცხენი ამ არაბუნებრივმა ნიჭმა. გიორგა ხმამაღლა ფიქრსა და ოცნებას გადაეჩვია.

ნავსამ ურემი იუცხოვა. ყალყზე შედგა, ურემი ადგილზე დაატრიალა და მოსართავები დაწყვიტა, მერე გიორგას მწარე მათრახი იგემა და დაჰყვა მეურმის ნებას.

ობოლასთან თანასწორად აწევა არ გასჭირვებია, მაგრამ რატომღაც დანახვისთანავე შეიძულა ეს თეთრი ცხენი, თავჩაღუნული, მორჩილად რომ დაათრევდა მძიმე ურემს. ნავსამ მეურმის გული მალე მოიგო, რადგან მის ყოველ ბრძანებას ემორჩილებოდა, მაგრამ როგორც კი მოხუცის მზერას გაირიდებდა, ხან ფერდებში ჩასწიხლავდა ხელნაზე მიბმულ ობოლას, ხანაც კბილებით აგლეჯდა ლაშებს.

გიორგას ცხენები, დღისით ქვეყანაზე თავმოსაწონებლად რომ დააქროლებდნენ ურემს, ღამით ერთმანერთს ჰკბენდნენ, სწიხლავდნენ და ძაღლებივით იღრინებოდნენ.

ურემს დროდადრო სცლიდნენ, მერე ისევ სტვირთავდნენ, ხელნა განუწყვეტლივ ჭრიალებდა, მოსართავები დაჭიმული იყო და ბორბალს წაღმა ატრიალებდა.

* * *

სისხამზე, მდინარის პირას, სამგზავროდ გამზადებული ცხვარ-მეცხვარე თითქოს დათქმულ ნიშანს ელოდა.

ამოიარა მგზავრმა და გააგორა ქვა. ქვა მდინარეში ჩავარდა, ძაღლმა დაიყეფა, აჰყვნენ სხვა ძაღლებიც, აბღავლდა ცხვარ-ბატკანი, აჭიხვინდნენ ცხენები და ახმაურდნენ მწყემსები.

ვაცებმა გაქეჩეს. ცხვარმა გზა გაიღო. თეთრმა ჭალამ ფეხი აიდგა და ააჭრელა მწვანე ფერდობი.

ურმები ჩამორჩნენ. სოფლიდან მწყემსების ბარგი-ბარხანას ეზიდებოდნენ. მოჰქონდათ ტყავები, ნაბდები, ჭრელი ხურჯინები, პირმოკრული გუდები, სავსე ტიკები, ერბოს ქადები, ხმიადები, ქადის კვერები და სანთელ-სალოცავებლები.

სადილობამდე გიორგას ურემი დაწინაურდა.

უღელტეხილზე ამინდი შეიცვალა. გათოვდა. ცხენებს გაუჭირდათ გაყინულ აღმართზე ურმების ატანა. გახშირდა შეძახილები, შოლტების ტყლაშუნი. ქარავანი გაჩერდა.

გიორგამ გადაწყვიტა მარტო წასულიყო, რადგან იცოდა, მწყემსებს გაუჭირდებოდათ უღელტეხილზე უნაბდოდ ღამის გათენება. მწყემსებს ურჩია, იმ ღამისთვის აუცილებელი ბარგი მის ურემზე გადმოეტვირთათ.

სოსიკამ იწყინა. აყაყანდნენ სხვებიც. გიორგამ თვითონ დატვირთა ურემი, ობილას სამკერდული გაუსწორა, ნავსას ცალუღი, ურმიდან წლების განმავლობაში უქმად ნაგდები გრძელტარიანი შოლტი ამოიღო და ცხენებს შეუძახა.

ობოლამ ნავსას მოხედა. ნავსამ ფეხი წაჰკრა ყინულს და სავალი მოსინჯა. ურემმა დაიჭრიალა. ეს ცხენებმა მოიფონეს მოსართავები. დაწურეს ტანები და დაიბერეს მკერდები.

ხელნა გაჭრიალდა და ბორბალი გადაგორდა.

ცხენები დაუნდობლად ურტყამდნენ რკინით დაჭედილ ფლოქვებს ყინულს.

წინ უფრო ციცაბო აღმართი გამოჩნდა. გიორგა ურმიდან ჩამოხტა, ცხენებს სადავეები დაუმოკლა და გაუძღვა.

ცხენები დაიჭიმნენ. ერთი უგულო გაწევა, ერთი მოუზომელი ნაბიჯი და ამ სიმაღლიდან კიდევ უფრო საშიში იყო ურმის დაგორება, მართალია გიორგას ცხენების პატრონობა არ ეთქმოდა, მაგრამ უკეთესი ჭირისუფალიც რომ არ ჰყავდა ამ ორ პირუტყვს?

ერთ წამს ობოლამ ფეხი ვეღარ მოჰკიდა ყინულს. მოცურდა, გაეღუნა მუხლი და დაიძრა მთელი ტანით. ურმის მთელი სიმძიმე გადაქანდა და ნავსას დააწვა. ობოლა ფეხმართალი ცხენი იყო და ნავსამ იუცხოვა ობოლასგან ასეთი გაწირვა... სიმძიმე კი აწვებოდა ზურგზე, მხრებზე, კისერზე, აწვებოდა და დასაგორებლად ეზიდებოდა.

სულ ერთი ამოსუნთქვა, ერთი ამოსუნთქვა გაუძლო.

ობოლა ყალყზე შედგა. აიტაცა ხელნა, ურემი... ნავსაც აიტაცა ცაში, გაჰკრა მკერდი და ნახტომზე გააფრინა ცხენ-ურემი. ურმის ბორბალი დაბზრიალდა, ჩარდახზე გაკიდული ნაბადი აქეთ-იქით მიაწყდა.

გიორგა ჩამორჩა.

ცხენებმა ჭენებით გადაიარეს უღელტეხილი.

ძაღლებმა წკმუტუნით, მწყემსები კიჟინით შეეგებნენ ურემს.

დაღამდა.

* * *

მწყემსებმა მშვიდობიანად გადაიზამთრეს. ჯანსაღმა ნამატმა თავნის ზარალიც გადაფარა. მეცხვარეებმა ენა ამოიდგეს. გაიხუმრეს, ოჯახი და სახლ-კარი მოინატრეს.

მალე საზამთრო ბინებს დატოვებდნენ და იალაღებისკენ დაძრავდნენ ფარებს, მანმადე კი ერთი თვის სავალი გზა-შარა უნდა დაელოცა.

ნაჯაფარ, უქონლობისგან ნამარხულევ მწყემსებს მალე მოეკიდათ სასმელი, ქორფა ბატკნებივით აჟივჟივდნენ, ვიღაცამ ცხენი შეაქო, სხვამ თავი დაამეტა, არ დათმეს, აუხირდნენ ერთმანერთს და დათქვეს პირობა.

გამოიყვანეს ცხენები, ხელდახელ გადაკმაზეს და დათქვეს მიჯნა.

გიორგა ობოლაზე შეჯდა, სოსიკას ნავსა ერგო. ერთმანერთის ჟინი ჰკლავდა მოხუცებს, თორემ რაღა დროს მათი მარულა იყო.

თავჩობანმა ცალლულიანი დაატყეშა და გავარდნენ ცხენები. ნავსამ სადავე წაართვა მხედარს. უცებ გაასწრო სხვა ცხენებს. ობოლა ჩამორჩა, თითქოს უკვირდა თავისუფლად ნავარდი. უკვირდა, რომ არაფერი ეწეოდა უკან. ნელ-ნელა აიმჩატა ტანი, გაასწორა ნახტომი და ააწყო სუფთა იორღა.

ცხენები უკან ბრუნდებოდნენ.

ნავსა წინ მოფრინავდა. მხოლოდ გზას ხედავდა და უნდოდა ეს გზა ერთი ნახტომით დაეფარა. ნაცნობი ფრუტუნი ჩაესმა. გახედა, ობოლა გაშლილ ფაფარში ირწეოდა და ყოველ ნახტომზე თითო ნაბიჯით უსწრებდა ურმის მეწყვილეს.

გიორგა გალაღებული იჯდა. ახლა სოსიკა უყურებდა მის ზურგს.

ნავსას მათრახი გადაჰკრეს, მაგრამ ცხენმა ვეღარ მოუმატა სისწრაფეს, კიდევ რამდენიმე ნახტომი და დოღის ცხენი პირველობას დათმობდა.

ობოლას სიშმაგემ გაუარა. ახლა გულდინჯად მიაფრენდა მხედარს. უცებ იგრძნო, რომ ნავსა გვერდით არ ედგა, გაუკვირდა, ასე არასოდეს მომხდარა, არასოდეს მათ შორის ამხელა მანძილი არ ყოფილა, ასე ვერასოდეს დაძრავდნენ ურემს.

ობოლამ ნახტომი მოზომა, ნაფრენი შეამოკლა, ვიდრე ნავსას გახშირებული სუნთქვა კისერთან არ იგრძნო.

თითქოს ისევ მძიმე ურემს მიათრევდნენ, საკმარისი იყო თანაბრად არ ეფრინათ, რომ უფსკრულში გადაიჩეხებოდნენ.

ფინიშის ხაზი ცხენებმა ერთად გადაკვეთეს.

* * *

დაღლილი ცხენები მწყემსებმა ჩალიანში გაყარეს, ობოლა კი, როგორც თავცხენი, ფარეხთან დარჩა დაბმული. ღამით ზღვიდან ცივმა ქარმა დაუბერა, ცხენის გახურებულ სხეულს, სუსხმა ხანჯალივით დაუარა შიგნეულში, ყინვამ ჯერ სახსრები მოადუნა, მერე სუნთქვა გაუძნელა და როცა ჯიდაოდან წამოსული ოფლი საუზანგესთან ყინულის ლოლუებად ჩამოეკიდა, ობოლა გახევდა.

სიცივისგან დამფრთხალი ცხენები სტეპში გარბოდნენ. მხოლოდ ნავსას მოეღრიცა კისერი და ურმის მეწყვილეს ჭიხვინით უხმობდა.

ფარეხიდან გამოვარდნილი ოხშივარს, ზღვიდან მონაბერი ცივი ბორიო უკანვე აბრუნებდა.

* * *

ობოლა სამ დღეს კვდებოდა.

პირველ დღეს ფეხზე მოკვდა. როცა წინა ფეხებზე ჩაიმუხლა და როცა ადგომა ვეღარ შეძლო,ტანი ვეღარ ასწია და დაეცა.

მეორე დღეს დაცემული კვდებოდა. უზარმაზარ ტანს ებრძოდა, ფრთხვინავდა, ფრუტუნებდა და ტორებით მიწას ლესავდა. ტალახში აიზილა ობოლას ფაფარი,ზურგი, გავა... შუადღეზე გალეშილი სხეული საკუთარმა სიმძიმემ პირაღმა დასცა და ვეღარ წამოიწია.

მესამე დღეს მხოლოდ გული მოძრაობდა. გულის წადილი და სიცოცხლის სურვილი ობოლას თავს მიწაზე ახეთქებინებდა.

მწყემსები იალაღებისკენ დაიძრნენ.

* * *

მდინარის პირას ახლაც ბალახობენ ცხენები.

მანქანების ხმაურს მიეჩვივნენ. აღარც საყვირის გაბმული ხმა აკრთობთ. ასდევ-ჩასდევენ გზისპირებს, ტურისტების ნაბინავრებს ეტანებიან, ავტობუსიდან გადმოყრილი ბანანის ტკბილი ნაფცქვენებისთვის ერთმანერთს ლაშებს აგლეჯენ.

მხოლოდ ერთი ბებერი ცხენი დადის განმარტოებით, უფრო ხშირად ტყიან ველობში ტრიალებს, დაათრევს გაძვალტყავებულ სხეულს და ყველა სულიერს ემალება.

ეს ცხენი ნავსაა.

პატარა ბიჭები მაინც პოულობენ, მოასხდებიან ზურგზე და დილიდან-საღამომდე ჭალაზე დააბუნძულებენ.

ბიჭებმა არ იციან ცხენის სახელი.

ნავსასაც აღარ ესმის ადამიანის ენა, სამაგიეროდ ჯოხის ენა ისწავლა. იცის,თუ ფერდებში ურტყამენ წინ უნდა წავიდეს,თუ თავპირში უშენენ ჯოხს, უნდა გაჩერდეს.

ხანდახან, მთელი დღის დაღლილი, ქანცგაწყვეტილი ცხენი გიორგას ჭიშკარს მიადგება და მეურმეს დაბალი ხმით ეძახის.

ბერიკაცი კი არა და არ ჩანს.

ერთი ლექსი

თენგო ავსაჯანიშვილი

არაგველს თუ ეძებთ – მე ვარ

არაგვი ჩამორბის ღელვით და
მთები დამსხდარან ბრძენად,
ეს არის სამშობლო ჩემი,
ვინც მზარდა სიკვდილის მკვლელად.
ნუ ჯავრობ, ნაშალო ციხის,
ნუ ჯავრობ, ხალხურო ლექსო,
ეს გულიც იმ ცეცხლით იწვის,
რა ცეცხლიც თქვენს გულში ენთო.
ზღვაშიც ვგრძნობ არაგვის ზვირთებს,
არაგველს თუ ეძებთ – მე ვარ.
ხან მდგარი ქვითკირის ციხედ,
ხან კრწანისს დაღლილი ვწევარ.
დაღლილს მაქვს საფლავი სანგრად,
ეს მიწა მეც სისხლით ვქარგე,
სიცოცხლე სულ მლესავს ხანჯლად
საფლავის ჯვარიან ქვაზე.
ო, როგორ უხდება ყანებს
ყაყაჩო ნარევი წითლად.
სისხლს თუ ღვრით, მამულზე ღვარეთ,
ყაყაჩოდ იხაროს სისხლმა.
შენზე ვთქვი: თეთრ არაგვს ჰგავსო,
პირველად რომ გნახე ქალო.
ხან მთის ყვავილივით სათნოვ,
ხან ავაზასავით მწყრალო.
დამინთე სანთელი ბევრი,
სამასი სანთელი ერთად,
იქნება სიკვდილის მკვლელის
ცოდვა მეც შემინდოს ღმერთმა!

ბიოხბი ლალიაშვილი

მირზა გელოვანი ქართულ მიწას უნდა ებარებოდეს!

მირზა გელოვანი ქართული სულიერების გამორჩეული და ტრაგიკული მოვლენაა. მან მხოლოდ 27 წელი იცოცხლა,სულ რამდენიმე წელწადი ქმნიდა იმას, რაც ყველაზე უკეთ გამოსდიოდა. ეს იყო შებმა და ჭიდილი სიტყვასთან, პოეზიასთან, სადაც მან იმგვარ სიმაღლეს მიაღწია,რომელიც არავითარ შეღავათს არ ითხოვს ახალგაზრდული ასაკისა და ომს შეწირული სიცოცხლის გამო.

მაინც რით რჩება პოეტი მკითხველის მახსოვრობაში? მთავარი მაინც ის ძალა და სიმკვეთრეა, რაც უნდა გააჩნდეს სიტყვას. მირზა გელოვანი სწორედ ამით არის უნიკალური. ომის ჯოჯოხეთში მოქცეული, სიცოცხლეზე უსაზღვროდ შეყვარებული უნატიფესი სულის პოეტი საკუთარ ბედსა და კაცობრიობის კატასტროფას ისე მძაფრად აკავშირებს ერთმანეთთან, ტოტალურ უსამართლობასა და განუკითხაობაზე იმგვარად გამთანგავი სინანულით გვესაუბრება, რომ ამ ქვეყნის მდგმურებს, ასმაგად გვეძვირფასება სიცოცხლე და მასთან გამოთხოვება უმალ ცოცხალთა რექვიემს ემსგავსება. კაცობრიობა თითქოს საკუთარ წირვას და პანაშვიდს ესწრება ამ ოთხი წლის განმავლობაში.

ტყეების წვიმაში, ველებსა და ტყეებში, სანგრებში ცხოვრება პოეტს ბუნებასთან კიდევ უფრო აახლოვებს. ქარის, ხეების, ბალახების, მდინარეების, თოვლისა თუ ხორშაკის ენას იგი სულ სხვაგვარად შეიმეცნებს და ქართულ პოეზიაში მსგავს თრთოლვას პირველად შემოიტანს. იმხანად უფრო პატრიოტული და პროპაგანდისტული ლექსები იწერებოდა. მირზა გელოვანმა კი ლირიკულ ხაზს არ გადაუხვია და იქ, იმ ჯოჯოხეთშიც პოეზია აღმოაჩინა. ასფალტს რომ ამოხეთქავს გვირილა და მზისფერი ყვავილებით გაბრწყინდება, სწორედ ამგვარი სიცოცხლის დაუშრეტელობა და ენერგია სუნთქავს მირზა გელოვანის პოეზიაში. ეს ლექსები სიცოცხლით გაუმაძღრობასაც გამოხატავს და მასთან ყოველ წუთს შესაძლო განშორების ტკივილსაც.

სიკვდილი ყურის ძირშია ჩასაფრებული,სწორედ ამგვარი ელდითა და კრთომით არის ამოთქმული ეს გულდაისრული ლექსები,საიდანაც სიბრალული მოჟონავს. რამდენჯერაც არ უნდა წაიკითხო, დაგბურძგლავს და სიცოცხლის გამო სინანული შეგიპყრობს: რატომ არის ასე ეფემერული ადამიანთა ყოფნა? ის, ვინც თითქოს ამ ქვეყნად პატრონად და გასახარებლად არის მოსული, დროისა და პოლიტიკის უკუღმართობის გამო შეიძლება იქცეს უსარგებლო და ზედმეტ ნივთად? ამაზე ფიქრი და სინანულია მთელი მისი პოეზია.

2011 წელს მირზა გელოვანის ლექსებისა და ნაწერების ყველაზე სრულყოფილი წიგნი გამოსცა გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმმა, ქალბატონმა იზა ორჯონიკიძემ უზარმაზარი შრომა და სიფაქიზე ჩადო ამ დიდტანიანი ტომეულის შეკრებასა და გამოცემაში. სრულიად ახალი სიმარლით წარმოაჩენს ეს წიგნი მირზა გელოვანს, თითქოს ბევრი რამ ვიცოდით მასზე და თურმე ყველაფერი არ გვცოდნია. პოეტის პორტრეტი ასე სრულყოფილად არცერთ მის ადრინდელ კრებულში არ ასახულა. ეს უკანასკნელი კი მოწმობს პოეტის გენიალობას, თვალწინ გადაგვიშლის საკაცობრიო სევდით შეძრულ გულს, რომელიც ანათებს, ციმციმებს და სულის მოსათქმელად და დასაფიქრებლად მუდამ დასჭირდებათ ადამიანებს.

2017 წელს შესრულდება 100 წლისთავი მირზა გელოვანის დაბადებიდან. ის კი, თანამდევი და უკვდავი სული საქართველოსი, ლეიტენანტის ტიტულით განისვენებს ბელორუსიაში, სადაც ის ბრძოლაში დაეცა და იქვე მიაბარეს მიწას. ომისთვის ის

შეიძლება ლეიტენანატი გელოვანია, მაგრამ საქართველოსთვის ის გენიალური პოეტია და სადაც მას უკეთ გაიგებენ, დააფასებენ, სწორედ იქ უნდა იყოს მისი უკანასკნელი განსასვენებელიც!

ამიტომ მსურს, რომ თამარ შაიშმელაშვილის ძალიან ქართული და ლიტერატურის განვითარებისთვის გულწრფელად მზრუნველი ჟურნალიდან გახმაურდეს აზრი იმის თაობაზე, რომ მირზა გელოვანის 100 წლის საიუბილეოდ, მოხერხდეს მისი ნეშთის გადმოსვენება თბილისში და დაკრძალვა მთაწმინდაზე.

თიანეთში მისი სახლ–მუზეუმი მისახედია, გიორგი შხვაცაბაიას მიერ შექმნილი პოეტის ქანდაკებაც დაიკარგა. როგორ შეიძლება თბილისში ძეგლი არ ედგას კაცს, რომელმაც ამოთქვა ლექსი „ნუ მწერ“, ან მისი სახელობის ქუჩა და სკვერი არ გვეგულებოდეს?

მირზა გელოვანის დაფასება ვიდრე მას, ჩვენ უფრო გვჭირდება და დაგვამშვენებს, ჩვენზე უკეთეს წარმოდგენას შეუქმნის შთამომავლობას. მადლობა უფალს, რომ შემორჩა მისი პოეზია, რომელიც გაცილებით გამძლე და საიმედოა, ვიდრე ადამიანური უკვდავყოფის რაიმე გამოგონება.

ერთი ლექსი

მანანა დანბაძე

პოეტი

ნუ იტყვით... ნუ იტყვით
„საწყალი პოეტი“!
რადგან დაძონძილი ქურთუკი აცვია... -
პოეტი ამქვეყნად ყველაზე, ყველაზე,
ნამდვილად ყველაზე მდიდარი კაცია!
არა სთქვათ... არა სთქვათ:
„ბოროტი პოეტი,
დამრეცი, წამგლეჯი,
მგელივით ტაცია“...
პოეტი ამქვეყნად ყველაზე, ყველაზე,
ყველაზე კეთილი და სათნო კაცია!
რაკი წერს, ნუ ჰკადრებთ:
„უნიჭო პოეტი“,
რითმა თუ გახედნა და დაუმარცვლია,
პოეტი სულია... უბრალო სულია,
პოეტი უფლისგან რჩეული კაცია!
ნუ შესძრავთ,
როდესაც მდუმარებს პოეტი,
რამეთუ კრძალულის მანტია აცვია...
პოეტი ამქვეყნად ყველაზე ღარიბი
და სულით, ყველაზე მდიდარი კაცია!

შოჩენა თამაზაშვილი

ფერეიდანი

(წვიმს და სულ მალე გაბრწყინდება ღვთის ცისარტყელა...)

აკვნის კალთიდან აგლეჯილო
სამშობლოს ღილო,
ატირებულო ქართლის დედავ,
ცრემლო და დარდო.
ამოსაძირკად გადარგულო
პაპას ვენახო,
ხრიოკ მიწაზე
რქაწითელად ამონაზარდო.
ვერწართმეულო „დედაენავ,
ანო და ბანო,
ხის ფესვებიდან აგლეჯილო,
სულო ქართულო,
უცხო მხარეში
ნაწვიმარო ფერეიდანო –
ცისარტყელასთან გელოდება
შენ საქართველო...

* * *

დღეს შემოდგომამ –
მივდივარო, გამოაცხადა,
წვიმიან მოლზე გადაწყვიტა
ბოლო ნადიმი,
ყვითელ ფოთლებად
მოსაწვევი ჩამოარიგა
და ქარს გაანდო
მოწყენილი გულისწადილი.
მინდა მყავდესო სტუმრად
მზე და მთვარეც ნამგალა,
ყველა ბეღურა – ჩემმა დარდმა
ვინც არ დაღალა,
ნაზი ჰანგები მსურს მაჩუქოს
წვიმის ორკესტრმა
და ნისლმა ყურში ჩამჩურჩულოს
სევდის სიმღერა...
როცა დამთავრდა შემოდგომის
ჩუმი ნადიმი,
რომ აისრულა ნაწილობრივ
გულისწადილი,
ადგა ზმორებით,
თეთრი ქოლგა ჩამოიფარა
და ზამთარს ფართოდ გადაუხსნა
გულის დარაბა.

* * *

რა სიჩუმეა,
ამ სიჩუმეს ვარქმევ შენს სახელს,
გულმა რამდენჯერ გადაწყვიტა
შენზე ფიქრები,
მოლოდინია –
ეს ლოდინიც შენგან იწყება,
ახლა სათქმელი იმდენია,
ჩუმად ვიქნები!...
მარტოობაა,
მარტოობაც შენგან იწყება,
თვალმა რამდენჯერ დაიტია
ცხარე ცრემლები,
რა სიჩუმეა...
ამ სიჩუმეს ვარქმევ შენს სახელს,
ახლა სათქმელი იმდენი მაქვს –
ვერ გავჩუმდები!..

* * *

ნაცნობ მთის ფერდობს მოჰფენია
ჰერთა დუმილი,
პაპაც თავდახრით მიუყვება
წვიმიან ბილიკს..
დგას საქართველო – დიდ საყდარზე
ჩუმად მლოცველი
და დგას ტაძარი, ქართულ ფესვზე –
ვაზივით დიდი!

* * *

შუაღამეა,
აივნიდან გავყურებ ქალაქს,
ერთ ფანჯარაში სინათლეა –
ლოცულობს ქალი,
უხმოდ ვბრუნდები ჩემს ოთახში –
სინდისი მტკივა...
და წასაკითხად ფსალმუნისკენ
გამირბის თვალი...

* * *

(ავღანეთში მყოფ ქართველ ჯარისკაცებს)

მოდი,
მომკალი,
მტერო, მოდი – შეგებრძოლები,
მაგრამ არ მინდა
გავიწირო სხვისი მიწისთვის,
მე ჩემი ქვეყნის – ერთი მუჭის
მეპატრონე ვარ,
მოდი,
მომკალი,
მოდი!..
ოღონდ,
საქართველოსთვის!

* * *

განათებულა, რახანია გათენებულა,
მე – სიცხიანი სხეულიდან
ვდგები ზმორებით,
ვხვდები, რომ წვიმაც რახანია
გამიუცხოვდა,
აღარ მაკრთობენ ფიქრით სავსე
მღვრიე ტბორები.
დაბნელებულა, რახანია დაღამებულა,
მე – სიცხიანი ჩემს სხეულში
ვეღარ ვეტევი,
ფიქრიც არ მინდა! ჩემი წვიმაც
გამიუცხოვდა...
დასავიწყებლად – დასაკარგად
არ მემეტები...

ვენერა ანდრონიკაშვილი

* * *

ანა, ანა, ცისა თანა,
ფსალმუნო და სულთათანა,
სხვა ვინ არის შენისთანა,
ფურისულავ, მატიტელავ,
მხვიარა და მაგნოლია,
ეს ლამაზი დედამიწა
ოცნებათა ცა გგონია.

* * *

შემოდგომაა ღიმილი შენი
და სევდის ფერიც ამიტომ გშვენის,
თვალები შველის,
ღრუბლები სველი.
შემოდგომაა ღიმილი შენი.

* * *

იყო სიჩუმე, იყო სინაზე
და იყო ღამე იდუმლად მთვრალი,
და სიყვარულით პირთამდე სავსე
ზეცის ბილიკზე ეკიდა მთვარე.

* * *

დრო – უხილავი მეფისტოფელი
მოვა მოცელავს ჩემს ლამაზ ბაღნარს,
და უსასრულო სილაჟვარდეში
განიბნევიან თეთრი ვარდები,
ჩემი ლამაზი, თეთრი გედები,
ყაყაჩოები და გვირილები.
ნუ ატირდები, ნუ ატირდები...

ყინწვისი

ო, თეთრო ტაძარო,
ო, თეთრო ყინწვისო,
ვინ იცის, რა ფიქრებს ინახავ,
ან რა არ გინახავს
და მაინც ვერ გნახავთ
დარდისგან დაცემულს.
მუდამ შემართულო,
მუდამ ფრთაგაშლილო,
მუდამ საპატარძლოდ
მორთულ-მოკაზმულო,
ვინ იცის, ვინ იცის,
რამდენი სურვილი,
რამდენი სიზმარი,
რამდენი ოცნება
აგიხდა და კიდევ
გინდა, რომ აგიხდეს.
ისევ რომ გეწვიოს
ვარძიით თამარი
თეთრი კელაპტრებით,
რომ აგაბრიალოს...
ზვიად სპასალარის
აბჯართა თქარუნი
ვიცი, გენატრება,
ვიცი, გელანდება.
ო, თეთრო ტაძარო,
ო, თეთრო ყინწვისო...

ქეთევან ებანოიძე

აქსიომა

ყველაფრის ბოლო ალბათ ხშირად
არაფერია,
ოცნების ზღვაში ჩაძირული
გემივით დარჩი...
დიდთოვლობიდან ციცქნა ფიფქი
რჩება ტოტებზე
და სიმფონიაც იჩრდილება
ქარიშხლის ხმაში.

უნდა იყოს, რომ არაფერი
დარჩეს ბოლოში,
უნდა შეგცივდეს, რომ ბუხართან
ეძებო შვება,
უნდა დაკარგო, რომ მოძებნის
შეგრჩეს ხალისი,
დაგღალოს მიწამ, რომ გაფრენა
მოგინდეს ზეცად.

ყველაფრის ბოლოს წერტილს სვამენ
გენიოსები,
ვარდების შემდეგ მოინატრებ
უბრალო იას,
ნაჩუქარივით დაატარებ
ბავშვობის სითბოს,
მიდიხარ გზაზე და წარსული
თილისმად მიგაქვს.

სიცილის ბოლოც სევდიანი
ნოტით მთავრდება,
ალერსის ბოლოს გენატრება
ისევ ალერსი
და რომ გგონია საუბარი
ისწავლე ღმერთთან,
მოიხედავ და აღარ გრჩება აღარაფერი...

აბიბინებულ ბალახებში ლაღად
დადიხარ,
არ გაგონდება, რომ გაქრება
მწვანე ხავერდი,
გავლენ წლები და უსასრულო
ტრფობით ავსილნი,
ცრემლს დაიდენენ მწველი თვალები.

ყველაფრის ბოლო ალბათ ხშირად
არაფერია,
ციხე-სიმაგრეც შეიძლება
გადიქცეს ნაცრად,
ახალგაზრდობა ეჯიბრება
ყველა სიძნელეს,
არ ეპუება ტვირთსა და დაღლას.

აღმართზე ამსვლელს თავდაღმართიც
უნდა ახსოვდეს,
ვარდების მქონეს რიდი ჰქონდეს
ქუჩის ეკალის,
თუ სიცოცხლეში მოფერება
ვერ მოასწარი,
სიკვდილის პირას გვიანია
თითზე კბენანი...

თუ არ გიყვარდა, სიძულვილის ვერ
იგრძნობ ძალას,
თუ არ იდექი, არც
წაქცევას შეუშინდები,
თუ ბედნიერი არასდროს ეს
არ დაგრქმევია,
ვერც დარდის ფერად შეიბინდები...

გული თუ არ გაქვს, გულის ტკივილს
მაშინ გაუძლებ – და თუ არ ცოცხლობ,
მაშ, სიკვდილი გაშინებს რაღად?...
უსასრულობას სივრცეების თუ
არ ნატრულობ,
არ წახვალ არსად.

ყველაფრის ბოლო სიკვდილია ყორნის
ფრთის ფერი,
სიკვდილთან მაინც დამარცხდება
მუზა შვიდფერი!

* * *

მეგობრები?...
ო, აღარც კი მახსოვს,
ოდესღაც მყავდა,
აი, მოსამართლე — მსაჯულები კი
ბევრი შევიძინე...

* * *

ცაში სანავარდოდ გაჩენილო,
მაგრად მიგაჯაჭვეს მიწაზე,
ფრთები, ფრთები გტკივა,
თუმცა ვინ კითხულობს,
დღეებს დაქანცული მიათრევ...

ფეხქვეშ გაგითხარეს ხრამი საზარელი,
როგორ მოგანატრეს ვარდები,
ერთი გაბრძოლება კიდევ გაიბრძოლე,
ვიდრე საბოლოოდ ჩაკვდები!

ცოცხლობ, სიკვდილო...

სანამ მოვკვდები, ერთხელ კიდევ
უნდა ვიმღერო,
ნერვები სიმად გაჭიმულან
თითქოს სხეულში,
ნაცნობ ბილიკებს მივუყვები,
დავეძებ იას
და ხმები მესმის მოგონებად
გადაქცეული...

სანამ წავსულვარ, ერთხელ კიდევ
ვიგრძნობ გაზაფხულს
და სიცოცხლის ხეს ტანზე მღილად
ავაცოცდები,
მე ვიცი, როგორ იბადება
სული თავიდან,
როგორ ებრძვიან სტიქიონებს
ალბატროსები.

სანამ მოვკვდები, ერთხელ კიდევ
უნდა ვიმღერო,
ცოცხლობ, სიკვდილო,
სიცოცხლეშიც რომ მაგონდები!

* * *

გამიღიმე, ძველებურად გამიღიმე
და ტყუილსაც დავიჯერებ შენსას,
ამატირე, სიხარულით ამატირე,
რომ ცრემლებსაც სიყვარული ერქვას.

წამიყვანე, დედამიწას გამაცილე,
საქორწილო შემიკერე კაბა,
ცეცხლოვანი სიყვარულით გადამრიე,
ამისრულე ყველა ჩემი ნატვრა.

გამიღიმე, ძველებურად გამიღიმე
და ტყუილსაც დავიჯერებ შენსას,
ამატირე, მონატრებით ამატირე,
რომ ცრემლებსაც სიყვარული ერქვას.

რატომ ხდება

რაღაც რჩება აჩრდილის და
ლანდის მსგავსი,
სუყველაფერს თურმე მტვერი
არ ეყრება,
გზას ვამოკლებთ, თავდაღმართებს
ვეძალებით,
ბავშვობა კი მაინც არვის გვემეტება.

რჩება ხსოვნა, სიტყვები და იმედები,
მოგონების ტევრში მაინც ვხეტიალობთ,
ხომ ვუყვარდით, ერთხელ ყველა
ვზეიმობდით,
დათმე გულო,ახლა,რატომ ეჭვიანობ?..

სიკვდილამდე კიდევ ბევრჯერ
ავტირდებით,
ვიზრდებით და მაინც ვრჩებით
პატარები,
რატომ ხდება, ყველაფერი
როცა ცვდება,
მოგონება რჩება სანთლად ასანთები...

* * *

ღმერთო, იმდენი ძალა მომეცი,
გული არასდროს დამიხრას სევდამ,
ვერ დამპირდები სილაღეს, ვიცი, —
შემინარჩუნე ოცნების ელდა.

შემაძლებინე ვარდი ვახარო,
ცრემლი შევუშრო მტირალს თვალებზე,
ერთი ხე დავრგო, კალო გავლეწო,
სახლი ვაშენო და არ წამექცეს.

ლუკმა მომეცი, რომ სხვას გავუყო,
გზა მივასწავლო ბრმას და უჩინოს,
ძალა მომეცი, რომ ჩემს სამშობლოს,
ქართული გენი გადავურჩინო.

მკითხველის თვალსახრისი

ლეილა ჟიტოშვილი-სახლთხუსიშვილი

„დღეს იყო გუშინ“!

„ყველაზე უარესის ცოდნა სჯობს იმას, უარესის მოლოდინით დაზაფრული დაიარებოდე ამქვენად... მუდამ მჯეროდა, რომ მამაკაცის უპირველესი მოვალეობა შიშის დაძლევაა!“

ერნესტ ჰემინგუეი

ირაკლი ქასრაშვილის ნაწერებმა კარგა ხანია მიიპყრო ქართველი მკითხველის ყურადღება. ქართულ სალიტერატურო გამოცემებში მწერლის მოთხრობები, ესეები 1997 წლიდან იბეჭდება. 2003 წელს მოთხრობა „მონა“ შევიდა კრებულში „15 საუკეთესო მოთხრობა“; ავტორია წიგნისა „სოკრატე“, რომელიც 2010 წელს სალიტერატურო პრემიების „საბა“ და „გალა“ ფინალში გავიდა. ამავე წელს გამოვიდა მისი მოთხრობების კრებული „რეპეტიცია“, რომელშიც შევიდა პიესა „თბილისი, 1994“.

2012 წლის ჟურნალში „ჩვენი მწერლობა“, მე-19 ნომერში დაიბეჭდა მწერლის პიესა „დილემა“, რომელსაც ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს გალაკტიონის სიტყვები: „ელვარე და ლოფერი / იყო 9 ოქტომბერი“; მოიცავს 10 სცენას. „მოქმედება ძირითადად ხდება 1937 წლის 9 ოქტომბერს, თბილისში, სტალინური „დიდი ტერორის“ დროს“.

ბევრს ეზარება, არ უყვარს პიესების კითხვა, თუმცა ამ შემთხვევაში, თვალს ჩააყოლებ თუ არა მოქმედ პერსონაჟთა ჩამონათვალს — ლავრენტი ბერია, ბოგდან ქობულოვი, ტიციან ტაბიძე, ნინო მაყაშვილი, დავით დემეტრაძე, პაოლო იაშვილი, ნიკოლო მიწიშვილი, სანდრო შანშიაშვილი, ქართველი მწერლები და სხვები — გაინტერესებს ქვეყნის წარსული, კერძოდ 30-ან წლებში მიმდინარე პროცესები, ვერ დარჩები გულგრილი, ყველა საქმეს გვერდზე გადასდებ და კითხვას შეუდგები.

აქედანვე უნდა აღვნიშნო, ავტორმა შეძლო — და ეს მის მწერლურ ოსტატობაზე მიუთითებს, მხატვრულ ჩარჩოებში მოექცია მშრალი დოკუმენტური მასალა, რითაც მკითხველს საშუალება მისცა უფრო იოლად, მსუბუქად, თუ ასე შეიძლება ითქვას, აღექვა პიესაში მიმდინარე პროცესები. თხრობა არის ძალდაუტანებელი, დინჯი, დიალოგები უშუალო (დამუქრების, ჩხუბისა და ყვირილისაც კი), შეგრძნებაა, რომ თავად ესწრები ყველა სცენას, გიჩნდება ადამიანური სურვილი — ჩაერიო ამ ბოროტებაში და დაიცვა ტიციანი და მისი ოჯახი, არა მარტო ისინი... ამავე დროს კმაყოფილი და ამაყი ხარ პოეტის გადაწყვეტილებით, საქციელით...

ერთი დღე თითქოს არც ისე დიდი დროა, გააჩნია ვისთვის და რისთვის; ჰოდა, ლავრენტი პავლოვიჩი ყველაფერს ასწრებს — იბარებს ტიციანს „ჩეკაში“, სათანადო დამოძღვრის შემდეგ უშვებს შინ, რათა 12 საათამდე დაწეროს აღიარებითი ჩვენება; შემდეგ მიდის მწერალთა კავშირში, ხვდება კავშირის პასუხისმგებელ მდივანს დავით დემეტრაძესა და ქართველ მწერლებს, შინსახკომში მობრუნებული, გამომძიებელთან ერთად დაკითხავს ნიკოლო მიწიშვილს... ამის პარალელურად, წამოსული ტიციანი გზაში ხვდება ერთ-ერთ ქართველ მწერალს, რომელსაც შესჩივის არსებულ მდგომარეობას, ბრუნდება სახლში, სადაც "უნდა დაწეროს ღია წერილი, რომ „ცისფერყანწული“ მოღვაწეობა დიდი შეცდომა და ბურჟუაზიული ტაკიმასხარობა იყო, რასაც ინანიებ. რომ შენი და შენი მეგობრების მაშინდელი ლექსები არაფრად ვარგა, უნიჭო და გამოუსადეგარია... რომ გმობ შენი მეგობრის პაოლო იაშვილის საქმიანობას, როგორც ქვეყნის მოღალატისა და ტროცკისტისა, მის თვითმკვლელობას... განაცხადებ, რომ თქვენი მეგობრობა მისთვის მხოლოდ შირმა იყო და ამის მეშვეობით თავის ბოროტ ზრახვებს ფარავდა, რომ მთელი მისი ოჯახი ხალხის მტრებისგან შედგება"... ტიციანს ისე დააღამდება, რომ „ღია წერილს“ არ წერს,

უფრო სწორედ, რამდენჯერმე იწყებს წერას და მალევე წყვეტ დახეულ ფურცლებს ხევს და მაგიდაზე ყრის...

პიესაში არ ხდება პერსონაჟთა დახასიათება, თუმცა ამის საჭიროება არც დგება, რადგან დიალოგებიდან, მათი მოქმედებიდან მკითხველი მშვენივრად ხედავს მათ სახეებს, ჟესტ-მიმიკას, ესმის მათი ხმა, სუნთქვა; ხედავს იმ რეპრესიულ მანქანას, რომელსაც ერთნი შეგნებულად, ამაყად მიჰყვებიან, მეორენი კი ებრძვიან როგორც შეუძლიათ, ან იმდენად არიან შეგუებულნი, რომ არც კი ცდილობენ მისგან თავის დაღწევას.

პირველივე სცენაში „მთელის დიდებულებით“ წარმოგვიდგებიან ბოგდან (ბახჩო) ქობულოვი, ლავრენტი ბერია... „ქობულოვი: – რამდენჯერმე დავცხებ ხალხის მტერს და მერე კალამს ვეღარ ვაგდებინებ ხელიდან. ყველაფერში ტყდებიან და თანამზრახველებსაც ასახელებენ. ჯერ თბილი ლოგინიდან – პირდაპირ „კარანტინში“ ორი-სამი დღე მშიერ-მწყურვალი, „უბორნიის“ გარეშე, უჰაეროდ, მერე მათრახით და ჩექმებით დამუშავება კაბინეტში და აღიარებაც მზადაა... ლავრენტი პავლოვიჩ, ხანდახან ისეთ რთულ მასალას გადავეყრებით, რომ დამატებითი წვალება გვჭირდება. აი, იმ მწერალმა, ჯავახიშვილმა, ძალიან გამაწვალა, მაგრამ ერთი მთელი კვირა ფეხზე მყავდა დაყენებული უძილოდ და მერე ძვალ-რბილი რომ გავუერთიანე მათრახით, აჭიკჭიკდა... ისე, რა მომენტი მიყვარს იცით, გამოშკარავებულ მოღალატეს დროგის ცხენივით რომ გადავკრავ მათრახს და ტკივილისაგან რომ აბღავლდება. ზოგი გამომძიებელი ამ დროს პირს უკრავს პატიმარს, ყვირილმა არ შემაწუხოსო. მე კიდევ რაც უფრო ხმამაღლა ღრიალებს, ის მირჩევნია. ასე მგონია მთელი მაგათი კონტრრევოლუციური შიგანი გამოდის გარეთ“...

ბერიას დიალოგებიდან: „ – ვინ როდის უნდა დავიჭიროთ, ამას მე ვწყვეტ, ამხანაგო ქობულოვ. შენი მოვალეობაა, ჩემი ბრძანებები შეასრულო... ამხანაგი სტალინი რომ არ იყოს ჩვენი ბელადი, რა ეშველებოდა საბჭოთა კავშირს? ან პროლეტარიატს? ხალხი რომ თავის ნებაზე მიუშვა, არავინ იცის რას იზამს, იქნებ კაპიტალიზმის დაბრუნებაც მოინდომონ – ჯერ კიდევ ძლიერია წვრილბურჟუაზიული ინსტინქტები. ამიტომ ჭირდებათ რკინის ხელი, რომელიც ისე გამოწვრთნის, როგორც საჭიროა, მტრებისგან გაათავისუფლებს და ერთად წაიყვანს მომავალი ბედნიერებისაკენ... – რა მართალი იყო გენიალური სტალინი, როცა ამბობდა, "საქართველო გარდიგარდმოა გადასახნავიო, ცხელი უთოთია დასაუთავებელიო..."

ტიციანს: – „ახლა რატომ აღარ ლოცულობ, იმედი გაგიცრუა ღმერთმა? ვეღარ გშველის? ან ვისთვის უშველია, შენ რომ დაგეხმაროს? გამკვირვებია თქვენი, ვითომ განათლებული ხალხი ხართ და რაღაც არარსებულს, იმას, ვინც არავის უნახავს და ვისი ხმაც არავის გაუგონია, თაყვანს სცემთ. აბა, მითხარი, სად არის ის? ცაშია, მიწისქვეშ თუ წყალში?.. სწორედ ეგაა საქმე, რომ არ იცი და მაინც უაზროდ გჯერა. ცარიელია ზეცა, ცარიელი და მდუმარე, გაიგეთ ერთხელ და სამუდამოდ. ადამიანი აქაურ, მიწიერ ცხოვრებას უნდა მოერგოს. ნამდვილი ღმერთებიც მიწაზე დადიან. მე, მაგალითად, აქვე შემიძლია შენი სიცოცხლისა და სიკვდილის ამბავი გადავწყვიტო. რით არა ვარ ღმერთი შენთვის?.. ან მე რა მოსატანი ვარ. აი, ამხანაგი სტალინია უდიდესი ადამიანი ამქვეყნად. სწორედ ისაა ნამდვილი ღმერთი დედამიწაზე და თუ გინდა, რომ დაგეხმაროს, დაიჩოქე მის სურათთან"...

რა თქმა უნდა, ტიციანი არ იჩოქებს და ცდილობს სიტუაციიდან გამოსვლას: „– უკეთესია, პირდაპირ თუ მივმართავ ამხანაგ სტალინს. ხატებზე გარდაცვლილები არიან გამოსახული, ის კი ცოცხალია..." ქობულოვი მზადაა დასასჯელად: „– თუ მოვინდომებთ, ლავრენტი პავლოვიჩ, საკუთარ სისხლსა და ნარწყევში არ იფორთხებს იატაკზე? დაიჩოქებს კი არა, ფეხზე ადგომის შეეშინდება"... ბერია – "იმედია, მალე შევხვდებით ტაბიძე. არ დაგავიწყდეს, თორმეტ საათზე მოგაკითხავენ წერილისთვის... თუ არ მოიტანა (ქობულოვს) – ბინაში მიადექი, ციხეში წაიყვანე და მერე შენ იცი, როგორ მიხედავ. სამოცგრადუსიანი ცხელი კამერა მოუხდება მაგას თავიდანვე..."

– ტიციანი? – პოეტია, შემოქმედი, რაფინირებული პიროვნება, ინტელიგენტი, რომელიც იმდენად შეშინებული კი არაა, რამდენადაც დაბნეული, მისთვის დაუჯერებელია ის, რაც ხდება ირგვლივ... გზაში შეხვედრილ ქართველ მწერალთან საუბრისას გაკვირვებული მიმართავს: – „როდემდე უნდა გაგრძელდეს ეს? დავდივართ კრებებზე, ვამხელთ და ვლანძღავთ ერთმანეთს, ყოველ კვირაში რომელიმე ჩვენგანი უკვალოდ ქრება. გვეუბნებიან, რომ მოღალატე იყო და ჩვენც უნდა დავიჯეროთ. მის ბედს არც ვკითხულობთ და ახლა სხვა მოღალატეს ვააშკარავებთ. სადამდე იქნება ასე?.. ხოცვა-ჟლეტას მხოლოდ ის შეაჩერებს, თუკი მას არავინ დაეთანხმება – არც მუშები, არც გლეხები, არც ინტელიგენცია, საერთოდ არავინ. აი, მაგალითად, ხვალ რომ შეიკრიბოს უკლებლივ ყველა ქართველი მწერალი და უარი თქვას მავნებელთა მხილებაზე, ერთმანეთის დასმენაზე, უბრალო ხალხმა ტაში

აღარ დაუკრას დახვრეტებს და ასე მოიქცეს ყველა ქართველი, საბჭოთა კავშირის ყველა მცხოვრები, მაშინ დაჭერები ხომ თავისთავად შეწყდება"...

ქართველი მწერალი პასუხობს: „ – ჰო, თუ არ გჯერა, მოუსმინე რადიოს, წაიკითხე გაზეთები და ჟურნალები და მიხვდები, მწერლებმა რომ მტრების გამოაშკარავებაში მონაწილეობაზე უარი ვთქვათ, უბრალოდ გაგვანადგურებენ. ერთ დღეს გაგვაციმბირებენ ყველას, გაიგე? ვის უპირისპირდები? ამხელა ასსამოცდაათმილიონიან სახელმწიფოს? უშველებელ რუსეთს? პარტიას, ჩეკას და ჯარს? დაგავიწყდა ოცდაოთხში რაც დაგვმართეს?

ტიციანი: – ნუთუ ერთადერთი გამოსავალი ისაა, რომ თითოეულმა საკუთარ თავს უშველოს?

ქართველი მწერალი პასუხობს: – „ეგაა, ეგ, ჩემო ტიციან, და ვინც ერთგულებას დაუმტკიცებს მთავრობას, ის ააშენებს კომუნიზმს. შენ კიდევ გირჩევ, სახიფათო აზრები ამოიგდო თავიდან და მავნებლურ ლაპარაკს შეეშვი, სანამ გვიან არაა. თორემ ისეთი ვინმე შეგხვდება ჩემ ნაცვლად, დასმენას არ დაგამადლის"...

მე-5 სცენა, შეხვედრა მწერალთა კავშირში ქართველ მწერლებთან, მე-6, მე-7, მე-8 სცენები – ნიკოლო მიწიშვილის დაკითხვა, სანდრო შანშიაშვილის ბინაში ქეიფის ამსახველი წერილის კითხვა... კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს დასმენა-ჩაშვების იმ სისტემას, რომლითაც ქვეყნის თითქმის ყველა სტრუქტურა იყო მოცული. ნიკოლო მიწიშვილის მიამიტურ კითხვას: " – ვინ მოგიტანათ ამბავი?" ბერია პასუხობს: – „შენ გგონია, გეტყვი? არა, იფიქრე, გაწვალდი, ყველა იქ მყოფზე მიიტანე ეჭვი – შენს გადაბმულ ძმაკაცზე. ისე ჩახვალ საფლავში, სიმართლეს ვერ ეღირსები... ჰოდა, თუ ის ქვეყანა არსებობს, იქ კი გაიგებ, რაც მოხდა. არადა სამუდამოდ ასეთ უვიცად დარჩები"... სადიზმისა და ცინიზმის ზეიმია, ვერაფერს იტყვი?!..

ტექსტიდან რჩება შთაბეჭდილება, რომ ავტორი კარგად იცნობს სანდრო შანშიაშვილის „საქმეს", თუმცა ყველანაირად ცდილობს „დაიცვას" იგი არა მარტო საკუთარი მეგობრებისგან (ტიციანი, პაოლო, ნიკოლო მიწიშვილი), არამედ მკითხველის „თავდასხმებისგანაც". შანშიაშვილი: – „მეგობრებო, მეგობრებო, მომისმინეთ. ძალიან მნიშვნელოვანი სადღეგრძელო უნდა წარმოვთქვა... ტიციანი: – საქართველოს სადღეგრძელოს ამბობ? – საქართველოსას არა, მაგრამ იმ ადამიანისა, ვინც მართავს საქართველოს. ლავრენტი ბერიას გაუმარჯოს?... მე ვადღეგრძელებ ამხანაგ ბერიას, რესპუბლიკის კომუნისტების მეთაურს, ამხანაგ სტალინის ერთგულ თანამებრძოლს, კაცს, რომლის უშუალო ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით შენდება საქართველოს ინდუსტრია და სოფლის მეურნეობა, კაცს რომელმაც...

მიწიშვილი: – აღარ დაამთავრებ მაგ გაიძვერას ქებას?.. რა გვექეფება, როცა შიში გვზარავს ყველას? (პაოლოს) აი, შენ ძმა დაგიხვრიტეს. (შანშიაშვილს) შენ ბიძაშვილი გყავს გადასახლებული. (სუფრის ერთ-ერთ წევრს) შენ თვითონ ორ წელი გაატარე გადასახლებაში. და რა? მაინც ახალ, ვითომ აქამდე არნახულ საქართველოს უმღერით და არ იმჩნევთ იმ უსაშველო დასმენებს, დაჭერებს, ხალხის გაქრობას, იმას, რომ სიმართლის თქმის კი არა, გაფიქრების გეშინიათ...

შანშიაშვილი: – ან გაჩუმდი, ნიკოლო, ან წადი ჩემი სახლიდან. ვერ ხვდები, რა მდგომარეობაში გვაგდებ? გინდა ყველა დაგვიჭირონ?.."

ვინ არის მართალი მათ შორის, ძნელი გასარკვევი არ არის; თუმცა აქვე ჩნდება კითხვები: იქნებ მოჩვენებითია შანშიაშვილის საუბარი ბერიას სასარგებლოდ? იქნებ, მას წვეულებაზე მყოფ სტუმრებს შორის, რომელიმეზე ეჭვი ჰქონდა და ამიტომაც შესვა ასეთი გრძნობით სტალინისა და ბერიას სადღეგრძელო?!. ფაქტი ისაა, რომ ბერიას ოპერატიულად მოხსენდა ამ შეხვედრა-წვეულების დეტალები.

ნიშანდობლივია სიყვარულის მათებური, ბოლშევიკური გაგება; ტიციანი: – „გარწმუნებთ ხალხის მტერი არ ვარ,, ამხანაგო ბერია. დამიჯერეთ, მე მიყვარს ჩემი ქვეყანა." ბერია: – „ჰო, რა თქმა უნდა, გიყვართ, ოღონდ თქვენებურად, არადა, ეს სიყვარული როგორი უნდა იყოს, მხოლოდ ჩვენ ვიცით, ბოლშევიკებმა, იმიტომ რომ ხალხის ინტერესებს ჩვენ წარმოვადგენთ..."

მწერლის ირონია გადამდებია, როდესაც მდივან ქალბატონს ჩაის შეუკვეთავს ბერია და შემოტანისას, მდივანი დააპირებს ტიციანს მიაწოდოს მეორე ჭიქა, ბერია ხელის აწევით შეაჩერებს და მდივანს ქობულოვზე უჩვენებს – „იმას მიეცი..." რესპუბლიკის კომუნისტების მეთაურს წყალწყალა ჩაიც კი დაენანა ქართველი პოეტისთვის...

ვფიქრობ, არ იქნება ურიგო, პიესაში განვითარებული მოვლენები /თუმცა, იგი ამას სულაც არ საჭიროებს/ გავამყარო რამდენიმე არგუმენტირებული მონაყოლით; ისიც ვიცი, რომ დაინტერესებული მკითხველისთვის, ბევრი რამ ისედაც ცნობილია საარქივო მასა-

ლებიდან, პირადი საუბრებიდან თუ 1955 წელს ჩატარებული სასამართლო პროცესებიდან. – გამეორება, ხომ, ცოდნის დედა!..

1937 წლის 9 ოქტომბერს ირაკლი ქასრაშვილმა ძლიერი დატვირთვა მიანიჭა, რადგან ესაა პატარა რგოლი იმ ჯაჭვისა, კოშმარული რეპრესიებისა, რომლებიც 30-იან წლებში ყოფილი სსრკ რესპუბლიკებში გაუგონარი გულმოდგინებით სრულდებოდა, როგორც ახლა ირკვევა, არაეროვნული კადრებით, რომელთა განათლებაც 4 კლასს არ აღემატებოდა. „პოლიტსამმართველოს კადრებში მუშაობდა 761 თანამშრომელი – 284 ქართველი, 102 – სომეხი, 143 – რუსი, 35 – ოსი, 32 – უკრაინელი, 22 – ებრაელი, 2 – აფხაზი, 41 სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი... 360-ს საშუალო განათლება ჰქონდა, მხოლოდ 61 კაცი იყო უმაღლესი განათლებით"... /ბონდო არველაძე – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი/.

„ლავრენტი ბერიამ მიითვისა ერმილე ბედიას ნაშრომი „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორია", თვითონ ბედია დახვრიტა. ბედიას ცოლმა თამარ ჩიჩუამ ერთ-ერთ ოჯახში, წვეულებაზე, ბერიას პირში მიახალა – ჩემი ქმრის ნაშრომი მიითვისეო. ბერიამ სადისტური ღიმილით უპასუხა: – თამარ, გრძელი ენა გქონიაო. ეს სიტყვები ძვირად დაუჯდა თამარ ჩიჩუას; მეორე საღამოს ის თავის კაბინეტში დაიბარა "ჩეკას" გამომძიებელმა, ჯერ აწამა, მერე ენა ამოაჭრა. ასეთი იყო რეალობა." (ბონდო არველაძე).

იხსენებს ვასილ კიკნაძე, თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი, პროფესორი – „როდესაც რუხაძეს ჰკითხეს (1955 წ. სასამართლო პროცესზე) რეპრესიებში აქტიურად მონაწილეობდიო? – უპასუხა, მე ვებრძოდი საბჭოთა კავშირის მტრებს, ბრძანებას ვასრულებდიო და ლავრენტი ბერიას დავალება გაიხსენა: – ჯერ კიდევ გაგრაში ვმუშაობდი, როდესაც ბერიამ თათბირი ჩაატარა და გვისაყვედურა, აღიარებითი ჩვენებები არ მომწონს, გამოძიების ფორმები სუსტი გაქვთ და 100%-იან შედეგს ვერ იღებთო. დღეიდან პატიმრებისთვის ფრჩხილების დაძრობას უკუღმა დაიწყებთ (ფრჩხილის დაძრობა არა ზრდის მიმართულებით, არამედ მის საპირისპიროდ) და ისინიც დანაშაულს აღიარებენ. ამის შემდეგ ციხეებში მართლაც დავამკვიდრეთ ფრჩხილების უკუღმა დაძრობა, შედეგიც 100 %-იანი მივიღეთ.

პროცესზე სიტყვა მისცეს ყაზახეთიდან დაბრუნებულ რესპრესირებულ კაცს, რომელსაც ცალი ყური აგლეჯილი ჰქონდა: "მამაჩემს დააბრალეს სტალინის წინააღმდეგ ტერორისტულ აქტში მონაწილეობა და დაიჭირეს. მეც დამიჭირეს, სამმა კაცმა წინ ფურცელი დამიდო და მითხრა, ხელი მოაწერე, რომ თქვენს სახლში ხალხი იკრიბებოდა და სტალინის ლიკვიდაციის გეგმას ადგენდაო. ვუპასუხე, მამას სტალინი უყვარდა და ასეთი რამ არ ყოფილა-მეთქი. ამ სიტყვებზე ხელ-ფეხი შემიკრეს, გულზე ფეხი დამადგეს და მითხრეს: – ახლავე ხელი მოაწერეო. გავჯიუტდი. ერთმა სამართებელი ამოიღო და ყურის აჭრა დამიწყო, სისხლი წამომივიდა, გული შემიწუხდა და მერე აღარაფერი მახსოვს. საბოლოოდ დამიჭირეს და გადამასახლეს, მაშინ 13 წლის ბიჭი ვიყავი.

ხდებოდა ისე, რომ ერთ კაცს მეორის ნაცვლად ხვრეტდნენ. ეს ფაქტი დავით კლდიაშვილის ვაჟმა სერგო კლდიაშვილმა მიამბო: სერგოს დასაჭერად როდესაც მივიდნენ, სახლში არ დახვდათ, ამიტომ ქუჩაში ვიღაც დაიჭირეს და განყოფილებაში მიიყვანეს, გააფორმეს როგორც სერგო კლდიაშვილი და დახვრიტეს. ეს ამბავი სერგომ მოგვიანებით გაიგო, საშინლად წუხდა, ცდილობდა გაეგო, ვინ დაიხვრიტა მის მაგიერ, მაგრამ ვერასგზით გაიგო.

პროცესზე გაიელვა ერთმა ამბავმა, რომლის მოწმეც პირადად გახლდით; რამდენიმე წლით ადრე, კინოს მსვლელობის დროს, კინოთეატრ „სპარტაკში" დაახლოებით 20 კაცი დააპატიმრეს. ბრალად დაედოთ კინოში პროკლამაციების გავრცელება. ქალაქში ეჭვი არავის შეჰპარვია, რომ ის 20 კაცი დამნაშავე იყო... გავიდა წლები და აი, ამ პროცესზე ვისმენ სსრ კავშირის გენერალური პროკურორის რუდენკოს შეკითხვას: „სპარტაკის" ოპერაციის შესახებ მიპასუხეთო. ერთ-ერთმა ბრალდებულმა აღიარა: – „ეს გააკეთა თვითონ კგბ-მ, დავბეჭდეთ პროკლამაციები, ფილმის დაწყების შემდეგ, როდესაც სინათლე ჩააქრეს, პროკლამაციები იარუსიდან ძირს ჩამოვყარეთ. ვინც პროკლამაციები აიღო და კითხვა დაიწყო, ყველა დავიჭირეთ, სასწრაფოდ შევქმენით ჯგუფური საქმე და ყველა მათგანი ციმბირში გადავასახლეთ. ამ ამბის შემდეგ ზოგმა ჩინი აიმაღლა, ზოგი უკეთეს ბინაში გადაიყვანეს..."

„სუკის ექთნის თამარ ვესტევას ჩვენება: „1935 წლიდან ვმუშაობდი შინაგან საქმეთა კომისარიატში ექთნად. 1937 წლიდან მეორე სპეცგანყოფილებაში გადავედი. მე მიხდებოდა დასწრება ბრალდებულთა დახვრეტებზე, რომელიც ხდებოდა ღამით ავტომანქანის ფარების შუქზე. დასახვრეტად ერთდროულად გამოჰყავდათ 300-400 კაცი. იქ ჩემი ყოფნა საჭირო იყო არა მოკლულთა რეგისტრაციისათვის, არამედ განაჩენის სისრულეში მოყვანის პროცესში გამომძიებლებს რომ დავჭირვებოდი. ერთხელ გამომძიებელ შაშურკინს გული წაუვიდა. დახვრეტებზე დავდიოდი ყოველდღე, ჩემთან ერთად იმყოფებოდნენ გამომძიებლები: სავიცკი, კრიმიანი, ხაზანი, პონომარიოვი. ისინი დახვრეტის წინაც სცემდნენ სიკვდილმისჯილებს... როგორც წესი, დაკითხვიდან პატიმრები ბრუნდებოდნენ სასტიკად ნაცემნი, უმეტესობას გულწასულებს შემოაორევდნენ, ამოგდებული თითებით, სხეულზე ღრმა ჭრილობებით, სისხლჩაქცევებით. ფეხისგულები ცემისგან ატყავებული ჰქონდათ და დასისხლიანებული. ციხეში ცივი და ცხელი კამერები იყო, ცივი კამერა ზამთარში ფუნქციონირებდა, იატაკზე ყრიდნენ თოვლს, პატიმარი შეჰყავდათ სრულიად შიშველი. ცხელი კამერა იყო ზაფხულობით, ის ჰერმეტულად იყო დახურული, შიგ ცხელი მილები გადიოდა და ორთქლის ოხშივრით იყო სავსე. მედპერსონალს სასტიკად ჰქონდათ აკრძალული ამ კამერებთან ახლოს მისვლაც კი". (ბ. არველაძე).

ფრაგმენტი რეჟისორ გიგა ლორთქიფანიძის მოგონებიდან: „პროცესზე შეკითხვები დაისვა ევგენი მიქელაძის (ჩემი ბიძა გახლდათ) საქმის შესახებაც. მიქელაძის წამებაში მონაწილეობდა სწორედ ის ნიკიტა კრიმიანი, რომელიც საბრალდებო სკამზე იჯდა. როდესაც კრიმიანი მიქელაძეს სცემდა, ამ უკნასკნელმა ხელები ყურებზე აიფარა. როგორც წესი, თურმე ადამიანი ცემის დროს სახეზე იფარებს ხელებს, მაგრამ მიქელაძეს ყურებზე აუფარებია. კრიმიანს მიზეზი უკითხავს, მიქელაძეს უპასუხია: დირიჟორი ვარო. სიტყვა დირიჟორი კრიმიანს არც გაეგო, მერე აუხსნიათ, მუსიკოსიაო. ამ სიტყვებზე კრიმიანმა მიქელაძეს ყურში შომპოლო გაუყარა..." – ვფიქრობ, კომენტარი ზედმეტია.

პიესის ფინალში, შეწუხებული ტიციანი მეუღლეს ეუბნება: „ – მეგონა, ამ ქვეყანაში რაღაცას მაინც წარმოვადგენდი, ხალხი მიცნობდა, პატივს მცემდა. ვფიქრობდი, ასე იოლად არ მომკიდებდნენ ხელს, ემი სახელი დამიფარავდა. არადა სინამდვილეში თურმე არარაობა ვარ. როცა უნდათ, მაშინ გამსრესენ ჭიაყელასავით... დღეს ქუჩაში რომ მივდიოდი, ისეთი მშვენიერი ამინდი იყო... ოქტომბრის დასაწყისი, ოქროსფერი ფოთლები, კაშკაშა მზე. შენ ხომ იცი, ასეთ დღეებში მიყვარდა ლექსების წერა და კარგადაც გამომდიოდა... ვინღა იცის, რისი სიყვარული შემიძლია. აი, შენი და ნიტას დაცვის უნარიც არ აღმომაჩნდა, არადა მთელი ცხოვრება ვაჟკაცად მომქონდა თავი. ახლა კი ამ არარაობების წინაშე ვარ ქედმოხრილი. იცი დღეს ბერია როგორ აგდებულად მელაპარაკა? ერთი სული მქონდა, სახეში ჩამეფარებინა, მაგრამ ვერ გავბედე, ვერა... ნინო: —— რაც შენ ადამიანებს დახმარებიხარ... ნუთუ არავინ მოგეშველება? ტიციანი: – ვინ? ვინ, ნინო? ჯერ ერთი, სულ ჩემზე გაჭირვებულებს ვუმართავდი ხელს. მეორეც, ვერ ხედავ, რა დღეშია ხალხი? ყველას საკუთარ ბედზე უსკდება გული. სხვის დასახმარებლად თავს არავინ შეიწუხებს..."

ტიციანს შესძულებია საკუთარი ბინის კარი, რადგან დიდი ხანია, არავინ მოსულა მათთან სტუმრად, რადგან განწირულის ბინა გონიათ...

პოეტი არ წერს წერილს და ცდილობს მშვიდად დაელოდოს 12 საათის შესრულებას. ყურადსაღებია, პაოლო იაშვილთან (მოჩვენებასთან) მისი საუბრის ერთი დეტალი: – "რახან აქ ხარ, ესე იგი, ის ქვეყანა არსებობს? პაოლო: – რომელი ქვეყანა? ტიციანი: – საიქიო, აი, დანტე რომ აღწერდა – ჯოჯოხეთთი, სალხინებელი, სამოთხე. პაოლო (გაიღიმებს): – დანტე? ნუთუ გგონია დედამიწაზე ვინმემ შეიძლება დანამდვილებით იცოდეს, როგორია ან საერთოდ არსებობს თუ არა საიქიო ცხოვრება? ტიციანი: – აბა, შენ როგორღა ხარ აქ? პაოლო: – მე აქ ვარ, ვიდრე შენ გჯერა ამის. იქნებ არც ვარ და მხოლოდ გეჩვენები?.. არ მომეკარო, თორემ..."

ტიციანი გულუბრყვილოდ სთხოვს პაოლოს დახმარებას; მას სურვილი კი აქვს დახმარების, მაგრამ არ შეუძლია. ტიციანი პასუხობს: – „ესე იგი, მეც შენ გამოგყვები? განწირული ვარ? დავწერო წერილი, თუ არ დავწერო? დავასმინო ვინმე, თუ არ დავასმინო? თავი მოვიკლა, თუ არა? წავიდე ციხეში, თუ არ წავიდე? ვაღიარო გამოგონილი დანაშაული, თუ არ ვაღიარო? გავწირო ცოლ-შვილი? მუხლებში ჩავუვარდე ბერიას?"

ნინო მაყაშვილს ვერაფრით ვერ გაუგია, რისთვის სჭირდებათ მისი მეუღლის წამება, რა დანაშაულისთვის, რატომ?! ტიციანის პასუხი მარტივია: „რისთვის და გამოგონილ აღიარებაზე რომ მომაწერინონ ხელი. რასაც ახლა ნებით არ ვაკეთებ, მაშინ ძალით გამაკეთებინებენ"... მართლაც, რომ ძნელია ყველას მოსთხოვო გმირობა...

დროის შეზღუდულ მონაკვეთში, ტიციანი ცდილობს სიმშვიდის შენარჩუნებას და ნინოს უსვამს კითხვას, უფრო კი საკუთარ თავს: – „სულ ესაა ცხოვრება? ახლა ჩემი ორ-

მოცდახუთი წლიდან რამდენიმე ეპიზოდიღა მახსენდება – მდინარეზე ბანაობა ბავშვობაში, მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლა,ჩვენი ქორწილი და ნიტას დაბადება,"ცისფერყანწელების ორდენ" და პაოლოსთან მეგობრობა,პასტერნაკის ჩამოსვლა,ჩემი ლექსები... (ჩაფიქრდება) არცთუ ცოტა ყოფილა... (დუმილი) მაგრამ მაინც მგონია, ისე მივდივარ, რაღაც მნიშვნელოვანი დამრჩა გასაგები ამქვეყნად და გული მწყდება, რომ ვეღარასოდეს გავიგებ."

დიახ, მართლაც რომ ბევრი რამაა ამქვეყნად მნიშვნელოვანი, რისი გაგებაც ადამიანს სურს, მაგრამ ტიციანისთვის და იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ამ მუხანათური რესპრესიების მსხვერპლნი აღმოჩნდნენ, ალბათ ერთადერთი სურვილი ექნებოდათ, გაეგოთ რატომ, რისთვის დაისაჯნენ ასეთი არაადამიანური სისასტიკით; რომელი პათოლოგის ტვინში გაჩნდა იდეაფიქსი – „ხალხის მტრების" მასობრივი ლიკვიდაცია?!..

ირაკლი ქასრაშვილი დროულად სვამს წერტილს, და თუ შეიძლება ასე ითქვას, როგორც ეკადრებოდა ტიციან ტაბიძეს (შემოქმედს), ისე ლამაზად და დიდებულად ამთავრებს პიესას. ქობულოვის ხმაზე: „ახლავე გააღეთ კარი" ტიციანი ფეხზე დგება და ნელი ნაბიჯით მიდის კარის გასაღებად; მისი ღირსება შენარჩუნებულია. მწერალი ამასაც არ სჯერდება და მკითხველს აუცილებელ ინფორმაციას აწვდის, არა უკმარისობის გამო, არამედ იმისათვის, რომ ყველამ, მომავალმა თაობამ იცოდეს: – „პოეტი ტიციან ტაბიძე 1937 წლის ოქტომბერში დააპატიმრეს ანტისაბჭოთა მოღვაწეობის ბრალდებით. ორთვიანი დაკითხვებისა და სასტიკი წამების შემდეგ ის სიკვდილით დასაჯეს. მისი დაღუპვის დეტალები უცნობია. ასევე დაკარგულია მისი საფლავიც".

პიესის ირგვლივ სამსჯელო და საფიქრი კიდევ ბევრია (რამდენი მკითხველიცაა,იმდენი აზრია) და სწორედ ესაა მწერლის წარმატებაც... რად ღირს, თუნდაც, სცენა – ბერიას მისვლა მწერალთა კავშირში, ასე ვთქვათ, გასაუბრება „ქართველ მწერლებთან"; ვითომ მწერლების ხმამაღალი, გუნდური პასუხი: – „ამხანაგებო, დროა, სრულად გამოვააშკარავოთ ჩვენ რიგებში თავშეფარებული მოღალატეები და გამყიდველები. ის, ვინც აუგად იხსენებს საბჭოთა ხალხის გენიალურ ბელადს ამხანაგ სტალინს, მთელი კაცობრიობის მანათობელ მზეს, უპატიებელ დანაშაულს ჩადის და არ არის შეწყალების ღირსი. მივმართავთ მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, ქართველ ბოლშევიკთა მეთაურს, ამხანაგ ბერიას, ამოძირკვოს მსგავს ადამიანთა სახსენებელი..." – ბრავო, ბ-ნო ირაკლი!

თუ იმასაც გავითვალისწინებთ როდის დაიწერა და გამოქვეყნდა პიესა, – 21 სექტემბერს, სულ რაღაც ერთი თუ ორი დღის შემდეგ, ტელევიზიაში ნაჩვენები ე.წ. „ციხის კადრების" მერე!.. მადლობა ჟურნალის რედაქტორს, შესაშური ალღოიანობისა და ოპერატიულობისათვის.

რამდენიმე დღის შემდეგ გიგა ლორთქიფანიძე ასეთ კომენტარს გააკეთებს: „– იმ საშინელი წლების შემდეგ,რაც საქართველომ გამოიარა,ვერ წარმოვიდგენდი,თუ მსგავსსა და იმაზე მეტ მხეცობას ვინმე კიდევ ჩაიდენდა, თან 21-ე საუკუნის საქართველოში და კიდევ მოვესწრებოდი ადამიანთა წამებას. დანაშაულია ამ მხეცობის განმეორება, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მოხდა საქართველოში."

საშინელება ის გახლავთ, რომ დღესაც გადაჭრით არ შეიძლება იმის თქმა – გადალახულია, დაძლეულია კი დილემა?!.. – თუუ?!.

და ბოლოს, გეგა პაქსაშვილის ორიგინალურად შესრულებული ბერიას პორტრეტი, რომელიც თითქმის ყველა გვერდიდან შემოგყურებს და „გაშინებს" კიდეც: – წარწერას სსრკ – „შეუპყრია" ჯვარი, რომელზეც იესოა გაკრული – შარვლის უბეზე ეროთი და ნამგლით"; მათ შორის კი ლავრენტი პავლოვიჩის (ამჯერად სათვალის გარეშე) ფოტოა; მის წინ პაწაწინა კერამიკული დოქი დგას, რომელშიც ქრისტეს სისხლი წვეთავს... ბერია ოდნავ მომღიმარი სახით, სადღაც იქით, თითქოსდა სამყაროს იქით იმზირება...

მხატვარმა უზადოდ გადმოსცა იმ რეჟიმის ერთ-ერთი სულისჩამდგმელის – პიროვნულ-სამსახურებრივი „მისია" და გაგვაფრთხილა: – გახსოვდეთ! ნუ დაივიწყებთ!..

კარგი იქნება, თუ რეჟისორები გაეცნობიან ირაკლი ქასრაშვილის პიესებს და სპექტაკლებად აქცევენ მათ, რადგან სცენიდან ნათქვამ ისტორიულ სიმართლეს კიდევ უფრო მეტი დატვირთვა და დამაჯერებლობა აქვს. როლან ბარტი წერდა: „თეატრი თავისებური კიბერნეტიკული მანქანაა. უმოქმედო მდგომარეობაში მანქანა ფარდის მიღმა არის დამალული, მაგრამ როგორც კი ფარდა იხსნება, იგი ჩვენი მისამართით შეტყობინებების მთელი ნაკადის გამოგზავნას იწყებს."

მიხიან ყენია

ი გ ი

ხანდახან გეჩვენება, რომ სასწაულებმა ყველაზე მოულოდნელ დროს იციან ხოლმე წვევა, იღბლიანობის ფარდას ამოფარებულებმა. ისინი ცდილობენ, ცხოვრება რეალური,ანუ ფერადი გახადონ.

ჩემი პირველი სასწაული ჩემი დაბადების დღეს მეწვია და დღესაც თანა მდევს. სწორედ ამ სასწაულმა გაუხსნა გზა სხვა სასწაულებს და აკურთხა ისინი მარადისობით.

ცხადია,ამ ყველაფრის შემჩნევა მოგვიანებით დავიწყე, როცა გავიზარდე და დედამიწის სრულუფლებიანი მოქალაქე გავხდი. ამ დროს ჩემი შინაგანი სამყარო შეეჯახა საყოველთაო საამქვეყნო სივრცის რეალურ პალიტრას. ბევრჯერ გამტეხია გული, სურვილი რომ ვერ შემსრულებია, მქონდა აბსოლუტურად ნათელი ოცნებები, იმედის სანთელთან ერთად რომ ჩამქრალა. მაგრამ ამასთან ერთად რწმენა არასდროს დამიკარგავს, მითბობდა მიჩუმათებულ გულს. იგი მასაზრდოებდა ახლად დაბადებული იმედებით.

ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი სასწაული გახლდათ შეხვედრა,რომელმაც სრულიად შეცვალა ჩემი მსოფლმხედველობა, შეხვედრა ძალიან კარგ და საინტერესო კაცთან. კაცთან, რომელსაც მცდელობა ჰქონდა, შეცვლილიყო სულიერი წონასწორობის შესანარჩუნებლად, რაც ასე რთული მოსაპოვებელია,მით უმეტეს თუ მარტო ხარ.

ეს კაცი „ბახუსი" გახლდათ საკუთარი გრძნობებისა. იგი საზრდოობდა საზოგადოების ღვინით, მაგრამ,ამასთან,ყოველთვის მარტო იყო. სული მისი მთელი ხმით მღეროდა, თუმცა სიმღერა არასდროს სურდა. ღიმილი – მუდმივი თანამგზავრი. მათ ხელიხელჩაკიდებულებმა გალიეს მრავალი წელი,მაგრამ არასდროს იცნობდნენ ერთმანეთს. მათ შორის უსასრულო უფსკრული იდო, რომლის სიღრმიდანაც ზამთრის სიცივე იფრქვეოდა. მან ბევრი რამ მასწავლა: დახვეწილობის, დნობადის, უმნიშვნელობის და ეს ყველაფერი ფრიად იოლი ფორმით გადმომცა. მისი სახელის გახსენებისას ყოველთვის სიჩუმე ისადგურებდა. ის ხტუნავდა და ტრიალებდა ჩემს თავში, თითქოს თავის გამჟღავნება არ სურდა. იქნებ იმიტომ, რომ სახელს მნიშვნელობა არა აქვს,მით უმეტეს,როცა ყველა, მის გარდა, ასე ცდილობს თავის გამოჩენას. თანაც ვფიქრობ, რა სახელიც უნდა რქმეოდა, ცხოვრების პარალელები ისეთივე მტკიცე ექნებოდა, როგორც ამ შემთხვევაში.

საუკუნეების განმავლობაში ადამიანი გამოღვიძების შემდეგ იწყებს ცხოვრებას, ანუ დილიდან. მაგრამ იმ დღეს ყველაფერი სხვაგვარად მოხდა: ბოლომდე მხოლოდ საღამოსათვის გამოვფხიზლდი.

უკანასკნელ ხანს ზაფხულიც კი გრილი იყო. სიო უდრტვინველად ცელქობდა მთელი დღე; ხანდახან ციდან პაწაწკინტელა წვეთები ცვიოდა და ცდილობდა პირდაპირ სახეზე დაგცემოდა, რითაც უნებურად ჟრჟოლას გვგვრიდა. თავის შეფარების მცდელობიდან არაფერი გამოდიოდა. წყალი ქარის დახმარებით ყველგან აღწევდა. გაუთავებელი ლავირებით დაღლილმა ხელები გავშალე და ზევით ავიხედე: თითქოს იქ რაღაც ხდებოდა სხვადასხვა ფერის ღრუბლების ბრძოლის გარდა. გრძნობადი ოკეანე მითრევდა მერყეობის მთვრალ მორევში. ან იქნებ იქ, ცათა სიშორეში, ვიღაც მთელი გულით ტირის. უკვე რამდენი ხანია ყველას დავიწყებია ცის არსებობა და მხოლოდ მაშინ იყურება იქით, ცუდი ამინდი თუა, და არა იმიტომ, რომ დატკბეს მისით.

ხელის მტევანი ნელა გამიკრთა თვალწინ. თვალებმა თვითონ დაიწყეს დაშვება და გაიყინენ. მათ წინ დამდგარი სასწაული ერთმნიშვნელოვნად არ იყო დედამიწური. იგი იღიმებოდა, თან მხოლოდ სდუმდა. იმავ წამს მომესმა საღამური მუსიკა, რომელიც ნარნარად მეფერებოდა. იგი ზღაპარს ქმნიდა, შეიძლება ოცნებასაც, მაგრამ ასინქრონულად. აზრები ნაპერწკლებივით ჩნდებოდა ჩემს სველ თავში და ასევე სწრაფად ქრებოდა, შანსსაც კი არ იძლეოდა მათით ტკბობისას.

დაბოლოს, ჩვენი თვალების დიალოგი შეგვაწყვეტინა ჩემი ეზოს შემოსასვლელ კართან მდგომი მანქანის საყვირის ხმამ.

მანქანის კარი გაიღო და დაიწყო გადმოსვლა უზარმაზარმა მუცელმა, მუცელმა კი იმიტომ, რომ, მთელი ორი წუთის განმავლობაში სხვა არაფერი ჩანდა. მაგრამ ბოლოს, ამ რელიეფური ნაკეცების ქვეშ თანდათან გამოიკვეთა უსაშველოდ პატარა და ოფლიანი თავი, რომელიც ნაჩქარევად, საშინელი კივილით გამოენთო ჩემკენ. ჰოდა, ამ უინტერესო ცერემონიის თავიდან ასაცილებლად ხელი დავავლე სასწაულს და სირბილით ავუყევი ქუჩას, ვცდილობდი უკან არ მიმეხედა, მხოლოდ ქუჩის ცენტრში გაშენებულ აყვავებულ,მუდამ მწვანე და ლამაზ ბაღთან მიახლოებული შევჩერდი, ნერვიულად შევკარი თითები და, ვიგრძენი რა ნეტარი სითბო, შემოვტრიალდი.

არასდროს ასე მშვიდად არ ვყოფილვარ; პოეზია საამოდ მავსებდა სიხარულით, რომელიც თავის მხრივ ტვირთავდა გულს, აჩქარებული გულისცემა ტამტამზე მონოტონურ დარტყმებს მოგაგონებდა.

წვიმის წვეთები თანდათან იზრდებოდა ქუჩის განათების კაშკაშა შუქზე. ციდან ჩამოცვენილი ბრილიანტებივით ბრწყინავდა. ეფექტი უზადოდ ღრმა გახლდათ. ფოთლების შრიალის ხმოვანი ფონი ავსებდა მოუსვენარ ზმანებებს, დაბოლოს, გაშლილი ყვავილების მკვეთრი, ყინვისმაგვარი, სურნელი – ყველაფერი მშვენიერია. მე ბედნიერების სადღესასწაულო ხმა მოვისმინე. მან განაგრძო:

– ოჰ, ღმერთო, სულ სველი ხარ, – სიცილით თქვა მან.

– გინდა რაიმეს გიმღერებ? მაგრამ ამისთვის შენ თვალი არ უნდა მომწყვიტო. თუნდაც ისე, როგორც აქამდე.

– მე მგონი, ძალიანაც რომ მინდოდეს არაფერი გამომივა, – ვუპასუხე ახლად დაბადებულის გულწრფელობით.

იგი მკვეთრად ახტა და ბავშვური გულუბრყვილობით ამღერდა ღვთიური ხმით. სიმღერა მღეროდა განშორებაზე, შიშის ნაყოფიერებასა და მზის სხივზე.

ქალი: შენ ყველაფერი გაიგე?

მე: შენ ყველაზე ლამაზი ხარ იმ არსებებზე, რომლებიც ამ ბებერ მიწაზე ცხოვრობს. შენ სასწაული ხარ, შექმნილი ნათლისათვის, იმედის ნათლისა და უაზრობისათვის.

ღიმილი ნელ-ნელა გაქრა მისი მრგვალი სახიდან: – მაგრამ მაშინ რატომ ხარ ასე მოწყენილი?

– იმიტომ, რომ მეჩვენება თითქოს არც თუ რეალური ხარ, იქნებ და უბრალოდ შეუძლებელია...

– ოჰ, არა, არა ხარ მართალი. ამ ცხოვრებაში ყველაფერი დასაშვებია. მით უმეტეს სიყვარულისთვის. უბრალოდ უნდა გჯეროდეს, სხვა ყველაფერი თვითონ გახდება რეალური, და ბოლოს ხორცშესხმულმა აუცილებლად უნდა მიხედო მას, რომ შეინარჩუნო დათესილი. მე ასე მგონია, შენ ახლა მხოლოდ უნდა მოუარო და ჩემთან ერთად იმღერო. მოდი ჭას ვუმღეროთ.

მე: – ჭას?

ქალი: – ჰო, ჰო! არ თქვა არ ვიციო.

ხედავ, რა არის შენი პრობლემა? რაც არ უნდა დიდხანს ჩასცქეროდე ჭას, შენს მაგივრად ვერავინ დაგიქნევს ხელს იქიდან.

– ოჰ, არა, შენ არ ხარ მართალი, რადგან აქამდე ყველა ანარეკლი, რომელიც შემხვედრია, მხოლოდ შენი იყო.

– დამიჯერე, ამ წუთში შენ მე დამეთანხმე.

ეს რომ მითხრა სასწაულმა მკვეთრად მომხვია ხელი, მაგრად ჩამიხუტა და ყელზე მაკოცა. ამით მიმანიშნა, რომ სხვაგვარად არც გამოვიდოდა.

ყოველ ისტორიას თავისი სრულყოფილი დასასრული აქვს. მაგრამ ცხოვრება ყოველთვის გრძელდება.

ჭეშმარიტი რაინდი ცხოვრებასა და ხელოვნებაში

დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა დიდებულ მოცეკვავესა და მსახიობს, სუხიშვილების ანსამბლის ოქროს ხანის გამორჩეულ სოლისტს, ჟურნალისტსა და საზოგადო მოღვაწეს, არაერთი წიგნის ავტორსა და რედაქტორს, ქართული ქორეოგრაფიის მემატიანეს, ღირსეულ და სამაგალითო პიროვნებას თენგიზ უთმელიძეს, რომლის საიუბილეო საღამოზე

თენგიზ უთმელიძე

მარჯანიშვილის თეატრში ტევა არ იყო, რადგან ყველას სურდა თავისი დიდი სიყვარული და პატივისცემა გამოეხატა ჭეშმარიტი ქართველი რაინდის მიმართ.

თენგიზ უთმელიძე ბავშვობიდანვე ეზიარა ქართული ცეკვის მშვენიერებას მიხეილ რაქვიაშვილისა და რომან ჭოხონელიძის ხელმძღვანელობით. ხოლო 1957 წელს, მოსკოვის სტუდენტთა და ახალგაზრდობის მე-6 მსოფლიო ფესტივალში მონაწილეობისას, ილიკო სუხიშვილმა და ნინო რამიშვილმა სცენაზე ნახეს თუ არა ულამაზესი გარეგნობის მშვენიერი მოცეკვავე, იმავე წელს მიიწვიეს საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლში.

თენგიზ უთმელიძემ აკადემიურ ანსამბლში ჩვიდმეტწლიანი მოღვაწეობისას დიდი წარმატებით მოიარა მსოფლიოს 70-მდე ქვეყანა. ამ ანსამბლში ჩამოყალიბდა იგი ერთ-ერთ წამყვან სოლისტად და პროფესიონალ მოცეკვავედ. აღსანიშნავია მისი სოლო პარტიები ცეკვებში: „ხევსურული სიუიტა“,„ხორუმი“,„ჯეირანი“,„წყაროსთან“, „დავლური“, „ხონგა“, „ლელო“. განსაკუთრებული აღიარება და პოპულარობა კი მოუტანა ცეკვა „ქართულმა“, რომელსაც ბრწყინვალედ ასრულებდა ლეგენდარულ ნინო რამიშვილთან ერთად.

თენგიზ უთმელიძის ცეკვა გამოირჩეოდა დახვეწილი არტისტიზმით, შესრულების მაღალი კულტურით, სცენური გარდასახვის უნარით, კეთილშობილებითა და ტემპერამენტით, რამაც განაპირობა რუსთველისეული ტარიელის შთამბეჭდავი სცენური სახის შექმნა ქორეოგრაფიულ კომპოზიციაში „ქაჯეთის ციხის აღება“.

თენგიზ უთმელიძემ, აკადემიურ ანსამბლში მუშაობის პარალელურად, წარმატებით დაამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი და აქედან მოყოლებული, ათეული წლების განმავლობაში მაყოფიერად მოღვაწეობს ამ მეტად საპასუხისმგებლო დარგში. მის მიერ უცხოეთის ქვეყნებიდან ოპერატიულად გამოგზავნილი წერილები და ფოტორეპორტაჟები ანსამბლის ტრიუმფალური გამოსვლების შესახებ, სისტემატურად იბეჭდებოდა სხვადასხვა ჟურნალ-

ნინო რამიშვილი და თენგიზ უთმელიძე

გაზეთში. წლების მანძილზე იყო ქართული გაზეთების სპეციალური კორესპოდენტი საზღვარგარეთ. „სუხიშვილების“ ანსამბლის შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ შექმნა უნიკალური ფოტომატიანე, რომელიც მრავალჯერ წარმატებით გამოიფინა თბილისსა თუ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში, 2012 წელს კი, ეს უნიკალური ისტორიული მასალა წიგნად აკინძა და გამოსცა სათაურით „რომანტიკული ფოტომატიანე – სუხიშვილები“, რომელმაც ქართველი საზოგადოების უდიდესი მოწონება დაიმსახურა.

თენგიზ უთმელიძეს გადაღებული აქვს დოკუმენტური ფილმები 1970 წელს ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში ანსამბლის მოგზაურობის შესახებ. ქართული კულტურის თემაზე დაწერა და გამოაქვეყნა 200-ზე მეტი ნარკვევი, წერილი, სტატია, ნოველა.

სხვადასხვა წლებში იგი წარმატებით მუშაობდა ძალზე საპასუხისმგებლო თანამდებობებზე საქართველოს ჟურნალისტთა კავშირში, საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლებისა და საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროებში, საქართველოს კულტურის სამინისტროში; 2001-2010 წლებში ჯერ იყო საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა საერთო ეროვნული შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, შემდეგ – თავმჯდომარე, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის ქორეოგრაფიული განყოფილების ხელმძღვანელი, მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის საერთაშორისო ცენტრის „მუზას“ გენერალური დირექტორი.

იგი კოორდინატორი იყო ქართული კულტურის დღეებისა სან-დიეგოში (აშშ, 1999 ქ.), სტამბოლში (თურქეთი, 2001 წ.), მოსკოვში (რუსეთი, 1998 წ.). ისიც უნდა ითქვას, რომ თენგიზ უთმელიძემ არა მარტო ქართულ ცეკვას, ქართულ კინოსაც გადაუხადა ხარკი, ამის დასტური კი ის გახლავთ, რომ მან აბესალომის როლი შეასრულა ქართულ მხატვრულ ფილმში „ეთერის სიმღერა“, რომელიც რეჟისორმა სიკო დოლიძემ გადაიღო.

აღსანიშნავია, რომ მისი ინიციატივითა და ძალისხმევით 2005 წელს საქართველოში დაარსდა „ქართული ქორეოგრაფიის დღე“, რომელიც ყოველწლიურად 11 ივნისს აღინიშნება, როგორც მოცეკვავეთა პროფესიული დღესასწაული.

თენგიზ უთმელიძე მრავალმხრივი ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, არჩეულია ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და მეცნიერების აკადემიის ნამდვილ წევრად, არის საკავშირო და საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება.

ვუსურვებთ ღირსეულ პიროვნებასა და დიდ მამულიშვილს, კვლავ შემართებით ეღვაწოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

მრავალჟამიერ სიცოცხლე, ბატონო თენგიზ!

ივანე ჯაფარიძე,
დავით აღმაშენებლისა და
ნიკო ნიკოლაძის პრემიების ლაურეატი

მაჩინე თექთუმანიძე

ნაოცნებარი

ეს ღამეც მოაბნევს ცაზე
ათასი ვარსკვლავის სიცილს,
დილის მობრძანება მაკრთობს,
ფიქრებს ბირკებივით ვიცლი.

ხვალ გამოგონებულს გელი
მარტოსულ ტირიფის მორჩი,
ხვალიდან ვერავინ მნახავს
სასოწარკვეთილს და მორჩილს.

მეუდაბნოეთა ქარებს
მყუდრო უპოვიათ ჩერო,
მაგრამ მირაჟების წყება
მაფორიაქებს და მჩემობს.

სარკმელში ფარფატებს კაბა,
შენი სასძლოსი და ცოლის,
ეულ ზამბარების ჭრიალს
აღარ გავიხსენებ ძრწოლით.

ხვალიდან წყვილი ფრთით ვიფრენ
(ცალი ფრთაც არ ჰქონდა ლოდინს),
მიწას მივაქარგავ სევდას
გადაგორებული ლოდის.

ფარნები ჩააქრე, ღამევ!
მოდი, გათენებავ, მოდი!!!

პოეტი

ეძღვნება მზია ხეთაგურს

პოეტს უხდება მართალი სიტყვა,
შვენის სიკეთე, ვით სასწაული,
პოეტი არა, სხვა რაღაც გქვია,
დაჩაგრულს მშვიდად
გვერდს რომ აუვლი.
პოეტი გქვია, როს შემართებით
დაიმორჩილებ დასაბერ ქარებს
და მერე, როცა ავგაროზივით
ქარებს დაჰკიდებ აისის კარედს...
სხვას გამოუთხოვ ღვთისგან სიკეთეს,
ერთგული რჩები მისი მთა-ბარის,
პოეტი გქვია, როცა სამშობლო
არის ლექსებზე უფრო მთავარი!..

ნატვრა

ნეტავი მომცა ორი სიცოცხლე,
რომ ერთი მალე,
ვიდრე ხვალე,
აფხაზეთის ზღვაში დავიხრჩო,
მეორე კი – მამისაანთ ცნობილ უბანში
შთანთქას ლიახვმა.
სიკვდილის წინ კი აფხაზებს
და ოსებს ვუთხრა:
„მიყვარხართ“...
თავად კი ასე დამიტირონ:
„სამშობლო ვერ მიატოვა
ვერც ერთი წამით და
უცხო მიწის სასახლეებს
არჩია ვალით, ტანჯვა-კირთებით
არსებობა,
და ამიტომაც ღირსია, რომ
მივაბაროთ ქართულ მიწას –
ზღუდრის კალთაზე...
ბიჭვინთის ტაძართან ახლოს“...
ნეტავ სულ მალე,
ვიდრე ხვალე,
აფხაზეთის ზღვაში დავიხრჩო
ანდა ლიახვიხ ტალღებმა მშთანთქან
ცხინვალთან...

* * *

...ტრაგიკულში არაფერია
უფრო ამაღლებული,
ვიდრე უშვილო ქალის ნამღერი:
„ნა-ნა, შვი-ლო, ნა-ნი-ნა“...

* * *

...ნუ მაიძულებთ მძულდეს
თქვენი მტერი,
მაშინ, როცა ჩემი მოძულეც მიყვარს!
ნუ მაიძულებთ დამიმგვანოთ,
რა ვქნა, თუ სიძულვილი
ვერ შევისწავლე...

შინ დაბრუნება

მე ხომ დამსაჯეს...
თუმცა რისთვის თავად არ მახსოვს.
რად მომისაჯეს ცხოვრება დედამიწაზე...
მაშინ შორიდან ვჭვრეტდი სამყაროს.
უნაპირო გალაქტიკებში
ულამაზეს ზურმუხტად ენთო
მომავლის სახლი
და სულ ახლახან მივხვდი,
რომ ეს სილამაზე
ჯადოსნობით გამზეთუნახავებულ
სასტიკ დედაბრის მშვენება არის.
— წადი, გასწიე და შეეცადე,
არ დაემგვანო იმათ,
ვინც იქ დაგხვდება, —
მითხარი, მამავ და სამყაროს ღია სარკმლიდან
ფრთხილად გადმომსვი...
ხელმეორე სასჯელის შიშით
გულის ფიცარზე დავიწერე შენი სიტყვები,
თუმც მიწის მაცდურ სილამაზით გაბრუებულს,
როგორც აღმოჩნდა,
ყველაფერი დამვიწყებია.
ხანდახან ვკლავდი (მათ შორის, შვილებს),
ფიქრით ვქურდობდი, ვავაზაკობდი,
ჩემს დაბადებას ვაყვედრიდი
ჩემზე უგონოდ შეყვარებულთ —
მშობლები რომ ჰქვიათ სახელად.
მერე, მერე კი ისიც გავბედე,
დედამიწელი დედის სიკვდილის შემდეგ
უსაშინლესი სიტყვებით გთათხე
და ყველა ჩემი უბედურება შენ დაგაბრალე...
მაშინ, მე, ბრიყვმა, რა ვიცოდი,
რომ ჩემი ნაღდი, ნამდვილი სახლი
მანდ, შენთან, მამის წიაღში დარჩა
და დედაჩემიც თავის სახლში გამოემგზავრა.
ქვესკნელს აევსო ჩემი გონება
და არაფერი მაღელვებდა
დედამიწური ვნებების გარდა.

ახლა კი ვგრძნობ, რომ ჩემთვისაც დგება
შინ წამოსვლის დღე და თარიღი.
რას მომიტევებ?
ჩემს კაკუნზე რომელ კარს გახსნი?
შენ კარგად უწყი,
ვერ ვიტანდი უტკივილო, თვინიერ დღეებს.
ძალიან ვგავდი მთის მდინარეს,
რომელსაც არ სურს, რომ გაივაკოს
და გადაიქცეს მკვდარი ზღვის ტალღად...
დღეს მეშინია მარადიულ შფოთვისა და მოუსვენრობის.
კიდევ იმ გზისა, რაც მომელის,
ვინაიდან, მიწის სიმძიმის სიმსუბუქე უნდა შეიგრძნო,

შინ დაბრუნების სიხარული რომ განიცადო.
მაპატიებ კი?
თუ გამწირავ ოდინდელი ოცნებისათვის-
მეცხოვრა და მეხეტიალა ბოშებთან ერთად.
ცხენებშებმულ ჩემს ფორანზე
ზანზალაკები იწკარუნებდნენ,
ჩემს კარავს კი ჭრელა-ჭრულა ფოთლები ააყვავებდნენ,
მერე, ფერად ჩიტებად გადაქცეულნი
მიამბობდნენ შინ დარჩენილ
მშობლიურ, ბებერ, შეშლილ ქარზე,
ჩემ გადახვეწით დამფრთხალ ნიავზე
და ნისკარტებით მოტანილი გაზაფხულის
ლორთქო წვიმებით
ჩემს უჭრელეს სულს ააზვირთებდნენ
ისეთივე სევდიანი ფორიაქით,
როგორიც ბოშურ ცეკვებსა და სიმღერებშია.
უვარსკვლავო ღამეების მწუხარებას ავიტაცებდით
ხელში მე და ჩემი რომალე,
რომელიც დანას ჩასცემდა მეორე ბოშას,
თუკი ის ვნებაატანილი შემომხედავდა.
თავისუფლებას ნიშნავდა ჩემთვის —
წითელი დროის გოგონასთვის შავტუხა ბოშა,
მიყვარდა შენგან განდგომილი ჯიში და მოდგმა.
მაპატიებ კი წარსულის უღირს სურვილებს?
იქნებ მიშველოის, დამეხმაროს
„ქუჩაში, მტვერში წაქცეულ ბავშვზე“
ღვიძლ დედასავით რომ გავკიოდი?
ან იქნებ ის დღე გაიხსენო,
შიშველ-ტიტველი, დაუბანელი მოხუცის სახით მომიახლოვდი,
ყველა ხელს გკრავდა, ცხვირს იბზუებდა,
მე კი ვტიროდი
და ყველაფერი, რაც კი გამაჩნდა,
შენ ჩაგიკუჭე გამოშვერილ, ჭუჭყიან მუჭში,
მერე, მთელი დღე, შინ წასასვლელ ფულს ვთხოულობდი...
თუმცა, რას ვამბობ,
იქნებ ამ წუთას, ახლაც ვაშავებ,
ამ ამბავს რომ ისევ ვიხსენებ?
გემუდარები, მომგვარე შვება...
ბოლო ხანებში ერთს და იმავე
უცნაურ სიზმარსა ვხედავ —
თითქოს ბავშვი ვარ
და ფიზიკის მასწავლებელი მიხმობს დაფასთან...
გაღვიძებული შვებითა ვსუნთქავ,
რომ ის კოშმარი სიზმარში ხდება...
გემუდარები, სიზმრისეული მომგვარე შვება...
მამავ, მიმიღე!..
მამავ, შემინდე!..
და ნურასოდეს გამიმეტებ დედამიწისთვის!..

1 ნოემბერი, 2013 წელი

შოთა ტობონიძე

შემოდგომა

ხევს ნიავი ნისლით ავსებს,
ხე იცლება ფოთოლ-ფოთოლ;
წვიმს, ბუხარი თავს იფასებს,
სადაცაა ალბათ მოთოვს.
ფერგადასულ მთებს და გორებს
მინდა ისევ გადვურბინო;
დრო თავისთვის იმეორებს
და ქვევრებში ბორგავს ღვინო.
ტყე დატოვეს მგალობელთა,
არე-მარე დარჩათ ქარებს;
ქალს მაგონებს შემოგომა,
ლამაზს, მაგრამ სევდანარევს!

პოეტი

ი. ბარამიძეს

ძალიან კარგად იცი, ვინცა ხარ,
ვინცა ხარ, კიდევ გიცნობს მრავალი;
ხარ უშიშარი, როგორც უხორცო,
ალესილ დანის პირზე მავალი.
გსურს მამალივით ლექსი ყიოდეს
და არა ჰგავდეს სხვის მამლის ყივილს;
შენი სამშობლო უნდა გტკიოდეს
და განიცდიდე როგორ გრძნობ ტკივილს.
მერე კალამი თვითონ მიაგნებს
ჭეშმარიტებას, ამქვეყნად თუა;
რა გვაკისრია ადამიანებს,
მოქცეულთ სიკვდილ-სიცოცხლეს შუა.

ერთხელ უჩემოდ

ახლა სოფელში დიდი თოვლია
და ზეცას კვამლი აკლია ბუხრის;
აფსუს, ავსებულ ჩემს დედულ-მამულს,
მაშინდელივით რომ აღარ ულხინს.
თოვლი თეთრია, სუფთა და წმინდა,
ამ თოვლში მე ხომ ბავშვობა დამრჩა;
სახლი ბევრია, მაგრამ რად გინდა,
კარის გამღები არავინ არ ჩანს...
ეს დღეც გაივლის, არ დაბრუნდება,
შენი თვალების მზერით გამთბარი;
ერთხელ უჩემოდ გაზაფხულდება,
ერთხელ უჩემოდ მოვა ზამთარი.

შენმა ტრფიალმა

„ხრმალი გავსტყორცნე, გარდვიჭერ,
ვეფხი შევიპყარ ხელითა“...

პოეტ მანანა ჩიტიშვილს

შენმა ტრფიალმა საწუთრო
მიქცია ბრძოლის რაუნდად;
ქსნის და არაგვის ჭალებში
ლომებს და ვეფხვებს რა უნდათ.
თორემ მეც გავიჭრებოდი
ამ ჩემს მშობლიურ მხარეში;
რომ ჩამეხედა მაგ ლამაზ,
ფართოდ გახელილ თვალებში.
როგორი ეშხით ამშვენებ
ქართლის გზებსა და ტრამალებს;
გეძებდი სადმე შეგყროდი,
სურვილი ვეღარ დავმალე...
მაგრამ გაგიმხელ, რაცა ვთქვი,
შენი ლექსების ბრალია;
არ შევხვედრივართ ერთმანეთს,
მაგრამ მიყვარხარ ძალიან!

* * *

მეც ამ სოფელში უკმარობის
გრძნობით დავდივარ,
გამოგზავნილი მზის ქვეშეთში
უფლის თავდებით;
წუთისოფლისთვის დაწერილი
ერთი ლექსი ვარ,
წამიკითხავენ ლოცვასავით
და გავთავდები.

ნოდარ მამასაშვილი

ბედნიერი ხარ, წვა შეგიძლია!

ქართულ მწერლობაში პოეზიის პრიმატზე საუბარი დიდი ხანია ბანალურ თემად იქცა. არც იმაზე დავობს ვინმე, რომ ტრადიციულად ქართული პოეზიის ძირითადი მიმართულება პატრიოტულ ლირიკაზე გადის (ყოველ შემთხვევაში – დღემდე). ამ ფაქტის ახსნა, როგორც წესი, საქართველოს ისტორიის თავისებურებათა გათვალისწინებით ხდება. არსებობს აზრი, რომ ამ ტენდენციაში სავალალო მეტია, ვიდრე საამაყო.

მე-20 საუკუნის ბოლოს და 21-ე საუკუნის დასაწყისში ეპოქალურმა ძვრებმა ღირებულებათა გადაფასების აუცილებლობა გამოიწვია, რასაც თემებისა და ფორმების მრავალფეროვნება მოჰყვა. ცენზურა წარსულს ჩაბარდა. სტერილური სივრცე გაირღვა, მოძალება იწყო ისეთმა თემებმა, როგორიცაა: ნარკომანია, პროსტიტუცია, ემიგრაცია, ომი და სხვა. ახალმა თემატიკამ ახალი ფორმის ძიება გამოიწვია. ნელ-ნელა მკვიდრდება სიურეალისტური ტენდენციები, პოსტმოდერნისტული სტილი თავისი ეკლექტიზმით. აქტუალური, თანამედროვე თემატიკის მოძალების პირობებში ტრადიციული თემები თითქოს ანაქრონიზმად იქცა. დაიწყო საუბარი სამშობლოსადმი ენისმოჩლექით ლაპარაკის მოყირჭებაზე.

თემურ ჩალაბაშვილი ის პოეტია, ირონიის, სარკაზმის, აბსურდის მოძალების პირობებშიც, ტრადიციის ერთგული რომ რჩება. მისთვის მემკვიდრეობითობა მწერლობაში უპირველესი ნიშატია. მისი პოეზიისთვის უცხოა ამბიციური ექსპერიმენტები, ფორმალური ღვარჭნილობა, ექსტრავაგანტული პოზა. მას არ აწუხებს უცხოური საცდურისადმი თაყვანისცემის ცდუნება, არ აშინებს ტრადიციულ გზაზე არსებული ხიფათი ბევრჯერ ნათქვამის გადამღერებისა, რადგან ყოველთვის ინარჩუნებს იდენტობას. თუ გაცვეთილი მეტაფორა არ გამოგვივა, ის ლაბა ხარივით ჯიუტად მიიწევს მამა-პაპათა გავლებულ ხნულში მშობლიურ მიწას ჩაჩერებული. აკი თავადაც ამბობს: „და როგორც დაღლილ, ბებერ მეგუთნეს, ხნულზე დამცვივა ალბათ თვალები“. სამშობლო მისი ბედისწერაა, როგორც პოეტი იტყოდა. მარადიული მოცემულობა, რომელიც ბედისწერასავით დაბადებამდე გვეძლევა ერთხელ და სამუდამოდ. მისი არჩევა, შეცვლა (როგორც ამას თანამედროვე ლიბერალური გამოწვევა უშვებს), შეუძლებელია.

„შენთვის მომკლავდნენ,
ვხდები თანახმა,
შენი მოდგმის ვარ
ტერფიდან თხემით.
დაბადებამდე შენ
ჩემთანა ხარ,
სიკვდილის მერეც –
დარდი ხარ ჩემი“.

ნიშანდობლივია ამ ლექსის სათაურიც „ძველი მოტივებიდან“.

სამშობლოს ტკივილიანი წარსული, რაც ერთ-ერთ ლექსში გეგუთის ჯვრის სიმბოლიკით გამოიხატება, ლირიკული გმირის სიამაყეს იწვევს, ამავე დროს, თრგუნავს კიდეც თავისი სიდიადით:

„ამიერიდან მე შენ გეკუთვნი,
გადამავიწყდა ძველი მითები,
შენ ხარ მაღალი ჯვარი გეგუთის,
მე კი – დაღლილი ბერის თითები.
და როგორც მიწა ლტოლვილთ
მიუტევთ,
ნუ გაგაოცებს ჩემი იერი.
შენ ამაყი ხარ ვით სიჯიუტე,
მე ვით სიმორცხვე – ვარ თვინიერი“...

მაგრამ ეს თაყვანისცემა წარსულისა, სულაც არ არის გულუბრყვილო აღ-

ფრთოვანება, ფუჭი სიამაყე, ან თუნდაც თავგანწირვა. ესაა სამშობლოდაკარგული კაცის გაუცხოება, სივრცეებში რომ დაკარგულა და სამშობლოსთვის ვერ მიუგნია. ამიტომაც ამბობს:

„...ახლაღა მივხვდი ჩემი ლაბა ხარების
ზმუილს,
თუ რა სცოდნია დაკარგული
სამშობლოს განცდას,
გვიანღა ვხვდები, სივრცე რატომ
მეუცხოვება,
რად აღარ მიყვარს ძველებურად მზე
და წისქვილი“...

„მე მონატრების მწარე სევდა კუზივით
დამაქვს,
სხეულს მიმღვრევს და გავეშებით
სულს მისიკვდილებს“.

ეს გაუცხოება მტკივნეულია, დამთრგუნველი. რეალობის დრამატიზმი მითოსურ პლანში ირეკლება.სახეთა სისტემაში ვეფხვის სიმბოლო შემოდის, რომელიც ცნობილ ბალადაში მოყმემ დაამარცხა. ოღონდ აქ სულ სხვა ფუნქციით დატვირთული:

„გესმის,რა ავისმომასწავებლად ზმუიან სხვისი უღელიდან გამოქცეული, აპეურაწყვეტილი ლაბა-ხარები?!.

წინაპართა სამარხებიდან როგორ გულისწამღებად, სმენის დახშობამდე გაჰკივიან აქობამდე საეჭვოდ ენაჩამენდილი მიკიოტები!...

საოცარია პირდაპირ,მოყმისა და ვეფხვის ბალადიდან ვეფხვიც რო გამოპარულა დაკარგული სამშობლოს მოსაძებნად... გეყურება? ეს მოყმის დედაა, საბრალო, ასე რომ სტირის გაუთავებლად... თურმე, ვეფხვის დედას დაეძებს (სამძიმრის სათქმელად კი არა),დაეძებს,რათა შვილი ლექსში დააბრუნებინოს“.

დრამატულ სურათს კიდევ უფრო აძლიერებს სხვისი უღლიდან გამოხსნილი, აპეურაწყვეტილი ხარები, წინაპართა საფლავებიდან მომყივანი ნიკიოტები. დედის ფუნქციაც სხვა გამხდარა. პოეზიას აბსურდი ენაცვლება.

როგორც ვხედავთ, თ. ჩალაბაშვილი არ არის ის კაცი, რომლის მზერაც ერთთავად უკანაა მიმართული, მხოლოდ სამშობლოს წარსულზე მიჯაჭვული. ფიგურალურად თუ ვიტყვით, სამშობლოს გუშინდელი დღე ის ათვლის წერტილია, დღევანდელი ყოფის ტკივილის აღქმაში რომ ეხმარება. აწმყოც არანაკლებ ტრაგიკულ სურათს გვთავაზობს:

„ბუნებაც გადაგვარდა მტერთა ნებად,
მზის სხივი დაიბინდა ქარ-წვიმებით,
გაზაფხულზე ამოვლენ ყვავილებად
თოვლქვეშ დამარხული ყმაწვილები.
ამის შემხედვარემ როგორ გავძლო,
ნეტა მოვიტირო რომელ-ერთი,
კვნესის გადამწვარი სამაჩაბლო,
გოდებს უქართველო აფხაზეთი“.

ფიქრი დღევანდელ პრობლემებზე ბუნებრივად აჩენს პუბლიცისტურ ნაკადს. ემოციას განსჯა ცვლის. მტრის სიმრავლეზე საუბარს — ქართველთა გაუტანლობის თემა:

„როდემდე, ო, ღმერთო, როდემდე,
როდემდე!
გვასწავლე ქართველებს ერთურთის
გატანა!
შემართულ მახვილით თვისტომი
მოგდევდეს?!
მოყვასის მანტიით ხარობდეს
სატანა?!..
ამდენი ტკივილი ლექსად არ
ითქმება!
ტამიშთან მიწდება რამდენი ქართველიც,
იმდენი სამარე ჩემს გულში
ითხრება
და სული ფითრდება, ვით ხსოვნის
სანთელი“.

ამგვარ „წყევლა-კრულვიან საკითხავს“, როგორც ერთი დიდი ქართველი იტყოდა, ეხმიანება ლექსი „ბეჟოს“. ესაა თემა, რომელსაც კიტა აბაშიძემ თავის დროზე „საქართველოს სირცხვილი“ უწოდა. ლექსის სტრუქტურა მარტივია და უბრალო. ეს ნაივურობა ფორმისა ხაზს უსვამს სათქმელის სიმძაფრეს. აქ ბავშვი — ერის მომავალი სვამს კითხვას, რომელიც პასუხგაუცემელი რჩება:

„შვილმა ამგვარი დამისვა კითხვა,
გული მომიკვდა, მართალი გითხრათ.
...ცხოვრება მისთვის ტკბილი ხილია,
პატარაა და არ ეშინია... მამა, მითხარი,
კიდევ ესროდნენ,
დღეს რომ ცოცხალი იყოს ილია?!
...შვილმა ამგვარი დამისვა კითხვა...
...პატარამ ჩემი სათქმელი მითხრა“...

მისი ლირიკული გმირი მუდმივად განიცდის სხეულიდან — ცოდვების ჭურჭლიდან — გაქცევის წყურვილს, როგორც ამაოებიდან თავის დაღწევის საშუალებას:

„მე სხეულიდან მინდა გაქცევა,
სადმე შეშლილთა მკრთალ შესაფარში
ხელს ვერ შემიშლის ვერც ზღვის
მოქცევა,
ჩავაფრინდები ტალღებს ფაფარში.

ერთხელ ხომ მაინც უნდა დავეცე,
რომ გავუბრწყინო მიწას ცისკარი.
ჩემი სიმორცხვე ნუ გაგაოცებს,
ნუ გაიკვირვებ — რად მივიჩქარი“.

ან კიდევ:

„სული იყურება
ჩემი სხეულიდან,
როგორც ციხის
სარკმლიდან
სიკვდილმისჯილი
პა-ტი-მა-რი“...

მაგრამ ეს არაა გაქცევა რეალობიდან. პოეტი ვერ ტოვებს საკუთარ სხეულს, როგორც შეგრძნებების სუბსტანციას. რადგან ტკივილის განცდა პოეტისთვის გარდაუვალი ხვედრია, ამიტომაც ვერ დაუღწევია თავი ლექსის მაცილისთვის. მას სწამს „სიცოცხლე მაშინ თავდება, ცრემლი რომ აღარ მოგდის“. ამიტომაც წერს:

„და მერე ვნატრობ წუთს უჩვეულოს,
(უფალო, ავთვალს შენ ამაცილე).
შენც მაპატიე, ჩემო სხეულო,
რომ შეგატოვე ლექსის მაცილებს“...

„ყოველ ცისმარე ვიღაცას ველი,
ვწუხვარ და გულის ცეცხლს სხვას
ვუნელებ,
ნუ გეგონებით მართლა სულელი,
ხანდახან თავს თუ მოვისულელებ“?

პრაგმატული გარემო, კაცთა გაუტანლობა პოეტს აიძულებს შლეგის ნიღაბი მოირგოს. რადგან გამორჩეულობას ბრბო არ პატიობს, როგორც წესი. ის თავს ვერ აღწევს ტრაგიკულ კითხვებს. ვერც ბოჰემაში კლავს სიმარტოვის განცდას:

„რომ გადავყვები ზოგჯერ ბოჰემას,
შემოენთება სულს აგონია,
ალალად დავლევ ქუჩის ლოთებთან,
იქნებ ვიღაცას ლოთიც ვგონივარ?
ვზი პატიმარი ვიწრო საკანში,
სად ფრთას ვერ გაშლის ჩიტი კანარის,
ხშირად მგონია, აღარ ვახსოვარ
დედაჩემის მეტს ქვეყნად არავის“.

პოეტს საკუთარი არსის, თვითდადგინების წყურვილი ტანჯავს, რომელიც კაცობრიულ პრობლემებთანაა გადაჯაჭვული. ყოფნა-არყოფნის ტრაგიკულ საკითხავს ნაივურად ეხმიანება.

„ვერავინ მითხრა ამ სოფლის
უბრალო ავან-ჩავანი,
მე რომ ზედმეტი მეგონა,
თურმე ის იყო მთავარი.
ვერ ვნახე ჩემი გზაწვრილი,
ვერ ვპოვე ჩემი სავალი,
მერე მოვიდა სიკვდილი, —
მან მითხრა გამოსავალი“.

მიუხედავად იმედგაცრუებისა, ავტორი მაინც ოპტიმისტად რჩება. ის მაინც სიცოცხლის მოიმედეა. კაცთა გაუტანლობაზე ჩაფიქრებულს სიცოცხლის სიყვარული სძლევს:

„მიწა მარტოდენ
ბრძოლის ველია,
ო, პირველობას
როგორ ეძებენ,
სძულთ ერთმანეთი, —
საკვირველია,
უერთმანეთოდ
მაინც ვერ ძლებენ.“..

„ნუ ჩაგეჭრება ეგ გულში დარდად,
როცა წარსულში იწყებ ხეტიალს,
არაფერია სიცოცხლე, მაგრამ
სიკვდილზე მაინც ცოტა მეტია“...

მიუხედავად მკაფიოდ გამოკვეთილი მოქალაქეობრივი პათოსისა, ნებისმიერი პოეტის შემოქმედების სასინჯი ქვა სატრფიალო ლირიკაა. თემურ ჩალაბაშვილის სტრიქონი ფაქიზია, ინტიმით გამსჭვალული:

„შენ ფაქიზი ხარ, ისე ფაქიზი,
ისე ფაქიზი — როგორც სიკეთე.
როგორ გიყვარდე, როცა შენს გულში
ჩიორაც ბუდეს ძლივს გაიკეთებს.
ო, როგორ მინდა, გადაგარჩინო,
გული გავწირო კარგი გულისთვის.
შენ პატარა ხარ, ისე პატარა,
„არ მემეტები სიყვარულისთვის“...

ამგვარ ფაქიზ სტრიქონებს ხანდახან ჰეროიკული ინტონაციები ენაცვლება. ძალუმად იგრძნობა მემკვიდრეობითობის კვალის უწყვეტობა. მაგალითად ლექსში „გოგლაურა“:

„გეხვეოდი, ლამის ტრფობამ
დაგვახრჩო,
ტყეში შურთხმა თუ დააფრთხო მთვარე,
ივირს პირას ვკრიფეთ თეთრი ყაყაჩო
და გომბორზე გავათიეთ ღამე.
ტანზე იის სამოსელი გემოსა,
ფერხთ გეფინა ზოწეულის ფარჩა,
ვით აღლუმში გამარჯვებულ ცხენოსანს,
არ მელოდა სიყვარულის ჯვარცმა.
გზად მიმავალთ მტერი გადაგვეყარა,
რა ყოფილა, ეჰ, მუხთალი ბედი,
გაგიტაცეს და წამართვეს ქვეყანა,
მეც გადმომწვდნენ, გამიჩეხეს მკერდი.
გული მოკვდა... ნეტავ ვინ გამიმეტა,
ვისი საყდრის გახვევია მრევლი.
შორს მიმავალს რა მიმყვება იმედად?
მხოლოდ წყვილი სიყვარულის
ცრემლი“...

ადვილი ამოსაცნობია გ. ლეონიძის „ყივჩაღის პაემანის“ გამოძახილი. იგივე ტენდენცია იკვეთება ლექსში „ანასეული“. საინტერესოა, რომ აქაც, სატრფიალო ლირიკაშიც პოეტის სახეთა სისტემას კვლავ საშშობლოს ასოციაციური ხატები კვებავს:

„მე ვიტირებდი,
მაგრამ, ვაჰ, თუ
ცრემლი არ მეყოს.
უშენოდ ჩემი სიცოცხლე
რა ასატანია.
შენა ხარ ჩემი დანგრეული –
ციხის სამრეკლო,
ჩემი ყინწვისის ანგელოზი
და ბეთანია“...

პოეტის სიტყვა მარტივია და სადა. სახეთა სისტემა ორგანული. ადვილი შესამჩნევია სიახლოვე ხალხურ ძირებთან. ის ხშირად მიმართავს ხალხური ლექსის ფორმის მისტიფიკაციას:

„გაგეჯიბრები, სიკვდილო,
აბა, სად შენ და სად მეო,
მასპინძლად ხო არ ვარგიხარ,
აღარც რო მიშვებ სადმეო.
დამხვდები ჩაღამებული
მე, მოწყვეტილსა სამზეოს,
წამიყვან? პაპის პაპასთან
რო ვეამბორო მხარზეო.
სისხლი მოვწმინდო მკერდზედა,
ხელი შევავლო ფარზეო,
არცა რა მედარდებოდეს,
დამდგარსა სწორსა კვალზეო“...

„...მგონი, გაჯობე, სიკვდილო,
ავს არ ამბობენ მკვდარზეო.“..

მოყვანილ ლექსში არამარტო ფორმაა ხალხური, არამედ ფილოსოფია, რომელიც ირონიითაა გაჯერებული. სიკვდილის დაცინვით მოხსენიება ხომ ნიშნეული შტრიხია ქართული მსოფლაღქმისთვის.

მოვიყვანთ ხალხური სილაღის სხვა მაგალითსაც:

„არცა ვყოფილვარ ჯაბანი,
არცა ვყოფილვარ მშიშარა.
ტიალმა წუთისოფელმა
ბევრჯერამც მიმტრო მიშარა.
თვალამღვრეული დავდივარ,
მიშავ და არცა მიშავ რა“...

პოეტმა იცის პაუზის ფასიც. ქვეტექსტების, მინიშნებების საჭირო მომენტიც. მისი ლექსები სავსეა ინტონაციური მრავალწერტილით. საგულისხმოა, რომ მისი ბევრი ლექსი მრავალწერტილით მთავრდება, უფრო სწორად, გრძელდება. ავტორი ამ ხერხით აიძულებს მკითხველს გახდეს მისი თანაზიარი, ანუ პროვოცირებას ახდენს მისი ფანტაზიისა.

თ. ჩალაბაშვილი არამარტო თემების შერჩევაში იჩენს ტრადიციის ერთგულებას, ის ფორმითაც ტრადიციული, კონვენციური ლექსის ერთგულია, თავისი ვერსიფიკაციული მრავალფეროვნებით. მისთვის მთავარი მელოდია აკუსტიკური ეფექტია.

კარგად ფლობს ბგერწერის ხელოვნებას, ალიტერაციას:

„სიცოცხლე ერთი წამია,
გულზე ზღვა ცეცხლის წამდები,
წამი სულ წამში წამივა,
წამო, ნუ გამიწამდები“!

პოეტის მეტაფორა ზუსტია და სახოვანი:

„ააკანკალა უძირო მთვარეს,
მთას დაეკიდა აშლილ ფაფარზე,
და მომეჩვენა, მტირალი ღამე
სულს ლევდა ჩემი ფანჯრის რაფაზე“.

ღრმა ემოციითაა დამუხტული შემდეგი ორიგინალური ტროპი:

„რომ დავარხიო ალბათ შენი
მაყვლის კენწერო,
ჩემი ბავშვობა გადმოვარდება.“

ან კიდევ:

„ცა აჩეხეს თითქოს ხმლებით,
გომბორს მოჰყეფს ღამე“...

„მწერლობის მსახურება მსხვერპლთშეწირვას გავს. პოეტი ქურუმიცაა და ზვარაკიც ერთდროულად. ის ნებაყოფლობით ეტანება სიტყვიერების ციხის კედელში, რათა მისი სიმტკიცე გადაარჩინოს.

„ყველა მიყვარდა და ჩემგან თურმე,
ყველას თავისი წილი მიჰქონდა.
ასე ნელ-ნელა სიცოცხლე ჩემი
დავანაწილე სტრიქონ-სტრიქონად“...

ლექსის შექმნის ნიჭი მადლიცაა და სასჯელიც, ამავე დროს. თემურ ჩალაბაშვილის პოეზიის თუნდაც ზერელე ანალიზი ადვილად გვარწმუნებს ამაში. სულ ახლახან „ინტელექტმა“ მისი ასი ლექსი გამოსცა, რაც შემოქმედებითი რთვლის დადგომას მოასწავებს. თავისუფლად შეიძლება ავტორზეც ითქვას მისივე სიტყვები, ლექსიდან „სანთელი“, რომელიც ფიროსმანს ეძღვნება:

„...შენ სანთელი ხარ სუსტი, უბრალო.
მაგრამ რამდენი კვნესა გიგრძვნია.
შენ საქართველოს ჭირისუფალო.
ბედნიერი ხარ, წვა შეგიძლია“...

ჯუმბეი ჯიშკარიანი

ფრაგმენტები ამერიკული დღიურიდან

ზამთარი სამხრეთ კაროლინაში

ამერიკის შეერთებული შტატები, მართლაც, გრანდიოზული ქვეყანაა! მის ტერიტორიას სამი ოკეანე აკრავს. მრავალფეროვანია მისი ბუნება. ალიასკაზე, ანკორიჯში ზაფხულშიც რომ თოვლია, ქვეყნის სამხრეთით – ფლორიდასა და კალიფორნიაში იანვარშიც კი ვარდები ჰყვავის...

სამხრეთ კაროლინა ქვეყნის სამხრეთში მდებარეობს. დასავლეთით მას ჯორჯიის შტატი ესაზღვრება. ჩრდილო-დასავლეთით – ტენესის, ჩრდილოეთით – ჩრდილოეთ კაროლინის შტატი, სამხრეთითა და აღმოსავლეთით კი ატლან ტიკის ოკეანე ეკვრის. შტატი ძირითადად დაბლობზეა გაშლილი. მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთით, ქალაქ გრინვილიდან 60 კილომეტრის შემდეგ იწყება მთები, რომელთა სიმაღლე 1200–1300 მეტრს აღწევს.

სამხრეთ კაროლინა ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე პატარა შტატია, თუმცა დამოუკიდებლობა 1788 წლის 23 მაისს მიიღო. დედაქალაქია კოლუმბია, რომე ლიც შტატის შუაგულში მდებარეობს, ზღვის დონიდან 70–80 მეტრის სიმაღ ლეზე. კოლუმბიიდან ატლანტიკის ოკეანემდე მანქანით ორი საათის სავალია. შტატის მოსახლეობა სამი მილიონ 716 ათას ოთხას კაცს შეადგენს.

პატარა უთხარი შენ! შტატში იმდენივე კაცი ცხოვრობს, რამდენიც დღეს დარჩენილია საქართველოში! სავალალოდ, დანარჩენი ლუკმაპურის საძებრად უცხოეთშია გადახვეწილი.

22 იანვრამდე მთელ სამხრეთში მზიანი დღეები იდგა. ჰაერის ტემპერატურა 17–19 გრადუსზე დაბლა იშვიათად ჩამოდიოდა. 23 იანვარს, შუადღისას პირველი თოვლი წამოვიდა, საღამოს შვიდ საათზე კი მტკაველს მიაღწია! ეს უჩვეულო მოვლენაა ამ შტატისათვის. მოსახლეობის უმრავლესობამ საკუთარი მანქანები შინ დატოვა და ტაქსის იმედით გამოვიდა ქალაქში. დაიკეტა სკოლები, ბაღები, ზოგიერთი მაღაზიები. ქალაქ ანდერსონის დასავლეთ რაიონში სამი დღის განმავლობაში არ იყო შუქი. საქმე ისაა, რომ აქ ელექტროხაზები ძალიან დაბლა გადის. თოვლის სიმძიმემ ხეებს ტოტები შეასხიპა, ტოტებმა კი სადენები დაწყვიტეს. ვიდრე ხაზებს აღადგენდნენ, უშუქო ბინებში გაითოშნენ. შეძლებულები დროებით სასტუმროებში გადავიდნენ საცხოვრებლად, რადგანაც იქ ენერ გიის ავტონომიური კვებაა.

სულ ერთი კვირა გრძელდებოდა მკაცრი ამინდი, მაგრამ მოსახლეობა შეფიქრიანებულია. უარესის მოლოდინში მოსახლეობამ პროდუქტების მაღაზიები დაიცარიელა, თუმცა, ეს ბევრს არაფერს ნიშნავს – დეფიციტი გამორიცხულია. ყოველ საღამოს მაღაზიების წინ ყოველგვარი საქონლით დატვირთული მანქანე ბის რიგი დგას... შემოდის პური, ფუნთუშეული, საქონლის, ღორის, ცხვრის ხორცი, ძეხვეული, ქათამი, ინდაური, ყოველგვარი ახალი მწვანილი, კიტრი, პამიდორი, მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი, გრეიპფრუტი, ვაშლი, მსხალი, ატამი, ქლიავი, გარგარი, ანანასი, მანგო, ავავარდო, მარწყვი... დიახ! შუა ზამთარში სათუთად დაფასოებული სურნელოვანი მარწყვი და ხენდრო.

ასე რომ, ჩვენ ვიკითხოთ, თორემ ამათ რა უჭირთ.

– სულ სამი დღე იყო უშუქოდ ანდერსონის მოსახლეობის მცირე ნაწილი და ქალაქის მამებმა ეს ამბავი ლამის ეროვნულ უბედურებად მიიჩნიეს. მანამ არ მოისვენეს, ვიდრე უკანასკნელი სადენი არ აღდგა და ბოლო სახლი არ განათდა...

– ათ წელზე მეტია, საქართველოს მოსახლეობა მონატრებულია შუქს, გაზს, სითბოს, საკვებს, მაგრამ... ითმენს, ითმენს იობის მოთმინებით...

ნეტავ როდემდე?

ღმერთო! შენ შეეწიე ჩემს ხალხსა და ქვეყანას...

აშშ, სამხრეთ კაროლინის შტატი
ქ. გრინვილი, 2000 წ.

ბატონო მიხეილ! თქვენს უკან გელათია

2004 წლის 24 იანვარს, ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა გელათში, დავით აღმაშენებლის საფლავზე წარმოსთქვა სიტყვა, რომელმაც

ხალხი იმედებით აღავსო! ბატონი მიხეილი მოსახლეობას შეჰპირდა, რომ ყველაფერს იღონებდა საქართველოს ერთიანობისა და მთლიანობის აღსადგენად.

— ესაა ჩემი ცხოვრების მიზანი,— თქვა მან; ამისათვის მთავრობა უნდა ცხოვრობდეს ისე, როგორც ხალხი, ისეთივე გაჭირვებაში. უნდა მოიჭიროს ქამრები, უნდა გაიჭირვოს და ა.შ.

დიდებული, გულისამაჩუყებელი სიტყვებია, მაგრამ როგორც გენიალური შოთა რუსთაველი ბრძანებდა რვა საუკუნეზე მეტი ხნის წინ,„— სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უზის დიდი მზღვარი“.

საქართველოს მთავრობა სწორედ რომ არ ცხოვრობს ისე, როგორც უნდა ცხოვრობდეს. ყველაზე შემაშფოთებელი ისაა, რომ ისინი ხელფასს იღებენ მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან გამოპინტრიშებული, ცბიერი და ვერაგი მევახშისგან — ჯორჯ სოროსისგან, რომელსაც ცხოვრებაში ერთი ცენტიც არ გაუღია უანგაროდ!

დიდი ფილოსოფოსობა არ სჭირდება იმის მიხვედრას, რომ ვინც ფულს იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს!

ჯორჯ სოროსი მანამ არ მოისვენებს, სანამ საქართველოში დაბანდებულ ორას მილიონ დოლარს ათმაგად არ აინაზღაურებს.

ამაზრზენია, მაგრამ ლოგიკურად იბადება აზრი, რომ საქართველოს ხელი სუფლება უცხოეთის აგენტებით ყოფილა დაკომპლექტებული!

1941 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული რამდენიმე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემია დაარსდა, რომელიც ათეული წლების მანძილზე ერის სიამაყე გახლდათ.

აკადემიკოსების — ნიკოლოზ მუსხელიშვილის, ივანე ბერიტაშვილის, ვიქტორ კუპრაძის, აკაკი შანიძის, ალექსანდრე ჯანელიძის, არნოლდ ჩიქობავას და სხვა დიდ მამულიშვილთა მიერ საფუძველჩაყრილი აკადემია მძლავრ სამეცნიერო ცენტრად, ქართული ინტელექტუალური პოტენციალის წარმოჩენის კერად იქცა!

ნებისმიერმა წიგნიერმა ადამიანმა იცის მსოფლიოში სახელგანთქმული ქართული მეცნიერული სკოლების მიღწევები!

და აი, ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში, სოროსის შხამიანი ძუძუთი ნაკვები არამზადები ამ სამეცნიერო კერის განადგურებას შეუდგნენ!

ამას წინათ მოსკოვში დავუკავშირდი ჩვენს თანამემამულეს, გამოჩენილ მეცნიერსა და მეცნიერების დიდ ორგანიზატორს, იმუნოპათოლოგიის მსოფლიო ორგანიზაციის პრეზიდენტს, მოსკოვის იმუნოლოგიისა და ალერგოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ბატონ რევაზ სეფიაშვილს და აზრის გამოთქმა ვთხოვე.

— ჩემი პოზიცია ცალსახაა! — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დახურვის, ან მისი რომელიმე სამინისტროსადმი დაქვემდებარების სასტიკი წინააღმდეგი ვარ! ეს გამოუსწორებელი შეცდომა იქნება ქვეყნის ისტორიაში,— ბრძანა მან.

სამწუხაროდ, საქართველოსთვის საბედისწერო ჟამს, ვერც ჩვენმა სახელო ვანმა მეცნიერებმა გამოიჩინეს სულის სიმტკიცე, — ისინი დუმილით შეხვდნენ შევარდნაძე-სიგუა-კიტოვან-იოსელიანის მიერ განხორციელებულ სამხედრო-კრი მინალურ გადატრიალებას, კანონიერად არჩეული ეროვნული ხელისუფლების დამხობას და არამზადათა თარეშს! უფრო მეტი — სამხედრო გადატრიალების დროს მეცნიერებათა აკადემიის შენობაში „მეამბოხეთა“ ერთ-ერთი შტაბ-ბინა იყო განთავსებული, მაგრამ პროტესტი არავის გამოუხატავს.

სამწუხაროდ, მეცნიერებმა ვერ გაითავისეს გამჩენილი მწერლისა და დიდი მამულიშვილის ლევან გოთუას შეგონება — „ვარამბედობის ჟამს საკუ თარი მარნებიდან ნუ გახედავთ საერთო საქმეს, თორემ ყველას წაგიმწარდებათ ზედაშე“.

აკი, წაუმწარდათ კიდეც...

მხოლოდ მაშინ, როდესაც შინნაზარდი, უცხოეთში ნაკვებ-ნაპატივები ბარბაროსები მათ მარნებსაც მიადგნენ, მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდნენ და ხმის ამოღება სცადეს...

— ზურაბ ჟვანია ისტორიაში შევა, როგორც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მესაფლავე, — ამოიკვნესა მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა ვანო კიღურაძემ. სავალალოდ, მისი ხმა დარჩა ხმად მღაღადებ ლისა უდაბნოსა შინა, რადგან ეშმაკის ბორბალი უკვე დატრიალდა...

როგორც ერთ სიმღერაშია, — ბედის ბორბალი ტრიალებს, დრო მიდის, დრო მიდის, დრო ყველას გაგვატიალებს...

ამაოდ ჰგონიათ ლომაიებს და მისნაირ რეგვენებს, რომ შერჩებათ ჩადენილი უკეთურებანი...

„ყოველი ჩვენგანი თავის ანგარიშს ჩააბარებს ღმერთს“.

რომაელთა მიმართ; 14:12

„კარგად დაიხსომეთ, თქვე ღვთისმგმობელნო!

ქრისტეს ფეხის მკვნეტელნო!

მოვა შურისგება, ღვთის საზღაური“!

ესაია წინასწარმეტყველი; 35:4

ედპ-ს ყოფილი ლიდერისგან, ირინა სარიშვილისგან იმდენი სიავე გვახ სოვს, მისი აპოლოგეტი ვერასოდეს გავხდები, მაგრამ ამჯერად იგი მართალია, როდესაც წერს, — „ჟვანიასნაირი პრემიერ-მინისტრი პრეზიდენტ სააკაშვილის თვის, მართლაც, საშიშია! ჟვანიას აქვს ინტერესი, განადგურდეს მისი კონკუ რენტი სააკაშვილი. არა აქვს მნიშვნელობა, რა ფორმით, — ეს იქნება

ფიზიკური განადგურება თუ პოლიტიკური დისკრედიტაცია“.

— თუ ბატონი მიხეილ სააკაშვილის ზეობის ჟამს განადგურდება საქართვე ლოს მეცნიერებათა აკადემია, ეს ნიშნავს, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის მზეც ჩაესვენება! მიუხედავად იმისა, თუ ვისი მოფიქრებული, დაგეგმილი და „შემოგდებულია“ ეს მზაკვრული, ქვეყნისთვის საზიანო, ღირსების შემლახველი, ვაჭრუკანული გადაწყვეტილება!

2004 წლის 25 იანვარს თბილისში, ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა საჯაროდ განაცხადა: — „საქართველო უნდა იქცეს ქვეყნად, სადაც ყველაზე დიდი სიმდიდრე იქნება ცოდნა და განათლება; სადაც უმთავრესი პრიორიტეტი იქნება სწორედ ჩვენი შვილების განათლებაზე ზრუნვა“.

ამ მამულიშვილური, იმედის მომცემი სიტყვების ფონზე, განათლების სფე როში ეგზომ გაუნათლებელი, ოდიოზური პიროვნებების აღზევება და რეფორმად წოდებული, განათლების სისტემის დამანგრეველი, მანკიერი ფაცი-ფუცი მეტად დამაფიქრებელია!

„— მირჩევნია მოვკვდე, ვიდრე ჩემს ხალხს იმედები გავუცრუო“, — ბრძანა თერთმეტი თვის წინ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.

სამწუხაროდ, ქვეყნის მოსახლეობა არა თუ იმედგაცრუებული, სასოწარკვე თილია ყოველივე იმით, რაც დღეს საქართველოში ხდება...

ფრთხილად, ბატონო მიხეილ! თქვენს უკან გელათია!

აშშ, ფლორიდა

ამერიკაში დანთებული სანთელი...

ოცდაათ წელზე მეტია, ამერიკაში ცხოვრობს და მოღვაწეობს ცნობილი მხატვარი ცისანა ჯანაშვილი, რომელთანაც მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერ თობა მაქვს.

ამას წინათ, დილაადრიან დამირეკა ნიუ-იორკიდან.

— გუშინ ჩვენი მეტრი იყოო ჩემს სახელოსნოში (ასე მოვიხსენიებთ საუბრისას საქართველოს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, ცნობილ კინოკრიტიკოსსა და ესსეისტს, ბატონ ოთარ სეფიაშვილს, რომელიც ნიუ-იორკში, ცისანას მეზობლად ცხოვრობს); ბატონმა ოთარმა ახალი პორტრეტების სერია მომიწონაო, თან მითხრა — შენს გალერეაში აუცილებლად უნდა იყოსო გრიგოლ რობაქიძის პორტრეტი. რობაქიძის შემოქმედებას არ ვიცნობ, მხოლოდ ის ვიცი, რომ გამოჩენილი ქართველი მწერალი იყო და ემიგრაციაში გარდაიცვალა. რა ვქნა?

ცისანას ნათქვამი არ გამკვირვებია. იგი ცხრამეტი წლის იყო, მშობლებთან და მეუღლესთან ერთად საქართველოდან რომ წავიდა. იმ დროს რობაქიძის სახელს ტაბუ ედო. ბუმბერაზი მწერალი ნახევარი საუკუნის განმავლობაში საქართველოში აკრძალული იყო. როდისღა უნდა გაეცნო მისი შემოქმედება? თან, ორი ემიგრაციის შემდეგ (ისრაელი, ამერიკის შეერთებული შტატები), იმდენმა ქარიშხალმა გადაიქროლა ამ შროშანივით ნაზი ქალბატონის თავზე, რომ გიკვირს, — როგორღა გაუძლო ცხოვრების ორომტრიალს. ცისანამ კი, არა თუ გაუძლო, სამასამდე ფერწერული ტილო და გრაფიკული ჩანახატი შექმნა. აქვე გავიხსენებ,— ბატონმა ოთარმა რომ ბრძანა ერთ-ერთ ინტერვიუში, — ცისანა ჯანაშვილმა უკანასკნელ წლებში ნამდვილი შემოქმედებითი გმირობა ჩაიდინაო! გამოჩენილ ადამიანთა ასამდე პორტრეტი შექმნაო; თანაც, ამ სერიაში, რამდენიმე შედევრად მიმაჩნიაო!

არადა, ბატონი ოთარ სეფიაშვილი შექებაში ძალიან „ძუნწია“, — ჰაიჰარად არასოდეს იტყვის სათქმელს...

ცისანას ნათქვამზე გამახსენდა — რამდენიმე წლის წინ, შინდან გაზეთ „არგუმენტის“ რამდენიმე ნომერი გამომგზავნეს. ერთ-ერთში გრიგოლ რობაქიძი სადმი მიძღვნილი მასალა იყო დასტამბული. მაშინ, წერილი რომ წავიკითხე, მადლიერებით აღვივსე გაზეთის რედაქტორის, ჩემი ძვირფასი მეგობრის, ლევან ფანჩვიძისადმი. თბილისშიც დავურეკე. ასევე, ათასი მადლობა შევწირე ჩემთვის უცნობ ჟურნალისტს, ირმა ახალაიას, რომელმაც მწერლის არქივში დაცული ბარათების მიხედვით მომზადებული, გრიგოლ რობაქიძისა და ავსტრიელი არისტოკრატი ქალის, გრაფინია გიტა ფონ შტრახვიცის სიყვარულის სულისშემძვრელი ისტორია გაგვაცნო...

— ეტყობა, ამ დღისთვის შემომინახავს „არგუმენტის“ ის ნომერი...

ცისანას ტელეფონით წავუკითხე „გრიგოლ რობაქიძის უკანასკნელი სიყვარულის ისტორია“.

— როდის გამომიგზავნი? — მკითხა მოუთმენლად.

გამიკვირდა. ჩვენი თანამშრომლობა ხუთი წელია გრძელდება. ერთმანეთს ხშირად ვუცვლით ფოსტას, — წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს, ხელნაწერებს. ცისანას არასოდეს უკითხავს, — როდის გამომიგზავნიო, რადგან იცის, მაშინვე ვუგზავნი, როგორც კი საშუალება მეძლევა.

ვიგრძენი, რომ წერილმა შეძრა.

გაზეთი იმავე დღეს გავუგზავნე სასწრაფო ფოსტით.

მეორე დღეს, ცისანამ თბილისში მეგობართან, ნინო მიქაბერიძესთან დარეკა, რობაქიძის წიგნები თხოვა.

— სახლში არ გვაქვს, მაგრამ ქვას გავხეთქავ და გიშოვიო,— დაამშვიდა ნინომ.

მართლაც, სამი კვირის თავზე ცისანამ თბილისიდან „გველის პერანგი“, “ჩაკლული სული“ და „აკაკის ქნარი“ მიიღო.

რამდენიმე დღის შემდეგ, ცისანა ხატვას შეუდგა.

მე კვლავ ჩემს არქივში ვიქექები...

ხელთ მაქვს 2005 წლის 26 ოქტომბრის „ცისკარი“, რომელშიც წერია:– „ცისკარი“ და გრიგოლ რობაქიძის სახელობის ფონდი, მის ხელმძღვანელთან, ავთანდილ ჩხიკვიშვილთან ერთად გთავაზობთ გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების რამდენიმე ნიმუშს, რომლებიც აქამდე არ გამოქვეყნებულა თანამედროვე პრესაში“.

ლიტერატურულ გვერდზე დასტამბულია კლასიკოსი მწერლის შემოქმედ ბის ადრინდელი პერიოდის – „ჩემი ნატვრა“, „ქართული რომანი“ და „ქართველ მწერალთა საყურადღებოდ“. ეს უკანასკნელი „თემში“ დაბეჭდილა 1912 წელს. წერილებში მრავალი საინტერესო აზრია ჩაწნეხილი.

როგორც სარედაქციო წერილი გვაუწყებს, „–პიროვნებას, რომელმაც შეძრა მეოცე საუკუნის ფილოსოფიური აზროვნება; პიროვნებას, რომელმაც გეორგ ზიმერმანთან ერთად დააფუძნა სოციოლოგია, როგორც მეცნიერება; პიროვნებას,რომელმაც განაახლა და ახალი სახე და მიმართულება მისცა ქართულ ლექსს, და შექმნა ახალი, მეოცე საუკუნის ლაპიდარული რომანი; პიროვნებას, რო მელმაც სანდრო ახმეტელთან ერთად საფუძველი ჩაუყარა ქართულ ჰეროიკულ თეატრს, და ხელი შეუწყო ქართული კინოს დაარსებას; პიროვნებას, რომელსაც არა მარტო საქართველოში, არამედ ევროპაში ესთეტიზმის მეტრად და კანონმდებლად აღიარებდნენ, 2005 წლის 28 ოქტომბერს, 125 წელი შეუსრულდებოდა.

სამწუხაროდ, მისი სათაყვანო საქართველო ბუმბერაზ მწერალს იუბილეს ვერ უხდის. გრიგოლ რობაქიძე 50 წლის განმავლობაში საქართველოსთვის აკრძალული მწერალი იყო. როგორც იქნა, ნება დართეს მის შემოქმედებას დაბრუნებოდა მშობლიური ხალხის სამსახურს. ვერც მერე მოიცალეს ჯეროვნად; ქვეყანამ ვერ მოიცალა თავისი ერთ-ერთი საუკეთესო შვილის დაფასებისათვის. არა უშავს, ჭეშმარიტ ქართველებს ყოველთვის ახსოვდათ და სალოცავად ჰქონდათ გრიგოლ რობაქიძის სახელი“... („ცისკარი“, 28 ოქტომბერი, 2005 წელი, გვ. 7).

ჩემი ღრმა რწმენით,ერთი ასეთი ჭეშმარიტი ქართველია ცნობილი მოქანდაკე, ჯემალ ბჟალავა.

სამოციანი წლების დასაწყისში, იგი ერთ ხანს ჩემთან ცხოვრობდა, როდესაც სამხატვრო აკადემიაში ქანდაკებას ეუფლებოდა. დღისით სასწავლებელში იყო, ხატავდა, ძერწავდა; შინ დაბრუნებული,მაშინვე ჩაუჯდებოდა და წერდა თავაუღლბლად. ხელნაწერმა ლამის ჩემოდანი გაავსო... თურმე, „გველის პერაგი“ გადაწერა, რომელიც მალულად უთხოვებია მეგობარს!

ერთად წავიკითხეთ არჩიბალდ მექეშის ბობოქარი ცხოვრების ისტორია...

სამწუხაროდ, ვერც ჯემალი გადაურჩა ემიგრანტულ ცხოვრებას. ორი ათეული წელია, იგი ოჯახთან ერთად საფრანგეთში ცხოვრობს და მოღვაწეობს. ოღონდ, მისი სათაყვანო მწერლისგან განსხვავებით, ჯემალს ნებისმიერ დროს შეუძლია სამშობლოში დაბრუნება. ჩამოდის კიდეც. პირველ რიგში დედის საფლავთან მოიყრის მუხლს, შემდეგ მისი მფარველის, – მარტვილის მხარეთ-მცოდნეობის მუზეუმის დირექტორის, გივი ელიავას საფლავთან გაირინდება; ნაცნობ-მეგობრებს ნახავს, მოისიყვარულებს და კვლავ საფრანგეთში ბრუნდება,სადაც შემოქმედებითი მუშაობის ბევრად უკეთესი პირობები აქვს.

ამერიკაში ჩემი წამოსვლის წინ, თბილისში იყო, შინ გვეწვია ქალი შვილთან, ნინოსთან ერთად. ბევრ რამეზე ვისაუბრეთ...

იმ დღეს, ჯემალმა თავისი ოცნება გამანდო – დიდი ხანია ვუტრიალებ; ჩემთვის სათაყვანო ადამიანების, – კონსტანტინე გამსახურდიას, გრიგოლ რობაქიძისა და ლევან გოთუას პორტრეტების შექმნა მინდაო...

ღმერთმა ხელი მოუმართოს!

მჯერა! ჯემალმა თუ რამე დაისახა მიზნად, აუცილებლად მიაღწევს...

დასასრულს, მკითხველს ვთავაზობ „ცისკარში“ დასტამბულ გრიგოლ რობაქიძის „ჩემი ნატვრის“ ფრაგმენტს.

„– ჩემი ნატვრაა,როცა მე ამ სოფლად უკვე აღარ ვიქნები, მოდიოდეს ვინმე ქართველი დედა ყოველ წელს მცხეთას, მწიფობის, ჩემი დაბადების თვეში,სანთელს აანთებდეს ამ პაწა სალოცავის წინ და ლოცვით ახსენებდეს ჩემს სახელს.

მეტს არას ვთხოვ საქართველოს“.

– ნიუ-იორკში, ქვინსში, რეგო-პარკში,ერთ-ერთი ცათამბჯენის მეთოთხმეტე სართულზე, გრიგოლ რობაქიძის ფერწერული პორტრეტი შეიქმნა...

...ნიუ-იორკში მოღვაწე ჩვენმა თანამემამულემ, ცისანა ჯანაშვილმა, ბუმბერაზი ქართველი მწერლის ნათელ ხსოვნას, ერთი მოკრძალებული სანთელი დაუნთო...

აშშ, ფლორიდა, 2009 წ

„ფესვები“..

„ო! იმას, ვვონებ, ახელილი
დარჩა თვალები!
ო, რა ძნელია უცხოეთში
გარდაცვალება!“

ლევან გოთუა, ბიისკი, 1935

ექვს წელზე მტია, ამერიკაში ვარ. ჩვიდმეტი შტატი შემოვიარე. ბევრი რამ ვნახე და განვიცადე, ავიც და კარგიც. მესამე წელია, ფლორიდას შემოვრჩი. სამოთხისდარი მხარეა, თუმცა არც პრობლემები გვაკლდა. ხუთჯერ „გადაგვიარა“ გრიგალმა. ხან „შარლი“ გვიტევდა, ხან „ფრენსი სი“, ხანაც „აივენი“ თუ ათასი დოზანა,მაგრამ ბიჭიც ვერ მოგვაცვლე ვინა, რადგან ათამდე ქართველი ერთად ვიყავით, ჭირშიც, თუ ლხინშიც.

„– ქართველების ერთად ყოფნა დამილოცე, ღმერთო!“ – ჩვენი დევიზი იყო!

ამან გაგვაძლებინა.

ჩვენს მეგობარს შოთა მეშველიანს ქართული ფილმების იმდენი კასეტა ჰქონდა, ხუმრობით „კულტურის მინისტრს“ ვეძახდით.

– ისეთ ხუმრობას რა ვუთხარი, ნახევარი სიმართლე არ იყოსო, – ნათქვა მია.

არადა, საქართველოდან იმდენად დაუჯერებელი, გამაოგნებელი ამბები მესმის, კულტურის ამჟამინდელ მინისტრზე მეტ ეროვნულ საქმეს შოთა მეშვე ლიანი ნამდვილად აკეთებდა თურმე – ფლორიდაში...

შოთასგან რიგრიგობით მიგვქონდა „დათა თუთაშხია“, „ყვარყვარე“, „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „დაკარგული სამთხე“, „ფესვები“, „უძინართა მზე“, „ქართული სიმღერები“, „ქართული ცეკვები“, იუმორინები, სხვადასხვა კონცერტის ჩანაწერები...

უბედნიერესი კაცია შოთა მეშველიანი!

ვეღარ გაუძლო ამერიკულ „საამურ ცხოვრებას“, პირჯვარი გადაიწერა და სამშობლოსკენ გაუტია!

პირველად გაუჭირდა თურმე, მაგრამ მიუხედავად მწარე რეალობისა, – ქვეყნად გამეფებული საყოველთაო სიღატაკისა, სიდუხჭირისა და ათასი სხვა პრობლემისა, თავს ბედნიერად თვლის! ის ხომ თავის სამშობლოშია, თავის მიწაზე, თავის ოჯახთან, ნათესავებთან, ახლობლებთან, მეგობრებთან, რომელ თაც ექვსი გრძელი წელიწადი მონატრებული იყო...

საქართველოში დაბრუნების წინ შოთამ კასეტების ნაწილი დამიტოვა. სამშობლოში რომ წამოვალ, მეც სხვას დავუტოვებ. დაე, იტრიალოს ქართულმა სულმა ამერიკის მიწაზე; ზოვჯერ დაგვამწუხროს, ცრემლებიც გვადინოს, ხანაც გაგვახაროს, ნაღველი გაგვიქარვოს, ბევრ რამეზე დაგვაფიქროს...

გუგული მგელაძის „ფესვები“ პირველად თბილისში ვნახე. ბედის უკუღმართობით სამშობლოდან გადახვეწილი, დღემუდამ საქართველოზე მეოცნებე, მაგრამ სამუდამოდ საფრანგეთში ჩაჩიხული ემიგრანტის გიორგი ზაქარეიშვი ლის როლს დაუვიწყარი დოდო აბაშიძე ასრულებს.

ცხადია, ფილმი თბილისშიც მომეწონა, მაგრამ აქ, უცხოობაში, სულ სხვა თვალით შევხედე; უფრო მძაფრად განვიცადე ემიგრანტის ნაღვლიანი,გაუხარელი ცხოვრება.

მუხლს ვიყრი ბედის უკუღმართობით სამშობლოდან გადახვეწილი ადამიანების ხსოვნის წინაშე, რომლებმაც ათეული წლები ქედით ატარეს მძიმე ლოდი – ნოსტალგია,– სამშობლოს მონატრება...

იმ სასტიკ დროში, როცა ქვეყნებს შორის ურთიერთობა უკიდურესად გაძნელებული იყო, მათ არ ეღირსათ შინ დაბრუნება. ამიტომ, სამშობლოზე გაუნელებელი ფიქრი და დარდი სამარეში ჩაიტანეს...

დროება შეიცვალა. დღეს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში შეგიძლია წასვლა. სამშობლოშიც უპრობლემოდ დაბრუნდები; თუ, რა თქმა უნდა, საშუალება გაქვს. მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს სწორედ ესაა უმთავრესი, – სა-შუ-ა-ლე-ბა! ამიტომ, ადამიანების უმრავლესობა სამშობლოდან „ნებაყოფლობით პატიმრობაში“ მიემგზავრება, რათა მოიპოვოს „პური არსობისა“...

„– უთხარი, სიმღერით გამასვენონ. იქ რომ ჩამიტანენ, სატირალი აღარ ვიქნები“, – ანდერძს უბარებს გიორგი შვილიშვილს, უფლისწულივით ახალ გაზრდას, რომელიც მზადაა, უკანასკნელი სურვილი აუსრულოს სვეგამწარებულ ბაბუას...

შვილიშვილის როლს ლევან აბაშიძე ასრულებს.

... მერამდენედ ვუყურებ „ფესვებს“, მაგრამ ფინალური კადრების ხილვისას მუდამ თვალები მენამება...

ეტყობა, მართლა დავბერდი. გულჩვილობა შემომეპარა...

დროა, ავიკრა გუდა-ნაბადი, თორემ ისე შორს ვარ გადმოხვეწილი,რამე რომ მომივიდეს, მკვდარიც ვერ ვეღირსები სამშობლოს მიწას.

– იქნებ, ცოტაც მოვითმინო; ვინ იცის, რამე სასიკეთოდ შეიცვალოს-მეთქი, – გავიფიქრებ ზოგჯერ; მაგრამ როგორც ჯოჯოხეთგამოვლილი ბრძენკაცი, ბატონი ლევან გოთუა იტყოდა,– „დღეები დამხრჩვალი კატებივით ჰგვანან ერთმანეთს“,და ვგრძნობ,– ამაოა რამე სასიკეთო ცვლილებების ლოდინი...

ცხოვრება ისეა მოწყობილი, აქედან მიცვალებულის წასვენება ათჯერ ძვირი ღირს, ვიდრე სამგზავრო ბილეთი...

ამიტომ, კაცმა აქედან დროზე უნდა გაასწროს, ვიდრე ფეხზე დგას, თორემ... მერე – მშვიდობით!

– უფალო! იესო ქრისტე! ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი...

– გამაძლებინე, ვიდრე მშობლიურ მიწას ვეამბორები...

2006 წ.

„ფიქრის მატარებელი“

128-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა, ქალბატონმა მზია კიწმარიშვილმა V კლასის „წიგნიერების“ გაკვეთილზე რომ მიმიწვია, ეჭვიც არ შემპარვია, რომ რაღაც განსაკუთრებულისა და საინტერესოს მოწმე გავხდებოდი... გაკვეთილის თუ დღესასწაულის, რომელიც მზია მასწავლებელს ისე შეუძლია მოაწყოს, რომ იმ საოცარი სამყაროს თანაზიარი ხდები, რაც მისთვის და მისი მოსწავლეებისთვის ესოდენ მშობლიური და მახლობელია...

მერამდენე ღია გაკვეთილია? უნებლიეთ ჩამოთვლა დავიწყე: „ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო“ – XI კლასით აღტაცებული მუხრან მაჭავარიანი, კახი კავსაძე, ერეკლე საღლიანი, ჯემალ ჭკუასელი, გია ბაღაშვილი, ეთერ კაკულია; გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხე“ – VIII კლასი, ახალგაზრდების ცოდნით განცვიფრებული უმცროსი გიორგი ლეონიძე (პოეტის შვილიშვილი); გაკვეთილი პატარძეულში – გოგლას სახლ-მუზეუმში; ძველი ქართული ლიტერატურა-ჰაგიოგრაფია – სასკოლო ქრესტომათიის ავტორები – მანანა გიგინეიშვილი, გია ალიბეგაშვილი; ნოდარ დუმბაძის შემოქმედება – მისადმი ახალგაზრდების დამოკიდებულებით აღტაცებული მწერლის ოჯახი, „ალავერდობა“ – XII კლასელები სტუმრად რეჟისორ გიორგი შენგელაიასთან; მწერალი გაკვეთილზე, გურამ დოჩანაშვილი „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ – XII კლასი; ანა კალანდაძე –

პოეზიის გაკვეთილი, პოეზიის დედოფლის სახლში; ვაჟას პოეზია – XI კლასის შეხვედრა პოეტის შთამომავალთან, ლელა რაზიკაშვილთან; „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ – გალაკტიონის პოეზიის სიღრმისეული გააზრებით აღტაცებული ნოდარ ტაბიძე და ვახტანგ ჯავახაძე; „დიდოსტატის მარჯვენა“ – გაკვეთილი მცხეთაში, სვეტიცხოვლის ეზოში და ცრემლმორეული თამაზ კვაჭანტირაძე.... ეს არასრული ჩამონათვალია იმ მართლაცდა ცოდნისა და აზროვნების ზეიმისა, რომელიც გულგრილს არავის ტოვებს, არც სტუმარს და არც მასპინძელს.....

„წიგნიერება უდიდესი მადლია, სულის ნათელი, რომელიც მოზარდს საკუთარი პიროვნების შეცნობასა და სხვისი ტკივილის გათავისებას ასწავლის. ამდენად, საკმაოდ რთული და საპატიო მისია გვაკისრია სიტყვიერების მასწავლებლებს: ისე უნდა შევაყვაროთ ახალგაზრდებს წიგნი, გურამ დოჩანაშვილის თქმისა არ იყოს, „კარცერ ლუქსების“ გახსნა კი არ უნდა დაგვჭირდეს, არამედ წიგნის კითხვა სულიერი მოთხოვნილება უნდა გახდეს მათთვის“... ასე იწყება წიგნიერების გაკვეთილი მე-5 კლასელებთან – თემა „ჩვენ გვიყვარს რევაზ ინანიშვილი“, სადაც 58 მოსწავლე (V2 და V3 კლასები) და მასწავლებელი ერთ მთლიან არსებად ქცეულან. პატარები მწერლის შემოქმედების არაჩვეულებრივ ცოდნასა და საკუთარი აზრის გამოთქმის საოცარ უნარს ამჟღავნებენ... ისინი სიყვარულითა და ამავდროულად გულისტკივილით გვახსენებენ მწერლის ბიოგრაფიას: გაუხარელი ბავშვობა, სტუდენტობა, შემოქმედის მიერ განვლილი გზა.. ხაზს უსვამენ „სიტყვის დიდოსტატის“ დიდ სიყვარულს სამშობლოსადმი. აკი, მისი საყვარელი ქვეყნის ძნელბედობამ – 90–იან წლებში დატრიალებულმა ძმათამკვლელმა ომმა, განუკითხაობამ შეიწირა კიდეც... გულმა ვერ გაუძლო.... ქართველ ხალხთან ერთად ბუნებაც ეთხოვებოდა ძვირფასს მწერალს. თოვდა, სუსხიანი ქარი ქროდა, ხოლო მწერალი მშვიდად იწვა და თითქოს კვლავ გვმოძღვრავდა: გიყვარდეთ ერთმანეთი, გაუფრთხილდით ყველაზე ძვირფასს – სიცოცხლეს... დაიწყო პატარა გოგონამ და შემდეგ, მათთან ერთად ვიმოგზაურეთ რევაზ ინანიშვილის სამყაროში.

მწერლის საფიქრალი და შემოქმედების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა, ხომ საქართველოს უმძიმესი ისტორია იყო, ამიტომაც მისი ნაწარმოებების განხილვა „ერეკლე მეფე და ანანურელი ულამაზოებით“

დაიწყო. მოსწავლეები თანამიმდევრულად, ამავდროულად ლაკონურად მსჯელობდნენ მეფე ერეკლესა და მზევარის ბიჭზე; მის თანასოფლელ ულამაზოებზე, ქვეყნის იმედით რომ ცხოვრობენ. პატარებმა მშვენივრად გაართვეს თავი მიცემულ დავალებას – ერთ წუთში შეავსეს ქაღალდის „გვირილის ფურცლები“ მზევარის ბიჭის დამახასიათებელი თვისებებით; არც ის დავიწყებიათ, ჩვენი ქვეყნის ავბედითობა ისტორიის კუთვნილება რომ გახდა. თუმცა, მწერლის საფიქრალს და სადარდებელს რა გამოულევდა... ამის მაგალითად, კი მოთხრობა „ეთერი“ გაიხსენეს. ეს ხომ ის ხანაა, როდესაც კომუნისტები მთიდან ბარში ჩამოსვლის აუცილებლობას ქადაგებდნენ, რამაც მაღალმთიანი სოფლები ნასოფლარებად აქცია. პატარებმა ხაზი გაუსვეს მოთხრობაში დასმულ სიკვდილ–სიცოცხლის საკითხს.

შესანიშნავად გაახმიანეს მწერლის გულისტკივილი, როცა ნასახლარებს, დროისგან დავიწყებული, ყველასგან მიტოვებული, მუდამ ვიღაცის მომლოდინე მოხუცები შეუსაბამეს და მათი ყოფა, მათივე სახლ-კარის აღწერით გაამყარეს. პატარებს არც ადამიანთა გულგრილობა დავიწყებიათ: მოუვლელი სკოლა, დანგრეული ეკლესია... „ეკლესიის ნანგრევებში აფუყული, დარდიანი რუხი მტრედი ზისო“, ხაზი გაუსვა მწერლის გულისტკივილს პატარა ბიჭმა. შემდეგ კი სიცოცხლის გაგრძელების სიმბოლოდ ეთერი გაგვაცნეს: დამოუკიდებელი, ბეჯითი, გულადი, სიცოცხლის მოყვარული და ... ბოლოს წაიკითხეს ჩანახატი „სიცოცხლე გრძელდება“....

„მირანდუხტი“ საზოგადოებაში პიროვნების როლსა და ადგილს ეხება, ის ადამიანთა ურთიერთობის, კულტურისა და გამორჩეული პიროვნების ფასს გვასწავლისო“, გაგვიმარტა მოთხრობის დედააზრი ერთ-ერთმა მოსწავლემ და მთელმა კლასმა ერთ წუთში შეავსო „მზის სხივები“ მირანდუხტის დამახასიათებელი თვისებებით, რაც შემდგომ შესანიშნავად გამოიყენეს მთავარი პერსონაჟის დასახასიათებლად.

„ღირსეულ ადამიანს ძალუძს დიდი ზეგავლენა მოახდენოს საზოგადოებაზე, შეცვალოს და გააკეთილშობილოს ის“, სწორად ჩასწვდნენ ნაწარმოების იდეას მოსწავლეები და ბოლოს ჩანახატიც წაგვიკითხეს – „მირანდუხტი გერონტის გოგოებთან“.

პატარებმა დამაჯერებლად დაახასიათეს კოწოწაშვილები („უკუღმა დაჭედილი“). საშაროდ გალაჯული ჯიხვას დადებითი თვისებებიც არ დაივიწყეს – სიტყვის კაცი, პატიოსანი და დასკვნაც გააკეთეს, ჯიხვას პიროვნებაში დადებითი ჭარბობს, ამდენად გვჯერა, რომ მისგან ღირსეული ვაჟკაცი დადგებაო...

გაკვეთილი გრძელდება. მოსწავლეებმა „საუკუნეებით დაღლილი“, მარტოსული, ყველასგან მიტოვებული მუხის განცდას მონადირეების გულგრილობა დაუპირისპირეს, რომლებიც მხოლოდ საკუთარ სიამოვნებაზე ფიქრობენ. „სიცილით გავეშებული ტყვიები წივილით ესობიან ხეს“ აზუსტებენ მწერლის ჩანაფიქრს („ძუხა“) პატარები. ბოლოს კი, შვილებსა და შვილიშვილებს მონატრებული „მარო ბებია“ შემოდის საკლასო ოთახში და გულისტკივილით სთხოვს მათ: არ დაივიწყონ, ჩავიდნენ და გაახარონ მარტოსული („მარტოობა“). პასუხად პატარებმა ბებიისადმი მიწერილი წერილი წაიკითხეს....

გაკვეთილი დასასრულს უახლოვდება – საოცარი სანახავია ქაღალდის „გვირილებითა“ და „მზის სხივებით“ დაფარული დაფა, რომელიც პერსონაჟთა დამახასიათებელი თვისებებით არის შევსებული. მალე, „ფიქრის მატარებელიც“ ამოძრავდა. ექვს ვაგონში ჩაიტვირთა თითოეული ნაწარმოების იდეა, ვაგონები ლოკომოტივს ჩაება – „უკვე ნამდვილი ადამიანი ხარ“ – გამოიკვეთა მწერლის მთავარი საფიქრალი. გაკვეთილზე მყოფი მოსწავლეები, კი ნამდვილად ხდებიან, თუნდაც იმაზე ოდნავ უკეთესნი, ვიდრე იყვნენ (გურამ დოჩანაშვილი) და ასე გრძელდება ახალგაზრდებისა და ლიტერატურის სიყვარულით შთაგონებული მასწავლებლის შემოქმედებითი წვა... ეს ყველაფერი სრულიად ბუნებრივია მისთვის, რადგან მიაჩნია, რომ სხვანაირად, როგორც მასწავლებელი, ის ვერ იარსებებს...

ზარი დაირეკა... პატარების ცოდნით აღტაცებულმა ჟურნალისტმა, საზოგადოებრივი მაუწყებლის რადიოპროგრამა „საგანძურის“ ავტორმა და წამყვანმა, დავით აღმაშენებლისა და ნიკო ნიკოლაძის პრემიების ლაურიატმა, ჟურნალ „ანეულის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, ბატონმა ივანე ჯაფარიძემ საკუთარი განცდები ვერ დაფარა, მოეფერა და მადლობა უთხრა მათ დღევანდელი დღისთვის და

სამახსოვრო ფოტოც გადასცა – „რევაზ ინანიშვილი ქართველ მწერლებთან და და საზოგადო მოღვაწეებთან ერთად ბეთლემის მონასტრის გზაზე (ილიას ნაკვალევზე).

მასწავლებელთა პროფესიული ცენტრის ქართული ენისა და ლიტერატურის კონსულტანტმა მაია პაპუნაშვილმა და განათლების ხარისხის მართვის მენეჯერმა, პროფესიული უნარების ტრენერმა, სკოლა-ლიცეუმ „მწიგნობრის“ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა იზა იოსელიანმა აღფრთოვანება ვერ დაფარეს გაკვეთილით, წარმატებები უსურვეს პატარებს.

მამა საბამ (ვაკის ანდრია პირველწოდებულის ეკლესიის მღვდელმსახური) კი თითქოს თითოეული ჩვენგანის ფიქრი და განწყობა გაახმიანა: „ყოველი გაკვეთილი გაოცებასა და აღტაცებას იწვევს, რაღაც ახალს, სიღრმისეულს გვთავაზობს. მადლობა თქვენ, ქალბატონო მზია, ასეთი უშრეტი ენერგიითა და ფანტაზიით რომ იღწვით მომავალი თაობის აღზრდისთვის,ამ გაკვეთილებზე თითოეული ჩვენგანი საქმისადმი პასუხისმგებლობასა და უდიდეს სიყვარულს ვსწავლობთ“.

გაკვეთილი დასრულდა,მაგრამ „ფიქრის მატარებელმა“ გზა რევაზ ინანიშვილის მეუღლესთან, ქალბატონ როზასთან ერთად დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონისკენ განაგრძო... პატარების მირთმეული თაიგული ადრესატთან მივიდა.... მწერლის სიცოცხლე ხომ მისი შემოქმედებაა, პედაგოგის ვალი კი ახალგაზრდებისთვის მისი სწორად და საფუძვლიანად მიწოდებაა, რადგან არ არსებობს ნიჭიერი მწერალი მკითხველის გარეშე... ნიჭიერ მკითხველს კი ღირსეული პედაგოგი აყალიბებს.

გამახსენდა ქალბატონ მანანა გიგინეიშვილის სიტყვები: ქალბატონი მზიას მსგავსი ათი მასწავლებლიც თუ მოიძებნება საქართველოში, ჩვენი მომავალი ნათელია...

ნუნუ მილორავა,
თბილისის თავისუფალი ვალდორფის
სკოლის ქართული ენისა და
ლიტერატურის მასწავლებელი

ჰაერში დაჭერილი ფრაზები

თეონა ბობნიაშვილი

* იმდენად კარგად ახერხებდა სხვების პაროდირებას, რომ გადაავიწყდა თვითონ როგორი იყო.

* საათის გაჩერებამ არ უშველა – გოგრად მაინც გადაიქცა...

* გემოვნება – ინტელექტის ხარისხია.

* ერთხელ საკუთარმა ალტერ ეგომ ასეთი დილემის წინაშე დააყენა: სურვილი თუ სუპერ ეგო?

* აკრძალვის ნიშნებს აღარ ემორჩილებოდა და მიხვდა, რომ გადარჩა.

* სადღაც გაიგო: ქალის ხმა არ ბერდებაო და მას შემდეგ სახის ნიღბებმა მისთვის აქტუალურობა დაკარგა.

* ობლის კვერი მართლაც გვიან გამოცხვა, მაგრამ მას უკვე კბილები აღარ ჰქონდა, ის რომ ეჭამა.

* დონ-ჟუანი აშკარად იმსახურებს სტატუსს „სიყვარულის დონორი.“

* მარადიული არაფერიაო, – რომ დარწმუნდა, მას შემდეგ გადაწყვიტა მარად ეული დარჩენილიყო..

* აბა, სხვაგვარად დრო როგორ მოვკლაო? – თავს იმართლებდა სერიული მკვლელი.

* ბოლოსდაბოლოს, წაიკითხავ თუ არა რაჯნეშსო? – ერთხელ ჰკითხეს.

– რა თქმა უნდა, „იქ და მერეო“– იყო პასუხი... („აქ და ახლა“– რაჯნეში)

* აპოლიტიკური განცხადება: გუშინ საკუთარმა ცოდვებმა სირცხვილის დერეფანში გამატარეს – აღსარებაზე ვიყავი.

* გონებით გიყვარდეს, იგივეა, რაც ესპერანტოს ფლობდე: მაინც ვერავინ გაგიგებს.

* მე-11 მცნება: არ გაბოროტდე!

* ჭია-ჭია მაია, ხვალ როგორი დარია? – სინოპტიკოსები აშკარად ცრუობენ...

თამაი შაიშმელაშვილი

ფიროსმანის ნათლის მცველი

ტიციან ტაბიძე ნიკო ფიროსმანზე წერდა: „იგი საღებავებით იძლეოდა იმას, რასაც ილია იძლეოდა ძლიერი სიტყვით... ნიკო ფიროსმანი გამოხატავს ქართველი ხალხის მხატვრულ პოტენციას – ამ მხრივ იგი ენათესავება მთების პოეტს ვაჟა-ფშაველას“... – ეს სიტყვები გამახსენდა ილო პატაშურის სახელოსნოში, სადაც ფერები მეტყველებენ, სადაც ფიროსმანის სულის ანარეკლი გმოსავს და გატყვევებს. ილო პატაშური ფიროსმანის ნათლის მცველია. ეს არის სამყარო, პირველყოფილი ცრემლივით წმინდა და მიუსაფარი, სადაც იმაზე უფრო უკეთესი ხდები, ვიდრე ხარ!

ილია პატაშური

თითქოს შემთხვევითი არ არის, რომ მთიულეთში დაიბადა და გაიზარდა, სოფელი ხევშაც მისი ზესთა სოფელია, უფლის ხელის გაწვდენაზეა. ნარინჯის ფერებში გარინდებულ სამყაროს მოაქვს „რაღაც ახალი, სულმთლად სხვავვარი“, ფერებით ამღერებული პოეზია, გულისგულში რომ გაგივლის და გრჩება სამუდამოდ.

განგებამ ჯერ კიდევ ბავშვს, სკოლის მოსწავლეს აქ, ამ ბუნებაში დიდი ლადო გუდიაშვილი შეახვედრა. მაშინ პატარა ბიჭუნამ მისი არც გვარი და არც სახელი არ იცოდა. სკოლიდან მომავალმა ბუნებაში განმარტოებული უცნობი მხატვარი დაინახა და შეჩერდა. ფრთხილად მიუახლოვდა, მხატვარმაც იგრძნო, ვიღაც მოვიდაო და ღიმილით შეხედა: ხატვა გიყვარს, ბიჭიკოო, – ჰკითხა. დიახ,– მიუგო ბიჭუნამ და დედის შეკერილი ჩანთიდან სკოლის რვეულის ამოღება დაიწყო... რვეულს თოვლიც ამოჰყვა, ფერთხავდა ამ თოვლს და თან რცხვენოდა, რომ სველ რვეულს უწვდიდა. მხატვარმა გულისხმიერებით დათვალიერა პირველი ბავშვური ნამუშევრები და უთხრა: ყოჩაღ, ნიჭიერი ჩანხარ, რა გქვია, რა გვარი ხარო? პატაშური ვარ, ილია მქვიაო. რა კარგი სახელი გრქმევიაო, და ისეთი სიამაყით შეხედა, თუ ხატვას გააგრძელებ, შენგან ნამდვილად დიდი მხატვარი გამოვაო... სამ ფერად ფანქარს და ქაღალდებს აჩუქებს...

გავა წლები, მოგვიანებით, ნიკოლაძის სამხატვრო სასწავლებლის სტუდენტობის დროს გაიგებს, რომ მაშინ, ბავშვობაში დიდ მხატვარს შეხვდა. ლადო გუდიაშვილს ბიჭუნა მთიულეთიდან დათოვლილი სახატავი რვეულით დაამახსოვრდა. ასე დაემგზავრა დიდი მხატვრის დალოცვა...

მოგვიანებით, როცა უკვე სამხატვრო აკადემია დაამთავრა და პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო, დიდი მხატვრისგან მამაშვილურ სითბოს ყოველთვის გრძნობდა.

ქართული სიღრმით და დრამატიზმით გამოირჩევა „კრწანისი“. ჩამოშავებულა ზეცა... ირგვლივ დახოცილი მეომრები და სისხლის ნაკადულებია. ნარიყალა და მეტეხი გადმოხრილა. ზარების რეკვა და გუგუნი ისმის. ღრუბლებიდან მთვარე გამოსულა, ქვემოდან ანგელოზები საქართველოს ბედზე ივედრებიან... ტირის კრწანისი სისხლის ყაყაჩოებით! მეორე ტილოზე ცეცხლწაკიდებული მარტყოფი და წითელი ფერი სიცოცხლისა და სიხარულის სიმბოლოცაა თითქოს, წმ. ბასილი დიდის თქმით, მხოლოდ „ღმერთს შეუძლია, სისხლსაც კი მოუსმინოს, თუმც სისხლს არც ენა აქვს, არც ხმა, რომელიც ჰაერში დაირხევა“.

იშვიათია შემოქმედი, ვინც ამ ხმას უსმენს. დიდგორიდან კრწანისამდე სწორედ ეს ხმა-იმედია განფენილი, რომელიც ენდროსფრად ანათებს მარადისობაში... ეს იმედი უკვე ყაყაჩოების ალში გახვეულა ფერწერულ ტილოში „წითელი ყაყაჩოები“, ყაყაჩოს ცეცხლი პატარა ეკლესიის კედლებსაც

მოსდებია სიყვარულის, მარადიულობის ნიშნად. მხოლოდ მთასავით მარტოსულ შემოქმედს ძალუძს, შეუცნობლის ნისლში შეღწევა და მისი იდუმალების შეგრძნება. ასეთია ილო პატაშურის „გუდამაყარი“ და „სოფლის სევდა“, ხოლო „გუდაურის“ და „შობის“ ხილვისას, თითქოს ზეციდან ანგელოზების შრიალიც გვესმის. მხატვარი ზესოფლისა და ქვესოფლის სადარაჯოზე დგას,ვაჟასეული მძიმე ლოდივით დასწოლია ნაღველი: „ვიცანი, ღმერთო, სამყარო, – ეს შენი დანაბადები“... სულიერი ტანჯვა ბევრს არ ეხერხება. ილო პატაშური ტკივილისა და სიხარულის მონაცვლეობით ფერთა უჩვეულო პალიტრას ქმნის – მწვანე, იისფერი, წითელი აქცენტებით ერთ მთლიანობას გვიხატავს. იგი ბრწყინვალე ფერმწერი და კოლორისტია. „პატაშურის მხატვრობა ერთი დიდი საყვედურია, სინამდვილისადმი აღვლენილი ერთი დიდი საყვედური, ამასთანავე ვედრებაცაა, ვედრებაცა და ყვედრება... პატაშური მავედრებელი და მაყვედრებელი მხატვარია, ოღონდ რაოდენ დიდი სიყვარულია ამ ყვედრებაში. მას შეუძლია გაიმეოროს: „რამ შემქმნა ადამიანად, რატომ არ მოველ წვიმადა“, ოღონდ ერთი კორექტივით – სჯობს „ადამიანი“ დააკონკრეტოს და „მხატვრით“ ჩაანაცვლოს“(დავით ანდრიაძე). წვიმისფერია „მფარველი ანგელოზი“– თეთრი, ნაზი, ჰაეროვანი, მზიანი სუნთქვით და სინათლით, ხოლო თავსაფრიანი დედის მუხლებზე დაწყობილი ხელები და თვალები მარადიულობას ებაასება. მეტყველია „ხევსური გოგონას“ მკაცრი და შეუვალი, მაგრამ წრფელი სახე, დახრილი თვალები... იგი ხევსურეთის ველურ ბუნებას ჰგავს – ზეცამდე აზიდული ამაყი კოშკივით გარინდებულ სილამაზეს! საიდან მოფრენილა აქ მზია ბათარეკას ასული, გურამ რჩეულიშვილის მოთხრობიდან? „ეს უცნაური არისტოკრატი ქალი, რომელიც ბუნებამ აქ, შატილში გააჩინა, და ელის... არ არის გაწბილებული მისი მოლოდინი, ის ყველაფერში ხედავს მას, დიდი ანთებული თვალები გრძელი, გაკვირვებული წამწამებით ყველაზე პატარა საგანსაც კი არ უშვებენ თავის გარშემო შეუყვარებლად“...

აქ პოეზია განუკითხავად ბატონობს პროზაზე, პოეზია თავის „ულოგიკო“ ვნებებითა და გამოხატვის შეუდარებელი დრამატული სიმშვენიერით.

აქ ფერებით ამეტყველებული სიხარული და მწუხარებაა, სევდაა! ელვარებაა, ცეცხლია, რიტმი და ფიქრია, ფიქრი მარადისობაზე!

ილია პატაშურის „დედა“

სევდას სხვანაირად „შავი ნავღელი ჰქვიან“. საქართველოს მუქ-მეწამული ნაღველი და, მასთან ერთად, „ფერად ფასკუნჯები“ ფერთა პოეზიას გვაზიარებს, რომელიც სხვანაირ, იდუმალ სინთლეს ასხოვებს.

ფაქიზი კოლორისტი ფერმწერის ყველა ხაზს, ყველა ფერს თუ ფორმას კონკრეტული დატვირთვა აქვს. აქ მკვეთრად გამოხატული ფერები და საამო ფერწერაა... ფერი ხომ უფრო მეტხანს რჩება, ვიდრე მელოდია!

„ზოგჯერ სურათი ცდილობს, დაგამარცხოს, რომ მიატოვო პალიტრა, ჭეშმარიტი ხელოვნების, სურათის შექმნას გულის სისხლი სჭირდება, და ყველა ეს ნახატი ამ თავგანწირვით დაიბადა. რომ ვუფიქრდები, მიკვირს, როდის შევქმენი ამდენი ნამუშევარი... ბევრი მათგანი ისტორიულ თემაზეა. ისტორია ძალიან მიყვარს“... – მეუბნება. მე კი მახსენდება პატარა ამონარიდი შთაბეჭდილებების წიგნიდან: „ეს, რაც მე ვნახე, ეს გამუნჯებს, ხმის ამოღების ნებასაც არ გაძლევს! ეს არის ბედნიერება, ეს არის ჩემი საშშობლო, ეს არის ის, რასაც ფრანგები ვერ გაიგებენ, იმიტომ რომ ჰგონიათ, მანე მეტია, ვიდრე ილო! შეხედეთ, ეს არის ის, რაც არავის არ ჰგავს. ეს არის გენიოსი. რეზო ამაშუკელი“.

...დილით ადრე ეახის პალიტრა... ხატავს, ოღონდ სრულ სიჩუმეში... სიჩუმეში იბადება ულამაზესი და უჩვეულო სამყარო, როგორც თეთრი ეკლესია – მზესთან და სიყვარულთან მოზიარე განცდა...

თავისუფალი სივრცე ყველა მწერლისთვის...

თამარ შაიშმელაშვილს ესაუბრება ნატა ლომოური

მეშვიდე თვეა გაიხსნა მწერალთა სახლის პირველი სართული. მისი დირექტორ-მენეჯერი ნატა ლომოური ფიქრობს, რომ სახეცვლილი და თანამედროვე მართვის პრინციპებზე დაფუძნებული მწერალთა სახლი ქართული კულტურის ღია სივრცე იქნება, სადაც ქართველი და უცხოელი მწერლები, კულტურის მოღვაწეები საზოგადოებას თავიანთ შემოქმედებას წარუდგენენ. სიახლეებზე, საინტერესო პროექტებზე გვესაუბრება ნატა ლომოური:

– ზოგადად, სიახლეა პირველ აპრილს ამ სახლის გახსნა. ჩემთვისაც კი მოულოდნელად ძალიან დატვირთული გრაფიკი აღმოჩნდა. ეტყობა, საზოგადოება თბილისში მაინც მოწყვეტილი იყო ახალ კულტურულ სივრცეს, განსაკუთრებით კი, ამ ადგილის ნოსტალგია ჰქონდა. ამ სახლს, არაორდინალურ ისტორიასთან ერთად, საქართველოს ისტორიის ცუდი პერიოდებიც ახსოვს. მაინც დადებითი აურა აქვს აქაურობას. ეს თბილისელებს ახსოვთ და ყველა სიამოვნებით მოიჩქარის აქეთ. ხომ ხედავთ, ჩვენი გრაფიკიც დატვირთულია. მოხდა ისე, რომ საკმაოდ ბევრმა ლიტერატურულმა და სახელოვნებო პროცესმა ჩვენთან გადმოინაცვლა. სიახლე სწორედ ეს არის. ვცდილობთ, გამოვაცოცხლოთ აქაურობა, მრავალი ახალგაზრდა მოვიზიდოთ. რამდენიმე წარმატებული პროექტიც განვახორციელეთ. მაგალითად – საერთაშორისო პროექტი „ლიტერატურის ღამე“. საქართველოს წარმოადგენდა აკა მორჩილაძე, იყვნენ ბრიტანელი, ფრანგი და გერმანელი მწერლები. ოთხივე მწერალმა საკუთარი ტექსტები წაიკითხა. მსმენელს არ იტევდა დარბაზი. „ლიტერატურის ღამე“ 7 საათზე დაიწყო და ღამის 1 საათზე დასრულდა. წიგნის ფესტივალის ფარგლებში, ჩვენთან „პოეზიის ღამეც“ გაიმართა, რომელშიც მრავალი ახალგაზრდა პოეტი მონაწილეობდა. გვაქვს ძალიან საინტერესო ციკლი – „მთარგმნელები მწერალთა სახლში“, ასევე ციკლი “საუბრები ლიტერატურაზე” სადაც ერთი შეხვედრა ლევან გიგინეიშვილთან და გიგა ზედანიასთან გაიმართა. ორივემ არაჩვეულებრივი ლექცია წაიკითხეს, ლევანმა – ვაჟა-ფშაველაზე, გიგამ კი – პოლ ოსტერზე. ასეთ ციკლს სხვადასხვა განხრით ვაკეთებთ და სამომავლოდ უფრო მეტად დაიხვეწება. ამ სეზონის მნიშვნელოვანი სიახლეა: „ბავშვები მწერალთა სახლში“, მწერალი მაკა მიქელაძე შაბათობით ხვდება ბავშვებს, მოჰყავს სტუმრები, საბავშვო მწერლები, პოეტები, მხატვრები. ასაკობრივად ორი ჯგუფი გვექნება – პატარების, 7 წლამდე და 7-12 წლამდე, რომელთაც მაკა წაუკითხავს ზღაპრებს, წიგნებს, მითებს. ხოლო მეორე ჯგუფს ასწავლის, თუ როგორ უნდა წერონ. სახლი ღიაა ყველანაირი ლიტერატურული და სახელოვნებო წრისთვის. ასეთია ამ სახლის კონცეფცია. მიზანიც ეს იყო, ეს სივრცე მხოლოდ მწერალთა კავშირის წევრებისთვის არ ყოფილიყო ლიმიტირებული. ადამიანი, რომელიც აქ მოდის: მწერალი, პოეტი, ლიტერატურის კრიტიკოსი, სიამოვნებით ვუთმობთ დარბაზს, არანაირი შეზღუდვა არ არის. ასე რომ, ჩვენი კალენდარი საკმაოდ დატვირთულია. გვსურს, რომ ლიტერატურულმა პროცესებმა ამ სივრცეში გადმოინაცვლოს. ზაფხულში მწერალთა სახლის არაჩვეულებრივი ბაღიც გამოვიყენეთ. ის, რომ რაიმე შეხვედრა, ან წარდგინება მწერალთა სახლში ტარდება, ყველა ავტორისთვის სასურველია.

– ეს სახლი კულტურული ძეგლია, ამავე დროს, განსაკუთრებული ისტორიული ფასეულობით გამოირჩევა. თქვენ ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ აქ რეპრესირებული მწერლების მუზეუმი გაიხსნება, თანაც, შესაძლოა – აკაკის ოთახში?

– ოთახზე ამ ეტაპზე ვერაფერს გეტყვით. თუმცა, ეს გეგმა ძალაშია. ეს სახლი კულტურის ძეგლია. როგორც კი ძვირად ღირებული რესტავრაცია დასრულდება, მეორე სართულზე ავალთ, სამუზეუმოდ ერთი ოთახი რეპრესირებული მწერლების მუზეუმად მოიაზრება. და კიდევ, ვფიქრობ, აქ უნდა არსებობდეს მეორე ოთახი, რომელიც ამ სახლის ისტორიას

დაეთმობა. სამწუხაროდ, საქართველოში დავით სარაჯიშვილის მუზეუმი არ გვაქვს. 30 წლის განმავლობაში არც ერთი საზოგადოებრივი წამოწყება არ ყოფილა, რომლის სულის ჩამდგმელიც დავით სარაჯიშვილი არ ყოფილიყოს, ან სერიოზული წვლილი არ ჰქონოდეს. ილია ჭავჭავაძის დონის საზოგადო მოღვაწე და პირველი ევროპული დონის ქველმოქმედი იყო. მარტო მისი სტიპენდიანტების სიას რომ თვალი გადაავლოთ, ვინ იყვნენ, მიხვდებით, მისი ქველმოქმედების და, საერთოდ, სახელმწიფოებრივი და ეროვნული აზროვნების მასშტაბებს. არანაკლებ საინტერესო პიროვნება იყო აკაკი ხოშტარია. თავის დროზე მას ეს სახლი აუქციონზე ქართული საზოგადოების მოთხოვნით რომ არ შეეძინა, ჩვენამდე ასეთი ფორმით არ მოაღწევდა. ამიტომ ამ სახლის ისტორიას მუზეუმი აუცილებლად უნდა დაეთმოს.

— მეორე სართულზე ასვლას როდის აპირებთ?

— პრობლემა თანხებია. ჩვენ კულტურის სამინისტროს სსპ-ი, ანუ საჯარო სამართლის იურიდიული პირი ვართ. რადგან სახელმწიფო საკუთრებაა, კერძო ინვესტიციის მოძებნა ძალიან რთულია. ანდა, ვინმე სარაჯიშვილის დონის ქველმოქმედი უნდა გამოჩნდეს,რომელიც აქ ფულს ჩადებს. ამიტომ მაინც სახელმწიფო თანხებზე ვართ დამოკიდებული.

— არის მწერლების ერთი ჯგუფი, რომელიც ამბობს, რომ ეს სახლი იურიდიულად მათი საკუთრება იყო...

— მართლაც, იყო 1921-2007 წლამდე. ეს შენობა მწერალთა კავშირს ეკუთვნოდა. ახლა იურიდიულად სხვა ფორმა აქვს. თავიდან იყო ცოტა უთანხმოება. ამ ეტაპზე ყველამ დაინახა, რომ ეს არის თავისუფალი სივრცე ყველა მწერლისათვის. მწერალთა კავშირისთვის დარბაზის დათმობა არანაირი პრობლემა არ ყოფილა. მათთან ხელშეკრულება გავაფორმეთ. ოთხშაბათობით და ხუთშაბათობით მოდიან მწერალთა კავშირის წევრები. ჯერჯერობით ამ ფორმატით იკრიბებიან. როცა მთლიანად აღდგება სახლი,რამდენიმე ოთახი იქნება და იქნება იმის საშუალებაც, რომ კონკრეტულ ორგანიზაციას კონკრეტული პროექტის განხორციელებისთვის ოთახი დაეთმოს. მნიშვნელობა არ აქვს,იქნება ეს მწერალთა კავშირი, პენცენტრი თუ სხვა გაერთიანება. ამას მხოლოდ მე არ ვწყვეტ. არსებობს მწერალთა სახლის სამეთვალყურეო საბჭო — 11 ადამიანის შემადგენლობით და მათთან ერთად მივიღებ გადაწყვეტილებებს.

— ამ შენობაში უნიკალური ბიბლიოთეკა არსებობდა. მალე ვიხილავთ მას?

— რასაკვირველია, ბიბლიოთეკაც აღდგება. ეს მტკივნეული თემაა, რადგან რემონტის დროს საჭირო გახდა ოთახების დაცლა და წიგნების გადატანა-გადმოტანა. წიგნები საკმაოდ ცუდ მდგომარეობაშია. ჩვენმა თანამშრომლებმა რამდენიმე შაბათობა მოვაწყვეთ და წიგნები ქვედა სართულიდან ნელ-ნელა ზემოთ აგვაქვს, რომ ნორმალურ პირობებში განვთავსოთ. დავიწყეთ ჩვენი ბიბლიოთეკის შექმნა-შეკოწიწება. ვინაიდან ავტორები პრეზენტაციებს უფასოდ ატარებენ, ჩვენი საფასურია, მათ თითო წიგნი შემოგვწირონ. აქ უამრავი ძვირფასი წიგნია. ანუ ამას ყველაფერს დასჭირდება დამუშავება, გაწმენდა. პირველ სართულზე წიგნების საცავის განთავსება იგეგმება, რათა წიგნები ძალიან კარგ პირობებში ინახებოდეს. იმ დარბაზით, რომელსაც ადრე ბიბლიოთეკას ეძახდნენ, ყველას შეუძლია მოვიდეს და ისარგებლოს.

— წიგნის მაღაზია, ლიტერატურული კაფე, სასტუმრო... მშვენიერი გეგმები გაქვთ, მაგრამ როდის განხორციელდება?

— კიდევ გეუბნებით,ამ ყველაფრის გაკეთება ისევ ფინანსებზე არის დამოკიდებული. სხვათა შორის, შენობის ზედა სართულზე ბევრი რამ გაკეთდა და დამონტაჟდა: გაყვანილობები, გათბობის სიტემები. ვინც აქ მოდის, აუცილებლად კაფეს ამბავს კითხულობს. აქ არაჩვეულებრივი ტერასა და ბაღია. ქვედა სართულზე ბაღშიც შეიძლება რამდენიმე მაგიდის დადგმა. არის ინტერნეტი. ძალიან მყუდრო გარემოა მწერლისთვის, რომ მოვიდეს და წყნარად იმუშაოს. აქ საგამოფენო დარბაზიც იყო. ქვედა სართული დაეთმობა: წიგნის მაღაზიას, ბიბლიოთეკას, წიგნების საცავს, სულ ზედა სართული კი — სასტუმროს.

— სასტუმრო როგორ წარმოგიდგენიათ, ვისთვის იქნება განკუთვნილი და ასეთი ტიპის ლიტერატურულ სახლებს როგორი სტრუქტურა აქვთ ევროპაში?

— ძალიან მინდა, რომ ამ სასტუმროში მხოლოდ უცხოელები არ შედიოდნენ, ხელმისაწვდომი იყოს ასევე ქართველებისთვის. ის ხელოვანები, მწერლები, რომლებიც თბილისში რეგიონებიდან ჩამოდიან და დარჩენის საშუალება არ აქვთ, ამ სახლში უნდა რჩებოდნენ და შემოქმედებითი მუშაობის საშუალებაც ჰქონდეთ. გერმანიაში ორი ასეთი სახლი არის. გამორჩეულია ლიტერატურული სახლი ვანზეე — არაჩვეულებრივი, ძალიან ლამაზი ადგილი ბერლინის შემოგარენში ტბაზე, რომელიც მწერლებს, მთარგმნელებს, გამომცემლებს, მასპინძლობს. ვინც იქ ჩადის, შეუძლია დიდხანს გაჩერდეს, იმუშაოს, იცხოვროს, ანუ ხელმისაწვდომი უნდა იყოს თანხობრივად. ვანზეეს ლიტერატურული სახლის მესვეურები ჩვენთანაც იმყოფებოდნენ. პირველად

იქ ცხოვრების პატივი საქართველოდან ოთარ ჭილაძეს ჰქონდა, შემდეგ — ზაზა ბურჭულაძეც. დაწესებული აქვთ სტიპენდიები. შეხვედრები მკითხველებთან, მთარგმნელებთან, გამომცემლებთან. ძალიან მიღებული პრაქტიკაა.

— უცხოეთის რომელ სამწერლო ორგანიზაციებთან დაამყარეთ კავშირი?

— ყველაზე პირველი გერმანია იყო. უკვე რამდენიმე წელია, დავდივართ ფრანკფურტის, ლაიფციგის წიგნის ბაზრობებზე. გერმანიასთან საკმაოდ დიდი ხნის კულტურული ურთიერთობები გვაქვს. საგულისხმოა, რომ ამ ქვეყანაში ძალიან ბევრს კითხულობენ და ძალიან ბევრი სხვადასხვა ტიპის ფონდი და ლიტერატურის განვითარებაზე ორიენტირებული პროექტია. ევროპიდან ბევრი შეთავაზება მივიღეთ ერთობლივ მუშაობაზე, პოლონელებთან ვაპირებთ კონკრეტული ღონისძიების ჩატარებას. ასევე გვყავდა შვეიცარიელი, კანადელი, იტალიელი სტუმრები. ჩვენ ვთანამშრომლობთ ასეთ დაწესებულებებთან, პროექტებს ვგეგმავთ, ბევრი ელოდება სახლის საბოლოო გახსნას, რომ უფრო მარტივი იყოს ერთობლივი პროექტების განხორციელება. ჩვენთან მოსული უცხოელები გიჟდებიან აქაურობაზე, ზოგჯერ უფრო მეტადაც კი, ვიდრე ქართველები. ისინი არ ელოდებიან, რომ მე-19 საუკუნის ბოლოს საქართველოში ევროპული ტიპის დახვეწილი, არქიტექტურული სახლი არსებობდა. ჯერჯერობით შვიდი თვეა ვმუშაობთ, და მაინც, სასიხარულოა, რომ ნახევრად გახსნილ სახლში ყოველდღე რაღაც ხდება.

— თქვენი პრიორიტეტია მთარგმნელობითი საქმიანობა...

— ამ ეტაპზე ვგეგმავთ სემინარების, მასტერკლასების ჩატარებას. იგეგმება შეთანხმება, რომ 2017 წელს საქართველო ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის მასპინძელი ქვეყანა იქნება. ეს ჩვენთვის ძალიან დიდი მიღწევაა და სერიოზული, სახელმწიფოს დონეზე მომზადებაა საჭირო. ეს პროცესები კულტურის სამინისტროში გადაინაცვლებს. უფრო მეტი ფული ჩაიდება. იქ იგეგმება სტრუქტურული ცვლილება სწორედ იმისთვის, რომ მთარგმნელობითი საქმიანობა ძალიან მაღალ დონეზე ავიდეს. ამ პროცესებში ჩვენც აქტიურად ჩავერთვებით.

— ვფიქრობ, ლიტერატურული პროცესების განვითარებას ხელს შეუწყობს ის, რომ „ლიტერატურული გაზეთი“ მწერალთა სახლის გაზეთი გახდა...

— დიახ,ეს ჩვენთვის ძალიან პრესტიჟული და კარგია. საკმაოდ მკაცრი სარედაქციო პოლიტიკა აქვთ. ზემოხსენებული პრობლემების გამო,რაზეც ვისაუბრეთ,აქ არ არის საკმარისი სივრცე, რომ რედაქცია აქ განთავსდეს,მაგრამ ალბათ მომავალში ამის საშუალება იქნება. რედაქციის არსებობა აცოცხლებს სახლს,სივრცესაც. აქ მოვლენ ჰონორარისთვის, მასალებს მოიტანენ და მწერლებისთვის საუკეთესო თავშეყრის ადგილი იქნება.

— როგორია სამომავლო გეგმები?

— გახსნიდან ოთხი თვე სატესტო რეჟიმში ვიყავით. ვაკვირდებოდით,რამდენად სწორად მივდიოდით. ჩვენი ინიციატივების უმეტესობა გამართლდა, რადგან მართლა ბევრმა ხალხმა მოიწონა, დადებითი გამოხმაურება ჰქონდა და მუშაობას ვაგრძელებთ. კონკრეტული სიახლე ისაა, რომ „საბას“ გამარჯვებულების პროექტი დავიწყეთ. რვა თვის განმავლობაში ყოველთვიურად შეეხვდებით გამარჯვებულებს, რომ საზოგადოებამ კიდევ უკეთესად გაიცნოს ავტორები. ვითანამშრომლებთ ინტერნეტმაუწყებლობა „არტ რეასთან“. უკვე გავაფორმეთ მემორანდუმი ერთობლივი პროექტებისთვის. სახელმწიფო მართვის

სკოლასთან – ჯიპასთან, სადაც გაიხსნა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სკოლა. აქ კულტურული მემკვიდრეობის თემაზე საინტერესო ლექციები ჩატარდება. გაგრძელდება ჩვენი ციკლი „მწერლები მწერლებთან“, საუბრები ლიტერატურაზე, სხვა შეხვედრები მთარგმნელებთან, მწერლებთან, ხელოვანებთან. ვიწყებთ ახალ ციკლს – „საუბრები ხელოვნებაზე“. ჯერჯერობით მხოლოდ ერთი შეხვედრა გვქონდა და გაამართლა, ნამდვილად კარგი გამოვიდა. ვფიქრობ, უნდა მოვიზიდოთ უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები, მოსწავლეები. ამისთვის საზოგადოება კარგად უნდა იყოს ინფორმირებული. უკვე დავდეთ ხელშეკრულებები სკოლებთან. აუცილებელია რეგიონებიდან სკოლების ჩართვა, სკოლები ექსკურსიებზე ამაზე კარგ ადგილას სად წავლენ? ისინი უნდა გაეცნენ ამ სახლის ისტორიას, მწერლების ბედს, თუნდაც, იცოდნენ, რატომ მოხდა პაოლო იაშვილის თვითმკვლელობა. კარგი იქნება, თუ მასწავლებლები „ცისფერყანწელებზე“ გაკვეთილს აქ ჩაატარებენ. ასეთ საგანმანათლებლო პროექტებს ვაპირებთ, როცა მუზეუმი გაიხსნება, მაგრამ არც დღევანდელ პირობებში არ არის რთული ამის გაკეთება. მწერალთა სახლი საზოგადოებას ასევე შესთავაზებს ქართველი და მოწვეული ავტორების შემოქმედებით საღამოებს, ლიტერატურულ გამოფენებს, თემატურ კონფერენციებს და სამუშაო შეხვედრებს; მწერალთა სახლი იქნება თანამედროვე ლიტერატურის გავრცელების, გაცნობისა და კრიტიკული განხილვის ადგილი, სადისკუსიო სივრცე მათთვის, ვისთვისაც მნიშვნელოვანია ქართულ მწერლობაში მიმდინარე პროცესები და გამოწვევები, ვისაც უბრალოდ აინტერესებს და უყვარს ლიტერატურა.

ნატა ლომოური ფიქრობს, რომ აუცილებელია დასავლური გამოცდილების გაზიარება, მაგრამ დაუშვებელია იმის უგულებელყოფა, რაც მწერალთა კავშირმა შემოგვინახა. ჩვენი ტრადიციების და ფასეულობების დასავლურ ღირებულებებთან შერწყმა საუკეთესო ვარიანტია. „ამ სახლმა მძიმე წლები გადატანა, ეს ადგილი ყველასთვის ძალიან ძვირფასია, ამიტომ საზოგადოება მის გახსნას დიდი ინტერესით ელოდება და ვეცდებით, გულშემატკივრებს იმედი არ გავუმტყუნოთ“, – ამბობს ნატა ლომოური.

ოთარ ჩუხუა

პოეზია

ვედრება ღვთისმშობლისადმი

ღვთისმშობელო – საქართველოს
მფარველო და იმედო,
იქნებ ჩვენთვის სიხარული
კვლავაც გამოიმეტო.
შენს მადლიან წილხვედრ მიწას
არ მოაკლო წყალობა,
გულში მუდამ ჩაესმოდეს
სიყვარულის გალობა.
ღვთისმშობელო, გაგვაღვიძე,
რწმენა გაგვიძლიერე,
თორემ ლამის წაგვიბილწეს
ხატი ივერიელებს.
მხოლოდ ამას გევედრები,
კვლავაც შენ გდებთ იმედებს,
ქართველთათვის სიხარული
კიდევ გამოიმეტე.

ისევ ისე გელოდებათ აფხაზეთი

ისევ ისე გელოდებათ
აფხაზეთი,
რომ ერის ხმამ ძველებურად იჭექოს...
რომ გვიყვარდეს
უფრო მეტად ერთმანეთი –
აფხაზეთში ნაომარო ბიჭებო.
ისევ ისე გელოდებათ
აფხაზეთი,
მზე უთქვენოდ
სოხუმშიაც არ მზეობს!
საქართველოვ!
არასოდეს დამთავრდები,
ღმერთი იცავს
ქართველების სამზეოს!

არქივიდან

გიორგი ლეონიძე

გიორგი ლეონიძე

საქართველოს სახალხო პოეტი გიორგი ლეონიძე იყო ძველი ქართული ხელნაწერებისა და წიგნების დიდი ტრფიალი, ცნობილი მწიგნობარი. მან არაერთი საყურადღებო ძეგლი მოიპოვა და მეცნიერულად გამოსცა კიდეც. არანაკლები დამსახურება მიუძღვის გ. ლეონიძეს მის თანამედროვე მწერალთა თხზულებების გამოქვეყნების საქმეშიც. მნიშვნელოვანია მისი წვლილი ქართული მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთების დაარსებისა და გამოცემის მხრივაც.

აკად. გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში დაცულია პოეტის უცნობი წერილი, რომელიც შუქს ჰფენს მის საგამომცემლო მოღვაწეობას ჯერ კიდევ ჭაბუკობის ასაკში. წერილი ნაწერია ღია ბარათზე და გაგზავნილია თბილისიდან ბაქოში. ადრესატია გიორგი მუმლაძე. წერილს თარიღი არ უზის, საფოსტო დამა ფერგადასულაი და ძნელად გასარჩევია, მასში იკითხება „19. 12. 16.“ ესე იგი, წერილი დაწერილია 1916 წლის 19 დეკემბრამდე. მასში ნათქვამია: „მივიღეთ თქვენი წერილი. საქმის ვითარება ასეთია თბილისში დაარსდა ლიტერატორთა ჯგუფი, რომელმაც განიზრახა თვეში ერთხელ ან ორჯერ გამოსცეს ფრიად მხატვრული კრებული. საქმის ინიციატორობა ჩემია. ამ ჯგუფში მე ჩაგწერეთ თქვენ, როგორც მწერალი და რა საკვირველია კარგად შეხვდებით ამ საქმეს. ეს პირველი ცდა კრებულისა ჩემია – საკუთარი ფულით გაწეული „რისკი“. თუ არ ვიზარალეთ მაშინ სისტემატურად ვიწყებთ გამოცემას, რათა ოდნავ მაინც ხელი შევუწყოთ ჩვენი ხელოვნების აღორძინებას. პირადად მე გთხოვთ უპირველესად თანამშრომლობას და კვლავ – კრებულის გავრცელებას, როგორც კი შეგეძლებათ. კრებლი მიჯდება 40 -50 თუმანი და თვითო № იქნება 30 კაპ. ან 40 კაპ მეტი არა. ესე ექვსშაურიანი კრებული, მე მგონი მალე გასაღდება ჩვენში. დიდად დამავალებთ თუ ამნაირად დახმარებას გამიწევთ თანამშრომლობითაც და კრებულის გავრცელებით. უკაცრავად შეწუხებისათვის, დავშთები თქვენი პატივისმცემელი გ. ლეონიძე“ 1.

ვინ არის წერილის ადრესატი, რომელსაც დიდ ანგარიშს უწევს და თანამშრომლობას სთხოვს გ. ლეონიძე? წერილის ადრესატი გიორგი ესტატეს ძე მუმლაძე (დაიბ. 1881წ.), არის საკმაოდ ცნობილი პუბლიცისტი, მწერალი და მთარგმნელი, რომელიც ფსევდონიმებითაც მოღვაწეობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში: „კოლხიდაში“, „იმერეთში“ „მეგობარში“, „სამშობლოში“, „საქართველოში“, „სახალხო ფურცელში“, „თეატრსა და ცხოვრებაში“ და სხვა. მისი ფსევდონიმები იყო: არწივი; გელა; გოლა; გო-ლა; გულყვითელა; ლელო; მუმლი; გ.ჯავახი. გ. მუმლაძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა შ, დადიანთან. ი. იმედაშვილთან, ს. შანშიაშვილთან, კ. გამსახურდიასთან, ტიციან ტაბიძესთან, ი. გრიშაშვილთან და იმ დროის სხვა ცნობილ მწერლებთან. გ. მუმლაძის პიროვნების გასაცნობად მეტად საინტერესოა ტიციან ტაბიძის წერილი, მასთან გაგზავნილი 1914 წლის 29 იანვარს მოსკოვიდან ოზურგეთში. ეს წერილიც უცნობია და ამიტომ აქვე მოვიყვანთ. 2 ტიციანი წერს: „ძმაო, გიორგი! შენი მოლოცვა მივიღე. ძალიან გამიკვირდა, როგორ გაგახსენდი. მე ქუთაისში მეგონე. ჩვენს გაზეთში იბეჭდება პატარა ფელეტონები „უჩარდიას“ ფსევდონიმით3. მე შენი მგონია, ასეა განა?

დროს, ვიცი, არ გააფუჭებ... ერთადერთი კაცი ხარ ჩვენში უკომპლიმენტოდ გელაპარაკები, რომელსაც შეუძლია საღად მუშაობა. სხვა რა ამბებია გურიაში? როგორ გრძნობ თავს. იქნებ შალვა დადიანის ადრესი გამიგო. მინდა ერთი წერილი მივწერო. შენ შემაყვარე ის კაცი... მეგობრული სალამი და იმედის აყვავება, მოგიკითხა კ. აბაშისპირელმა. 4

შენი ტიტე ტაბიძე”.

როგორც ვხედავთ, გ. მუმლაძე საკმაოდ აღიარებული პიროვნება ყოფილად და ამიტომაც გ. ლეონიძე თანამშრომლობას

სთავაზობს ახლად დაარსებულ ლიტერატურულ ჯგუფსა და მის ბეჭდურ ორგანოში.

წერილში მოხსენიებული მხატვრული კრებული, რომელსაც გ. ლეონიძე გამოსაცემად ამზადებდა არის მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი „საფირონი“.

გამოვიდა დასახელებული ჟურნალის მხოლოდ ერთი ნომერი, თარიღის აღუნიშნავად. მასში დაბეჭდილია შიო მღვიმელის, გადეგილის, ნ. ლორთქიფანიძის, ს. სანშიაშვილის, კ. მაყაშვილის, ს. ფაშალიშვილის, გ. ლეონიძის მოთხრობები და ლექსები. იქვეა გამოქვეყნებული გ. ქიქოძისა და აკ. პაპავას სტატიები. ჟურნალის გამოცემა შეწყდა პირველივე ნომერზე, როგორც ჩანს უსახსრობის გამო. გ. ლეონიძის წერილი კიდევ ერთხელ მეტყველებს თუ რა მონდომებითა და გატაცებით დაიწყო საგამომცემლო საქმიანობა ჩვენმა სასიქადულო პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ.

---

1) აკადემიკოს გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი, №25887/3

2) იქვე, №25887/11

3) ეს ფსევდონიმი ეკუთვნის პოეტსა და ჟურნალისტს გიორგი (გუცა) ფარქოსაძეს. (1892-1949).

4) კონსტანტინე გამსახურდიას ფსევდონიმია.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გივი მიქაძის არქივიდან

ერთი ლექსი

ვლადიმერ მაიაკოვსკი

Порт

Простыни вод под брюхом были.
Их рвал на волны белый зуб.
Был вой трубы — как будто лили
любовь и похоть медью труб.
Прижались лодки в люльках входов
к сосцам железных матерей.
В ушах оглохших пароходов
горели серьги якорей.

პორტი

ედოთ მუცლები წყლის ზეწრებზე
და თეთრი კბილით ტალღებად გლეჯდნენ.
იდგა ღრიალი საყვირების,
თითქოს საყვირი –
ცხელი ვნებების სპილენძისგან
ისხმება დღემდე.

ფერდის აკვნიდან ნავები მჭიდროდ
ეკვროდნენ რკინის დედების ცურებს
და დაყრუებულ გემებს ყურებზე
უელვარებდათ ღუზის საყურე.

რუსულიდან თარგმნა
ნინო ქოქოსაძემ

რევაზ გაბაშვილი _ 130

„...წაიკითხო და მეგობარივით იცოდე...“

ცნობილ ადამიანთა პირად წერილებზე მუშაობა, დიდ სიამოვნებასთან ერთად, დიდ პასუხისმგებლობასაც გვაკისრებს. რევაზ გაბაშვილის წერილი, რომელიც საგანგებოდ ბოლოსთვის მოვიტოვე, იმდენად პირადულია, რომ მისი წაკითხვისას ქართველი პოეტის, ომარ თურმანაულის ლამაზი ლექსი გამახსენდა... („ენა ჩემი და ხელები ჩემი“):

„გათხრების დროს
ბაბილონის ერთ-ერთ ნანგრევთან,
აღმოაჩინეს თიხის ფირფიტა
ლურსმულ წარწერით;
გაშიფრეს,
თარგმნეს დედამიწის ყველა ენაზე
და მთელ მსოფლიოს გააგებინეს,
რომ წარღვნამდე ათას წლით ადრე...
მე შენ მიყვარდი...“

კარგა ხანს ვფიქრობდი, წარსულის „შამბნარიდან“ გამომეხსნა და მრავალი წლის შემდეგ საზოგადოებისთვის ცნობილი გამეხადა თუ არა ერთი პლატონური სიყვარულის ამბავი, სიყვარულისა, რომელიც რევაზ გაბაშვილის ცხოვრების ერთ მონაკვეთში მისთვის მცოცხლებელ წყაროდ იქცა.

გარდაცვალებამდე თოთხმეტი თვით ადრე „პარიზის გაყინული“ საზოგადოებისაგან ზურგშექცეულმა, ადამიანურ ურთიერთობებს დანატრებულმა რევაზ გაბაშვილმა, როგორც ყოველთვის მზერა ისევ ოკეანის გალმა გახიზნული 36 წლით უმცროსი მეგობრის, პეტრე ხვედელიძისკენ მიმართა, ისევ მას გაუზიარა ის, რაც მანამდე არასოდეს არავისთვის

უთქამს – „...წაიკითხო და მეგობარივით იცოდე... ჭორებს რომ მივრცელებენო...“ სწორედ ამ რომანივით წერილზე მინაწერმა მაფიქრებინა – დაე, ფართო მკითხველმაც წაიკითხოს

და... მეგობარივით იცოდეს...

(იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით)

პარიზი. 19/XII/1967 წ.

ძვირფასო პეტრე,

დიდი ხანია მინდოდა მოწერა, მაგრამ მისამართი არ ვიცოდი და დოდმაც ვერ მომწერა, როცა ვკითხე. დღეს მივიღე შენი ბარათი ლამაზი სურათით და სიამოვნებითა გწერ; გარდა იმისა რომ ჩემი ქალიცა და ვაჟიც იყვნენ აქა და გამახარეს, ეხლა კარგი ამბებიც მომწერეს, მშვენიერი სურათებიც გამომიგზავნეს უფრო მშვენიერი შვილიშვილებისა (:გურამისა; სამწუხაროდ, ციალას აღარა ჰყოლია, რაც პირველი გოგო გარდაეცვალა). გურამის პირველი ქალი – მაიკო – ხომ გასაოცარი ჭკვიანური გამომეტყველებისა იყო 31/2 წლისა და ეხლა 11-ისა არის. მეორე – რეზიკოც – ჩემი სეხნია – კარგი ბიჭია და მესამე, – იმისთვისაც ციალა დაურქმევიათ – 2 წლისაა, პირდაპირ „ჩასაყლაპია“ , რომ იტყვიან. პატარა სურათზე – „Carte postale“[1] – თვალები 1 სანტიმეტრზე დიდი აქვს, წარმოგიდგენია, სინამდვილეში როგორი უნდა ჰქონდეს? მიხარია კი არა, ამაყიცა ვარ. ჩემი ოცნება იყო მუდამ, შეგნებული მოსაზრებით და სურვილითაც, – 100 შვილი მაინც მყოლოდა; სამწუხაროდ, 5-ს მეტი ღმერთმა არ მომცა და იმათგანაც ორი მომიკვდა. შვილიშვილი სამი მყავს, – ერთი მეორის მჯობნი და გურამი დამპირდა „ცხრამდე

---

1. ღია ბარათი (ფრ.).

ავიყვანო“. და,რაკი ჩემი ამბავი გაინტერესებს,– ორივე „კითხვაზედ“ შემიძლიან სრულიად გულწრფელად და გაუწითლებლად გიპასუხო, როგორც მეგობარმა მაინც იცოდე და ჭორებს არ დაუჯერო.

1. რაც შეეხება ჩემ წიგნს, საუბედუროდ მთელი ტექსტის გამოცემას ვერ მოვახერხებ ალბად (თუმცა იმედს არა ვკარგავ ასეთი საჭირო წიგნის გამოცემაზედ: „ქართველი მოდგმის წვლილი მსოფლიო ცივილიზაციაში.“), – სიძვირისა გამო. იბეჭდება, – და იანვარში გამოგიგზავნი,– მხოლოდ პატარა ბროშურა; 16 გვერდი 25 კლიშეთი მიჯდება პარიზიდან ვაშინგტონამდე საქართველოზე ფიქრით =250.000=ძვ. ფრ. და წინასწარ ხარჯებს ვიღა ანგარიშობს. წარმოიდგენ, რამდენი დაჯდება შემოკლებული 160 გვერდიანი*) და ასიოდე კლიშეიანი, და, ნამეტნავად მთელი ტექსტი 320 გვერდიანი**), – ასზე მეტ საბუთიანი: წერილობითი, ნივთობრივი, უძრავი და მოძრავის და ილუსტრაციებით.

რასაკვირველია, ბროშურა მხოლოდ განცხადებითს ხასიათს ატარებს და ნაკლებ დამაჯერებელია, მაგრამ, – მეცნიერთათვის უფრო გასაგები, ვინც იცნობს მსოფლიო არქეოლოგიის ეხლანდელ მდგომარეობას, პირდაპირ გასაოცარი ამბებია: საქართველო-კავკასიაში მოხდენილ გათხრებისა და მსოფლიოში ცნობილის პარალელებისა; ნაპოვნინივთების, იარაღის, კერამიკის, სამკაულების, ჭურჭელის, სახლების, სასახლეების, ტაძრების და „Zigurat“ =„ცა-გორების“... ერთგვარობანი. რასაც შენ თვითონ მიხვდები ჩემი ბროშურიდანაც. მე ჩემით არაფერს ვიგონებ, არამედ მარტო რეალური შინაარსით ვავსებ ათასი სხვა ავტორის ნაწერიდან, მუზეუმებიდან და სხ. – ინგლისელი მეცნიერი არქეოლოგის წინასწარმეტყველურ ნათქვამს,– Hyde Clarke1 –სი: ციტატა: „=3000=წლის წინად ქრისტეს დაბადებამდე, – კავკასიიდან სპარსეთის ყურემდე; იბერიის (ისპანიის) ნახევარკუნძულამდე, – სცხოვრობდა ერთი ხალხი, ერთი დონის ცივილიზაციისა, ერთი სარწმუნოებისა და ლაპარაკობდა ერთი ენით. და ეს ერთი ენა იყო პალეო-ჯორჯიანიო“.

ალბად გაგიგონია და წაგიკითხავს ს.ს. ორბელიანის იგავი, რომელსაც სათაურად ქართული ანდაზა აქვს: „სახელის გატეხას, თავის გატეხა სჯობია“-ო. მეც ასე მომდის. ახალგაზრდობიდანვე, როგორც ხშირადა ხდება ცხოვრებაში,– ბავშვობიდან ვაჟკაცობაში გადასვლის ხანაში, – მე შემიმუშავდა თავისთავად და შეგნებულადაც ჩემი საკუთარი მსოფლმხედველობა: ცხოვრების დანიშნულებასა და მის მოწყობაზედ, ზნეობაზედ, სწავლასა და საქმიანობაზედ, „ქალთა საკითხზედ“ და სხ. და სხ. ეს „ფილოსოფიური განწყობილება“ ასე ჩამოყალიბდა (ალბად ჩემი ბუნების მიხედვით): სამშობლოს იდეალური თაყვანისცემა და სამსახური; ზნეობაში, არას დროს არაფერი და არავისი არ მივითვისო („არა იპარო“-ო); „არა იმრუშო“ და პირველი (ჩემთვის) მცნება: „არა-იცრუო“. ეს უკანასკნელი განსაკუთრებულად, რადგან ყოველთვის და ეხლაც ყოველნაირი სიცრუე, ყოველ დანაშაულზე დიდ დანაშაულად მიმაჩნია. „სწავლა (და მუშაობა) ადამიანს სიკვდილამდე არ მოჰყიჭდება“- ო, ჩემი მუდმივი საზრუნავი იყო და დღესაც (6/XI-ს 85 წელი შემისრულდა) ვსწავლობ და... ვმუშაობ კიდეც, რამდენიც შემიძლიან. როგორც კი სწავლა დავასრულე (ოფიციალური) 1911-ს, – ვიყავი რედაქტორი (ჟურნალი „კლდე“-ისა), დირექტორი („კახეთისა“), თავმჯდომარე („ქართლისა“), გამგეობის წევრი („წარმოკავშირისა“) და სხ. და სხ. „განმანათლებელ საზოგადოებათა“. პარლამენტის წევრი. არც 1911-მდე ვიყავ უსაქმო: 1905-ს რევოლუცია, ბომბები, სამსახური ბაქოელ მენავთესთან (1906 წ.) და სხ. და სხ. – ყველაფერი ეს სამშობლოს სამსახურად მიმაჩნდა. საზღვარ გარედ ვიყავი „ხალიჩების მბერტყავი“, დურგალი (2 წ.), შოფერი და „კომენდანტი“ (2 წ.) – სტამბოლში. მერე პარიზში – 1 წ. დურგალი, 15 წ. შოფერი, რედაქტორი და სხ. და ომებში და რევოლუციებში გადავარდნილი სამ-სამჯერ. // ალბად არ დაიჯერებ, რომ არას დროს ჩემთვის არაფერი მიძებნია: არც სახელი, არც მდგომარეობა, არც ქონება. – სრულიად უბრალოდ, ბუნებრივად ჩემ სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნდა მუდამ სამსახური სხვებისა და იდეალისათვის, სამშობლოსათვის. სწორედ 60 წლისა ვიყავი 1942-ს, როცა ვისწავლე გერმანული ენა და, – რადგან საომრად არ მიმიღეს, – მოვაწყე დახმარება „ქართველ ტყვეთათვის“,– შევაგროვე 5.000.000-ზე მეტი (მაშინდელი) ფრანკი და დაურიგე 10.000 მეტ ქართ. ტყვესა,– ხუთი წლის განმავლობაში ყველაზე მძიმე ფიზიკური მუშაობა იყო, რადგან უმეტეს შემთხვევაში ვირივით ორი ჩამადანი ზურგზე მეკიდა ხოლმე ხურჯინივით. ამავე დროს, არც წერას, არც სწავლას, არც სხვა საქმეს ვაკლდებოდი (ნამდვილი არქეოლოგიაც მაშინ დავიწყე)... მაგრამ, „ამდენი საქმის(?) მომქმედსა, მართალია, ჯერ ცხრა ადლი ტილო არ წამიღია“, სამაგიეროდ, ჩემთვის, უმაღლესი რამ დავიტოვე და აქ არის ყველა ჭორის „ძაღლის თავი დამარხული“ ჰო და, როცა ზემოაღნიშნულ მსოფლმხედველობას ვამუშავებდი, რასაკვირველია, „ქალთა საკითხიც“ როგორღაც უნდა გადამეწყვიტა. რადგან დედ-მამა სასტიკად გვიკრძალავდა „რაღაცა სისულელეს“, ზოგი ქალის სილამაზე კი მიზიდავდა (სად არიან იმისთანა ლამაზები, როგორც საქართველოში!?) – ქალთან წოლა საშინელ ბოროტებად მიმაჩნდა, სანამ გიმნაზიას დავასრულებდი, და, მხოლოდ სტუდენტობაში, როცა ოცი წლისა

გავხდი და ერთმა „კურსისტკამ“ თავი შემაყვარა*), მაშინ როგორღაც მივხვდი რომ ის „რაღაცა სისულელე“ =ბოროტება და ჩემი იდეალური მისწრაფება სილამაზისადმი, რაც <<სიყვარულის რაინდად>> მაქცევდა და მხდიდა, – ნათესავები ყოფილან შორეულნი.

---

*) პირველი შემთხვევა იყო „Coup de foudre“ [1]-ისა: გაცნობის დღეს, ხიდზე გავლისას, გავიხუმრე: რა კარგია წყალში გადავარდნა-მეთქი, და, ლამაზმა,– გაშალა მკლავები: „რატომ მღვრია წყალში, როცა შეიძლება ერთმანეთის მკლავებში“-ო.

ელდა მეცა და გაიბა გრძელი რომანი. ამ ქალის მეტი არავისათვის შემიხედნია 3 წელიწადი... მხოლოდ 1905 წლის რევოლუციამ დაგვაშორა... როცა „საქართველოს გასანთავისუფლებლად“ დავბრუნდი თბილისს.

პარიზი. 20/XII/1967. „მიშა მაკარაშვილი გარდაიცვალა!“- ო, ამ სიტყვებით გამაღვიძა, წუხელ გვიან დაძინებული... შენთან ბაასში,– ნასყიდაანთ ლიდამ1,– დილას. // და, რაკი სიყვარული და სიკვდილი განუყოფელი და- ძმანი არიან,– სიკვდილისა არასოდეს მშინებია (რითაც ძალიან ბევრს ვაღწევდი ცხოვრებაში, „გამბედაობით“ და ერთად-ერთი, რაც შემოვიტოვე ჩემთვის, იყო სიყვარული. მაგრამ, სიყვარული არა ქალებისა, არამედ ქალისა, რაშიც უდიდესი განსხვავება არის: ჯერ ერთი, მალე დავრწმუნდი რომ, ქრისტიანობისაგან მოგონებული „ერთ-ცოლიანობა“, ან პოეტებისაგან – „ერთსიყვარულობა“ მთელ ცხოვრებაში, ჰიპოკრიტული ზღაპარია (რადგან არ მეგულება კაცი, – ერთი ცოლით, ან ქალით დარჩენილიყოს ან ცხოვრებაში, ან გუნებაში; – ვინაიდან ღმერთმა ბრძანა: გამრავლდითო! და ბუნებამ ისე გააჩინა, რომ კაცს შეუძლიან იყოლიოს ასზე მეტი შვილი და ყველაზე ძლიერ ქალს, იშვიათად 10-12-ზე მეტი.) ამას ემატება პატრიოტული გრძნობა, – რომ ქართველების პოლიტიკური, სოციალური და ზნეობრივი დანაშაული, – მცირერიცხოვანებაშია, და, კანონმდებელი რომ ვყოფილიყავი, მარტო ჩემთვის კი არა, ყველა ქართველისათვის სავალდებულოდ გავხდიდი, სამი ცოლი მაინც, ჰყოლოდა, – სამშობლოსათვის 20-30 შვილის მისაცემად*). როცა ფილიპე გოგიჩაიშვილმა[2] დაბეჭდა გაზეთში: „შვილების ყოლა და აღზრდა (ქართველთათვის) საზოგადო მოღვაწეობა არის“-ო და ყველამ მასხრად აიგდო, მე სრულიად დამარწმუნებელ ჭეშმარიტებად ჩავთვალე ეს აზრი.

---

*) ქვევით გეტყვი, რომ ოჯახი და სიყვარული სინონიმები არ არიან: ოჯახი სახელმწიფოსი, ერის ბურჯია, სიყვარული,– უიშვიათესი ნიჭი.

ეხლა „დაუბრუნდეთ ჩვენ ბატკნებს“ – „Revenons a nos moutons“:

მე დღემდე არ ვიცი, რა მოსწონდათ ჩემში ქალებს (იქნება „სიყვარულის ნიჭი“?), მაგრამ, ღმერთმა ულამაზესი და უსათნოესი ხუთიოდე *) ქალი მარგუნა წილად, და... ამაში რომ ცუდი რამ ყოფილიყო, უსათუოდ დავისჯებოდი **) როგორმე (მჯერა), და, პირიქით, სწორედ ხანგრძლივი სიყვარული იყო მუდამ ჩემი თანამგზავრი აღმაფრთოვანებელი ყველა... საერო საქმეში ***).

თუ კი ყოველ რომანისტს შეუძლიან ათიოდე რომანის დაწერა, და, არა მარტო არავინ უსაყვედურებს, პირიქით,– უქებს; თუ კი დედას შეუძლიან ყველა თავისი შვილი უყვარდეს და ამისათვის დაგმობილი კი არა, პატივსაცემია,– რატომ მე არ უნდა მქონოდა უფლება, შემექმნა ხუთიოდე ცოცხალი რომანი, როცა ამის გარდა პირადად ჩემთვის, არც საზოგადოებისათვის, არც კერძო ადამიანისაგან, არც სახელმწიფოსაგან არაფერი მომითხოვნია და მთელი ჩემი დრო, ენერგია, უნარი შრომისა თუ თავგანწირულობა – მათთვის მიმიძღვნია და შემიქმნია?... როცა ამასთანავე, ქალი მაინტერესებდა არა „ლოგინში საწოლად“ (ეს ხომ ყველას შეუძლიან და სიყვარულს ეძახის და ჰგონია!), არამედ მიყვარდა როგორც უნაზესი პიროვნება, მეგობარი, მეუღლე, შვილი და დედაც,– ყველა გრძნობით ერთად, თუ ცალცალკე? „სიყვარულის რაინდობა“ იდეალად მიმაჩნდა

---

1. მეხის დაცემა – ერთი ნახვით შეყვარება (ფრ.).
2. ლიდა კორძაია-ნასყიდაშვილისა (1907-1997).
3. ფილიპე გოგიჩაიშვილი (1872-1950) – ექიმი, მწერალი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, ეკონომისტი, თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი. მენშევიკების მმართველობის წლებში საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი.

და თუ*) მარო[1], ჩემი შვილების დედა, 60 წელიწადზე მეტია რაც მიყვარს, როგორც პირველ დღეებში.

ლიზა, გარდამეცვალა სწორედ ნახევარ საუკუნის შემდეგ (1913-1963), რომელთგან ოცზე მეტი წელიწადი (უკანასკნელნი) დობას მიწევდა და არა ცოლობას. ეხლაც მიყვარს.

თამარა ერისთავი,– ჭკვიანი, ცოცხალი „მინიატიურა“,– არც კი ვიცი თუ ცოცხალია სადმე და მაინც მიყვარს. რომანი: „ორი იმამის შვილი“-ს ჩამგონებელი. (და დაწერილი მაქვს 50-მდე).

ნ.ბ.დ. ბავშვობიდანვე სათაყვანებელი „წმინდანი“, მუსიკოსი და... ხელშეუხებელი.

დოდო ამილახვარი[2], შვილივით აღზრდილი ჩემგან, გიჟივით რომ შემიყვარდა, – როცა დაქალდა,– სიკვდილამდე, და, დაღუპვის შემდეგ უფროც. იმასაც უყვარდი, მაგრამ, არც ცოლად არც საყვარლად გამომყვა: „სულიერ მამას“ მეძახდა.

**) ერთხელ დედამ მითხრა: „შვილო, შენ რომ ეგრე ქალებს დასდევ – „კოკა წყალზე გატყდება“-ო: ან შვილი, ან მამა, ან ქმარი, ან ძმა მოგკლავენ“-ო. მე უპასუხე: ვისიმე შვილსა, ან ქმარს ჩემთან არავითარი ხელი არა აქვთ-მეთქი, რადგან არასოდეს სხვის ცოლს არ დავდევ და თუ ვისიმე ძმა ან მამა ამისთვის მომკლავს, – ალალი იყოს მათზედა! მართალია, მემუქრებოდნენ, მაგრამ ხომ ხედავ, დღესაც ცოცხალი ვარ. „Mais c’est une autre histoire“[3].

***) ხშირად გამიგონია: „სად ასწრობ მაგდენ მუშაობას და... ქალების დევნასა“-ო? და თუ ნიკო ნიკოლაძე ასეთ საყვედურზე უპასუხებდა: „ყოველი ახალი სიყვარული ათი წლით მაახალგაზრდავებს“-ო, მე შემიძლია ვსთქვა: ყოველი ხანგრძლივი სიყვარული, – შრომის უნარსა და ენერგიას – მიათკეცებდა და არა მაკლებდა.

ხუთიოდე „ცოცხალი რომანი“ თუ დონჟუანობად ჩამეთვლება, – მტკნარი სიცრუე იქნებოდა. არშიყობა რა არის, არც კი ვიცი, რადგან რიცხვი არ მაინტერესებდა (თორემ... კაცი ხარ და იცი, – ყველა ქალს შეუძლიან სქ. გრძნობის გამოწვევა შენში, მაგრამ არასოდეს არ ავყოლივარ, რაკი მარტო ასეთი გრძნობა ქალისა და ჩემი თავის დამამცირებელ უმსგავსოებად მიმაჩნდა). სულ სხვა იყო, როცა ქალი მომეწონებოდა და ნამდვილი სიყვარული აღმეძროდა. მაშინ „ამოსუნთქვის“ დროს არ ვაძლევდი, არავის, არაფერს, არავითარ დაბრკოლებას არ ვერიდებოდი და ახდილად, დაუმალავად ამას ვამჟღავნებდი, რადგან სილამაზედა ვთვლიდი. აი, ამ ახდილობამ, ყველასაგან დანახვამ, ცოდნამ სახელი გამიტეხა, რადგან ქურდულად, ჩუმად აღარაფერი გამიკეთებია და წამხდარ ხალხს (ამ დარგში), ე.ი. უმრავლესობას ვერ წარმოუდგენია, რომ ახდილის გარდა, დასამალი არა მქონია რა. უკანასკნელი ჩემი „რომანიც“ ასეთი იყო. როცა 1926 წელს დოდო პარიზში ჩამოიყვანეს,– 14 წლისა იყო და ჩვენ ოჯახში შვილივითა გვყავდა,– რაკი მთელი მისი ოჯახი ჩვენი მეგობრები იყვნენ (თუმცა მისი ნათესავები ყოველთვის გვაფრთხილებდნენ: „დაანებეთ თავი, ყველანი გიჟები არიან“- ო). მართლა ცოტა „უცნაურები“ იყვნენ და განსაკუთრებით პატიოსნები, კეთილშობილები, ნიჭიერები, მაგრამ გაუნათლებელნი სრულიად. დოდოს, მამის სიკვდილი და და-ელიკას თვითმკვლელობა, საშინლად აწუხებდა, თავი მახინჯი ეგონა (როგორც მე ჩემი თავი ახალგაზრდობაში) და სიცოცხლე ეზარებოდა... სულ თავის მოკვლაზე ლაპარაკობდა. პირველ ხანებში გვეცოდებოდა, მაგრამ, თანდათან მის კარგ თვისებებს რომ ვხედავდით, შვილივით შეგვიყვარდა და მე მის აღზრდას შეუდექი, რაკი ძმებმა, რომ იტყვიან,– „ქვა მიაგდეს“*). ჩემი „მეთოდი“ იმაში იყო, რომ ვართობდი, ვაცინებდი, ცხოვრების სილამაზეებზე ველაპარაკებოდი, ვასწავლიდი, და, რაც მთავარია, ვარწმუნებდი (რაკი მე თვითონ ვიყავი ამაში დარწმუნებული), რომ სრულებითაც მაიმუნი არ არის, და, თუ მოისურვებს, თუ სილამაზეებს ამა ქვეყნისას დააკვირდება,– ყვავილებს, სურათებს, წიგნებს, მუზეუმებს და სხ. და სხ.,– თვითონაც თანდათან უფრო გალამაზდება. იცინოდა (როგორც ალბად შენც გაიცინებ, ჩემო პეტრე), მაგრამ, როცა მალე დედაც **) მოუკვდა, ძმები შემოეფანტნენ და მთლად ობოლი დარჩა,– ნამდვილად „შეიშალა“ და კვლავ თავის მოკვლა ჰქონდა გულში... რომ ვიღაც „ეგვიპტელმა პრინცესამ“[4] დოდო და მია[5] გასართობად შვეიცარიაში წაიყვანა. მე ჩემებური წერილი მივწერე და გასაოცარი ცვლილება მოხდა. ისეთი წერილი მომწერა.

———————

*) დაუჯერებელია, მაგრამ, სამწუხაროდ, როცა კოტიკას[1] მივწერე და ბაზორკას[2]:

———

1. მარიამ ცისკარიშვილი (1888-1970) – რევაზ გაბაშვილის მეუღლე, რომელიც თბილისში დარჩა შვილებთან ერთად.

2. დოდო ამილახვარი (1912-1945) – დიმიტრი ამილახვრის და, დაიღუპა ტრაგიკულად.

3. „მაგრამ ეს სხვა ისტორიაა“(ფრ.).

4. ეგვიპტის მეფის ფარუხის (1952 წ. რევოლუციური გადატრიალების შემდეგ ქვეყნიდან გააძევეს) და.

5. ქეთევან (მია) დადიანი (1913-1996) – პარიზის ქართული სათვისტომოს წევრი, კოკი დადიანის(1879-1939) ქალიშვილი.

„უპატრონეთ თქვენ და-ძმას, თორემ დაიღუპებიან“; – კოტიკამ მიპასუხა: „მე გვარიც გამოვიცვალე, ამილახვარი აღარა ვარ, ჩემი თავისთვის ვერ მომივლია... თვითონ მოუარონ თავსა“-ო. ბაზორკამ: „დათუშა[3] და დოდო ფულის მეტს არაფერსა მთხოვენ ხოლმე, რამდენიც შემიძლიან უგზავნი და სხვა რა უნდა, ან რა ვქნა“-ო. ერთხელ დათუშა ჩვენთან ეუბნება დოდოს: „ყველა მანეკენები მდიდრდებიან, ოქრობრილიანტების ცოლლიერს[4]-ებს ატარებენ, მარტო შენა ხარ უშნო, კაბაც ვერ შეგიძენია, არამც თუ ქურქი“-ო. „რასა ბედავ“- მეთქი, მე უთხარი და ლიზამ კინაღამ სახლიდან გააგდო... მე-8 გვ. შენიშვნის გაგრძელება: / ...ასეთი „რჩევისათვის“.

ხომ გესმის რა „გზაზე“ აყენებდა საკუთარ დას? და მეორედ უარესი ჰქმნა: როცა საწყალმა დოდომ ძლივს თავისი საკუთარი ოთახი გაიჩინა (სულ ახლად ხან სად იყო შეკედლებული, ხან სად) და ოცნებობდა ამაზე, დათუშამ ვიღაც ჯიბგირები გაიამხანაგა („შულერები“) და დოდოს ჯერ გააცნო და მერე შესთავაზა: „აქ გავმართოთ „კლუბი“, კლიენტებს მოვიყვანთ, ფულს მოიგებ შენცა „ხაზაიკობით“ და მეცა“-ო. ძლივს გადავარჩინე ასეთს „კაი საქმეს“. საწყალი დოდო მეტად გულუბრყვილო იყო: „ჩემი ძმაა, გარედ ხომ ვერ გავაგდებ და ჩემთვის ცუდს(?) როგორ მოინდომებს“-ო. გესმის!?

...და თავისი სურათი გამომიგზავნა, – ვერ იცნობდით ამ „მოწყენილ“ გოგოს, უკვე მეთექვსმეტე წელში: „ბატონო რეზო, ერთად-ერთი ჩემი მფარველი მეგობარი თქვენა ხართ... მართალს რომ მეუბნებოდით: აქაურ სილამაზეებს რომ უყურებ,– მთებს, წყლებს, წყაროებს, ასე მგონია მეც ვლამაზდებიო.. (სურათი:) აი, ამ ჩანჩქერთან ვატარებ თითქმის მთელ დროს, სულ თქვენზედა ვფიქრობ და ამ „პულოვერს“ გიქსოვთ... მთელ ჩემ სითბოსა და ოცნებას შიგ ვაქსოვ“-ო. შეყვარებული ქალის წერილსა ჰგავდა, და... შემეშინდა... ჩამომიტანა „პულოვერიც“ (შენახული მაქვს), სურათებიც, მკოცნიდა, მეალერსებოდა... „ჩემი ძმაც, მამაც, მეგობარიც თქვენა ხართ“-ო. არც ლიზასი ერიდებოდა. ლიზამ რამდენჯერმე მითხრა: „ჩვენსა დავაყენოთ“-ო, მაგრამ, მე კატეგორიულად უარზე ვიყავი: „რას ამბობ, ქალო, ბავშვი ხომ არა ხარ შენცა,– ახალგაზრდა ქალის დასახლება სახლში, საცა კაცია, როგორ შეიძლება, რაზე უნდა გავიხადოთ ხათაბალა, ან შენ რაზე იტკიებ აუტკივარ თავსა“? „რეებს ლაპარაკობ! დოდო შვილივით გვიყვარს, შვილად გვერგება და... “ „არავითარ შემთხვევაში!“ – არა ვქენი. // მაგრამ, დოდომ ხშირი სიარული დაიწყო ჩვენთან, თანდათან „მოჩიტავდა“ და ისე შეგვეჩვია, როგორც საკუთარ ოჯახს. მე კი, ეს ჯანსაღი, ჩემი გამოცოცხლებული გოგო თანდათან უცნაურ გრძნობებსა და აზრებს მიღვიძებდა. ისე რომ ლიზას რამდენჯერმე ვთხოვე: „როგორმე მოახერხე, ან სულ ნუღარ მოვა ჩვენთან, ან ძალიან იშვიათად“. რადგან ჩემი (დაუჯერებელი?) პრინციპით, ქალი, რომელიც ჩემზე მოქმედებდა,– შეუძლებლად მიმაჩნდა მასთან „ურთიერთობა“, თუ არ მიყვარდა, და დოდო მაშინ არ მიყვარდა, მაგრამ, თავისი ქცევით და უნებურად... მაღიზიანებდა. თვითონ ბუნებით ცივი იყო, მაგრამ დიდი პატრიოტი (და იქნება ჩემგანა ჰქონდა გაგონილი რამ) ხშირად იმეორებდა: „მე რომ გავთხოვდები, თორმეტი შვილი უნდა გაუზარდო სამშობლოსა“-ო. მე დაუშალე: „ნუ ამბობ, ქალო, წარა-მარა მაგას, რას იფიქრებენ შენზე“?... ყველა ეს ამბავი ხდებოდა rue Vaugirard-ზედ №404 და გრძელდებოდა რამდენიმე წელიწადს, როცა 1936-ს მე ავად გავხდი საშინელი „ rtrite seche“[5]-ით, ხელი დამიდამბლავდა და მუშაობა აღარ შემეძლო, გადავედით „დანცინგზე“ და ლიზამ კვლავ აიხირა: „დოდო ჩვენსა გადმოვიყვანოთ“-ო. მე კიდევ უარი. მაგრამ, ორი რამ მოხდა. ერთხელ გვაზავებმა[1] „ვახშმად“ (7 ს.) დაგვპატიჟეს ჩვენ და დოდო. ლიზა ადრე ავიდა მეზობლებთან და მე დოდოს უცდიდი. ცოტა დაიგვიანა; როგორც კი მოვიდა, მოიკეცა იატაკზედ, თავი

———

1. კონსტანტინე ამილახვარი (?-1943) – დიმიტრი ამილახვრის ძმა, ფრანგული არმიის რიგითი ჯარისკაცი. II მსოფლიო ომში მოხალისე აღმოსავლეთის ფრონტზე, გარდაიცვალა ფეხების მოყინვით.

2. დიმიტრი (ბაზორკა დაბ. ადგილის მიხედვით) ამილახვარი (1906-1942) – დაამთავრა სენ-სირის სამხედრო სასწავლებელი, საფრანგეთის უცხოელთა ლეგიონის პოლკოვნიკი, ოკუპაციისთანავე ლონდონში შეუერთდა შარლ დე გოლის არმიას, მონაწილეობდა სამხედრო ოპერაციებში ჩრდ. აფრიკაში, გარდაიცვალა ელ-ალამეინის ბრძოლაში, დაიკრძალა ლიბიის უდაბნოში. პრეზიდენტ დე გოლის ბრძანებით დაჯილდოვდა „საპატიო ლეგიონის“ უმაღლესი ორდენით.

3. დავით ამილახვარი (?-1967) – დ. ამილახვრის უმცროსი ძმა.

4. ყელსაბამები (ფრ.).

5. „მშრალი ართრიტი“ (ფრ.).

კალთაში ჩამიდო: „ნეტა სულ ასე მამყოფა თქვენთანა“-ო და პატარა ბავშვივით, ან ციცასავით მელაციცებოდა. ავდელდი, პირველად მივხვდი, რომ ქალივითაც მიყვარს და ნაზად ვაკოცე შუბლზედ.

უფრო დამიტკბა გულუბრყვილო, რას მოიფიქრებდა თუ რა ცეცხლი ტრიალებდა ჩემში, და, რომ... გულში არ ჩამეხუტებინა, ტუჩებში არ ჩავკონებოდი,– ალბად დიდი სისულელე იყო ჩემი, – ძლივს ამოვისუნთქე ხმა-წასულმა: „წადი, დოდო, ვახშმად გიცდიან“. „მაგდებთ?“-ო. არა, კი არ გაგდებ, რას იტყვიან რომ ასე იგვიანებ?“ მაკოცა და წავიდა გულდაწყვეტილი: „რაში მინდა მათი ვახშამი, მირჩევნია დილამდე ასე ვიყო თქვენთანა“-ო. გულში კი ვიფიქრე: „მეცა“-მეთქი, მაგრამ, მგონი ვერ ამოვთქვი, ისე ვიყავ შეპყრობილი – მოჯადოებული – შეშინებული, ვახშამდე აღარ ავედი გვაზავებთან: რა მეგვაზავებოდა?: ახალი ერა მეწყებოდა...

ციცინო ჯერვალიძის წიგნიდან
„პარიზიდან ვაშინგტონამდე საქართველოზე ფიქრით“

გაგრძელება შემდეგ ნომერში

———

1. სავარაუდოდ, გიორგი გვაზავას (1869-1941) ოჯახი – იურისტი, პუბლიცისტი, მწერალი, მთარგმნელი. განათლება მიიღო მოსკოვსა და პარიზში. საქართველოს დამფუძნებელი კრების, ეროვნული საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის წევრი. 1926-1939 წწ. პარიზში გამოსცემდა ჟურნალს „პრომეთე“, ფრანგულად „ვეფხისტყაოსნის“ პროზაული თარგმანის ავტორი. მეუღლე – ნინო ჩერქეზიშვილი, შვილები – მზია და ჯამლეთი.

ქართული ტოპონიმები

2013 წლის ზაფხულში მუშაობა მომიწია კახეთის ტოპონიმებზე, რომლებიც თსუ ონომასტიკის რესპ. ცენტრის არქივშია დაცული. თავის დროზე, ეს მასალა შეკრიბა, მოიძია და დაამუშავა ცენტრის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა, ამ საქმის მოამაგემ, დოცენტმა უშანგ სახლთხუციშვილმა; ამ მასალებზე დაყრდნობით აქვეყნებდა სამეცნიერო ხასიათის წერილებსა და სტატიებს, გამოსცა საინტერესო წიგნი – „ადგილის დედა, ანუ რას მოგვითხრობენ ტოპონიმები“. საქართველოს რადიოში, ბატონი თამაზ ხმალაძის გადაცემაში „ჩვენი ენა ქართული“ უძღვებოდა რუბრიკას: „რას მოგვითხრობენ ტოპონიმები“...

წინანდლის სატყეოს ტოპონიმიაზე მუშაობისას შემხვდა ტოპონიმი – ტინი // ტიინისაღმართი – ტყე, ტყის აღმართზე ზეგანი; იქვე ჰქონდა განმარტებაც: ტინი – პიტალო ქვის კლდე. ამ ტოპონიმს მოჰყვებოდა ტოპონიმი – ტინტიბილიკი – ვიწრო, საცალფეხო ბილიკია ბალიანის ბოლოში; ხელნაწერის მეორე გვერდზე „დამხვდა“ თელავის რაიონის სოფ. შალაურის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის ქალბატონ თამარ გრემელაშვილის სევდიანი, ლირიკული ლექსი – 1980 წლის თებერვლით დათარიღებული. ვფიქრობ, ეს ლექსი სასიამოვნო მოულოდნელობა იქნება თავად რაიონისა და სოფლის მოსახლეობისთვის, მისი აღზრდილებისთვის...

ტყე და ტინტიბილიკი

მთაზე აცოცდა „ტინტიბილიკი“,
გულში ჩახედა ტყეს,
ტყიდან გაცოცდა „ტინტიბილიკი“,
თავზე წაადგა ხევს...
წყალს გადაახტა „ტინტიბილიკი“,
ნელა აუყვა კლდეს...

„არსად არ ჩაჩეხო, ეგ ჩემი მეგზური“! –
კლდეს გადასძახა ტყემ:
ეგ რომ არ იყოს, ადამიანებს
ვინ მაღირსებდა მე?!.
არადა, მათთვის მინდა სიცოცხლე,
დამემოწმება მზე“!

ლ. ქიტოშვილი-სახლთუხუცესი

ქართული ხალხური და საეკლესიო დღესასწაულები

ნინო ღამბაშიძე

ქართული ხალხური და საეკლესიო კალენდარი ჩვენი ერის მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობაა, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ეროვნული ტრადიცია აქვს, ის ჯერ კიდევ წინაქრისტიანულ ხანაში იღებს სათავეს.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, ეთნოლოგ ნინო ღამბაშიძის წიგნში „ქართული ხალხური და საეკლესიო დღესასწაულები“(გამომცემლობა „ციცინათელა“, 2011წ) საუბარია ქართული ხალხური და საეკლესიო დღესასწაულების, წეს-ჩვეულებების წარმოშობაზე, დანიშნულებაზე, მათი აღნიშვნის წესებზე. ამჟამად შემოგთავაზებთ შობის დღესასწაულს შემოკლებით.

შ ო ბ ა

შობის დღესასწაული ერთ-ერთი უდიდესი დღეა საქრისტიანოში. იგი ბეთლემში იესო ქრისტეს ხორციელად შობას ეძღვნება. შობის დღესასწაულისთვის სამზადისი და მისი აღნიშვნა უკვე წინა დღესვე, 24(6 იანვარს) დეკემბერს იწყებოდა. ამ დღეს საქართველოში პურის მარცვლის ფაფა იხარშებოდა, რომელსაც ეწოდებოდა: ჭანტილა (სვანეთი, რაჭა, ლეჩხუმი), ან კორკოტი (იმერეთი, გურია, სამეგრელო), ქრისტეს კორკოტი (ქართლი, თუშეთი), ცხრაწვენა (ქართლი, კახეთი) და სხვა.

ჩვეულებრივ, შობის წინა საღამოს (ზემო სვანეთში შობის წინ ერთი დღით ადრე) იკვლებოდა საშობაო ღორი (სვანურად ლექრისდეში, მეგრულად საქირსე ღორი). ღორის დაკვლის შემდეგ ყველა ოჯახში მიდიოდნენ მეალილოეები, მგალობლები, ე. წ. ქრისტეს მახარობლები, 3-4 კაცისაგან (ან ქალისაგან) შემდგარი ჯგუფები, რომლებიც კარდაკარ დადიოდნენ და ოჯახებს შობას ულოცავდნენ. ამას შობის შემოლოცვა ეწოდებოდა. მეალილოეები მღეროდნენ ალილოს, რომლის ტექსტის მრავალი ვარიანტი არსებობს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ზოგჯერ მეალილოეები გადაცმულები და დათხუპნულები დადიოდნენ, რომ ისინი ვერ ეცნოთ. დადიოდნენ მთელი ღამე და სადაც დაათენდებოდათ, იმ ოჯახში იქეიფებდნენ.დასავლეთ საქართველოში ალილოს ამგვარი ტექსტი ჰქონდა:

„ოცდახუთსა ამ თვესაო,
ქრისტე იშვა ბეთლემსაო,
თქვენ გვაჩუქეთ გროშებიო,
დაგელოცოთ ბოვშებიო“. (სამეგრელო)

ან

„ქრისტე-შობა გათენდა
ღმერთმა გაგითენოს,
ეს ძველი და სხვა ახალი,
ყოველი მხრიდან გაიხარეთ“.

* * *

„ალათასა, მალათასა,
ხელი ჩაკარ კალათასა,
ამოიღე ორი კვერცხი,
ღმერთი მოგცემს ბარაქასა. (იმერეთი)

* * *

„ოცდახუთსა ამ თვესაო,
ქრისტე იშვა ბეთლემსაო,
ქალბატონი ლამაზია
გადმოგვიგდებს აბაზიანს“. (ქვემო სვანეთი)

* * *

„ალანთასა, ბალანთასა
ჩამოვკიდებ კალათასა,
ქალო, ერთი კვერცხი მომე
ღმერთი მოგცემს ბარაქასა.
ჩიტი ღობეზე შემოჯდა
იძახდა ქიშმიშობასა,
ღმერთმა ყველანი დაგასწროთ
აღდგომა ქრისტეს შობასა“. (მესხეთი)

აღმოსავლეთ საქართველოში ფშავ-ხევსურეთის, ხევისა და ქართლის გარდა ალილოზე სიარულის წესი ყველგან სრულდებოდა. ძველად შეღერებული კაცები, მოგვიანებით ბავშვები, მთელ სოფელში კარდაკარ დადიოდნენ. ზოგჯერ მეალილოეებს კომბლებიც (კახეთი) ეჭირათ ხელში. მიადგებოდნენ ოჯახს და უმღეროდნენ. მაგალითად ასე:

„ოცდახუთსა და რამდენსა შობა გათენებულაო,
შობის მადლი შეგეწიოთ, ქრისტე დაბადებულაო.
ეს სახლი ვინ ააშენა, ვინ დახურა მუხის გული?
ამშენებლის დედა ცხონდეს, დამხურავის მამის სული.
„აკოშკიდან“ გადვიხედე, ერბო გიდგათ ქილებითა,
თუ გამოგაქვთ გამოიტათ, თორემ წავალთ გინებითა.
ალათასა, ბალათასა კვერცხი უნდა კალათასა.
აქა ღორი დაკლულაო, ნაყელარი ჩვენიაო, ნასამედი თქვენიაო.
პატარძალო ჩვენო ლხინო, მარნის კარი გიჭრიალებს,
მარნის ქოცო აგვიხადე, ყელი ჩაგვიმაჭრიანე“.

მეალილოეთა ხელცარიელი გაშვება არ ვარგოდა, წყევლა იცოდნენ, რაც თავისთავად ცუდის მომასწავებელი იყო. როგორც ზემოთ მოტანილი ტექსტიდანაც ჩანს, კახეთში ზოგან სადღესასწაულო ღორი – ქოსმენი ღამევე იკვლებოდა. თუშეთში ალილოზე მოსიარულენი წინა დღეებში მოკლულ ყვავს მიაბამდნენ ჯოხზე და ჩამოვლისას ყველა ოჯახის სარკმელში შეახედებდნენ:

„ალილო და ქრისტე ღმერთო, ქრისტე მოსრულაო,
ყვავსა ფეხი დაზრობია, კარგად მოსრულაო,
ვინც კაი პურს გამოგვიცხობს, კაი ყმისა აკვანი,
ვინც მონა პურს გამოგვიცხობს, ფსია ქალის აკვანი“.

მეალილოეებს დიასახლისი შინ პატიჟებდა და წინასწარ გამოცხობილ ორ დიდ ქადას – ალილოს კოტორს გამოუტანდა. მეალილოეები ერთს იქვე ჭამდნენ, მეორე და ერთი ჩარექი არაყი თან მიჰქონდათ.

შეგროვილ სანოვაგეს ინაწილებდნენ, ან სადმე ერთად ილხენდნენ. როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოში ოჯახის უფროსი ქალი ან კაცი მეალილოეებს შეძლებისდაგვარად აძლევდა:

ფულს, კვერცხს, ღვინოს, მათთვის გამომცხვარ ღვეზელს და სხვას. ამ ღვეზელს იმერეთში საციქველი ეწოდებოდა. სამეგრელოში ამბობდნენ: „შობაზე კაცი რომ მოვა, გიმღერებს, ეს იგივეა, რომ დიდი ძღვენი მიუტანო ოჯახს“. ამ დღეს სამეგრელოში წესად იყო, ნათლიას ნათლულისთვის ყვარილი/ყვერული (დაკოდილი მამალი), ღვეზელი და კვერი გაეტანებინა ოჯახიდან.

სამეგრელოში ძველად შობა დღეს სისხლი უნდა ჩაესხათ ანუ ღორი, ან ტახი დაეკლათ. შობის დილას იხარშებოდა ღორის თავი. ზოგან ღორი შობის წინა საღამოს იკვლებოდა. ამ დღეს დილით ადრე უნდა ამდგარიყვნენ და ეჭამათ საგანგებო დილის საუზმე, რომელსაც დილის ხაციცი – ოჭუმარეშ ხაციცი ერქვა. იგივე ჩვეულება იცოდნენ იმერეთში. იმერეთში შობის წინა საღამოს ოჯახის თითოეული წევრისთვის კლავდნენ ქათმებს და კუჭმაჭის მაგიერ ურთავდნენ ჭყინტ ყველს და მოხარშულ ბრინჯს. ადრე შობის გათენებამდე ყველანი სუფრას მიუსხდებოდნენ და ლოცვის შემდეგ საუზმობდნენ. ამ საუზმეს ხაციცი ეწოდებოდა. გურიაში „ძღვენი“ ჩვეულებრივ რძლის მშობლებს ეგზავნებოდათ. ძღვენი შეძლების მიხედვით შეიძლება ყოფილიყო: ხარი, ან ძროხა, ცხვარი, ინდაური, ღვინო, საპალნე ღომი, გამომცხვარი პურები, ხაჭაპური. საშობაო ღვეზელი უმთავრესი იყო და აუცილებლად უნდა გაეგზავნათ. შობა დილით აღმოსავლეთ საქართველოს ბარში იკვლებოდა ღორი, რომელსაც ნოემბრიდან ასუქებდნენ. ქართლში მას სააღებო ღორს ეძახდნენ, კახეთში – ქოსმენს. ზოგს ამ დღისთვის საკლავიც ჰქონდა შეთქმული.კ ლავდნენ ცხვარს, კახეთში მამალიც შეიძლებოდა, იტყოდნენ, თითქოს ცხვარი დავკალითო.ამ დღისთვის გადადებული საუკეთესო ფქვილისაგან ანუ ზედაშისაგან ცხვებოდა ქადა, რომელსაც იმდენ ნაწილად ჭრიდნენ, რამდენი ოჯახის წევრიც იყო.

ანთებდნენ სანთლებს, საშობაო სუფრაზე უნდა ყოფილიყო პური, ყველი, ქათამი, ინდაური, საკლავის ხორცი, თხილ-კაკალი, ღვინო და სხვა, რაც ოჯახს ექნებოდა. სუფრასთან რომ დასხდებოდნენ, ოჯახის უფროსი დაილოცებოდა: „ღმერთო მშვიდობის ზაფხული მოგვეცი, ბარაქიანი წელიწადი მოგვეცი. ღმერთო უშველე ჩენ შვილებს, შვილიშვილებს...“

აღმოსავლეთ საქართველოში ეს დღე მიცვალებულთა მოსახსენებელი დღე იყო. ხალხი წირვა-ლოცვას ესწრებოდა, თუ შეთქმული ჰქონდათ, სალოცავშიც გადიოდნენ. ლხინი კახეთში სამი დღეც კი გრძელდებოდა.

კახეთში, სოფელ შილდაში, ამ დღეს ნეკრესის სალოცავში მიდიოდნენ და ღორებს კლავდნენ. ამ სამსხვერპლო ღორს ლომტახს ეძახიან. ლეგენდის მიხედვით ლეკები მორიგი დარბევის შემდეგ ნადავლით შინ ბრუნდებოდნენ და გზად ნეკრესისკენ გამოუვლიათ. ქართველებს მათთვის მამალი ღორები მიუსევიათ და ლეკები ხელცარიელი გაუშვიათ. აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ძირითადი საწესჩვეულებო რიტუალები ხატში სრულდებოდა.

სახლში ყოველივე ისე კეთდებოდა, როგორც ბარში, მხოლოდ კერძები მთისთვის დამახასიათებელი იცოდნენ: ხინკალი, შეთქმული საკლავის ხორცი, ფაფა, მოხარშული ბრინჯი და სხვა. ზოგჯერ ჭირისუფალი ახალი მიცვალებულის სახელზე საკლავს კლავდა, განსაკუთრებით ხევში, სადაც მიცვალებულისთვის წლამდე შვიდი სუფრა უნდა გაშლილიყო, ერთ-ერთი – შობას. შობას ხევში საფლავზეც გადიოდნენ. თუშეთში, დილით, ოჯახის ერთ-ერთ წევრს უმძრახად მოჰქონდა წყალი, რომლითაც საშობაო სუფრისთვის განკუთვნილი კერძები უნდა დამზადებულიყო. დღისით საგვარეულო სტუმრად დადიოდა ერთმანეთთან, საღამოს კი შიყარაში (სოფლის თავყრილობა, ჯარი) გროვდებოდა. დღისით საშიყარო სანოვაგეს ახალგაზრდები კომლობრივ აგროვებდნენ.

ზოგან შიყარაზე ალილოზე შეგროვებულ საჭმელს მიირთმევდნენ. ქრისტის შიყარას ღამეს ნათე (ხატის მსახური) ირჩევდა მაქალათეებს: ორ ვაჟს და ორ ან სამ ქალს, რომლებიც ნათეს წელწდობის (ახალი წლის) ჯარობაზე მოეხმარებოდნენ ხალხის გამასპინძლებაში. აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ხატის მსახურები ხატში შობის ან ახალი წლის ღამეს მიდიოდნენ. ისინი გარკვეული ხნით ადრე იწყებდნენ წმინდობას. ცხოვრობდნენ „სუფთა“ ადგილზე (მაგალითად, ხევსურეთში ჭერხოში), წყვეტდნენ ცოლ-ქმრულ ურთიერთობას, არ დადიოდნენ უწმინდურ ადგილებში. ხატში სადღეობო ლუდის მოდუღება ძირითადად ერთი კვირით ადრე იწყებოდა. ხევსურეთშიხატში ქრისტეს წუხრას ანუ საღამოს მეგანძურს მიჰქონდა თასები, რეცხავდა, გადასცემდა დასტურებს და ისინი თავის ადგილზე დგამდნენ. როგორც წესი ხატის თას-განძი სამალავებში ინახებოდა. დასტურები მიტანილ ღამის სამთელოს (რიტუალური კვერი) და ლუდიან თასებს აწყობდნენ, ახსენებდნენ „ჯვართ“ ანუ სალოცავებს. ყველა იქ მყოფი დგებოდა პირით აღმოსავლეთისაკენ და ხუცესი იწყებდა ხუცობას. ამ დროს ხელოსანი მიდიოდა საზარესთან და ზარს სამჯერ ნელ-ნელა შემოჰკრავდა, მერე ააჩქარებდა და, როდესაც ხუცესი ჯერ კიდევ ხუცობდა, უკან შებრუნდებოდა. ხუცობის დამთავრებისთანავე იქვე დაამწყალობნებდა ხატის ყმებს, შემდეგ უკვე დანარჩენები ეტყოდნენ ერთმანეთს წყალობას ანუ დალოცავდნენ. ბოლოს იწყებოდა სადიდებლები. ხატში ერთ-ერთი მთავარი საკულტო ნივთი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს რიტუალების შესრულების დროს, არის დროშა. იგი მედროშავე ხელოსანს ებარა. სანამ მედროშავე დროშას შეეხებოდა, აუცილებლად უნდა განათლულიყო ანუ საკლავი დაეკლა და მისი სისხლი წაესვა ხელ-მხარზე. დროშა ხის ტარია, რომელსაც თავზე ჯვარი და ზარი აქვს.დროშის ტარზე შებმულია ხალხის მიერ შეწირული საკადრისები – სხვადასხვა ფერის ბაღდადები და ხელსახოცები.

დროშა ფაქტობრივად ყველა სახატო რიტუალში მონაწილეობს. შობა ღამეს მხოლოდ ჯვარიონი იყო ხატში, თუმცა შეიძლებოდა თითო-ოროლა მეთემეც, სოფლის მკვიდრი ყოფილიყო. იდგმებოდა ხელოსანთა ტაბლა, სადაც საკუთარივ ხელოსანთა მოდუღებული ლუდი, შასამავლო და საკლავის ხორცი იყო.იწყებოდა სმა, სიმღერა, ძველ ამბებზე, ანდრეზებზე საუბარი და მხიარულება.სანამ ხატში სმა დაიწყებოდა, მანამ მარხვას ყველა ფაფით „გატეხდა“. ფაფიან ჯამს ტაბლაზე ცეცხლის ახლოს დგამდნენ. ხუცესი სამჯერ ჩაასხამდა ცეცხლში ერბოს. თუ ცეცხლი ძალიან აბრიალდებოდა, კარგი წლის დადგომას იმედოვნებდნენ. შემდეგ შეექცეოდნენ ფაფას.ზედამდეგები იქ მყოფებს ლუდს მიართმევდნენ. ღამეს ყველანი იქვე ათენებდნენ. დილით ღამენათევ ხუცეს-ხელოსანს დასტურები სოფლიდან გამოგზავნილ არაყს ასმევდნენ. ამის შემდე დასტურებს მიჰქონდათ წყალი და ხუცეს-ხელოსნებს პირს აბანინებდნენ. ამას მოსდევდა ჟამისწირვა.

ჟამისწირვის დასრულების შემდეგ მოდიოდნენ მლოცველები. ჯერ მეზღვნეები (მათ, ვისაც საკლავი მოჰყავდა დასაკლავად), შემდეგ კი დანარჩენი სოფელი.კლავდნენ: სასოფლო საკლავს და მეზღვნეების მიერ მოყვანილს. ამ დროს საკლავი ძნელად იშოვებოდა. ის, ვინც იშოვიდა, წელწდისთვის ინახავდა, რადგან დიდ დღესასწაულად მიაჩნდათ. ხუცესი სამსხვერპლო ცხოველის რქაზე სანთელს აკრავდა და იხუცებდა, ახვეწებდა ღმერთს

საკლავის პატრონს, შემდეგ კი ყველა იქ მყოფს ამწყალობნებდა. თუ საკლავი ხარი იყო, ხუცესი ხუცობის დამთავრების შემდეგ ყურს მოაჭრიდა და იქვე გადააგდებდა. ჭრილობიდან გამოსულ სისხლს ხუცესი ჯვრისებურად საკლავის პატრონს შუბლზე წაუსვამდა. ხუცესს ბეჭი და თავი რჩებოდა. ამ წესის შესრულების შემდეგ სხდებოდა ჯარი (თავყრილობა), რომელსაც დასტურები მოხარშული ხორცითა და ლუდით უმასპინძლდებოდნენ. იწყებოდა სმა, საგმირო სიმღერების შემღერნება. ქალებს ლუდს არ ასმევდნენ. ისინი ძალიან მალე ბრუნდებოდნენ სახლში. თუ ვინმეს სტუმარი ჰყავდა, ხატში მას განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ. წასვლის წინ ჯვარიონი დალოცავდა მლოცველებს: „წყალობა წაიღეთ, მაგალითად, სანების ჯვრის, მეწაღმართე ანგელოზი გამოგაყოლასთ. ჯვარ გეწერასთ, ჯვარსაც, კაცსაც“... ასეთივე წესები სრულდებოდა ფშავშიც. ამ დღეს მიცვალებულების მოხსენიებაც იცოდნენ. თუ ხევსურეთში მარხვას ფაფით გაიხსნილებდნენ, ფშავში ყველით, პურით და ერთი სასოფლო საკლავის ხორცით. იმ ხატებში, სადაც ღამისთევა არ იცოდნენ, ყველა წესი დილით სრულდებოდა.

გუდამაყარშიც შობას მარხვა ხსნილდებოდა. იყო უქმე. ოჯახი ქადებს, ხინკალს და სხვა რაც ექნებოდათ, აკეთებდნენ. ზოგი მიცვალებულებს შენდობას ეტყოდა. იცოდნენ ერთმანეთის მიპატიჟება.

მთიულეთში დილით დიასახლისი ხინკალს, ფაფას ან ანტრიას აკეთებდა. სუფრასთან რომ სხდებოდნენ, ოჯახის უფროსი, რომელსაც ხელში ორი-სამი ანთებული სანთელი ეჭირა, ქრისტეშობის მადლის ძალას ეხვეწებოდა შეწევნას. შემდეგ სანთლებს მათთვის განკუთვნილ ადგილზე მიაკრავდნენ და სადილად სხდებოდნენ. ზოგან ხატში მზარეულები (ხატის მსახურები) იცვლებოდნენ. ისინი ვალდებულნი იყვნენ ხატში 3 თოხლი მიეყვანათ, რომელთაც დეკანოზი კლავდა. ერთი-ორი ახალი მზარეული 1 ჩარექა არყის შესაგროვებლად დაივლიდა სოფელს. ხატში სალოცავად ხალხიც მიდიოდა.

შალვა მჭედლიშვილის 90 წლის იუბილისთვის

9 ოქტომბერს სიღნაღში საზეიმოდ გაიხსნა საზოგადო მოღვაწის, დისიდენტის, ექიმის, პოეტ შალვა მჭედლიშვილის (1923-2007 წწ.) ბიუსტი. იგი აღიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ძალისხმევით. კვარცხლბეკზე გამოსახულია ნაწყვეტი მისი ლექსიდან. ძეგლი პოეტის მეგობრის, მწერალ იორამ ღუდუშაურის დიდი მონდომების შედეგია.

ბიუსტის გახსნას ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, მწერლები, სასულიერო პირები, ოჯახის წევრები. სკოლის მოსწავლეებმა წაიკითხეს პოეტ შალვა მჭედლიშვილის ლექსები.

შალვა მჭედლიშვილს თავისი მრწამსის გამო საბჭოთა ხელისუფლება დევნიდა. იგი იყო რეპრესირებული და მრავალი წელი პატიმრობასა და გადასახლებებში გაატარა. გაასამართლეს საბჭოთა კოდექსის 58/10/11 მუხლით, რაც ნიშნავდა ანტისაბჭოთა აგიტაცია-ორგანიზაცია-პროპაგანდას.

მისი ერთ-ერთი ლექსი „მეორედ მოსვლა“პოეტის სახლის ჩხრეკის დროს აღმოაჩინეს.

„დასცხეთ დაფდაფებს და სანთლების სევდიან ალში,
ააფრიალეთ ქრისტეს ხატით ნაქარგი დროშა!
დასცხეთ დაფდაფებს, მიაჩუმეთ სიკვდილის მარში,
მეორედ მოსვლა მოახლოვდა, მეორედ მოსვლა!“

ეს ლექსი სუკის არქივში დღემდე ინახება „სამუდამოდ შენახვის“ მინაწერით.

შალვა მჭედლიშვილი „ხალხის მტრად“ გამოაცხადეს. მან დახვრეტის მუხლით 2 წელი სუკის ციხეში (1945-1947 წწ.) გაატარა. ომის დამთავრების შემდეგ სამუდამო გადასახლება მეესაჯა ვორკუტასა და ყარაგანდაში.

50-ანი წლების დასასრულს შალვა მჭედლიშვილი სამშობლოში დაბრუნდა, თუმცა დედაქალაქში ცხოვრების უფლება არ ჰქონდა. მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა მკურნალ ექიმად საქართველოს სხვადასხვა კურორტზე.

ნინო ტაჰყაშვილი

მადლი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი კეთილი გოგონა. ისეთი კეთილი, რომ მისი სიკეთე ბევრს აკვირვებდა. ამიტომაც მას გულისა, ანუ გულიანი დაარქვეს. მაგრამ, სამწუხაროდ, ისეთ ღარიბ ოჯახში დაიბადა, რომ იტყვიან, გაჭირვებისაგან სულს ძლივს ღაფავდნენ. ხშირად საჭმელად ნატეხი პურიც კი სანატრელი ჰქონდათ. დედა და მამა გაჭირვების გამო ხშირად კამათობდნენ, რაზეც გულისა ძლიერ წუხდა. დაჯდებოდა ღარიბული ქოხის კუთხეში და დიდრონი ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა.

ერთხელ მეგობარმა გულისა ტაძარში სალოცავად წაიყვანა. გოგონას საგალობლის ხმაზე გული ამოუჯდა და ტირილი დაიწყო. იტირა, იტირა, ვიდრე მლოცველების ყურადღება არ მიიპყრო. შემოეხვივნენ აქეთ-იქიდან და დაუწყეს დამშვიდება: რა გაგჭირვებია, გოგონა? შეიკავე ცრემლები, ნუღარ ტირიხარ, თუ რაიმე გაწუხებს, წადი სვეტიცხოვლის ტაძარში და ილოცე, იქ დიდი მადლია, წამოიღე ეს მადლი და უფალი ყველა გაჭირვებისგან გიხსნის. ამ სიტყვებმა გულისას ნუგეში მოჰფინა და დააწყნარა. მას შემდეგ ოცნებად გადაექცა მცხეთაში წასვლა და იქიდან მადლის წამოღება. მაგრამ არც ხელჩანთა ჰქონდა, არც კალათი, რითაც მადლის წამოღება შეიძლებოდა, და არც მცხეთამდე წასასვლელი ფული.

ერთხელაც მეზობლის ბავშვებმა გოგონას თუთის ხის მერქნისგან მშვენიერი კალათის მოწვნა ასწავლეს. მეზობლები თუთის ფოთლებს აბრეშუმის ჭიას უფენდნენ, ხოლო ფოთოლშემოცლილ ნორჩ ტოტებს ეზოს გარეთა კუთხეში აგროვებდნენ. ასე რომ, მისი შოვნა ძნელი არ იყო. ჰოდა, გოგონამ ისეთი ლამაზი კალათა მოწნა, რომ თვალებს არ დაუჯერებდით, მისი პატარა თითების ნამოქმედარი თუ იყო. შემდეგ კალათს თავსარქველიც შემოაწნა და ჭუჭრუტანები კანფეტის ფერადი ქაღალდებით ამოავსო, რომელთაც თავის ტოლებში აგროვებდა. მართლაც, უჩვეულო კალათი გამოვიდა. ახლა გოგონა გზის ფულს ნატრობდა, რომ მცხეთაში წასულიყო და ოქროსფერი ტაძრიდან მადლი წამოეღო. ერთხელაც მომლოცველებმა სოფლიდან ფეხით დააპირეს მცხეთაში წასვლა. და თუმცა, გოგონა ამისთვის ძალიან პატარა იყო, მასაც შესთავაზეს, რადგან მას ეს ძალიან უნდოდა. გოგონა სიხარულით ცას ეწია. ჩაიცვა თავისი საუკეთესო თეთრი კოპლებით გაწყობილი წითელი კაბა, აიღო კალათი და მომლოცველებთან ერთად მცხეთისკენ გაეშურა. გზადაგზა ყვავილებს კრეფდა, მღეროდა. ისე სწრაფად გაილია გრძელი სავალი, რომ ვერც კი გაიგო, და აი, სანატრელ ქალაქში დიდებული ტაძარიც გამოჩნდა.

მომლოცველებთან ერთად გულისამ ტაძრის გარეთ პაწაწინა მუხლებზე დაიჩოქა. ხელები ცისკენ აღაპყრო და უფალს შეჰღაღადა: „აი, მოვედი შენს სასახლეში, შემეწიე, უფალო!“ ტაძარში შესვლისთანავე მოხსნა კალათს სარქველი და ყველა ხატი ჩამოილოცა... მიდიოდა ხატებთან სათითაოდ და ევედრებოდა: „აი, წმინდაო... ამისრულდა ნატვრა და მოვედი ტაძარში, გამატანე ამ კალათით ცოტა მადლი, რომ დედიკომ და მამიკომ თავი დააღწიონ სიღარიბეს და აღარ იჩხუბონ... და კალათიც მადლით ივსებოდა.“ გოგონა განსაკუთრებით იმ ხატს ევედრა, სადაც წმინდა სიდონიასთან ერთად უფლის კვართი განისვენებდა. შემდეგ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს, წმინდა ნინოს, წმინდა ნიკოლოზისა და წმინდა გიორგის ხატებთანაც შეჩერდა. არც სხვა წმინდანები დავიწყებია. კალათა კი ივსებოდა და ივსებოდა მადლით. მძიმდებოდა და მძიმდებოდა. ბოლოს რაღაც ხმამ უკარნახა: „გაივსო, გოგონა, შენი კალათა მადლით, დაახურე სარქველი, მეტი მადლის ტარებას ვეღარ შესძლებ, შენ ხომ ძალიან პატარა ხარ!“ გოგონამ, მართლაც, დააფარა კალათს სარქველი, კიდევ ერთხელ ეამბორა ტაძრის კედლებს, შემდეგ გამოვიდა ტაძრიდან, იქვე შესასვლელთან ახლოს, ტაძრის ეზოში, ხის სკამზე ჩამოსკუპდა და თანამგზავრებს დაელოდა.

ტაძრის ეზოდან გამოსულმა

მომლოცველებმა გადაწყვიტეს მცირეოდენი წაეხემსათ და სხვა ტაძრების მოსალოცად წასულიყვნენ. პატარა გოგონა კი, ძალიან რომ არ გადაღლილიყო, ერთი კეთილი მრევლის მანქანით თავის სოფელში გამოამგზავრეს. რა მოგაქვს, გოგონა, კალათით? – დაინტერესდა მძღოლის, კეთილი ბიძიას მეუღლე,ლამაზი ქალბატონი.

ლამაზმა დეიდამ იფიქრა, რომ გოგონას კალათი ცარიელი იყო და გადაწყვიტა,გული რომ არ დაწყვეტოდა,მისთვის დიდ მარკეტში ტკბილეული ეყიდა და გოგონა გაეხარებინა. „არა, კეთილო დეიდა, უპასუხა გოგონამ. ამ კალათს სახლამდე ვერ გავხსნი. კალათში მადლია, რომელიც ჩემს ოჯახს ძალიან სჭირდება. სვეტიცხოველში შევაგროვე. მინდა, სახლი მადლით ავავსო!“ ლამაზი დეიდა გააღიმა გოგონას გულწრფელობამ. მაინც გააჩერებინა მანქანა მეუღლეს და უყიდა გოგონას კანფეტები და ლამაზი პარკით მიართვა. კალათით კი, მართლაც სჯობია, მადლი წაიღო“, – უთხრა მან.

გოგონა სიხარულით აღარ იყო. სახლში ახლა უკვე მადლიც მიჰქონდა და ტკბილი კანფეტებიც. ოჰ! არასდროს ჰქონია მას ამდენი კანფეტი. სახლთან რომ მივიდნენ, კეთილმა ბიძიამ გაუჩერა, მანქანიდან გადმოსვა და ცოლ-ქმარი ღიმილით დაემშვიდობა. გოგონამ სიხარულით აირბინა კიბეები. უჩუმრა შეიპარა თავის პატარა ოთახში. კანფეტების პარკი სასწრაფოდ საწოლზე დადო. შემდეგ მოხსნა პირი კალათს. დაიჩოქა და უფალს შეჰღაღადა: მისმინე, კეთილო ღმერთო! ტაძრიდან ერთი კალათი მადლი ჩამოვიტანე. აავსე ჩემი სახლი მადლით. რათა არ მოგვაკლდეს პური და საკვები და ჩემმა დედ-მამამ აღარასდროს იჩხუბოს. როგორც კი ეს გოგონამ სამჯერ გაიმეორა, ოთახი, მართლაც, სურნელოვანი მადლით გაივსო. ასეთი სასიამოვნო სურნელება არასდროს უგრძვნია.

ახლა ჩემს სახლში მადლი ტრიალებს, – თქვა გულისამ. ამიტომ აქ სულ სიმხიარულე იქნება!.. და ფართოდ გაიღიმა. და ნახეთ საოცრება: იმ დღიდან სახლი, მართლაც, დოვლათით და ბარაქით გაივსო. ოჯახში სიხარულმა დაისადგურა. ყველას უკვირდა ამ ოჯახის ასეთი სასიამოვნო ფერისცვალება. უკვირდათ, რადგან მათ არ იცოდნენ იმ საოცარი კალათის არსებობა, რომლითაც შეიძლებოდა ტაძრიდან მადლის წამოღება.

პოეზია

იოსებ ხუსიშვილი

ქართული არჩევანი

ყვავილივით ვერც ჩვენ ვიტანთ
გადარგვას და შეცვლას მიწის.
უსამშობლოდ ვსნეულდებით,
ეს უფალმა ღმერთმაც იცის.

გვირჩევნია ჩვენს მიწაზე
ავაშენოთ, ვხნათ და ვთესოთ,
მტრისგან სამშობლო დავიცვათ
და არასდროს დავიკვნესოთ.

რაც არ უნდა სხვაგან კარგი
ცხოვრება და წინსვლა ვნახოთ,
გვირჩევნია სამშობლოში,
ჩვენს მიწაში დავიმარხოთ.

ადრე დავტოვე შიში აკვანში

მოდი, მე შენი არ მეშინია,
ქართველად მზრდიდნენ მამაპაპანი,
ჩემი ჯილაგის გადასარჩენად
გამოიგონეს ჩვილის აკვანი.
მოდი, მე შენი არ მეშინია,
ადრე დავტოვე შიში აკვანში,
ბავშვობიდანვე გამომყვა ჩვევად
თოფთან, ხანჯალთან, ხმალთან თამაში.
მოდი, მე შენი არ მეშინია,
შეგაჯანჯღარებ მიწის ძვრასავით,
დაგხვდები მშვიდი და შეუვალი,
ძლიერი, მტკიცე რიყის ქვასავით.
მოდი, მე შენია არ მეშინია,
გული მაქვს როგორც კავკასიონი,
ძუძუს მაწოვებს ქართული მიწა
და რწმენას მაძლევს დედა სიონი.
მოდი, მე შენი არ მეშინია,
ვგრძნობ წარბის შეხრაც კი სირცხვილია,
ზეციდან გვიცავს წმინდა გიორგი,
კურთხევას გვაძლევს ბრძენი ილია...
მოდი, მე შენი არ მეშინია,
მოდი!

თაოგქანი

დიდარ ამანთაი

დიდარ ამანთაი ყარაგანდაში დაიბადა, სოფლის სკოლა იქვე დაამთავრა და მეტალურგობას აპირებდა. 2 წელი ისწავლა კიდეც პოლიტექნიკურ ინსტიტუში. შემდეგ ყაზახეთის ალ-ფარაბის სახელმწიფო უნივერსიტეტში გააგრძელა სწავლა ფილოსოფიისა და პოლიტოლოგიის სპეციალობით. მოგვიანებით თეატრისა და კინოს ინსტიტუტიც დაამთავრა, როგორც კინოდრამატურგმა. ამჟამად დიდარ ამანთაი კონსტუდია „ყაზახფილმის“ მთავარი რედაქტორია.

ამანთაი უმეტესად ყაზახურ ენაზე წერს, თუმცა, წერს, ასევე რუსულადაც.

მისი მოთხრობების პირველი კრებული „პოსტსკრიპტუმი“ 1996 წელს გამოვიდა, შემდეგ, 2000 წელს – „მაკურთხე“. 2003 წელს გამოქვეყნდა ამანთაის პირველი რომანი „ყვავილები და წიგნები“. 2005 წელს ამანთაი „შემოდგომის რანდევუს“, მოთხრობების კრებულს აქვეყნებს, 2010 წლიდან კი იწყება მისი ხუთტომეულის გამოცემა.

დიდარ ამანთაის ნაწარმოებები თარგმნილია ფრანგულ, თურქულ და მონღოლურ ენებზე.

ამანთაი ინტენსიურად მუშაობს ფილმოგრაფიაშიც.

დიდარ ამანთაი სახელმწიფო ახალგაზრდული პრემიის „დარინის“ ლაურეატია (1999). 2007 წელს ის ყაზახეთის მეცენატთა კლუბის „ტარლანის“ ლაურეატი გახდა.

დიდარ ამანთაი ქართულად პირველად იბეჭდება. ამანთაის წინამდებარე თარგმანების ორიგინალური ენა რუსულია.

დიდარ ამანთაის ვებგვერდია: http://www.didaramantay.kz/

გთავაზობთ დიდარ ამანთაის ლექსებს და ესეებს.

ხელოვნების წარმართული საწყისი

იქ, სადაც სტილის სისრულე ზღვარს აღწევს და სიცარიელედ გარდაიქმნება.

თანამედროვე ცივილიზაციაში ორი შეცდომაა, რომელმაც კულტურა გამოყენებით ხელოვნებად აქცია: პირველი დაშვება – წინაპართა რწმენა სულებისადმი წარმართობად იწოდებოდა, და მონოთეიზმმა დიქტატურა დაამყარა ადამიანის გონებასა და სინდისზე, მეორე გაურკვევლობა – ის, რომ მცირე ენის უნივერსალურ-სტიქიური ბუნება ფართო საერთაშორისო ურთიერთობის შეკუმშულ ალგორითმად გადაიქცა. დღეს ყოველი ენის ლექსიკონში უფრო მეტია ზოგადსაკაცობრიო ერთობლივი გამოყენების სიტყვა, ვიდრე ინდივიდუალური და განუმეორებელი ლექსიკა.

ერთი ღმერთის ერთიანი რწმენა გამორიცხავს ეროვნული კულტურის მრავალსახოვანებას. სახელები ბიბლიური ხდება, კორპორატიული რიტუალური ქცევა აძლიერებს თანაზიარობას, წარმართული წარსული არყოფნაში მიდის. ყველაზე მაღალი ზნეობრივი ცნებები კარგავენ საკუთარ, და საწყისშივე ტანჯვით ნაშობ სახელებს და თავისი არსში განისაზღვრებიან დეფინიციებით, რომლებიც ერთიანი წმინდა წიგნებიდან არის ნასესხები.

საყოველთაოდ შემტევი გლობალიზაციის ბნელი მხარე ნათდება უნიკალური ეროვნული კულტურების დაკრძალვებზე. საყოველთაო ინტეგრაცია დაიწყო პირველი ერთიანი სარწმუნოებების გაჩენასთან ერთად. წარმართული კულტურა თავისივე წარმატებების მსხვერპლი გახდა. მრავალრიცხოვანმა ღმერთებმა საკუთარი აღამტებულობის დამტკიცების მცდელობისას ერთი რწმენის ბატონობა შვეს.

ახლა ღმერთი ერთ ენაზე ლაპარაკოს, ხელოვნება მას ბაძავს საკუთარი ჟანრების დაუსრულებელ სტილიზაციაში. ჩვენს დროში ჟანრები არ იცავენ საკუთარ საზღვრებს, და სადემარკაციო ხაზები ძნელად ჩასაწერია. სტილი, რომელიც მთავარ ადგილს იკავებს

ესთეტიკაში, მხოლოდ ცარიელ ფორმას ემორჩილება. სტილით დიდხანს გატაცებას შინაარსის დაკარგვამდე მივყავართ, შინაარსდაკარგული ფორმა კი ცარიელია.

წარმართული კულტურა, რომელიც ერთხელ ქრისტიანობამდელი ქალწულებრივი საიდუმლოთი აივსო, მოიხიბლა წინასწარმეტყველის დაბადებით და დაკარგა უბიწოება, თანამედროვე ადამიანის ხატის ცოდვიანობამ ტექნიკურ ცივილიზაციასთან ერთად თავისი ლოგიკური სისრულე მიიღო. ერთი გემოვნების ბატონობას ხშირად მივყავართ დაცემამდე... და პირველი ბიბლიური ადამიანის დაცემა დღემდე გრძელდება ბუნების ათვისების სტილში. შეჭმულ ვაშლს ცუდი გემო აქვს.

ამ ცუდმა გემომ დღეს დედამიწაზე გლობალური პრობლემები გააჩინა, ხვალ კი მათ გადაწყვეტას დაიწყებს, ამით განსხვავდება ცივილიზაცია წარმართული კულტურებისაგან.

ხელოვნება და წარმართობა უძველესი ისტორიამდელი სიღრმეებიდან მოვიდნენ. ისინი ურთიერთდაკავშირებულნი არიან და ერთდროული საერთო წარმოშობა აქვთ. ამიტომ, ხელოვნება წარმართობის გარეშე კარგავს საუკეთესო საკრალურ ფესვებს. ხოლო წარმართობა უწინ აშკარად ბოროტად სარგებლობდა ხელოვნების უპირატესობით. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხელოვნება დაიბადა წარმართული კულტურის წარმოშობასა და განვითარებასთან ერთად. ან ტოლობის ნიშანი დავსვათ წარმართობასა და ხელოვნებას შორის, მაგრამ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში საწყისი ურთიერთდამოკიდებულების ორ მსოფლმხედველობას ჩვენ ვერ გამოვრიცხავთ, პირიქით, ის ძლიერდება და მკაცრ, სრულ მრწამსში გადადის.

ყოველი წარმართული კულტურა გულისხმობს ინდივიდუალური უნიკალურობის არსებობას ისევე, როგორც ხელოვნების ყოველი ნაწარმოები მოითხოვს ორიგინალურ მიდგომას. ეროვნულ ენებს, რომლებიც წარმართული კულტურების წიაღიდან წარმოიშვნენ, შეუძლიათ ხელოვნების გადარჩენა უაზრობისგან, თუ მათ დაიცავენ გლობალიზაციისა და ერთიან რწმენათა ყოვლისშემძლე ცივილიზებული შეტევებისგან.

ალმა-ათა, 2001 წლის მარტი

კამიუსა და დოსტოევსკის რეტროსპექტივის მიხედვით

ის ძალების გაფურჩქვნის ასაკში იყო. ლამაზი ცოლი ჰყავდა და ყოველდღე ხატავდა. ცნობილი გახდა. დიდება ეწვია. ერთხელ დილით, გაიღვიძა და ვეღარაფერი დახატა.

საღამოსკენ ახალი საღებავები ქილებში გაშრა, ახალი ფუნჯები იატაკზე ეწყო. თავისთან, სახელოსნოში არავის უშვებდა და არავის არაფერს უჩვენებდა. იმ დღიდან არავინ იცოდა,რას ხატავდა სახელოსნოში. ის არაფერს ხატავდა. მაგრამ ყოველ დილით დადიოდა მაღაზიაში, ყიდულობდა ახალ-ახალ საღებავებსა და ტილოებს. ყველა ფიქრობდა, რომ შემოქმედებით აღმაფრენა ჰქონდა და გამოფენასაც მალე მოაწყობდა. ცოლი იმედით ცხოვრობდა: ახლა კი ნამდვილად იყიდიან ახალ სახლს და გაემგზავრებიან ხმელთაშუა ზღვაზე ამომავალი მზის საყურებლად. ერთი თვის მანძილზე მხატვარს 30 ტილო დაუგროვდა და ძალიან ბევრი საღებავის ქილა.

მთელი დღეობით იკეტებოდა სახელოსნოში და ბავშვივით ტიროდა. ხანდახან ღამეც იქ რჩებოდა, გამოუყენებელი საღებავების სუნში. დილით, გამოუძინებელზე მაღაზიაში მიდიოდა ახალი ტოლოს საყიდლად.

ხდება ხოლმე, როცა ეჭვი შეგეპარება არჩეული გზის სისწორეში, არ გინდა რაიმე იკითხო, მით უმეტეს — დახატო. შენთან აბსურდი მოდის, ცხოვრება უაზრო ხდება.

დაწერილი პროზა შორეული ხდება, უცხო... იკარგები, როგორც მხატვარი. ასეთი დღეები იმ მხატვრის სუფთა, დაუხატავ ტილოებს გაგონებს. უჩუმრად, გრძნობების გარეშე მოაგროვებ შენი ცხოვრების ასეთ დღეებს, რომლებზეც არაფერი წერია — არც სევდა, არც მოწიწება, გარდა მარტოობისა გულგრილ ადამიანთა შორის.

მაშინ მოგინდება გქონდეს სილამაზე, რომელიც შენ გიხსნის.

ალმა-ათა, 1996 წლის იანვარი

მარტოობა სევდაში

ვიცი, შენში ხანდახან საუბრობს
შენი ცხოვრების გამოცდილება,
და იკარგება ლამაზ ქალთან ურთიერთობის გულწრფელობა —
სხვისი შთაგონების მუზასთან.
დაე, შენმა ფარისევლობამ ხალხი დაასევდიანოს,
შენ ძვირფასი ხარ ჩემთვის.
ბედისწერის გზა მასვენებს მე,
სიყვარულში მარტოსულს
როგორ უნდა გავარჩიო სიკვდილ-სიცოცხლის მარშრუტები
და ღამის შემდეგ ამოდის მზე,
როდესაც ადაის ტომის კეთილი მომთაბარე კაცი
ჩამოქვეითდება აქლემიდან
და უდაბნოში დაწოლილს მიპოვის,
რომელიც გულგრილია შენს მიმართაც,
ღმერთის მიმართაც.
გრძნობების ისტორია, ნუთუ, ასე თავდება?
წასვლის შემდეგ გულისწყვეტის გრძნობასა და მტვერს ტოვებს?

ავტორის სიკვდილი

ლექსები ლაკონური გახდა,
დაუსრულებლად იძირება საპასუხისმგებელო ირაციონალობაში,
მაგრამ აზრი სამუდამოდ დაიკარგა.
პოეტები თავისთვის, ან მაგიდაში წერენ,
იმედი ბოლო კვდება.
მძიმე ტექსტებს რითმავენ. მოსაწყენი საქმიანობა უმხიარულო სონეტებს ბადებს.
ვიღაც წაიკითხავს დიდი დროის შემდეგ
და ისინი, როგორც ნოსტრადამუსის შუასაუკუნოებრივი წიგნი
სხვა სახეს მიიღებს,
ისეთს, როგორიც თავიდან არ იყო ჩადებული ფიგურატიულ სტრიქონებში.
პოეზიის სიკვდილი — საინფორმაციო ეპოქის ფაქტია.
კვდება ლექსი, როგორც ტყვიანაკრავი იხვი
მომცრო მეტალურგიული ქალაქის განაპირას,
სადაც ხალხი ცუდი ეკოლოგიის გამო იტანჯება.
და მუზა, როგორც ბოზი, შორეული უზარმაზარი მეგაპოლისების
ყველა მცხოვრებს სტუმრობს.

რუსულიდან თარგმნა ქეთევან მუმლაძემ

ქართული სული

კონსტანტინე კაკანელი

ქართული ტიპი

გაგრძელება

ილია ჭავჭავაძესა და ივ. მაჩაბელს შორის უთანხმოება იყო ერთგვარი სამწუხარო დემონსტრაცია ჩვენი „უჩემოდ ვინ იმღერეთობის“. ორი დიდი ქართველი ერთს იდეას, ერთს საქმეს აკეთებდენ, მაგრამ მამა-პაპური „უჩემოდ ვინ იმღერეთობა“ აწუხებდა მათ – და ამიტომ ერთად მუშაობა საერთო საქმისთვის ეძნელებოდათ.

„უჩემოდ ვინ იმღერეთობამ“ საქართველო კაჩუხაშვილებისა და ჩხიკვიშვილების საჯირითო მოედნად გახადა და მთელი რიგი საზოგადო მოღვაწეთა, მცოდნე პირთა ეხ დ'ვეტატ დარჩა იმ დროს, როდესაც სმერდიაკოვები საქართველოს აქცევდნენ.

ნოე ჟორდანიას მეტამორფოზა და განაპირება მენშევიკური ფორმაა ჩვენი „უჩემოდ ვინ იმღერეთობის“, ერობები საქართველოში იგივე საშუალო საუკუნეების კარჩაკეტილი, ერთმანეთის მოქიშპე ფეოდალური სახელმწიფოები იყვნენ.

საყურადღებოა ეროვნული ფსიქოლოგიის თვალსაზრისით მენშევიკების ბატონობის დროის ქართლ-კახელების ჩივილი: „იმერლები მოგვაშორეთ თავიდანო“. სამეგრელოს „მაფალუც“ თანაბარი ხასიათის აღსანიშნავი მოვლენაა, ისტორიული ტრადიცია, ეს ცივილიზაციური იდ ე-ფორცე დრო გამოშვებით თავისას ლაპარაკობს, თავისას ქმნის, თითქოს უკუღმართი სოციალური მიმდინარეობის ჩვეულება ისტორიულ კანონად გადაქცეულა. ბოლო დროს ლიტერატურაც ჩვენში „უჩემოდ ვინ იმღერეთობამ“ დაიპყრო, მხოლოდ „უჩემოდ ვინ იმღერეთობა“ აქ კი კარიკატურულ სახეს ღებულობს; ყოველი მელექსე თამამად და უსირცხვილოდ წერს – მე კაცობრიობის უდიდესი პოეტი ვარო.

ჩვენი კულტურული პროვინციალიზმი დამთავრდა ლოგიკურად პერსონალიზმით: ერთი ჩვენი მოღვაწე, რომელსაც ისტორიამ დიდკაცობა არგუნა და ისევ წაართვა, ხშირად ბრძანებდა ხოლმე – მე ისეთი სახელმწიფო მინდა ავაშენო, რომლის მსგავსი ჩვენს პლანეტაზე არ ყოფილაო.

ეგრე თავხედურად გამოთქმული ფრაზა ჩვენი „უჩემოდ ვინ იმღერეთობის“ ისეთივე ფსიქოლოგიური გამომსახველია, როგორც ზოგიერთი ქართველი მელექსეს სასაცილო ტრაბახი: მე კაცობრიობის უდიდესი პოეტი ვარო.

ჩვენს ხასიათში არის რაღაც ისტორიულად შეძენილი თავხედობა, ერთგვარი პრანჭიობა – „ნახალობა“; ქართველი ხშირად თავის თავს ძალას ატანს; ქართველს ყველაფერი ეჩქარება და ვერაფრის დამთავრებას იგი ვერ ახერხებს; ქართველი ყოველთვის პათოსში არის.

წამბაძველობა „ნახალური“ და აჩქარებული ჩვენს ეროვნულ სულს უფრო ეგუება, ვიდრე სისტემა და ანალიზი საკუთარი, ორიგინალური.

ჩვენი ტემპერამენტი ქალური და ისტერიულია: ტრაგედიას ქართული სული არ იცნობს; რაც უნდა გაჭირვება იყოს, რაც უნდა ცუდად მიმდინარეობდეს ცხოვრება ჩვენ გარშემო, ჩვენ მაინც ოცნებებსა და იმედებში ვართ: „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება“, ლაპარაკობს ადამიანი, რომელმაც უარყო საზოგადოება და ყოველგვარი ღირებულებანი წუთისოფლისა.

ჩვენს ერს უფრო აფექტები ამოძრავებს, ვიდრე მოვალეობა: ჩვენი ნებისყოფა მუდამ მერყეობს, ჩვენ ორგანულად შეგრძნებული არა გვაქვს ჩვენი კულტურ-ტროპიზმი და ისტორიული მიმდინარეობა.

ჩვენს სულში არის მრუში და როსკიპული ლირწებრივობის სურვილი. ჩვენი ისტორიული აფექციონალი, ჩვენი რყევადი წარსული, შელესილი ჩვენს სხეულში, ალაყლაყებს ჩვენს ნებისყოფას და ჩვენი ფიზიოლოგიური ბუნების ხვეულებში დაძრწის ავადმყოფური, სადისტური წადილი ვიყოთ ვინმეს მიერ ძალდატანებული, დაჭყლეტილი. თითქოს ჯალალედინებმა და შაჰ-აბაზებმა შეგვაჩვიეს მრუშობასა და ძალდატანებას. ერთმანეთის დაბეზღებაში ვართ, ერთმანეთი გვძულს; სოციალური, კოლექტიური არსებობისა და თვითშენახვის ინსტინქტი ჩვენში არ მოქმედებს; ქართველი პირადი ინტერესების თვალსაზრისით უყურებს ყოველგვარ საზოგადო საქმეს, ყოველგვარ ისტორიულ მოძრაობას.

არც ერთი ერის ისტორიაში იმდენი ღალატისა და ერთმანეთის მტრობის მაგალითები არ შეგხვდებათ, რამდენსაც ჩვენს წარსულში ჰქონია ადგილი: ზეინაბები, ოთარ-ბეგები, საკაძეები, ფალავანდიშვილები, კაჩუხაშვილები ჩვენი ისტორიული უკუღმართობის და მრუშობის ცოცხალი გალერეაა; საქართველოს მიწა-წყალი დაშლის, ბრძოლის, განგაშის არენა; ქართული საზოგადოებრიობის ფსიქოლოგია, ჩვენი კულტურულ-ცივილიზაციური მიმდინარეობის შინაგანი სახე ისტორიულად შეღრეკილი და დაღრეცილია; ჩვენს ჯგუფურსა ან პერსონალურ განაპირებაში, ერთმანეთის ღალატში წარსულიდან მემკვიდრეობით მიღებული ჩვეულებები მოძრაობენ და უხეირო პირობებში დამუშავებული ისტორიული კულტი დროგამოშვებით იმეორებს თავის ცოდვებს.

ქართველი საზოგადო მოღვაწე ფლიდი, ცუღლუტი და მანკიერია; ქართველი მწერალი ცრუ, კუდაბზიკა და ტრაბახაა; ქართული საზოგადო დაწესებულება ინტრიგებისა და ჭორების საზიზღარი ბუდეა; ქართველი დილიდან საღამომდე სულ იმაზე ფიქრობს, თუ როგორ დაამციროს მეორე ქართველი: წახდება თუ არა ამით საერთო საქმე, ეს ქართველს არ აწუხებს.

ქართველი მუხანათი და ვერაგია თავისიანებში; უცხო ტომში გარეული, იგი კეთილშობილი და მორჩილი მოსამსახურეა; ქართველი საქმის სათავეში საზიზღარია: დაიკავებს თუ არა საპატიო ადგილს, მაშინვე თავხედურად გაიპრანჭება და ორლეანის ქალწულის პოზაში ჩადგება; ყოველგვარი გამბედაობა ქართველის ყოველთვის ნახალობით თავდება.

ჭორი, ინტრიგები, აფექტებისა და მგრძნობელობის მსუბუქი აყოლა, უმიზეზო ისტერიული პათოსის, ერთმანეთის კუნთებისა და ბარძაყების შეყურება, ჩვენი ეროვნულ-ისტორიული თვისებებია.

თეატრი, ბანკი, რკინიგზა, სასწავლებელი, რედაქცია – ყოველი საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულება საქართველოში ჭორებითაა სავსე და ინტრიგებში იხრჩობა; შდეგი ამ ჭორების და ინტრიგების ის არის, რომ თავმოყვარე, პატიოსანი და ნიჭიერი მუშაკი დაწესებულებიდან გადის, რადგან ვერ ითმენს უზნეობასა და უსინდისობას; დაწესებულებაში რჩება უნიჭო, უსინდისო, ფლიდი, მოღალატე, რომელსაც მხოლოდ თავის პირადობა აინტერესებს და რომლის იდეალია ყველაფერი დაშალოს, – ოღონდ კი თავის თავს ასიამოვნოს.

წინათ, კახეთში ცხოვრობდა ერთი მეფე, რომელიც ხშირად ლაპარაკობდა: რა მეშველება, კახეთი მჭიდროდ არის დასახლებული და სანადირო ადგილები არა მაქვსო; დაიქცეს კახეთი, ოღონდ სანადირო ადგილები მქონდესო.

მეფე გიორგი III-ის დროს, როდესაც დიდხანს ომი აღარ იყო, დიდებულებმა და ჯარმა მეფეს მოახსენეს: „არა არის ღონე დარჩომისა ჩვენისა, თვინიერ ლაშქრობისა და რბევისაო“. წმინდა ავლაბრული თავქარიანობაა გამოსახული ამ სიტყვებში: უნდა ავაწიოკოთ, ავაშფოთოთ ქვეყანა; მოთმენა, ღონე აღარ გვყოფნისო, – ამბობს ქართველი და მართლაც თავს ვეღარ იკავებს – სურს ქვეყნის დარბევა. პროფ. ივ. ჯავახიშვილი მკვეთრ განმარტებას აძლევს ამ სიტყვებს: „ადამიანი თავის თავის მტერი უნდა იყოს, რომ ყველა თავისი მეზობელი ტყუილ-უბრალოდ გადიკიდოს და თავისადმი სიძულვილი ჩაუნერგოსო“. სწორედ რომ ქართველი თავის თავის მტერია: ქართველს თუ სხვისი აწიოკება არ შეუძლია, თავის თავს აწიოკებს და აოხრებს – ქართველის სადისტური ბუნება თხოულობს ავლაბრულ გაქანებას, ფიზიოლოგიურ ალაყლაყებას: ბოლოს და ბოლოს, ქართველისთვის სულერთია სხვას ურტყამს თუ თავის თავს, ოღონდ დაიქანცოს, კუნთები დაცალოს... ქართველი ფსიქოლოგიურად აკრობატი და ჟონგლიორია.

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

მასალა მოამზადა სოფიო ჯაფარიძემ

ივანე ჯაფარიძე

„და პოეზია – დიდი ტკივილი, თავქვეშ ნისლივით მიდევს სასთუმლად“

იგი ჩემი თაობის კაცია. ერთ ეპოქაში ვცხოვრობდით, მაგრამ აქამდე არ ვიცნობდი. ჩვენი გზები არსად გადაკვეთილა, თუმცა, საზოგადოებრივ საქმიანობაშიც არ ვყოფილვართ გულხელდაკრეფილნი. ცხოვრების პირობებიც დაახლოებით ერთნაირი გვქონია. მერე რა, რომ ის წყალტუბოში ცხოვრობდა, მე – თბილისში.

ჩვენი ცხოვრების გზა წესიერი, მართალი კაცის გზა იყო და ოდესმე უთუოდ უნდა შევხვედროდით ერთმანეთს...

2010 წლის 16 ივნისს, ოტია იოსელიანის დაბადების 80 წლისთავის საიუბილეო საღამოზე, ჩემმა უახლოესმა მეგობარმა, ცნობილმა ჟურნალისტმა და სპელეოლოგმა, ამჟამად „პრომეთედ“ სახელდებული წყალტუბოს მღვიმის აღმომჩენმა ჯუმბერ ჯიშკარიანმა შორიდან დამანახა საშუალო ტანის, თმაშეთხელებული, ხმელი კაცი და მითხრა:

– თითქმის სამი ათეული წელია, წყალტუბოში გამომავალი ერთადერთი გაზეთის რედაქტორია, თვეში ასი ლარიც არ აქვს ხელფასი, მაგრამ გაჭირვების მიუხედავად, მაინც ღირსეულად ცდილობს, გაზეთი არ დაიხუროს, შემოწირულობებითა და კეთილი ხალხის დახმარებით ასულდგმულებს რაიონის მემატიანეს, ბევრად უფრო მდიდარ რაიონებს შეშურდებათ ამ გაზეთის ლიტერატურული დონე და მასშტაბი.

– პატრიოტი კაცი ყოფილა, ასეთმა კაცებმა მოიტანეს დღემდე საქართველო-მეთქი, – დავუბრუნე სიტყვა მეგობარს.

ზუსტად ერთი წლის შემდეგ კვლავ მოვხვდი წყალტუბოში. ისევ ბატონმა ოტიამ მოგვიყარა თავი მთელი საქართველოდან მწერლებსა და მწერლობაზე შეყვარებულ ხალხს. დიდი მწერლის დანაკლისის განცდამ შეგვკრიბა ყველანი გელათის დიდებულ ტაძარში. წყალტუბოში, თავის სახლამდე და უკანასკნელ განსასვენებლამდე ყველამ ერთად მივაცილეთ ჩვენი დროის დიდი მწერალი. არც აქ ჩამომირთმევია ხელი ბ-ნი მურთაზისათვის...

და მაინც შევხვდით ერთმანეთს...

დედაქალაქში, პირველ ექსპერიმენტულ საჯარო სკოლაში შეხვედრას უწყობდნენ ჩემთან მეგობრობის „ნახევარსაუკუნოვანი სტაჟის“ მქონე „იმედის გმირს“ ჯუმბერ ჯიშკარიანს. სკოლას, პედაგოგ-მოსწავლეთა მოწვევით, წყალტუბოელების სოლიდური დელეგაცია ეწვია, რომელთა შორის საპატიო სტუმარი ბატონი მურთაზ კანკაძეც ბრძანდებოდა.

იმედის გმირმა წყალტუბოს გმირი სწორედ აქ, ამ შეხვედრაზე გამაცნო. ჩვენი მომავალი მეგობრობის საწინდრად, ბატონ მურთაზს ჩემი ახლად გამოცემული წიგნი „მყინვარწვერიდან ევერესტამდე“ ვუსახსოვრე რწმენით, რომ აუცილებლად დავმეგობრდებოდით. საფუძველი უკვე ჩაყრილი იყო...

ბატონი მურთაზი მშვენიერი სიტყვით მიესალმა სკოლასაც და „იმედის გმირსაც“, რომელსაც ათწლეულებია იცნობს და დიდად აფასებს წყალტუბოსა და ქვეყნის მიმართ მის განსაკუთრებულ ღვაწლს.

თბილისის პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლის მოსწავლეთა და პედაგოგთა შეხვედრას „იმედის გმირთან“ – ჯუმბერ ჯიშკარიანთან შესანიშნავი წერილით გამოეხმაურა ბ-ნი მურთაზი თავის გაზეთში „ახალი წყალტუბო“. ცოტა ხნის შემდეგ კი თბილისში ჩამოსულმა რედაქტორმა, ეს ნომერი საჩუქრად მოგვართვა მე და ჯუმბერს. ჯუმბერ ჯიშკარიანმა, როგორც მას ჩვევია, ბატონი მურთაზი ოჯახურ სადილზე მიიწვია და მანაც

თავისი ლამაზად გაფორმებული ახალი პოეტური კრებული ავტორისეული წარწერით გვისახსოვრა.

მურთაზ კანკაძე – „ჩემი მწვერვალი მიმელის მაღლა“ – ეწერა გარეკანზე. მწვერვალების ფონზე მიწერილმა წიგნის სათაურმა, მწვერვალებისადმი ჩემი განსაკუთრებული დამოკიდებულების გამო, ბუნებრივია, მიმიზიდა და წიგნის კითხვა განსაკუთრებული ინტერესით დავიწყე.

ყველაზე მეტად რამაც მომხიბლა ის იყო, რომ პირველივე სტრიქონიდან დავინახე მისი ნიჭიერება, გრძნობათა სიწმინდე და გულწრფელობა.

ძალზე ძნელია პოეზიის ქვეყანაში პოეტსა და პოეზიაზე რაიმე ახალი თქვა, მაგრამ ერთის თქმა თამამად შეიძლება – ლექსის მწერალ კაცს საკუთარი სახე და ხელწერა რომ გააჩნია, იგი უკვე პოეტია. ხოლო პოეტის ლექსებიდან თუ რამდენიმე სტროფი გულში მოგხვდება და სამუდამოდ დაგამახსოვრდება, კარგი პოეტია. მურთაზ კანკაძის ლექსებიდან კი მრავალი სტროფი და პოეტური ფრაზაა გულში მოსახვედრი, დასამახსოვრებელი, საყურადღებო და დაუვიწყარი.

განა პოეტის ცხოვრებისეული კრედო, საოცარი განცდა და პოეზიის რაობა არ არის გადმოცემული ლექსში „ავტოგრაფი“?

„მე ჯერ არ მითქვამს ჩემი სათქმელი,
ან რა მაქვს ქვეყნად დასაფარავი,
მწვანე ოცნების გირლიანდებით
სავსეა სულის ფართო კარავი.
აბოლქვებულა ფიქრი კვამლივით,
სულის წვისა და შფოთვის დასტურად
და პოეზია – დიდი ტკივილი,
თავქვეშ ნისლივით მიდევს სასთუმლად“.

ვფიქრობ, სწორედ ამ ლექსშია განივთებული მურთაზ კანკაძის სული. ეს სტრიქონები, მართლაც, მისი ავტოგრაფია, რომელშიც სრულად და მკაფიოდ იკვეთება მართალი კაცის მრწამსი და საინტერესო პოეტური სახე.

მურთაზ კანკაძის ადრინდელი პოეტური კრებულის „აღმართის“ შესახებ, ჟურნალ „განთიადის“ 1995 წლის №3-4-ში გამოქვეყნებულ გამოხმაურებაში, მწერალი და ხელოვნებათმცოდნე სერგო ჭეიშვილი წერდა: „რა გვხიბლავს ამ პატარა წიგნში? პირველ ყოვლისა, უშუალობა და ბუნებრიობა. კრებულის ავტორი არ ცდილობს თავი წარმოგვიდგინოს მსოფლიო ოკეანეში გოლიათებზე მონადირე ინტელექტუალურ ზეკაცად. ის ქართული პოეზიის ანკარა მდინარეში ჩამდგარა მუხლებამდე და ანკესის თითქმის ყოველ ამოგდებაზე ბროლივით სუფთა მორევიდან ფერად-ფერადი ვარსკვლავებით დაწინწკლული კალმახები ამოჰყავს“.

მართალს ბრძანებს ბატონი სერგო ჭეიშვილი. ვინც მურთაზ კანკაძის ახალ წიგნს „ჩემი მწვერვალი მიმელის მაღლა“ წაიკითხავს, არ შეიძლება მოხიბლული და აღტაცებული არ დარჩეს პოეტის გულწრფელობით, თანამოძმისადმი დიდი სიყვარულით, საოცარი სიკეთითა და კეთილშობილებით, რაც მის ყოველ სტრიქონში იგრძნობა. იშვიათად იღვრება ასეთი სითბო პოეტური კრებულებიდან, რომელთა ნაკლებობას არ განიცდის ქართველი მკითხველი.

მურთაზ კანკაძის ახალ პოეტურ კრებულში თითქმის ვერ ნახავთ სტროფს, სადაც სიტყვას თავისი ადგილი არ ეჭიროს, გაუაზრებლად, ან მხოლოდ რითმისათვის იყოს ჩასმული (რასაც, სამწუხაროდ, ხშირად მიმართავენ თანამედროვე პოეტები), მას, ყოველ სტროფსა და სტრიქონში, საკუთარი გრძნობისა და გონების ქურაში გამოტარებული აზრი სადად, მარტივად, გასაგებად, დასაფიქრებლად და გასააზრებლად მიაქვს მკითხველამდე.

ქართულ მწერლობაში იშვიათად შეხვდებით პოეტს, ვისაც ისეთი სრულყოფილებით ჰქონდეს გადმოცემული ქართული სოფლის კოლორიტი პოეზიაში, როგორც მურთაზ კანკაძეს. იგი, მართლაც, მხატვრის მახვილი თვალით ხედავს და დიდოსტატურად აღწერს სოფლის დაუვიწყარ სურათებს, იმ თბილ გარემოს, რომლის ფასს ვერ გაიგებს ის კაცი, ვისთვისაც უცხოა თივისა თუ აჩეხილი ჩალის სურნელი, ვინც არ იცის კევრით გალეწილი ხორბლის ფასი და მისგან თონეში გამომცხვარი პურის გემო, ვისაც ერთი დღე მაინც არ გაუტარებია უღელში შებმულ ხარ-კამეჩთან ხვნა-თესვისას თუ ტყიდან გამოტანილი შეშით დატვირთული მოჭრიალე ურმის წინამძღოლად.

ეს ყველაფერი განცდილი აქვს ბატონ მურთაზს, ნაზიარებია ამ სამყაროსთან და ამიტომაა კეთილმოსაგონარი, ამაღლებული და ფერადოვანი ამ თემასთან დაკავშირებული მისი ყოველი სტროფი. სოფლის სამყაროსთან დაკავშირებული სტრიქონები ბავშვობაში გაბრუნებს და თანდათან ცოცხლდებიან ათწლეულების მიღმა ხსოვნის ბურუსში მინავლული სახეები.

„სოფლის საღამო“ დაურქმევია ლექსისათვის ავტორს და ისეთ სურათს ხატავს, მუდამ თან რომ გდევს, როგორც სულის განუყოფელი ნაწილი:

„სჯობია ყველა ფერს და სუნამოს
მზით დაფერილი საღამო სოფლის,
სადაც გამრჯე ხელს ასდის სურნელი,
შეზავებული მიწით და ოფლით;
სადაც ვაზს უხვად აზის მტევანი,
დახუნძლულია ბაღში ხეხილი
და თავს იწონებს მწვანე ჩოხაში
სიმინდი-ულვაშგადაგრეხილი.
ღელეში იხვთა მთელი ლაშქარი,
ვიწრო შარაზე-ჭრელი ნახირი,
ცურავსებული ძროხის ბღავილი
და ბოჩოლების გამოძახილი...
სულს ეფონება დაისი თბილი –
მზით დაფერილი საღამო სოფლის,
მშობლიურ მინდვრებს ასდით სურნელი
შეზავებული მიწით და ოფლით“.

ბატონი მურთაზი რომ ჭეშმარიტი პოეტი ბრძანდება, ეს მისი ყოველი ლექსის სტრიქონში ჩანს და ნიშანდობლივია, რომ ასაკის მიუხედავად გაზაფხულის მობრძანება კვლავ უჩქროლებს გულს და ახალგაზრდული განცდით სავსე იღებს ხელში კალამს.

„გაზაფხული“ დაურქმევია ლექსისთვის პოეტს, რომლის წაკითხვის შემდეგ მართლაც გაზაფხულის სითბო ისადგურებს მკითხველის გულში.

„ერქინებიან სივრცეს მოზვრები,
ბევრი დამდგარა უკვე სახარე...
და გაზაფხულის ანგელოზებმა
თბილ ხნულებს ფრთები გადააფარეს.
ეფიცხებიან მზეს მოხუცები, -
კბილებში ჩიბუხგამოჩრილები
და ჭრიჭინების ჭრელ მუსიკაზე
ფერხულს ცეკვავენ ხეთა ჩრდილები“.

მურთაზ კანკაძეს წიგნში „ჩემი მწვერვალი მიმელის მაღლა“, მართლაც, პოეტურად აქვს დასათაურებული თავები. „აღმართისაკენ“ მიმავალი „ლექსის ბწკარებად დაწურული“ პოეტი, ბუნებრივია, გზადაგზა „ადრე წასულთა სილუეტებსაც“ ხედავს და ახლობელთა სულის მოსახსენიებელ სტრიქონებსაც თხზავს. ცოცხლებსაც მიაგებს პატივს და თავის მოწიწებასა თუ პატივისცემასაც შესაფერისად გამოხატავს.

შეუძლებელია გულწრფელი აღტაცება არ გამოხატო მურთაზ კანკაძის მიძღვნითი ლექსების მიმართ, სადაც ავტორი ახერხებს ზუსტად მიანიშნოს თავისი დამოკიდებულება იმ პიროვნების მიმართ, ვინც ღირსებით გამორჩეული და მამულისათვის დამაშვრალია. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოვყოფ ჩემთვის ახლობელი ადამიანებისადმი მიძღვნილ ლექსებს. ლექსი „სიმართლის დროშა ძირს არ დახაროთ!“ ოტია იოსელიანს ეძღვნება და არ გიკვირს პოეტის დამოკიდებულება დიდი მწერლის მიმართ, რადგან იგი შესანიშნავად იცნობს როგორც მწერალს, ისე მის ნაწარმოებებს:

„წერთ სულის თრთოლვით და რუდუნებით,
თქვენი კალამი ქების ღირსია,
ერთხელ შეიბით ხმალი ქომაგის
და მერე აღარ შემოგიხსნიათ“.

ამ ერთ სტროფში, ბატონი მურთაზი შესანიშნავად ახერხებს ოტია იოსელიანის სრული პორტრეტის დახატვას ვაჟკაცური ხასიათითა თუ შემოქმედებითი თვალსაწიერით.

ასევე დიდებულია ლექსი „გჯეროდეთ!“, რომელიც სათნო, პირმშვენიერ ქალბატონსა და დიდებულ მოღვაწეს, რეზო თაბუკაშვილის სახელობის ხარაგაულის ერთი მსახიობის თეატრის დამაარსებელს, ავტორს, მსახიობსა და რეჟისორს იზა ვეფხვაძეს ეძღვნება, რომელმაც ბოლო წლებში შექმნილი საკუთარი სპექტაკლებით უკვდავი ძეგლი აუგო დიდ ქართველ მოღვაწეებს: ოტია იოსელიანს, გურამ რჩეულიშვილს, რეზო თაბუკაშვილს, გურამ დოჩანაშვილს, მერაბ კოსტავას, გოდერძი ჩოხელს და ა.შ. საოცარი სითბო, სიყვარული და პატივისცემა იგრძნობა ბატონი მურთაზის ამ სტრიქონებში:

„მოკრძალებულად გიცქერით, თქვენს ქებას როგორ გავბედავ,
ღმერთმა ყოველმხრივ შეგამკოთ და კალთა გადმოგაბერტყათ.
საქმეშიც ვინ შეგედრებათ ასეთ სათნოს და ეშხიანს,
უფლისგან მომადლებული ყველა სიკეთე თქვენშია.
არ გაკრთობთ უკან მოხედვა, მზესთან გაქვთ წილი ნაყარი
და დღემდე ნამუსიანად გიმკიათ თქვენი სამკალი.

მოყვარეს მუდამ გულს უღებთ, როგორც სიკეთის მსახური,
პირალესილი ხმალი კი მტრისთვის გაქვს გადანახული.
კვლავ სულის ღელვა გამკობდეთ, მამულის მადლი გფარავდეთ,
თქვენი ცხოვრების მიზანი ზეცის თაღამდე ამაღლდეს.
ნატვრისთვალივით მოგასწროთ თქვენი ცხოვრების შუადღეს,
თქვენებრ სათნოს და გულადებს გჯეროდეთ, რომ გაუმართლებს!“

პოეტი არც ბავშვებს ტოვებს უყურადღებოდ, მშვენიერ ლექსებს უძღვნის მათ და ეს არცაა გასაკვირი შვიდი შვილიშვილის ბაბუასაგან, ის ხომ თავის ნაშიერს მსუყე სულიერ საზრდოს აძლევს და სამომავლო საგზალსაც დიდი რუდუნებით უმზადებს.

არ შეიძლება არ ითქვას ბატონი მურთაზის მიერ უცხოელ პოეტთა თარგმანების შესახებ. მნიშვნელოვანი და საინტერესოა მისი მეგობრისა და ლექსების მთარგმნელის, სანკტ-პეტერბურგელი პოეტის ლიდია სლუცკაიას ლექსის „წყალტუბოს“ თარგმანი, რომელსაც მურთაზ კანკაძემ ქართული სული შთაბერა. აი, ამ ლექსის პირველი სტროფი:

„კვლავ დავუბრუნდი წმინდა ადგილებს,
დღეა ნათელი, ვით მოჩვენება
და ქალწულივით მჩუქნის განცხრომას
შენი ჭაღარა მთების მშვენება“.

არც მეგობარ პოეტებს: ლიდია სლუცკაიას, ალექსეი მარკოვს, ნიკოლოზ ლისიცკის დავიწყებიათ რაინდული სულის ქართველი პოეტის მურთაზ კანკაძის შემოქმედება და მისი ლექსები პუშკინის ენაზე აამეტყველეს.

მურთაზ კანკაძის პიროვნული ხიბლისა და კაცურკაცობის გამომხატველია მისადმი მიძღვნილი ლექსები, რომლებშიც კარგად იკვეთება ავტორების დამოკიდებულება მათთვის საყვარელი მეგობრისა და პოეტის მიმართ. დიდი სითბოთია გამთბარი ვანო ძაგნიძის, შორენა ებრალიძის, ლოლა ცერცვაძის, ლამარა კვერნაძის, ელენე ჩანტლაძე-გუბელაძის, ხათუნა ზაქარიაძის, ზურაბ კახიძისა და სხვათა მურთაზ კანკაძისადმი მიძღვნილი ლექსის სტრიქონები. თვით პოეტის ზნეობრივი კრედო, ადამიანთა ცხოვრების არსის რაობა და მოქალაქეობრივი მრწამსი კი შესანიშნავადაა ჩამოყალიბებული ამ სტრიქონებში:

„ადამიანი განტოლებაა,
იქნებ ამოხსნა ბევრი წვალებით,
ადამიანი გამოცანაა
ხასიათების ფერისცვალებით;
ადამიანი განძია დიდი,
ცხოვრების ტალღა ვერსად გარიყავს,
მაგრამ ვაი მას, თუ იგი ფლიდობს
და ხურდავდება კაპიკ-კაპიკად,,.

ბოლოს, არ შეიძლება არ ითქვას ბატონი მურთაზ კანკაძის პიროვნული თვისებებისა და სამშობლოსადმი მისი დამოკიდებულების შესახებ. მარტო ის ფაქტი, რომ იგი 30 წელია გაზეთ „ახალი წყალტუბოს“ უდგას სათავეში და მისი რედაქტორია, თავისთავად მეტყველებს მის ეროგულებაზე არა მხოლოდ საყვარელი საქმის, არამედ, უპირველეს ყოვლისა, თავისი თანაქალაქელებისა და ზოგადად, საკუთარი ქვეყნის მიმართ. ესაა კაცი, რომელმაც მძიმე ჯვარი იტვირთა და პირნათლად, უმწიკლოდ, თავგანწირვით ეზიდება მას მაღალი მწვერვალებისაკენ, საიდანაც მშვენივრად მოჩანს მის მიერ სუფთად განვლილი ცხოვრების დიდი გზა და ის ადამიანები, ვინც პირუთვნელად აფასებს დიდებული პოეტის ნიჭიერებას, მხატვრის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის რუდუნებას საკუთარი ქვეყნის წინსვლა-განვითარებისათვის, უანგარო დამოკიდებულებას რაიონში გამომავალი ერთადერთი და არაჩვეულებრივი გაზეთის „ახალი წყალტუბოს“ მიმართ, რომელიც, შეიძლება ითქვას, მისი ღირსების სავიზიტო ბარათსაც წარმოადგენს.

ღმერთმა წყალობა არ მოუშალოს დიდ მამულიშვილს – ბატონ მურთაზ კანკაძეს. ჩვენ კი მისი რედაქტორობით გამომავალ გაზეთ „ახალი წყალტუბოს“ მკითხველებს არ მოგვკლებოდეს მისი სიკეთითა და მეგობრობით მონიჭებული სიამოვნება, რადგან მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ:

„ხალხი ბრძენი და შეუმცდარია,
სოფელმა იცის კარგი ყმის ყადრი“.

იოსებ ხოხონიშვილი

* * *

ქარმა წარიტაცა ბარათები
მზესთან მოარშიყე გვირილისა,
ადრე გააღვიძა ყვარლის მთები
ზარმა ხარირმების ყვირილისა.
ექომ გადიქროლა ქარაფები,
ქორი აიზიდა არაგვიდან,
იწვნენ შამბნარებში ჯალათები
ბნელი დაწყევლილი ალაგიდან.
იდგა ათას ცხრაას შვიდი წელი,
ავი მდუმარებით გატენილი.
ჟამი ბაწარივით გაიწელა,
შავი გულისთქმებით გათელილი.
უსხდნენ შხამით სავსე ფსონის სუფრას
დრონი ოცდაათი აგვისტოსი.
თითქოს ეძახოდა ჭირისუფალს
ლაღი სალამური ალვის რტოსი.
მთვრალმა ხუთშაბათმა აურია,
შური ბობოქრობდა მეწამული.
გარეთ უცნაური ხმაურია,
შიგნით სული კვნესის მოწამლული.
ცაში მცხეთის ჯვარი ბრიალებდა,
ცხელი მზის ცრემლებით დანამული,
სანამ ბერდანის ყბა იალებდა
დუმდა ენა, რწმენა და მამული.
ღვინო ეშმაკის რქით დაილია,
პირზე ჩამოისვა მიწამ მური.
მოკლეს სამართალი და ილია,
სისხლით მოინათლა წიწამური.
ვითომ საქართველო ედემია,
ბაღი აკრძალული ნაყოფისა.
თვითონ ბილწავს კაცი ადამიანს,
ფეთქავს წუთი ყოფნა-არყოფნისა.
ვუმზერ ფიქრის გორას ოლღუნიანს,
„გეი-აღლუმს“ მართავს მეთაური.
რჩევა ვკითხე მოხუც ლელთ ღუნიას,
ლექსს ვერ მოვუძებნე სათაური.
ისევ ამოფეთქავს მდელო იებს,
კვლავ შობს ვაჟებს დედა კვირიასი.
ღმერთი მეორედ არ გვაპატიებს
მოვკლათ გული მამა ილიასი.
ერო! დავიჯერო ხმა არ გესმის,
მთიდან ხარირმების ყვირილისა.
აღსდექ, სანამ ტყვრომა გაგაყრუებს
ტყვია გესლიანი ხირიმისა...

უკანასკნელი შემოღამება

ქანარას უკრავს ქარი არავი,
ფაფარს უვარცხნის ბებერ ფარავანს,
როგორც საგანძურს ფრთხილი მპარავი
მზირი მიადგა ციხის გალავანს.
ვით მოჭრილ ბელტებს მიწის მბარავი,
ჭკუა აბრუნებს აზრთა ქარავანს.
დრო, თუნდაც ქველი, საქმით არ ავი
ცვეთავს საწუთროს,როგორც ქალამანს.
ცაში ირაოდ ქორთა ნანავი
დიდ საიდუმლოს თითქოს მალავდა.
მზიდან თაფლს ჭამდა ვაზი მანავის,
დედა გუთნისა ხნულსა კვალავდა.
თუმცა ქვესკნელის ავან-ჩავანი
გონების სარკმლებს კუპრით გმანავდა,
ცრემლით განბანილ შავ ავგავანით
სეფე ვარსკვლავი ამოქანავდა.
მაგრამ ჩავიქრეთ გვამის სანთელი,
სულს დავახურეთ მრუმე დარაბა.
ურცხვად გავცვალეთ ბნელში ნათელი,
ღმერთს ვამჯობინეთ მკვლელი ბარაბა.
დროშას ზიდავდა ცხრა მუზარადი
სისხლით შეტბორდა როცა მარაბდა,
ცხრავე დაკლული, როგორც ზვარაკი,
ხერხეულიძე იყო გვარადა.
სიმართლე არის ყველგან მთავარი,
ყრმას მადლი ნათლის,წყალში განაბანს.
მთებში ბალახობს წყნარი მთოვარი,
შემოგარენი შიშმა განაბა.
სანამ ის ქარი ხორნაბუჯიდან
ხმელ ხოდაბუნებს მიმოქარავდა,
ცრემლის ისხარი ბროლის ბუდიდან
ჩემი სასთუმლის ბალიშს ქარგავდა.
ძეს ვევედრები, მამას ვსასოებ,
ვაქებ წმინდა სულს, ვმონებ სამებას,
შემაძლებინა ვინაც სიცოცხლე,
მძიმე წარსულთან გამოსალმება--
იქამდე სანამ სისხლის თარეში
ფერით შავ მიწას შეეხამება,
და დაიწყება მიმქრალ თვალებში
უკანასკნელი შემოღამება.

ცხონების ციხე

ცხონების ციხე ავაგე,
გული ვახმაე ცხავადა,
საძირკვლად აღთქმა დავუდე,
მრწამსი დავადგი ქავადა.
სიმდაბლის ჭერი დავხურე,
მარხვა დავუდე ზღვარადა,
კირი ცრემლებით მოვზილე,
ოხვრა დავკიდე ზარადა...
ტინის კედლებზე დავასხი
ტროპარ-კონდაკნი ჯვარადა,
ფსალმუნებისგან დავუწან
ჯაჭვის ჩაბალახ-ზარადა.
მსთვად მოვუქსოვე ჯარაზე
ჭირთა თმენისა ფარაჯა.
სატევრად ფსკვნილი მივეცი,
ღმრთის სასოება ფარადა.
რწმენის ბეგთარი მოვარგე,
სიბრძნე შევაბი კარადა,
გალობა კვართად ჩავაცვი,
ლოცვა ავუნთე კვარადა.
ქრისტეს მცნებებით შევბეთქე,
მნედ დავუდექი თავადა,
სინანულის ცვრით განვბანე,
მწუხრით შევღებე შავადა.
კდემისა კიბე ავყუდე
მაღალსხვენიან ჩარდახსა.
ლმობილმა ზურგით ავზიდე
ცოდვებით სავსე ზარდახშა.
მე როგორც სნეულ-სასალი
სულ-ხორცით მყოფი ავადა,
მხსნელს შევეკედლე მორჩილად,
მწყემსს მივებარე კრავადა.
სახარებიდან მივართვი
ღმრთის მადლით სავსე კალათა.
მშვიდობის მტრედმა ფრთოსანმა
მის ჭერში მოიკალათა.
ოთხკუთხივ კოშკნი მივადგი
ოთხი სამსჭვალის მგვანადა.
ჭეშმარიტება დავარქვი
ქვის გოდოლს სახელ-გვარადა.
ჯოჯოხეთიდან მოადგნენ
ქაჯმაჯუნები ჯარადა.
შურს სიყვარულით რომ სძლია
ის ჩაუდვიათ ჯავრადა.
ზღუდეს ვერცა რა დააკლეს
კლდის ქიმზე მდგარსა ცალადა.
ნირიც ვერ შეაცვლევინეს
ამაყადა დგას კვალადა.
ასეთი არის მოყვასო
ჭეშმარიტების ბალადა.
ვინ მადლით შემოსილია,
ვის ცოდვა აძევს ბრალადა.
ცხონების ციხე ავაგე,
სიბრძნე შევაბი კარადა,
ვისაც სურს რწმენით შევიდეს.
ლოცვა აუნთოს კვარადა...

გიჟი ქარტეხილი

ნებამ მიაძინა ვნება ატეხილი,
დნება სანთელივით ტკბილი მოგონება,
პენტავს შემოდგომას ცელქი ქარტეხილი,
არ სურს გაშმაგებულს არვის გაგონება.
ცივა, ცვივა ხიდან ხმელი ნარინჯები,
ცოტა კიდევ დარჩა ჟამი საღიღინო.
ძმაო საამქვეყნოდ ბევრს ნუ გაისრჯები,
ზამთრის პეიზაჟებს შვენის შავი ღვინო.
ითხოვს შურისგებას გული გალახტული,
აჰყვა მაჯისცემა რიტმში წყნარ მი-მინორს.
სულმა გააჭენა რაში დარახტული,
თითქოს გაეკიდა ცაში ჟღალ მიმინოს.
ურემს მიაგორებს სოფლის ზიგზაგები,
ეშმა ყველგან თავის ბინძურ ხელებს ურევს,
გზაში მიეწია ბოროტს მისაგები,
შავად გაემურა პირი „ზიგ-ზაუერს“.
ზოგგან ღელეა და ზოგგან მთა-გორია,
მინორს ამაჟორებს გიჟი ქარტეხილი,
რიჟრაჟს აჟრჟოლებდა მთვრალი აგონია,
თეთრად მიიცვალა ღამე გატეხილი.

არ შებღალო, დაამშვენე საქართველოს ისტორია

საქართველო ქრისტე ღმერთის
მგალობელი რიტორია,
კლდის ფუძეზე ნაშენები
ეკლესიის ქტიტორია.
აულებელ ციხე-კოშკის
ბექთარი და ქვის თორია.
გმირთა სისხლით შეტბორილი
ნაომარი მინდორია.
მცხეთის გულში დამარხული
კვართია და სიდონია.
ხორციელად მცირე არის
სულიერად დიდრონია.
გორგასალის ანდერძია,
შამქორი და დიდგორია,
შურის ციხის ქონგურიდან
აფრენილი დიდქორია.
ასიათას მოწამისა
დათხეული იქორია,
ვეფხის ტყავზე ნაღვლის მელნით
დაწერილი სტრიქონია.
თმით შეკრული ნინოს ჯვარი,
ცხოველ სვეტის მირონია,
ფარნავაზის ირემია,
ხანძთელისა ფილონია.
მითრიდატეს კოლხეთია,
ადერკისა ივერია,
თუმც ლომების სამეფოში
დღეს მატლები ირევიან.
თითქოს მთვარე მიიცვალა,
გასუდრული დღის ფონია.
მესმის სამას არაგველის
გორდა ხმლების სიმფონია...
ეს ქართლოსის საფლავიდან
მოძახილი ხმის ტონია –
არ შებღალო დაამშვენე,
საქართველოს ისტორია...

წამები რბიან

დეკანოზ გიორგი დორეულს

წამები რბიან, წუთი ითვლის სამეოც მალაყს,
დრო ყველას ურცხვად ჩამოგვრეცხავს სახეზე ვარაყს.
სოფელმა ქრისტე მოიძულა, ჩვენ რაღას გვიზამს?
ნაბახუსევი ვეკითხები ღვინოს და არაყს...
უფალი იგავს ჩამჩურჩულებს, ყილმანი არაკს.
სიკვდილს დანდობა არც მოხუცის, არც ყრმისა არ აქვს,
ისე უთქმელად გაგვაქანებს ბნელი მღვიმისკენ,
როგორც ხეობა მიაქანებს არღუნს და არაგვს.
წუთისოფელი განახევრდა, არღაა წუთის,
ჟამმა შეჭამა, როგორც ჭიამ ფოთოლი თუთის.
თუნდ ხუთი ფუთი ოქრო გქონდეს, ვერას გიშველის,
თუ შეკრა შენთვის ბედისწერამ მერქანის ყუთი.
ბნელი დროება მოჰგავს ქოსა უკბილო დალაქს,
სულყველას პარსავს, კვალად ლესავს საყუნელ-დანაკს.
ამის შემყურემ როგორ გინდა ფხიზლად იარო,
დავდივარ მთვრალი, გულის ჯიბით ტკივილი დამაქვს.
სანამ სიბერე დაგვყრის, როგორც გათიბულ ბალახს,
მიწის გამრიგე მოგვიზომავს საძვალე ალაგს,
ღმერთს ვუერთგულოთ, ნუ მოვაკლებთ შესაწირ ზვარაკს,
დარდიან გულს კი ზურნა-დუდუკს, ღვინოს და არაყს...

———

საყუნელი – სამართებელი, *ყილმანი* – ეშმაკი

„ჩემი მიწის ვარ ლელთღუნია“...

საქართველოს მწერლთა სახლში ჯუბა ღებელის პოეზიის საღამო გაიმართა, რომლის ინიციატორი ლიტერატურული ჟურნალი „ანეული“ იყო. ჯუბა ღებელი სამი პოეტური კრებულის ავტორი და „ანეულთან“ არსებული სარედაქციო გაერთიანების წევრია.

გამომსვლელებმა ხაზი გაუსვეს, რომ ჯუბა ღებელი ის იშვიათი შემთხვევაა, რომლის პოეზია და პიროვნება ერთმანეთს ძალიან ჰგავს. მას უყვარს სამშობლო, მიწა-წყალი, სატრფო...ზოგადად, ადამიანი და ამ სიყვარულის ღერძზე ტრიალებს მთელი სამყარო.

გთავაზობთ ჟურნალ „ანეულის“ მთავარი რედაქტორის, პოეტ თამარ შაიშმელაშვილის გამოსვლას.

„შუქს ვერ ავანთებ,
როცა სხვები სხედან უპუროდ“...

აქ ქალაქია, საწუთროს ნისლია, დამღლელი დღეები და ქარებია... რომლებიც დაძრწიან უმისამართოდ და ადამიანთა სულებს მზეს და სითბოს არ აკარებენ... ქარი, რომელიც სულით ობლობის მისანია ხელისგულისოდენა სამშობლოში, „ფერმიხდილ ფრესკად“ რომ შემოგვრჩენია და პოეტის ცრემლმდინარე სულად რომ ქცეულა... ეული ქარის წერას დამგვანებია მისი სული იქ, სადაც მხოლოდ ლიბომორღვეული იმედი ანათებს...

„ო, ღმერთო ჩემო, ყველაფერი გაყიდულია,
ეს ჩემი სულიც დაკოდილი და ჯვარცმულია...
მე ვარ პოეტი, ჩემი მიწის ვარ ლელთღუნია,
ვისაც შენი გზით სურდა
ევლო და ვერ უვლია“...

ხელისგულისოდენა სამშობლოში, როცა სულ თან გდევს მისი უიღბლობა და ბედისწერა, პოეტი ამ ცის და დედამიწის, ამ სამყაროს მძევალია:

„სძინავთ ყრუდ კარდელიერებს
კავკასიონზე უგრძნობლად,
მარადიულად იელვებს
სამშობლოს უსასრულობა.
მკლავს სიყვარული, რასაც რომ
დღემდე ვერაფრით დავჯერდი,
განმიზომია სამყარო
ამ მიწის ერთი ნაგლეჯით“.

და როცა სამყაროს ღერძი აქ, ამ ხელისგულისოდენა სევდასა და ტკივილზე გადის, სიყვარული ხდება განუზომელი და უსასრულო:

„შენ პოეტი ხარ და
სულ თანა გდევს
ადამიანთა სევდაც,
ტკივილიც,
გწამს ღმერთი შენი,
მაშასადამე,
გაქვს სიყვარული
მარად მისჯილი“...

ამ სიყვარულით თვალებს ახელენ მოსევდისფერო ლექსები, თქვენთვის მოსართმევი – „თქვენთვის სატირალი ცრემლით, თქვენთვის დასაღვრელი სისხლით, მოდის და სიყვარულს ელის“...

„მომავალზე გულში ვფიქრობ,
დაუწერელ ლექსებს ვფურცლავ,
რაც დავწერე დღემდე, თითქოს
წაუღია ცაში უფალს“...

სულში გვირილები ანთებულან, – ენა, მამული, სატრფოს ცრემლები ამ გვირილებიანი მინდვრის სურნელმდინარეა... ეს უფლის მინდორია. „სტრიქონებს – სულის გვირილებს უფლის წალკოტში ვკრეფდი“...

„ამ მთების წვერზე შემდგარი,
ღრუბლებსაც მაღლით დავყურებ,
ხელში მიჭირავს შემკრთალი ნისლი –
ცის თეთრი საყურე.
მე აქ ვგრძნობ, ადამიანთა
შური – მტრობაა უბრალო,
როცა აქა ვარ, ცისკართან,
შენთან ახლოს ვარ, უფალო“.

და როცა დამის ბინდ-ბუნდი განთიადივით უმისამართოდ მოედინება, „სიკვდილისა

და ძველი ცოდვების ისევ აოცებს მზის დაბნელება“, იგი ლექსებში ღამეს ათევს, „დაღლილი სული – შენი მეგზური, სევდად აჩნია მთვარეს წამწამზე“...

„ცისა და მიწის ულელტეხილზე
მთვარეულივით უნდა ვიარო
და თქვენ ტყუილად მობრძანებულხართ,
სერაფიმებო, სამგლოვიაროდ“...

„ამ დედამიწის ცვრიან მდელოზე“ „ლექსებს ღვინოზე და პურზე ვყიდი, ეს არის ჩემი ცოდვაც და მადლიც“... ეს არის პოეტების ცოდვაც და მადლიც:

„შემოაღამდათ პოეტებს გზაში...
ღვინის მსმელებს და სიტყვის დარაჯებს.
შემოაღამდათ პოეტებს გზაში,
ღამეს დილამდე ყანწებით სვამდნენ,
გამოიხმობდნენ სულეთის ლანდებს
და თითო ლექსად ყიდიდნენ დარდებს“...

ეს შემოღამება უბრალო არ არის,პოეტის ჩუმი და იშვიათი, „ღამის ნამზითვი“ ფიქრები „სამოთხის ბაღს მოგატარებთ, შემოგახვევთ შიშველ ტანზე ზეთისხილის აკიდოს“, რათა ჩვენმა ძვლებმა დაიწყონ სიცოცხლე... სიცოცხლე, როგორც

„სიმღერა მიჯნურ ქალ-ვაჟის,
ხმა მთათა, ექო-ბანისა...
უჟამო ჟამში ლაჟვარდი,
მბრწყინავი ედელვაისად“.

უჟამო ჟამში, მწვერვალებსა და ჭიუხებშია ჩვენი მარადიული ბავშვობა, მარადიული სოფელი – ღები მარადიულად დათოვლილი ხარებით და „აკვნის დედა“... აქედან ერთი გადასასვლელია უფლამდე. პოეტისთვის სიცოცხლე და სიკვდილი ერთი განზომილებაა, რომელიც ყაყაჩოებით ანთია. ამიტომაც ჰგვანან სასაფლაოებზე სააღდგომო კვერცხები ყაყაჩოების თბილ და მიუსაფარ სევდას. თითქოს საიმქვეყნო სიო და ვედრება ღაღადებს!

„ამ დიდ სოფელს ახლა სევდა დამჩნევია,
ამ დიდ სოფელს ახლა ჩრდილი დაჰკრავს“...

მაგრამ სული მაინც ცას ითხოვს, „თბილ ტალღებში დნება ქარი – დაბნეული მიმოზა“. მყუდროებაში, პოეტის სავანეში შუშდება სულის იარა:

„მე კი ვინატრებ ლექსით თრობას
ჩემს ძველ ქალაქში,
მაგრამ ცხოვრების წიგნის ბოლო
გვერდებს გადაშლის მიქელ გაბრიელ...
და თავისკენ ჩუმად მომიხმობს,
უნდა წავიდე და სიკვდილით
უნდა მოგხიბლო“...

მანამდე კი...დაღლილმა გულმა ვარსკვლავეთში უნდა იმოგზაუროს და ამ ვარსკვლავთა ერთი მძივი მოჰპაროს ცის კაბადონს, და ეს საღამოც ხომ ვარსკვლავების ერთი მძივია?

ოთარ ჭილაძე:

* * *

„ვიღაცას უთქვამს, სიტყვები მიფრინავენ, ნაწერი რჩებაო. მაგრამ სიტყვები არსად არ მიფრინავენ. უფრო სწორად, როგორც მიფრინავენ, ისევე მოფრინავენ უკანვე. მიდიან და მოდიან, დღე-ღამისა და წელიწადის დროების მსგავსად, რის შედეგადაც ნაწერს ნაწერი ემატება და იქმნება თხუთმეტსაუკუნოვანი დიდი ქართული მწერლობა, ჩვენი სიმდიდრე და სიამაყე, ყველაზე ეროვნული ფენომენი, პასპორტი ჩვენი ეროვნულობისა“...

* * *

„მწერლობა ხალხის მახსოვრობაა. მისი მეშვეობით, ხალხს შეუძლია თითქმის მათემატიკური სიზუსტით აღადგინოს, როდის რა უჭირდა და ულხინდა; როდის როგორ გამოიყურებოდა; ხმელა პურით იბრუნებდა სულს, თუ შარაგზაზე ჰქონდა სუფრა გაშლილი, ამვლელ-ჩამვლელის დასაპურებლად.

ჩვენს ლიტერატურაში ასახული ცხოვრებით თუ ვიმსჯელებთ, იშვიათად თუ გაგვნელებია ხვალინდელი დღის შიში. ჩემთვის გასაკვირიცაა, ან დასაწერად როდის ვიცლიდით, ან წასაკითხად...“

ილია პატაშურის „სულის სავანე“

ჟურნალი გამოიცა
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის
საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის
ფინანსური მხარდაჭერით

კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანეულის“ რეკვიზიტებია:

ს/ს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE 22;

ანგარიშის ნომერი: GE81BG0000000306158900

რევაზ ინანიშვილის სახელობის
ლიტერატურულ კონკურსში
გამარჯვებული მოთხრობები

თამარ ლომიძე – „პარალე“

გიორგი ლალიაშვილი –
მირზა გელოვანი
ქართულ მინას უნდა ებარებოდეს!

„დღეს იყო გუშინ“! –
ირაკლი ქასრაშვილის
ერთი პიესის კვალდაკვალ

მარინე თეძთუმანიძე –
„შინ დაბრუნება“ და სხვა ლექსები

თავისუფალი სივრცე ყველა მწერლისთვის –
ინტერვიუ ნატა ლომოურთან

კონსტანტინე კაპანელი „ქართული ტიპი“

ივანე ჯაფარიძე მურთაზ კანკაკის პოეზიაზე

ანდული – ვახტანგულის ხნული